# გ. ლორთქიფანიძე

# პიჭვინთის ნაქალაქარი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1991

63.5(2Г)
ლ 852

მონოგრაფიაში შესწავლილია ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის — ბერძნულ-რომაული წყაროების „პიტიუს" — „პიტიუნტის" (დღევანდელი ბიჭვინთა, აფხაზეთი, გაგრის ზონა) ისტორია ახ. წ. II—VI საუკუნეებში. ნაშრომი ემყარება წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზს. დამტკიცებულია, რომ პიტიუნტი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, რომაულ ეპოქაში შედიოდა პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში და მისი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია XV ლეგიონს. IV საუკუნის პირველ მეოთხედში აქ არსდება საეპისკოპოსო კათედრა, რაც მხოლოდ ქალაქებისათვის იყო დამახასიათებელი. დაწვრილებით არის განხილული ქალაქის ეკონომიკის, ფულადი მიმოქცევის, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების რიგი ასპექტები.

წიგნი გამიზნულია ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისათვის.

რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **რ. გორდეზიანი**

რეცენზენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ო. ჯაფარიძე**,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გ. დუნდუა**.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991

0504000000
Л ————————
608(06)—91

ISBN 5—511—00480—4

# შესავალი

ანტიკური ხანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლა თავიდანვე აღმოჩნდა ჩვენი ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში, რადგან მჭიდროდ უკავშირდებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა-განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს (1). შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრება" მიჯნავდა საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე და ამ დიდი ისტორიული მოვლენის შემდეგ წარმოშობილ ქალაქებს, რომლებიც ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ (2). ელინისტური ხანის საქართველოში (იბერია-კოლხეთის სამეფოებში) საქალაქო ცხოვრების მანამდე არნახულ აღმავლობა-დაწინაურებას ნათლად ადასტურებს ჩვენში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიც, რომელთა მნიშვნელობა განუზომლად დიდია. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: „საქართველოში არც ერთი ქალაქი არ არის შემორჩენილი ნანგრევების სახითაც კი, რომ ძველი ქალაქის გეგმისა და მთავარ ნაგებობათა აღდგენა იყოს შესაძლებელი". დიდმა მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ ნაქალაქარების არქეოლოგიური შესწავლის გარეშე საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაშუქება შეუძლებელი იქნებოდა. ამ მიმართულებით მან მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა და მომდევნო თაობას თითქოს ანდერძად დაუტოვა ურბანისტული ცივილიზაციის კვლევის საპატიო ამოცანა.

ანტიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქებს, რომლებიც თავიანთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საკმაოდ ადრე ჩაებნენ საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ხელოსნობის მთელი რიგი დარგებისა და, რაც მთავარია, ქვეყნის კულტურის შემდგომ აღმავლობას. აქედან ვრცელდებოდა საქართველოს შიდა რაიონებში იმდროინდელი კულტურული სამყაროს მიღწევებიც, ბერძნულ-რომაული მწიგნობრობა და სხვ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ასეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქალაქო და საეკლესიო ცენტრს გვიანანტიკურ და ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ბერძენ-რომაელი ავტორების „პიტიუს—პიტიუნტი", ქართული წყაროების „ბიჭვინტა", რომლის ნანგრევები გამოვლენილია აფხაზეთში, დღევანდელ გაგრასთან, საქვეყნოდ ცნობილი საერთაშორისო კურორტ ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას (სურ. 1), ბიჭვინთის კონცხზე.

ქართველოლოგიის განვითარების საწყის ეტაპზე ზღვისპირა ქალაქები (ევროპული და რუსული ტრადიციიდან გამომდინარე), მათ შორის „პიტიუს—ბიჭვინტა", ბერძნულ ქალაქად იყო მიჩნეული და მით უმეტეს საქართველო-აფხაზეთის ისტორიასთან კავშირში საერთოდ არ განიხილებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია აკადემიკოს მ. བროსეს პოზიციაც, რომელმაც ბიჭვინთის შემოგარენის აღწერისას აღნიშნა: მისი „მოხილვა გვარწმუნებს, რომ ძველად აქ მნიშვნელოვანი დასახლება არსებობდა, მაგრამ რადგანაც ეს არის უფრო ბერძნული სიძველეები

მათ დიდი ყურადღება არ მივაქციეთო" (3). მართალია, „პიტიუს—ბიჭვინტა" ახ. წ. I—VI საუკუნეებში ჯერ რომისა და შემდეგ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მათი უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ეგრისის (ლაზეთის), აბაზგ-აფსილებისა თუ სანიგების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან. შემთხვევით როდი გახდა ბიჭვინთა შემდგომში არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, საიდანაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა




სურ. I. ბიჭვინთის კონცხი და რომაული ციხესიმაგრეები. 1—2.

ჩრდილო კავკასიაში. აღნიშნული ეპოქა, კერძოდ, გვიანანტიკური ხანა, ახ. წ. I—IV საუკუნეები, დასავლეთ საქართველოში რთული ეთნოკულტურული, პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით და, რაც მთავარია, რომის იმპერიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ტომების, სკვითურ-სარმატული მოდგმის ხალხის ექსპანსიით აღინიშნა (4). ბოსფორის სამეფოს აზიური ნაწილის სამხრეთ საზღვრებთან ახლომყოფი პიტიუნტი (II—VI სს.) იცავდა იმპერიის მისადგომებს. ამ სექტორში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჰენიოხები, შესაძლოა აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის მეკობრე ტომები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ რომაელ მეციხოვნეებსა და ზღვაოსნებს. ძველი ავტორები აღნიშნავენ რომაული ადმინისტრაციის უმწეობას მათთან ბრძოლაში, რამაც ცენტრალურ ხელისუფალთაგან საგანგებო ღონისძიებათა გატარება, ახალი ციხესიმაგრეების მშენებლობა მოითხოვა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ობიექტურად, ამ გარნიზონებს არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ადგილობრივი, გარემომცველი მოსახლეობაც უნდა დაეცვა (5). პიტიუნტის შემთხვევაში, რომელიც რომაელებმა ააგეს სანიგებისაგან[1] მიტაცებულ მიწა-წყალზე (PC., BG., VIII, 4) სიტუაცია საკმაოდ რთული ჩანს. რომაელებმა ბიჭვინთის ნახევარკუნძულის მთლია-

[1] სანიგების ეთნიკური ატრიბუცია დღეისათვის სადავოა. მკვლევართა ნაწილი (ნ. მარი. ი. ორბელი, დ. გულია, ს. ჯანაშია და სხვ.) მათ ქართველურ სამყაროს, სვანებს ან ზანებს უკავშირებდნენ, სხვები აფხაზურ ტომ საძებთან აიგივებენ (შ. ინალ-იფა, ი. ვორონოვი და სხვ.). კლავდიოს პტოლემეოსი, რომელმაც „გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე" მუშაობა დაამთავრა ახ. წ. 141 წ. მართალია არ იხსენიებს ქალაქ პიტიუნტს, მაგრამ მის ადგილას, ჰენიოხების მეზობლად მიგვანიშნებს „სვან-კოლხების" განსახლებაზე (P Iol; V, VIII 25). იხ. თ. მიბჩუახი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორია, თბ., 1989.

ნი ბლოკირება მოახდინეს და სანიგ-აბაზგებს გადაუკეტეს ზღვისკენ გასასვლელი. თუ პროკოფი კესარიელს ვერწმუნებით, რომელსაც ეს ცნობები აქ „ბერძნულად მოლაპარაკე ხალხისგან" მიუღია, აბაზგიაში რომაელი ჯარისკაცები „ბევრ ადგილას განსახლებულან ადგილობრივ მკვიდრთა შორის" (PC., BC., VIII, 4): გამონაკლისი VI საუკუნისათვის, თუ უფრო ადრე არა, პიტიუნტიც არ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ძნელია ჩავთვალოთ პიტიუნტი „ნაწილობრივ საიმპერიო და ნაწილობრივ აბაზგურ ქალაქად" (6), რომაელები აქ ბერძნების მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს და შესაბამისი წესით ცხოვრობდნენ. სტრაბონთან დაცული ცნობის თანახმად პიტიუნტი, 360 სტადიონით დაშორებული დიოსკურიას, კოლხეთის განაპირა „ადგილია", მისი „ავანპოსტი" (τό χωρίον)[2] ეს მანძილი (360 სტ. X 185 მ) = 66,6 კმ. ემთხვევა მანძილს თანამედროვე ბიჭვინთასა და სოხუმს შორის. კოლხეთის სამეფო ამ დროისათვის დაშლილია რომზე დამოკიდებულ პატარ-პატარა სამეფო-სამთავროებად, ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების შეჯერებისას მეტ-ნაკლები სიზუსტით შესაძლებელია ზღვისპირეთში მოსახლე ცალკეულ ქართველურ თუ აფხაზურ ტომთა განსახლებისა და პოლიტიკური საზღვრების (ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები, სვანები) დადგენა (სურ. 2), მაგრამ ბევრად რთულია ლოკალური, არქეოლოგიური კულტურების გამოყოფა, რადგან აქ გამოვლენილ ნივთიერი კულტურის ძეგლებს, მათ ძირითად ელემენტებს (კერამიკა, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული და სხვ.) გენეტიკური სიახლოვე ახასიათებს; ამ კულტურის ერთიანობა ძველ კოლხურ საწყისებზე ჩანს დაფუძნებული და აქ მოსახლე ქართველურ და აფხაზურ ტომთა ძირძველობისა და ნათესაობის მაჩვენებელია(6).

არც ის გარემოებაა შემთხვევითი, რომ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ მემკვიდრეებად ლაზები გვევლინებიან. ვფიქრობთ, ეგრისის სამეფოს გარკვეული ინტერესები გააჩნდა ზღვისპირა ქალაქების, მათ შორის პიტიუნტის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი ისტორიული კოლხეთის ფარგლებშია და მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

იოანე ლიდუსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოფი კესარიელი და სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები არა მარტო აღწერენ დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და გეოგრაფიულ გარემოს, არამედ ხაზგასმით აღნიშნავენ ბერძნული მწიგნობრობის გავრცელების ფაქტს, ქვეყნის სრულყოფილ, პოლიტიკურ ორგანიზაციას, სახელმწიფო მართვის მაღალ, სრულყოფილ სისტემას, რაც მათი აზრით, რომაელებთან მჭიდრო, ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგია.

აგათია სქოლასტიკოსი აღნიშავდა: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან. მე არ მეგულება არც ერთი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითაც და სიმტკიცით... რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ" (7). მართალია, აქ გადაჭარბებით არის შეფასებული ჩვენი წინაპრების ბერძენ-რომაელებთან ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის შედეგები, მაგრამ ქვეყნის, ძველი კოლხეთის (8) მემკვიდრის, საერთო-კულტურული განვითარების, ეკონომიკური აღმავლობის სურათი სწო-

---

[1] A Lexicon Abridged from Liddel and Scott's Greek-English Lexicon, Oxford, 1953, pp.. 793, 794. A Greek-English Lexicon. by H. G. Liddell, D R. Scott, Oxford, 1961, p. 2016.

რად არის შენიშნული. ასეთივე დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ IV საუკუნის ფილოსოფოსის თემისტიოსის იმ ცნობიდანაც, რომლის თანახმად, ფასისის მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, სადაც უმაღლესი განათლება მიუღია მამამისს, ფილოსოფოსს ევგენიოსს (III ს. ბოლო ავტ.), აქ „არა წუნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა“, ასწავლიდნენ არა ისართ ტყორცნას და




სურ. 2. დასავლეთ საქართველო გვიანანტიკურ ხანაში

ოროლთ სროლას ან ჯირითს... არამედ იმას, თუ როგორ უნდა გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე“ (9). ფასისი, მარტო რომაულ-ბიზანტიური ციხესიმაგრე რომ არ ყოფილა, კარგად ჩანს თემისტიოსის ზემომოყვანილი ცნობებიდანაც. „ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი“ განათლების წყალობით, რასაც თემისტიოსი ერთი კაცის სათნოებასა და სიბრძნეს მიაწერდა, გადაქცეულია „ელინურად“, ე. ი. არაბარბაროსულად (კულტურული განვითარების თვალსაზრისით) და „მუზების / ტაძრად“. როგორც/ამას აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, ელინური სწავლა-განათლებისათვის ამ დროს დასავლეთ საქართველოში ნაყოფიერი ნიადაგი არსებობდა (10). ასეთივე მნიშვნელოვანი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო ბიჭვინტა—პიტი-

უსი, რომელიც გვიანრომაულ ხანაში ქრისტიანთა გადასახლების ადგილად იქცა და, სადაც ახ. წ. III საუკუნეში უკვე არსებობდა ძლიერი ადრექრისტიანული საქალაქო თემი და შემდეგ—საეპისკოპოსო. საეკლესიო ტრადიციით, დასავლეთ საქართველოში ახ. წ. I საუკუნეში ავრცელებდნენ ქრისტიანობას ანდრია მოციქული, პირველწოდებული და მისი თანამებრძოლი სიმონ კანანელი, რომლებიც, ქართულ-აფხაზური გადმოცემის თანახმად, მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ მდინარე ფსირცხას ნაპირას დაუკრძალავთ. მათი მოღვაწეობის სფერო მარტოოდენ ბერძნულ-რომაული ეთნიკური გარემოთი არ შემოიფარგლებოდა და ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ, ალბათ, საქალაქო ცხოვრებაში ჩართულ ფენებსაც მოიცავდა (11).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, წერილობითი წყაროების თანახმად, ცხოვრობდნენ ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები და სვანები. მათ შორის არსებული ტომობრივი საზღვრები I—VI საუკუნეებში იცვლებოდა. მაგალითად, აფსილებს თუ I—II საუკუნეებში ეჭირათ ტერიტორია ენგურიდან კოდორამდე (პლინიუსი, ნატ. ისტ. IV, 14; ფლავიუს არიანე, პერიპლი, 15) VI საუკუნისთვის ისინი სახლობდნენ დღევანდელ ოჩამჩირესა და ახალ ათონს შორის (პროკოპი კესარიელი, ომი გოთ. VIII, 9,15—17). მათ მიწა-წყალზე ააგეს რომაელებმა სებასტოპოლისი, ბერძნულ კოლონია დიოსკურიასთან (სოხუმი). ახალ ათონსა (ტრაქეა) და მდინარე ფსოუმდე—(აბასკი) აბაზგების განსახლების ადგილია. სანიგები, რომლებიც, როგორც ჩანს, აბაზგებმა შეავიწროეს, თავდაპირველად პიტიუნტის სანახებს ფლობდნენ; მათ, ერთი მხრივ, აბაზგები ესაზღვრებოდნენ, მეორე მხრივ კი, ჰენიოხები. ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლი, სადაც განლაგებული იყო რომაული ციხე-ქალაქები უშუალოდ იმპერიის კონტროლს ემორჩილებოდა. სად მდებარეობდა ამ ტომთა დედაქალაქები ჯერ არ არის გამორკვეული. გამონაკლისს მხოლოდ ლაზიკის მეფეების გვიანდელი რეზიდენცია—არქეოპოლისი, დღევანდელი ნოქალაქევი, წარმოადგენს.

რომაელი გეოგრაფოსის—კასტორიუსის მიერ IV ს. ბოლო მეოთხედში შედგენილ საგზაო რუკაზე (Tabula Peutingeriana მფლობელის. XV საუკუნის გერმანელი ჰუმანისტის, იმპერატორ მაქსიმილიანეს მრჩევლის სახელის მიხედვით), ნოქალაქევი, ისევე როგორც პიტიუნტი საერთოდ არ არის აღნიშნული. ჩანს ამ დროისათვის ეს უკანასკნელი განადგურებულია ჰუნების მიერ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამავალი სავაჭრო გზა სებასტოპოლისში მთავრდება. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა დასახლებული პუნქტებიდან მხოლოდ აფსარსა და სებასტოპოლისს აქვს ქალაქობის მაჩვენებელი ნიშანი—შეწყვილებული სახლები; რატომღაც, ასეთი ქალაქის მაჩვენებელი ნიშანი—„ორი სახლი" თუ „ორი კოშკი" არ აქვს ფასისს, რომელსაც დაკარგული უნდა ჰქონდეს ძველი მნიშვნელობა...

რომაელები, როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნების პოლიტიკურ მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს და მათ ძველ დასახლებებთან, მათ შორის, აფსარუნტში, ფასისში, დიოსკურია—სებასტოპოლისსა და პიტიუნტში თავისი ბატონობის საყრდენ ცენტრებს—ახალ ციხესიმაგრეებს აგებდნენ. ჩრდილოკავკასიელი ტომებისა და იმპერიის საზღვრებზე მომთაბარე ტომების სულ უფრო გააქტიურების გამო რომაელები II—III საუკუნეებში იძულებული ხდებიან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ციხე-ქალაქებს, იმპერიის შორეული მისადგომების, აღმოსავლეთის პროვინციების სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას (12). თუ რომაელებისათვის ისინი, პირველ რიგში, სტრატეგიულ პუნქტებს, ფორპოსტებს წარმოად-

გენდნენ, ობიექტურად ეს სამხედრო ბანაკები, მათ შორის. პიტიუნტიც, ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ტრადიციულ სავაჭრო ცენტრებად რჩებოდა. ეს ზღვისპირა ქალაქები მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფით იყო დაკავშირებული ადგილობრივ, ე. წ. „ბარბაროსულ" სამყაროსთან, ლაზიკის სამეფოსა თუ „აბაზგია-აფშილეთის" სამთავროებთან. პიტიუნტი არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი მოსახლეობის თავდასხმის ობიექტიც, რომაელთა წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს (13).

ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქალაქ „პიტიუნტის", ქართული წერილობითი წყაროების (ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის მემატიანე) „ბიჭვინტის" ისტორია ახ. წ. I—VI საუკუნეებში. ამ პრობლემაზე მუშაობა საგრძნობლად შეგვიმსუბუქდა, რადგან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გვიანანტიკური ხანის ქალაქებიდან არქეოლოგიური თვალსაზრისით შედარებით სრულად სწორედ პიტიუნტია შესწავლილი (14). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა და შემდგომ რჩევა-დარიგებას არ აკლებდა აკად. ა. აფაქიძე.

## შენიშვნები


1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 12, 117. Иоселиани П., Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850. Джавахов И. А., Государственный строй в древней Армении, СПб. 1901. Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 10, 14.

აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 5—6. 160, 161.

Апакидзе А. М., Результаты археологического изучения античных городов Грузии, сб. Античный город. М. 1963, с. 146, сл. 152.

ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

Болтунова А. И., Античные города Грузии и Армении. Сб. Античный город, М. 1963, с. 153.; Инадзе М. П, Причерноморские города древней Колхиды, Тб. 1968, Лордкипанидзе О. Археология в Грузинской ССР, Тб. 1982, с. 24—26.

2. ქართლის ცხოვრება, 1, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 8, 9, 17, 25, 29.

3. M. Brossel, Rapports sur un voyage archéologique dans La Géorgie et dans L'Arménie (1847—1848) St. B., 1851, p. 135.

4. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб. 1959, с. 307, 308, 365, с. 87—88.

5. Анчабадзе З. В., История и культура древней Абхазии, М. 1964, с. 192, 193.

6. შდრ.: Инал-Ипа Ш. Д., Абхазы, Сухуми, 1965, стр. 70, 81, 101. მისივე, Вопросы этнокультурной истории абхазов, Сухуми, 1976, с. 240.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 104. Воронов Ю. Н., Материальная культура Абхазии 1 тысячелетия н. э., КСИА, 1979, с. 44—52, Рис. 1., ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 305, 311, 312.

ე. ლატიშევის მიერ შედგენილ რომაული ხანის კავკასიის რუკაზე სებასტოპოლისიდან ბოსფორის სამეფო ქალაქ სიტიკამ-

და შემდეგი ტომებია ნაჩვენები. ბიჭვინთის კონცხის თავზე მთებში სანიგებია, მათ ზევით სვანები, დასავლეთიდან პიტიუნტს ესაზღვრებიან ჰენიოხები, შემდეგ აქეელების მიწა-წყალია, რომელთაც ჩრდილოეთიდან (მთებში) ჯიქები მეზობლობენ. მთელ ამ მონაკვეთში, ზღვისპირეთში, ჰენიოხებისა და აქაელების საზღვარზე, ორი დასახლებული პუნქტია ნაჩვენები: ლაზიკა და აქაია. Pontus Euxinus et Caucasus aetate Romana, Comp. B. L. Латышев В. В. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, II, вып. I-й. СПб., 1904.

6 ზღვისპირეთის მოსახლეობასთან დაკავშირებით საინტერესო მინიშნებებია აფხაზურ ეპოსში, კერძოდ, „აფსხას" (მფლობელი) ციკლში. გადმოცემის თანახმად „აფსხა" ბერძენია, რომელიც თავის შვიდ კომლთან ერთად დასახლებულა უკაცრიელ ალაგს, დღევანდელ სოფელ ალახაძის მახლობლად, ბიჭვინთის კონცხთან. „ზღვაში ფონის მძებნელი" აფხაზები მერე დასახლებულან. აქ, „აფსხას" მიერ მათთვის გამოყოფილ მიწაზე შემდგომში, მთებიდან ჩამოსახლებულ აჩბებს, პირველ აფხაზებს აუძულებიათ „აფსხა" დაეტოვებინა აღნიშნული ტერიტორია და უკან წასულიყო საბერძნეთში (დაწვრილებით იხ. Салакаиа Ш. А., Абхазский народный героический эпос. Тб., 1966, с. 126—131). როგორც ვარაუდობენ აქ აირეკლა ბერძნული კოლონიზაციის გარკვეული ეტაპი.

7. გეორგიკა III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936, გვ. 27. 50.

8. გასული საუკუნის ცნობილი კავკასიოლოგი ბარონი პ. კ. უსლარი საგანგებოდ აღნიშნავდა: „კოლხები ძველი დროის ყველაზე უფრო გამოუცნობ და ყველაზე უფრო საინტერესო ხალხს წარმოადგენენ" (იხ. მისი წერილი О колхах, Записки КОРГО, XIV, вып. II. Казань, 1891, с. 301). სავსებით გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც კოლხეთის მიმართ იჩენდა სახელგანთქმული ჰ. შლიმანი, ალღოიანი, ანგარიშიანი ვაჭარი და ფანატიკოსი თვითნასწავლი არქეოლოგი, რომლისთვისაც დამატებითი ცნობები ოქროთი მდიდარ კოლხეთზე მოსკოველ გეოლოგ შუროვსკის მიუწოდებია (იხ. И(ероним) Н(икон), Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь. Новое значительно измененное и дополненное издание. М., 1899 с. 12). როგორც იმდროინდელი გაზეთებიდან ირკვევა, შლიმანისათვის „რაღაც უცნაურ მიზეზებს შეუშლია ხელი". „ოქროს კოლხეთის" შესახებ 1898 წელს ვლ. ივ. ჩერნიავსკის წერილი დაუბეჭდავს გაზეთ „Черноморский вестник"-ის მე-11 ნომერში, რომელშიც აღნიშნავს: „რა დასანანია, რომ ჩვენი სწავლულნი არ იხედებიან კოლხურ სიძველეებში და არ ხდიან ფარდას დიდებულ სამეცნიერო განძეულს, რომელიც გამოუკვლეველი ძევს სოხუმის, ნაქალაქევის, ბიჭვინთის, ოლაგუანას (გიენოსი...) ფასისის/ფოთის სანაპიროდან 42 ვერსის დაშორებით (მიწის ქვეშ). ასევე დაუმსახურებლადაა მივიწყებული კ. მაჭავარიანის, ქართველი მოღვაწის, მიერ აღნიშნულ გაზეთში, 1899 წელს დაბეჭდილი წერილების მთელი სერია — „აფხაზეთის ნარკვევები", სადაც კოლხეთის ანტიკური ხანის ქალაქების ისტორიის ცალკეული საკითხებიც არის განხილული. ამ სერიალში აღწერილია სოხუმელი მოქალაქეების ბერძენი ს. ი. მეტაქსასა და იუგოსლაველი მ. რ. ჟივკოვიჩის კუთვნილი ანტიკური მონეტების მდიდარი კოლექცია (№ 212, 215). მანვე ბათუმში, 1901 წელს გამოსცა წიგნაკი „ფასკუნჯისა და მომხიბლელი, მზეთუნახავი კოლხი ქალების ქვეყანაში (რუსულ ენაზე), ხოლო 1913 წელს ცნობილი ნაშრომი — „Описательный путеводитель по городу Сухуми и Сухумскому округу, Сухуми, 1913. არანაკლებ საყურადღებოა ვ. ბოჩკარიოვის ბროშურა „კოლხეთი. გეოგრაფიული ნარკვევი" (რუს. ენ.). ქუთაისი, 1890 და ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის პროფ. ა. ნ. კრასნოვის დიდი სტატია პეტროგრადის ჟურნალში „Знание для всех" (1915, № 8) სათაურით: „Южная Колхида".

ვ. ბოჩკარიოვი წერს ძველი ქალაქების, მათ შორის, ლეეკოთეას შესახებ. მას ყურადღების გარეშე არც „ძველი დროის მნიშვნელოვანი ქალაქი", პიტიუნტი დაუტოვებია, რომელსაც ისიც მილეტელების მიერ დაარსებულ ახალშენად თვლიდა. ვფიქრობთ, უსამართლოდ არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში მივიწყებული 1907 წელს ქუთაისში დაბეჭდილი მ. საღირაძის წიგნი: „Культурно-исторический очерк Западной Грузии (Имерети)". ის, განიხილავს რა ძველი აეტო-

რების ცნობებს კოლხეთის შესახებ, ვარაუდობს, რომ ქვეყანაზე გადიოდა ორი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომლის მეშვეობითაც ბერძნები ვაჭრობდნენ საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან. აქედან ერთი კოდორის ხეობაზე იდო და მთის გადასასვლელებით თებერდას უკავშირდებოდა. მ. სალარაძის სიტყვებით, ეს გზა ახლაც მოფენილია ბერძნული ნაგებობების ნანგრევებით (გვ. 13). ავტორი ამ შედარებით „მცირე ქვეყანა"—კოლხეთში ანტიკური ხანის 16 ქალაქს ითვლის, რასაც ცივილიზაციის მაღალი დონის მაჩვენებლად მიიჩნევს. მისი აზრით, ბერძნებს თავიანთი კოლონიები შიდა კოლხეთშიც ჰქონიათ; ხოლო რომაელების მიზანი იყო კოლხების მეშვეობით გაემაგრებინათ იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრები, დაეცვათ ისინი სკვითების შემოტევისაგან (გვ. 28). დასასრულ, აუცილებელია აღვნიშნოთ ე. მელემკოს წერილი „ძველი კოლხიდა", რომელიც დაიბეჭდა 1856 წელს გაზეთ „კავკაზის" მე-19 და მე-20 ნომრებში. მისი ლოკალიზაციით რომაული ხანის პეტრა გურიაში მდინარეებს, სკუდრებსა და ნატანებს შორის მდებარეობდა, სადაც ნაქალაქარის ნაშთები, ნანგრევები შეიმჩნეოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ურიის ქალაქს" უწოდებდა.

9. გეორგიკა I, თბ., 1961, გვ. 50, 51: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 104—105.

10. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 314.

11. М у р а в ь е в А., Грузия и Армения, III СПб., 1848, с. 197, 298., Л а т ы ш е в В. К истории христианства на Кавказе, сб. археологических статей, посвященных Бобрынскому А. А., Тб. 1911, с. 170—178.

А д ж и н д ж а л К. Е., К вопросу о проникновении христианства в Абхазию, Труды АГУ, V, Сухуми, 1980, с. 152.

Г у л и а Д. И., История Абхазии, собрание сочинений, V, Сухуми, 1986, с. 145.

12. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., დასახ. ნაშრომი, გვ. 214; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, с. 369—391; Л о м о у р и Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981, с. 208—209.

13. Очерки истории Абхазской АССР, 1, Сухуми, 1960, с. 34.

14. აფ ა ქ ი ძ ე ა., „დიდი პიტიუნტი", არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, 1, თბ., 1975 (გამოცემულია ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებისა და გამოკვლევების სამი მოზრდილი ტომი).

# „პიტიუს — პიტიუნტის“ შესწავლის ისტორიიდან

## § 1. პიტიუნტი ბერძნულ-რომაულ წყაროებში

ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში, ბერძენ-რომაელ ავტორთა შრომებში „პიტიუს—პიტიუნტი“ მხოლოდ ძვ. წ. II ს. იხსენიება. ეს ცნობები არაერთხელ გამხდარა სპეციალისტების ყურადღების ობიექტი (1) და, ამის გამო, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ანალიზზე შევჩერდებით. სტრაბონი აღწერდა რა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს გარკვეულ საზომ ერთეულებში, კერძოდ, სტადიონებში (2), განსაზღვრავს აქ მოსახლე, კავკასიური მოდგმის ტომების: კერკეტების, აქეელების, ჰენიოხების ტერიტორიის) მიწა-წყლის სიგრძეს. ამ კონტექსტში, არტემიდორე ეფესელზე (ძვ. წ. II—I სს.) მითითებით ის ორჯერ ახსენებს პიტიუნტს (Strabo, XI, II, 14), როგორც გარკვეულ გეოგრაფიულ ორიენტირს: „არტემიდორე ამბობს, რომ ბატადან (3) კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავსაყუდლები და სოფლები, დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა (სანაპირო) 500 (სტადიონი). მერე ჰენიოხთა (სანაპირო)—1.000 (სტადიონი), ხოლო დიდი პიტიუნტისა—დიოსკურიამდე 360“. თ. ყაუხჩიშვილის კომენტარით აქ საუბარია „დიდი პიტიუნტის“ სანაპიროზე, რომელიც „ჰენიოხებიდან ვრცელდება დიოსკურიამდე და ის 360 სტადიონია“. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ბერძნული კონტექსტი და ეს ნიუანსი, როგორც დავრწმუნდებით, მხედველობიდან არ გამორჩენია სტრაბონის რუსულად ახალ მთარგმნელსაც, გ. ა. სტრატანოვსკის, რომლის თანახმადაც ეს ადგილი ასეთნაირად იკითხება: „После Бат Артемидор называет побережье керкетов (где есть корабельные стоянки и селения) длиной почти 850 стадий; затем побережье ахейцев 500 стадий; потом берегениохов 1000 стадий, далее Большой Питиунт—длиной 360 стадий, вплоть до Диоскуриады“. (4).

ამგვარად, თითქოს ნათელია, სტრაბონი, არტემიდორე ეფესელზე დაყრდნობით, განსაზღვრავს იმ სანაპიროს საზღვარს, რომელიც „დიდი პიტიუნტის“ საქალაქო თემის კუთვნილებას წარმოადგენდა. მაშინ ეს არის მანძილი არა მარტო ამ ქალაქებს შორის, არამედ პიტიუნტიდან დიოსკურიის ხორამდე, მის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიამდე, რომელიც სავარაუდოა, თანამედროვე ეშერასა თუ ახალი ათონის სანახებზე მოდიოდა (5). ქალაქმა „დიდის“ ეპითეტი, ალბათ სწორედ ამის გამო დაიმსახურა, რაც მისი სიმდიდრის, ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს წარმოადგენდა.

სტრაბონმა თავისი „გეოგრაფია“ დაასრულა ძვ. წ. მე-7 წელს, მან აღნიშნა ჰენიოხების განსაკუთრებული აქტივობა და, რაც მთავარია, დაგვიხატა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მძიმე მდგომარეობა ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე. „რომაელების (გამგებლობაში) მყოფი (ნაწილი) უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო“ (Strabo, XI, II, 12)—წერდა იგი. ცხადია, საქმე მხოლოდ ცალკეულ რომაელ მოხელეთა პირად უპასუხისმგებლო-

ბაში როდია. როგორც ჩანს, ამ დროისათვის რომაელებს ჯერ კიდევ არ ჰქონიათ შექმნილი მეტ-ნაკლებად ეფექტური სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხეთის სანაპირო ზოლის დაცვისა. რაც შემდგომი ისტორიული მოვლენებითაც დასტურდება; კერძოდ, ახ. წ. 1 საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ იმავე „ჰენიოხებს“ აუღიათ და გაუძარცვავთ „უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი“, რასაც გვამცნობს პლინიუს სეკუნდუსი (Pl. NH. VI, 16), რომელსაც თავის ცნობილ ენციკლოპედიურ ნაშრომზე „ბუნების ისტორია“ მუშაობა დაუმთავრებია ახ. წ. 70 წლისათვის. როგორც კომენტატორები ვარაუდობენ, პიტიუნტი დანგრეულა ახ. წ. I საუკუნის (6) პირველ ნახევარში და თითქმის III საუკუნის დასაწყისამდე არ აღორძინებულა. პლინიუსი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, სადაც პიტიუნტი მდებარეობდა (Pl. NH. VI. 30), მსოფლიოს საუკეთესო მხარედ თვლიდა (Ita se habet terrarum sinus e clarissimis).

მისი აღწერის თანახმად (7) ეგრისის (Cegritice) შემდეგ მოსახლეობდა. „აფსილთა ტომი. ფასისიდან „c—100000“ ნაბიჯით სებასტოპოლისის ციხესიმაგრეა (castllum Sebastopolis), სანიგების ტომი. ქალაქი კიგნუსი (oppidum Cygnus), მდინარე და ქალაქი პენიუსი (flumen et oppidum Penius), ჰენიოხთა სხვადასხვა სახელით ცნობილი მრავალრიცხოვანი ტომები“ (Plin. NH, VI, 14).

აქედან „კიგნიუს-გიგნუსის“ ლოკალიზაცია დღევანდელ ოჩამჩირეს სანახებში თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (8), მაგრამ რთულია მდინარე პენიუსისა და ამავე სახელწოდების ქალაქის ადგილმდებარეობის დადგენა, რომელიც ისევე, როგორც „პიტიუნტი“ ჰენიოხების მიწა-წყალს ესაზღვრება. პლინიუსი მიგვანიშნებს კიდევ ერთ საყურადღებო ორიენტირს: „დიოსკურიის შემდეგ ქალაქი ჰერაკლეუმი (oppidum Heracleum) სებასტოპოლისიდან დაშორებულია 70000 ნაბიჯით, ანუ უფრო ნაკლები მანძილით, ვიდრე ფასისი. ამ ტრაქტს, ჰერაკლეასა და სებასტოპოლისს შორის ასახელებს ის უმდიდრეს ქალაქ პიტიუსს, რომელიც ჰენიოხების მიერ არის გაძარცვული“ (Pityus oppidum opulentissimum ab Heniochis direptum est (Plin. NH, VI, 15). შესაძლოა, პლინიუსი აქ იყენებს სხვადასხვა წყაროს, სადაც პიტიუნტი ორი სხვადასხვა ვარიანტით იხსენიება: „პენიუსად“ და „პიტიუსად“. მდინარე პენიუსი (Penius), გარდა პლინიუსისა, უფრო ადრე გვხვდება ოვიდიუს ნაზონთან (ძვ. წ. 43,. ახ. წ. 18 წწ.). თანამედროვე კომენტატორების აზრით, „ეს მცირე მდინარეა კოლხეთში, რომელიც შავ ზღვას ერთვოდა სანიგებსა და ჰენიოხებს შორის (9). ამ შემთხვევაში „მცირე მდინარეს“, ცხადია, ვერ გავაიგივებდით ბზიფთან, მაგრამ ძველი ავტორები არაფერს ამბობენ მის სიდიდე-სიმცირის შესახებ.

პლინიუსისა და არიანესაგან განსხვავებით, კლავდიუს პტოლემეოსი, მარკუს ავრელიუსის (165—180 წწ.) თანამედროვე, თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ საერთოდ არ იხსენიებს პიტიუნტს მის მიერ ჩამოთვლილ კოლხეთის ათ ქალაქს შორის. ის არ იცნობს არც ამ სახელის მქონე მდინარეს. ამ დროისათვის პიტიუნტი, ალბათ კვლავ პატარა ნავსადგომს, უმნიშვნელო სასოფლო დასახლებას წარმოადგენდა. პტოლემეოსი ზუსტად განსაზღვრავს კოლხეთის ისტორიულ თუ პოლიტიკურ საზღვრებს: სამხრეთით—„დიდი სომხეთი“ და „კაპადოკიის პონტო“, აღმოსავლეთით იბერია, ჩრდილოეთით—მდინარე კორაქსი (Ptol., Georg. V, 8 § 7, 8; V, 9 § 1,3). კორაქსი, როგორც ამას დღეს სპეციალისტთა უმრავლესობა სამართლიანად ვარაუდობს, მდინარე ბზიფია და არა კოდორი. პტოლემეოსი კოლხეთის ჩრდილო საზღვართან ახლოს, მდინარე კორაქსის შესართავამდე, აზიის სარმატების ტერიტორიაზე, ასახელებს ერთ საინტერესო პუნქტს

Καρτερὸν τεῖχος „მძლავრ კედელს“ თუ „ძლიერ სიმაგრეს“. ბ. კუფტინმა ის პიტიუნტად მიიჩნია 10), რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უკანასკნელისათვის პტოლემეოსის რუკაზე თითქოს ადგილი აღარ რჩებოდა. შემდგომში ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა ნ. ი. ლომოურმა, რომლის ვარაუდითაც II საუკუნის პიტიუნტი ბოსფორის შემადგენლობაში შედიოდა (11), რაც შემდგომი კვლევა-ძიებით არ დადასტურა (11).

როგორც აღვნიშნეთ, „კარტერიონ ტეიხოსა“ და კორაქსს (ბზიფი) შორის მანძილი დიდი არ უნდა ყოფილიყო, თვით პტოლემეოსის მიერ მინიშნებული კოორდინატთა სისტემის მიხედვითაც (შესაბამისად 70°, 30—47 და 70°—44° 50'). კორაქსზე გადიოდა კოლხეთის პოლიტიკური და, როგორც მდინარის სახელწოდებიდან ჩანს, ეთნიკური, ტომობრივი საზღვარი. პტოლემეოსთან არ ჩანს, თუ ვისი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა ეს „მძლავრი კედელი“, რომლის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე თავად მისი სახელწოდება მეტყველებს. მას ჰეკატე მილეტელის „კედელთან“ ვერ დავაკავშირებთ (12), რადგან იმ დროისათვის პიტიუსის ციხესიმაგრე რომაელთა მიერ არ იყო აგებული.

სტრაბონის დროს ქალაქ პიტიუნტიდან (ბიჭვინთა) ქალაქ ბატამდე (ნოვოროსიისკი), რომელიც ბოსფორის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა მხარეა, არ ჩანს რაიმე მნიშვნელოვანი საქალაქო დასახლების კვალი, მართალია, პლინიუსი ამ სექტორში იხსენიებს ქალაქ ჰერაკლეას, მაგრამ ის თუ მართლაც ჰენიოხთა სანაპიროზე იყო, მათი თავდასხმებისათვის მას უფრო ვერ უნდა გაეძლო... ზოგიერთი ავტორის ვარაუდით, რომაელები ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთზეც აწესებენ კონტროლს და სადარაჯო ციხესიმაგრეებსაც აშენებენ. ტრაქეაში (გაგრა), მოხორა მამაი-კალა-სოჭთან) და ჩვენთვის უკვე ცნობილ ბატაში (13). ვფიქრობთ, ამ ჰიპოთეზას აკლია არქეოლოგიური მასალით დასაბუთება. ალბათ,მხედველობაშია მისაღები V საუკუნის „პერიპლუსის“ ანონიმი ავტორის ის ცნობა, სადაც ნათქვამია: კოლხეთის „მეზობელი მხარეები დამოუკიდებელ ბარბაროსებს ეკუთვნისო“. ამ „ავტონომიური“ (αὐτονόμον), დამოუკიდებელი ტომების (Anon. 14) წინააღმდეგ აიგო ქალაქ პიტიუნტის ციხესიმაგრე, რომელიც შემდგომშიც არაერთხელ გამხდარა მათი თუ სხვა მტრების თავდასხმის ობიექტი. აი, როგორ აღწერს „ახალ ისტორიაში“ V საუკუნის დასასრულისა და VI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე: (I, 32) ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომების პიტიუნტზე ერთ-ერთ ასეთ თავდასხმას: „როდესაც სკვითებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები გაიქცნენ შიდა ხმელეთში და გამაგრებულ ადგილებში, ხოლო ბარბაროსები, პირველ ყოვლისა, თავს დაესხნენ პიტიუნტს (Πιτυοῦντι), რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით (τείχει τε μεγίστῳ Περιβεβλημένῳ) და, რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ყურე (καὶ λιμένα εὐορμότατον ἔχοντι) პიტიუნტის გარნიზონის ჯარისკაცების(στρατιωτῶν Gen. Pl. στρατιώτης—ჯარისკაციდან) მეთაურმა, (ἡγεμόνος), უფროსმა, სუკესიანემ რომლის თანამდებობა რომაულ „princeps“ უნდა შეესაბამებოდეს, შესძლო მათი თავდასხმის მოგერიება. „სკვითებმა იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმა არ გაიგონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინთის ჯარებს“ მიატოვეს ქალაქი და დამარცხებულები გემებით სამშობლოსაკენ გაიქცნენ (14). „ისე, რომ—პიტიუნტთან ბევრი მეომარი დაკარგეს“.

აქ „სხვა სიმაგრეებში“ (ἄλλοις φρουρίοις) ბუნებრივია, შედარებით ახლოს

განლაგებული ფასისისა და სებასტოპოლისის გარნიზონები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაც უნდა ჰყოლოდათ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ, გემები*, რის მეშვეობითაც შესძლებდნენ ისინი მაშველი ძალების, დესანტის გადმოსხმას, ბიჭვინთის დამცველი ჯარისკაცების (στρατιώταις) დასახმარებლად. მართალია, ეს ბრძოლა პიტიუნტთან (Πιτοῦντα πολέμῳ) პირველ ეტაპზე რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ სუკესიანეს დაწინაურებისა და იმპერატორის კარზე მისი წაყვანის შემდეგ „სკვითები“ კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს ამ ციხესიმაგრეს (φρούριον) და გაანადგურეს (Zos. I. 32) მისი გარნიზონი (14), რაც არქეოლოგიურადაც კარგად დასტურდება.

ამიანე მარცელინე ახ. წ. IV საუკუნის ავტორი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერისას ასახელებს კუნძულებზე (insulaegue) განლაგებულ „არცთუ უსახელო ქალაქებს—ტრაპეზუნტსა და პიტიუნტს, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, აქ ტექსტია დამახინჯებული და „პიტიუნტის“ წაკითხვა გამომცემლის კონიუნქტურაა (15). აქვე შეუძლებელია ყურადღება არ მიექცეს ამიანე მარცელინეს მიერ სებასტოპოლისის ნაცვლად „ძალზე ცნობილ“ დიოსკურიის მოხსენიების ფაქტს, რაც მოწმობს ამ ავტორის განკარგულებაში არსებულ რაღაც ძველ წყაროებზე.

ბიზანტიელმა ავტორებმაც, მათ შორის თეოდორიტე კვირელმა, კარგად იცოდნენ, რომ სებასტოპოლისის ნაცვლად უკვე პიტიუნტი გამხდარა „უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“. პროკოპი კესარიელის ცნობების თანახმად, კოლხეთის სანაპიროს ციხესიმაგრეებში, რომლებიც რომაელებს „ძველთაგანვე ტრაიანეს ეპოქიდან ჰქონიათ დაპყრობილი, იმთავითვე მცველი რაზმები ჩაუყენებიათ, მათ შორის ლაზეთის შემადგენლობაში მოიხსენიება პიტიუნტის (Πιτιοῦντος φρούριόν) სიმაგრე (PC BP, II 29). იუსტინიანეს საკანონმდებლო აქტების კრებულშიც, კერძოდ, 535 წელს დაწერილ დოკუმენტში „პოლემონის პონტოს“ ქალაქებს შორის არ მოიხსენიება პიტიუნტი, რომელიც, ალბათ, უფრო ციხესიმაგრე იყო, ვიდრე ქალაქი.

პროკოპი კესარიელის ცნობით, სპარსეთ-ბიზანტიის ომების დროს: რომაელებმა პიტიუნტში „გადაწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები... ჩასხდნენ ხომალდებში... და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში“ (PC, BG, VIII, 4). პროკოპი კესარიელი თავის ისტორიაში კიდევ ერთხელ აღნიშნავს ამ ფაქტს—პიტიუნტის ციხე „დაანგრიეს რომაელებმაო“ (καθεῖλον Ῥωμαίων). ეს მოხდა 542 წელს.

ასეთია მოკლედ პიტიუნტის ისტორია ძველ ავტორთა ცნობების მიხედვით, ძვ. წ. II საუკუნიდან—ახ. წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე. აჯამებდა რა ძველ ავტორთა ცნობებს ბიჭვინთის შესახებ, აკად. ს. ყაუხჩიშვილი ამბობდა: „ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობის მქონე ყოფილა ქალაქი ბიჭვინთა, როგორც პოლიტიკური, სტრატეგიული და კულტურული ცენტრი. მის ამ მნიშვნელობას კიდევ უფრო ნათელყოფს შემდეგი ფაქტი: IV საუკუნეში, კერძოდ, 325 წელს, ქალაქ ნიკეაში (მცირე აზია) მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. ამ კრებას დაესწრნენ დელეგატები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, სადაც კი ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ამ კრების მონაწილეთა სია ჩვენამდე მოღწეულია, სულ დასწრებია 312 სასულიერო პირი და ამათ რიცხვში მოხსენიებულია „სტრატოფილე, ეპისკოპოსი ბიჭვინთისა“ (16).

რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის IV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ საგზაო რუკაზე (ე. წ. Tabula Peuntingerina, მფლობელის სახელის მიხედ-

* H. D. L. Viereck-ის (Die zömische Floten Hezford, 1975, 256) აზრით ფასისსა და სებასტოპოლისში იდგა რომის შავი ზღვის ფლოტის ცალკეული შენაერთები.

ვით) პიტიუნტი აღარ არის აღნიშნული. ტრაპეზუნტთან დამაკავშირებელი სახმელეთო და საკაბოტაჟო საზღვაო გზა სებასტოპოლისში (სოხუმი) მთავრდება. ჩანს, რომ ჰუნების გამანადგურებელი თავდასხმის შემდეგ პიტიუნტი და მისი მეშვეობით ბოსფორის სამეფოსთან დამაკავშირებელი კომუნიკაციები პარალიზებულია. პეუტინგერისეულ რუკაზე (სურ. 11) სებასტოპოლისი და აფსარი სპეციალური ნიშნებით (შეწყვილებული კოშკები) არის დატანილი, რაც მათი სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია. მათ შორის მდებარე, ზღვისპირა სანავსადგურო პუნქტებს კი როგორიცაა—პორტუ ალტუ (ბათუმთან), ფასისი (ფოთი), ხარიენტე, ხობუსი (ენგურთან), სიკანაბისი, ასეთი ნიშანი არ აქვთ (17).

## § 2. პიტიუნტის დაარსების საკითხისათვის

\ არსებული საისტორიო ტრადიცია, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა, „პიტიუს—პიტიუნტის“ დაარსებას იონური კოლონიზაციის ეპოქას ან იმ „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ (ძვ. წ. VIII—VI სს.) დასკვნით ეტაპს უკავშირდება. რადგან სკილაქს კარიანდელთან პიტიუნტი არ მოიხსენიებოდა. გ. მელიქიშვილმა ამ ქალაქის დაარსების დრო შედარებით გვიანდელ, ძვ. წ. IV საუკუნის მომდევნო ეპოქაში გადაიტანა (18). ა. ი. ბოლტუნოვა ასევე, ეყრდნობოდა რა პიტიუნტის ძველ წყაროებში მოუხსენიებლობის ფაქტს, მას „დიდ ბერძნულ ქალაქ“ ფასისიდან ან დიოსკურიიდან „გამოყვანილ კოლონიად“ თვლიდა, რომელიც თითქოს განსაკუთრებით დაწინაურდა ძვ. წ. IV—III საუკუნეებში (19), თუმცა ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მას არავითარი არგუმენტი არ მოუტანია. ა. აფაქიძემ შეაჯამა რა პიტიუნტის არქეოლოგიური შესწავლის ერთი გარკვეული საწყისი ეტაპი, საჭიროდ ჩათვალა საგანგებოდ აღენიშნა შემდეგი გარემოება: „... ბიჭვინტის გათხრები ჯერ კიდევ არ იძლევიან საკმარის მასალას ფართე საისტორიო განზოგადოებისათვის, მაგრამ უკვე სვამენ საკითხს ბერძნული კოლონიზაციის როლის გადასასინჯად, ძველ პიტიუნტში საქალაქო ცხოვრების წარმოშობის პროცესში“ (20). √

ს. ყაუხჩიშვილის აზრითაც: „ჯერჯერობით არა გვაქვს საფუძველი, რომ პიტიუნტი ბერძნულ ახალშენად ჩავთვალოთ „(21). მიუხედავად ამისა, ტურისტულ გზამკვლევებსა თუ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებში პიტიუსის დაარსებას კვლავ ბერძენი კოლონისტების სახელს უკავშირებენ (22). პალეოგეოგრაფოსების, გეომორფოლოგების ცალკეულ შრომებშიც არის ცდა ახსნან თითქოსდა „ძვ. წ. VIII—VI საუკუნეების წყაროებში პირველად მოხსენიებული პიტიუსის“ შემდგომში გაქრობის მიზეზი. ერთ-ერთ ასეთ ნაშრომში ვკითხულობთ:

„დაწყებული ძვ. წ. V საუკუნეში (კოლონიის დაარსების დრო) მიმდინარეობდა ზღვის დონის საკმაოდ მნიშვნელოვანი აწევა. ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მან თანამედროვე დონეს მიაღწია, ხოლო IV საუკუნის დასაწყისისათვის მას 1 მ-ით გადააჭარბა. ამგვარად, დონეებს შორის განსხვავებამ შეადგინა 6—8 მ, ყველაზე მინიმალური შეფასებით; თუმცა ესეც სავსებით საკმარისია ვრცელი ზღვისპირა ტერიტორიის წყლით დაფარვისათვის“ (23). ნიმფეის ტრანსგრესიის შემდეგ, ვ. მენშიკოვისა და კ. პეშკოვისვე ვარაუდით, შემცირებულა ბიჭვინთის კონცხის ფართობი. ის აღარ იყო ერთიანი, შედგებოდა ხმელეთის ცალკეული დანაწევრებული, ერთმანეთთან ვიწრო ყელით დაკავშირებული უბნებისაგან. შიგნით ვრცელი

ლაგუნა წარმოქმნილა, ხოლო ანიშხწარასა და ინკიტის ადგილზე—ყურე, რომელიც რომაული ხანის პიტიუნტის ნავსადგომს წარმოადგენდა. მათი დასკვნა კატეგორიულია: „ნიმფეის ტრანსგრესიის მაქსიმუმის დროს ნახევარკუნძულის კონტურების ცვლილება ხსნის პიტიუნტის გაქრობის მიზეზს. ის უბრალოდ ზღვამ შთანთქა“. ადგილი, სადაც თავდაპირველად ბერძენ კოლონისტებს რომ უნდა გაეშენებინათ ქალაქი, დაახლოებით 1 კმ-ის მანძილზე, თითქოს დაფარულია ზღვით.

ცნობილი პალეოგეოგრაფების— ი. ბალაბანოვის, ბ. კვირკველიას და ა. ოსტროვსკის მრავალწლიანი კვლევის შედეგების თანახმად, ეკოლოგიური სიტუაცია ადრეანტიკურ ხანაში ბიჭვინთის კონცხზე ასეთნაირად წარმოგვიდგება: ძვ. წ. V საუკუნის ფანაგორიის რეგრესიამ დასწია რა ზღვის დონე, წარმოიშვა პალეონახევარკუნძული, რომელიც თავისი ზომებით და კონტურებით ახლოს უნდა ყოფილიყო თანამედროვე ბიჭვინთის კონცხის მონახაზებთან. მათი სიტყვებით: „В этот период формируется самая древняя генерация кос и валов современной поверхности полуострова... Спад уровня вызвал значительное сокращение размеров лагуны, сброс воды из которой происходил по протоке, прорезавшей палеополуостров в районе современного озера Инкит“ (24).

სპეციალისტების ერთსულოვანი ვარაუდით ბიჭვინთის კონცხი წარმოქმნილია მდინარე ბზიფის ალუვიალური გამონატანებით. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს აკუმულატურ ფორმას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ახლახან გამოცემულ პიტიუნტის ლოკალიზაციისადმი მიძღვნილ პალეოგეოგრაფიულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ადრეანტიკური ხანის პიტიუნტი არსებობდა და იგი საძიებელია კონცხის დასავლეთ ნაწილში, ზღვის ყურეში 3-დან 12 მ სიღრმეზე (25).

ამ დროისათვის ჰოლოცენური დათბობის ოპტიუმი შეცვლილია, ჰავა ზომიერად გრილი და ზომიერად ნესტიანი გამხდარა. გაბატონებული მდგომარეობა კვლავ ფოთლოვან ტყეებსა და თხმელნარს დაუჭერია. ი. ბალაბანოვის, ბ. კვირკველიასა და სხვათა დაკვირვებით, ტრანგრესიის შემდეგმა VI ფაზამ, რომელიც ორ ეტაპად (ქვეფაზებად) იყოფა და რომლის დროსაც ზღვის დონე, თურმე, აღწევდა თანამედროვე ნიშნულებამდე (შესაძლებელია, მეტიც კი იყო). პალეონახევარკუნძულის კონტურები რამდენადმე შემცირდა. ძვ. წ. V საუკუნეზე მოდის ზღვის დონის მაქსიმალური აწევა, რის შედეგადაც ფორმდება მლაშეწყლიანი ლაგუნა, ძალზე ტეხილი სანაპირო ხაზით. ხოლო უკვე ძვ. წ. II საუკუნეში ზღვის დონე თანამედროვესთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ზღვის დონის შემდგომმა რეგრესულმა დაცემამ, რაც ჰავის ცვლილებასთან არის დაკავშირებული, გამოიწვია ძველი ლაგუნის აკვატორიის შემცირება, დაჭაობების პროცესების განვითარება, რაც ტორფნარის შესწავლითაც დადასტურდა (ეს ტორფნარი ახ წ. VI—VII სს. თარიღდება). კონცხის ყველაზე დაბლობ ადგილებში დღემდე შემორჩა პალეო—ტბები: ინკიტი, პიცუნდა, ზმეინოე, ანიშხწარა (სურ. 1). და სხვ. რომელთა ძველი კონტურები ამ სპეციალისტების დაკვირვებით თანამედროვესთან ახლოა (27). თუ ეს ასეა, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ „შიდაყურე“ მართლაც პიტიუსის მისადგომებამდე აღწევდა. სხვათა შორის, ასევე ფიქრობდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი. მისი ვარაუდით, ბიჭვინთის კონცხის დასავლეთ ნაწილში არსებული ჭაობები და ტბები (ინკიტი და ანიშხწარა) ძველი ყურის ნაშთებია, რომლებიც თანდათანობით ამოავსო ბზიფმა (28). აქ ეძებდა ის ქალაქ

პიტიუნტის შიდა ყურესაც, რომლის შესახებ ცნობები ძველმა ავტორებმა შემოგვინახეს. თუ ეს დაკვირვებები ზუსტია, მაშინ გასაგებია, თუ რატომ არ იხსენიება ბიჭვინტა ძვ. წ. IV საუკუნის ისეთ მნიშვნელოვან წყაროში, მეზღვაურ-ვაჭრებისა თუ ვაჭრებისათვის გამიზნულ ნაშრომში, როგორიცაა ფსევდო სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსი". უბრალოდ, „პიტიუსი" ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ან თუ არსებობდა, უმნიშვნელო ხასიათის დასახლებას წარმოადგენდა. იქნებ ამის გამოც, მათ შორის დიუნებზე, ადრეული არქეოლოგიური მასალები არ არის დადასტურებული. 1984 წელს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ო. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ა. ა. ნოვიკოვმა გადმოგვცა ინკიტის ტბასთან აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის მცირე ფრაგმენტი, რომელიც შეიძლება ელინისტური ხანით დავათარიღოთ. სამწუხაროდ, ძიებამ შესაბამისი კულტურული ფენა არ დაადასტურა (შდრ.: „დიდი პიტიუნტი", I, გვ. 59).

ქალაქის ბერძნული "პიტიუს—პიტიუნტი" Πιτυῦς Πιτυοῦντα და ქართული „ბიჭვინტა" სახელწოდება, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია ფიჭვთან (29, ძველქართული „ბიჭვი"), ფიჭვნართან, რითაც დღესაც ესოდენ ცნობილია ეს მხარე. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ტოპონიმი "ფიჭვნარი" დღემდე შემორჩა საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტსაც, ქობულეთის გარეუბანს, სადაც გამოვლენილია ანტიკური ხანის (ძვ. წ. V—II სს.) მნიშვნელოვანი, დიდი საქალაქო ტიპის დიდი დასახლება, რომელიც რატომღაც საერთოდ არ იხსენიება ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში, მათ შორის სტრაბონის „გეოგრაფიაში". სხვა საკითხია ადგილობრივი ტოპონიმი „ბიჭვი-ნტა" დაედო საფუძვლად ქალაქის სახელწოდებას თუ პირიქით, ბერძნულის კალკია და მისი მეშვეობით იქნა ის შემდგომში ასეთნაირად გააზრებული. ი. ოტკუპშჩიკოვი გამორიცხავს პირველის შესაძლებლობას, რადგან, მისი აზრით, ასეთი სახელწოდება ჰქონდა მეტროპოლიას, მილეტს, საიდანაც გამოვიდნენ კოლონისტები, რომლებმაც დააარსეს ძველი პიტიუსი; ამ კოლონისტების მოტანილია ქალაქის ამ სახელწოდების კარიული ფორმაც (30). როგორც აღნიშნული იყო, მილეტელების კოლონიზაციის კვალი ბიჭვინტის კონცხზე ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის, ხოლო „-ნტა" -სუფიქსიანი სახელწოდებები, ასეთი დაბოლოებიანი ტოპონიმები (დასახლებებისა თუ მდინარის სახელწოდებები), სწორედ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშია დადასტურებული ანტიკურ ხანაში (მდ. გუმისტა აქეუნტა, ართემოუნტა, ტრაპეზუნტი, აფსარუნტი, კერასუნტი და მრავალი სხვ.). ამგვარად, უფრო სარწმუნოა ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში, პირიქით, სწორედ ბერძნებმა მოახდინეს ადგილობრივი სახელწოდებების კალკირება, რის მაგალითები საკმაოდ მოგვეპოვება.

## § 3. პიტიუნტის შესწავლის პირველი ეტაპი (1830 — 1939 წწ.)

პიტიუს—პიტიუნტ—ბიჭვინტის ლოკალიზაცია, მისი გაიგივება დღევანდელ ბიჭვინთა—პიცუნდასთან, ასევე შვეიცარიელი მეცნიერის, მოგზაურისა და არქეოლოგის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც თავის დროზე კავკასიის არქეოლოგიური შესწავლის ფუძემდებლადაც კი აღიარეს (31). ნაშრომში „მოგზაურობა კავკასიის გარშემო", იგი წერს ბიჭ-

ვინთის სიძველეებსაც, რომელიც მან 1833 წელს მოინახულა. დიუბუამ აღნიშნა, რომ ბიჭვინთის ტაძრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი ვერსის დაშორებით, შეიმჩნეოდა ოთხკუთხა გალავნით შემოსაზღვრული ძველი ნაქალაქარის ნანგრევები (32). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, მისი ცნობები უკვე ადგილობრივ ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდა და ნაკლებად მისაღებია. მით უმეტეს, თვით ავტორიც არ ირწმუნება დაბეჯითებით იმას, თითქოს ამ ნაქალაქარზე მან პირადად იხილა ქუჩებისა და მოედნების კვალი, ხოლო სახლების კედლებზე XV—XVI სს. თურქული, არაბული, ბერძნული და ლათინური წარწერებიც კი. დიუბუას ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მომდევნო ხანის მკვლევარნი ბიჭვინთის ნაქალაქარის ზოგადი დახასიათებისას ამ ინფორმაციას ხშირად კრიტიკული შენიშვნების გარეშე იყენებდნენ (33).

1837 წელს ბიჭვინთა მოინახულა პროფ. ა. ნორდმანმა (გერმანელ ბოტანიკოს გ. ღელინგერთან ერთად) და ასე აღწერა ძველი ნაქალაქარი: „ბიჭვინტის სიმაგრიდან მეოთხედი ვერსის დაშორებით მ ე ვ ნ ა ხ ე და ა ვ ზ ო მ ე (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.) უძველესი, დიდ მანძილზე გაჭიმული კედლების კვალი, პარალელოგრამის სახით აგებული". აქ სიტყვაც არ არის ნათქვამი ნაქალაქარის ქუჩებზე, მოედნებსა თუ წარწერებზე (34). ამასთანავე, როგორც ეს ა. ნორდმანის სამეცნიერო მოგზაურობის ანგარიშებიდან ირკვევა, მას სპეციალურად შეუსწავლია ბიჭვინთის ტაძრის წყლით მომარაგების ძველი სისტემა, რომლის მეშვეობითაც მთებიდან, 2 ვერსის მანძილიდან, ეკლესიის ეზოში სასმელი წყალი შემოდიოდა, რის შესახებაც ავტორი სპეციალურ წერილს ჰპირდებოდა მკითხველებს. ა. ნორდმანმა ასევე პირველმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ბიჭვინთის ტაძრის დამცველი კედელი აგებული ყოფილა ძველი პიტიუსის ნანგრევებიდან მოტანილი ქვებით (28), რასაც შემდგომი ხანის მკვლევარებიც იმეორებდნენ, მათ შორის დ. ბაქრაძეც (35).

1848 წლის 25 აპრილს ბიჭვინთა მოინახულა აკად. მარი ბროსემ, რომელმაც ყურადღებით დაათვალიერა ნაქალაქარი და ასეთი, მეტად საინტერესო აღწერაც დაგვიტოვა: „ბიჭვინტის შემოგარენის დათვალიერება გვარწმუნებს, რომ აქ არსებულა მნიშვნელოვანი დასახლება. პოსტიდან რამოდენიმე ვერსის დაშორებით მე მიჩვენეს ხელოვნებით ნაგები კოშკის ნანგრევები, რიგში განლაგებული ნანგრევების გროვები ქალაქის ქუჩის მსგავსად; დიდი არხი, ზღვისკენ მიმავალი და ყველაფერი ეს ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით (NO); ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით (NE) ბექობზე მე ვნახე სხვა კოშკის ნანგრევებიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი ადასტურებს მნიშვნელოვანი ქალაქის არსებობას" (36).

ბიჭვინთა მომდევნო წლებშიც ბევრმა ქართველმა, რუსმა თუ უცხოელმა მოგზაურმა მოინახულა, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა ძირითადად ტაძრით, საეკლესიო სიძველეებით იყო დაინტერესებული (37). ყურადღებას კვლავ იპყრობდა ბიჭვინთის წყლით მომარაგების სისტემაც. მაგალითად, 1866 წელს გაზეთ „კავკაზის" კორესპონდენტი წერდა: ბიჭვინთის „ნანგრევებისა და ძველი ბერძნული კოლონიის დროიდან დარჩენილი კვალის აღწერას შეუძლია ცალკე სტატიის შედგენა"; ის ყურადღებას ამჯერად მხოლოდ ძველწყალგაყვანილობაზე ამახვილებდა—„იქ მცხოვრებთ დღესაც კარგი სასმელი წყლით რომ აკმაყოფილებსო" (38). უკვე ოცი წლის შემდეგ, 1886 წელს, აგვისტოში წყალსადენი მწყობრიდან გამოსულა. გრაფინია პ. ს. უვაროვას გაუწმენდია ის აუზი, სადაც წყაროს წყალი გროვდებოდა და მარმარილოზე ამოჭრილი ქართული წარწერაც უპოვნია, რომელიც დ. ბაქრაძეს პალეოგრაფიულად XI საუკუნეზე ადრეული

ეპოქით დაუთარიღებია (39). უვაროვამ ყურადღება გაამახვილა ძველი პიტიუსის არქეოლოგიური შესწავლის მიზანშეწონილობაზე, რომელიც „ზღვიდან ერთი ვერსის მოშორებით ბიჭვინთის ძველ ტაძართან ყოფილა განლაგებული". არსებულა გადმოცემა, რომლის თანახმადაც მთებიდან, 30 ვერსის მანძილიდან, ქალაქ პიტიუსში შემოდიოდა სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყალი (მის სათავეს, აფხაზი მწყემსების მეშვეობით, თურმე ბერებმა მიაგნეს).

პ. უვაროვას მოსწრებული თქმით, ძველ პიტიუსზე მსჯელობა შეიძლება მონასტრის გალავნის კედლების მიხედვითაც, „სადაც ნახავთ რიყის ქვებს, ლოდებს, გათლილი კონგლომერატის კვადრებს, ბერძნულ კრამიტს, აგურებს და მარმარილოს ნატეხებსაც კი". მისივე ვარაუდით, ნაქალაქარიდან უნდა ყოფილიყო მოტანილი მონასტრის ეზოში, სამრეკლოსთან აღმართული „სამი მარმარილოს მომწვანო სვეტი". ასეთივე, „ჭრელი, უფრო ძვირფასი მარმარილოს სვეტი" მდგარა იმ აუზის წყალშემკრების კართან, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი. უვაროვას შეუმჩნევია (მონასტრისავე ეზოში, ნანგრევების გროვაში) „თეთრი მარმარილოს იონური სვეტისთავი, კაპიტელი" (ვფიქრობთ, რომ ეს 1925 წელს ა. ბაშკიროვის მიერ ფიქსირებული და შემდეგ სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში გადატანილი ის იონური სვეტისთავია (სურ. 3), რომელსაც ანუხვაში აღმოჩენილად თვლიან და ექსპოზიციაში რატომღაც ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებენ)*.



სურ. 3. იონური გვიანანტიკური ხანის სვეტისთავი. მარმარილო, ბიჭვინთის ნაქალაქარიდან.

უვაროვა ფიქრობდა, რომ ძველად ინკიტის ტბა და ზღვა არხით იყო დაკავშირებული, რომლითაც გადიოდა ზღვაში ჭარბი წყალი და დაჭაობებისაგან იცავდა კონცხის იმ ნაწილს, სადაც ძველად ციხე-ქალაქი არსებობდა. შემდგომ, მოუვლელობის გამო თითქოს ეს ხელოვნური არხი ამოვსებულა, დანაგვიანებულა და ამიტომაც,

* ამ დეტალზე მიგვანიშნა ისტ. მეცნ. დოქტორმა ი. ვორონოვმა.

მონასტრის ჩრდილო-დასავლეთი მისადგომები მისი დროისათვის დაჭაობებულა კიდეც. უვაროვას მინიშნებით, სწორედ აქ მდებარეობდა ძველი ნაქალაქარი და ადამიანის თვალს მოფარებული მისი რომანტიკული ნანგრევები. საინტერესოა პ. უვაროვას აზრი: „ძველი ქალაქის პიტიუსის ანუ პიცუნდის — ბ ი ტ ჩ ვ ი ნ ტ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი აფხაზური გამოთქმით (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.)—ნანგრევები დაახლოებით ორი ვერსის სივრცეზეა, გარშემორტყმულია საკმაოდ მნიშვნელოვანი კედლით, რომელიც, რამდენადაც შესწავლა მოვახერხე, ნაშენია მსხვილი ლოდებით და გათლილი კონგლომერატის ფილებით. საუკუნეთა განმავლობაში ეს კედელი დაფარულა ხავსით, ბუჩქებითა და ეკალბარდებით, ქალაქის შიგნით გარკვევა კიდევ უფრო ძნელია და გამოუცდელმა თვალმა მშვენივრად განაშენიანებულ პარკადაც კი ადვილად შეიძლება მიიღოს“ (39). უვაროვას ნაქალაქარი მონასტრის ეკონომთან ერთად შემოუვლია; გზას იკაფავდნენ წალდისა და ცულის მეშვეობით. მონასტრიდან 1,2 ვერსის დაშორებით, სიმინდის ყანაში, მას უნახავს იქ შემორჩენილი კედელი და, ბოლოს და ბოლოს, მკვლევარი მისულა იმ დასკვნამდე, რომ პიტიუსის „დაძლევა“ შეიძლება „მხოლოდ და მხოლოდ თანამიმდევრული და სერიოზული გათხრებით, რომლისთვისაც არ უნდა დაიშურონ არც დრო და არც სახსრები.“

გრაფინია უვაროვამ ასევე პირველმა შენიშნა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ბიჭვინთის კონცხზე, ორივე ფართე მხრიდან, მის დროს კიდევ არსებობდა ორი კოშკის ნანგრევი, რომლებიც, ასევე, მისი სიტყვებით, „შესაძლოა დაკავშირებულია ქალაქ პიტიუსთან“. ერთი მათგანი, ინკიტის პირას განლაგებული და, სამწუხაროდ, დღეისათვის თითქმის განადგურებული (1956 წელს დაზვერილი და 1957 წელს შესწავლილია ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ), მართლაც აღმოჩნდა დაკავშირებული პიტიუსთან. ამავე დანიშნულების სადარაჯო კოშკს უნდა წარმოადგენდეს 1983 წელს სოფელ ლძაასთან, ყოფილ ტურბაზასთან, ფიჭვნარის ახალშენის ნაკრძალში, ჩვენ მიერ გამოვლენილი მეორე კოშკის ნანგრევები, რომლის გაწმენდის დროს აღმოჩნდა კონსტანციუსის კარგად დაცული, IV საუკუნით დათარიღებული მონეტა. როგორც ახლა ირკვევა, რომაელებს კონცხის უკიდურესი აღმოსავლეთი კიდეც მესამე, სადარაჯო კოშკით ჰქონიათ დაცული, რომლის შესწავლა მომავლის საქმეა. ამგვარად, ბიჭვინთის კონცხი და ნაქალაქარის მისადგომები რომაელებს საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ, ცხადია, პირველ რიგში, სწორედ ჰენიოხების მოსალოდნელი თავდასხმების გამო (სურ. 4).

უფრო მოგვიანო ხანის ნაშრომებში აღნიშნული ტაძრის წყალმომარაგების სისტემა უკვე „გარდასულ დროთა ქალაქ პიტიუსს“ უკავშირდება და გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, თუ ძველად, ამ ადგილების დაჭაობებამდე, რამდენად ჯანსაღი გარემო უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ნ. ფ. ფონ-დერვიზის ცნობით, მის დროსაც აკვედუკის ნაწილი შესანიშნავად იყო დაცული და წყაროს წყალი გამოყვანილი იყო 15 ვერსზე ს. კალდახვარიდან (40). ჭაობები წარმოშობილია მას შემდეგ, რაც პიტიუნტი ნანგრევებად იქცა და მოსახლეობა აქაურობას გაეცალა. დაახლოებით ასევე აღწერენ ბიჭვინტის ნაქალაქარს XIX საუკუნის სამოციან წლებში სხვა მოყვარული მხარეთმცოდნენი თუ ტურისტები. კავკასიის ცენზორის —ლ. ისარლოვის ცნობით, „ბიჭვინტის ტაძრიდან რაღაც 150 საჟენის დაშორებით უძველესი კედლებია, პარალელოგრამის ფორმისა, რომლებიც მნიშვნელოვან მონაკვეთს მოიცავენ და მიგვანიშნებენ ძველი საბერძნეთისა და რომის დროინდელ დიდ სიძველეზეო“ (41). მანაც შენიშნა, რომ ბიჭვინტის ტაძარი გარშემორტყმული ყოფილა ძველი ქალაქის—პიტიუსის ნანგრევებისაგან აგებული კედლით, მანვე მიუთითა რამდენიმე ეკლესიის ნანგრევების არსებობაზე დიდია

ტაძრის შემოგარენში. მისი აზრით, ქალაქის სახელწოდება „ბიჭვინტა“—„ბიჭვი წმინდიდან“ მომდინარეობდა, ხოლო „ბიჭვინტელი“ ისეთივე წარმოშობისა ყოფილა როგორიც—„ჭყონი“ და „ჭყონდიდელი“. წარმართობის ხანაში, თითქოს, „აქ დიდი ფიჭვის ხე მდგარა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ“. ამ დროისათვის ბიჭვინტის რელიქტურმა ფიჭვნარმაც მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ფ. ბაიერნის დაკვირვების თანახმად, ქრისტიანობის გავრცელებამდე და ფიჭვნარში ქრისტიანული ტაძრების აგებამდე ეს ადგილი წარმართების სალოცავს წარმოადგენდა (42), რაც, სხვათა შორის, წერილობითი წყაროებითაც (პროკოპი კესარიელი) კარგად დასტურდება. როგორც აღნიშნავს აკად. ა. აფაქიძე სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ, აფხაზების წყალობით, მათი რწმენა-წარმოდგენების მეშვეობით გადარჩა ეს უნიკალური რელიქტური ფიჭვნარი (43), რომელიც დღესაც ზოლად მიჰყვება ბიჭვინთის ნახევარკუნძულის სანაპიროს. რელიქტური ფიჭვნარი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ ძველი ქალაქის სამაროვნის ერთ ნაწილს მაინც მოიცავდა. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი გარემოებაც; 1862 წლის მონაცემებით, ფიჭვის ტყის საზღვარი ბიჭვინტის ტაძრის გალავნის



სურ. 4. პიტიუნტის ციხე.-ქალაქი. გეგმა.

კედლამდეც კი აღწევდა (44). ა. ა. როსტოვცევი, ცნობილი მეტყევე, ნაქალაქარის შემოწერილობას 30 ვერსით განსაზღვრავდა. ის ვარაუდობდა, რომ ქალაქის არსებობის დროს მდ. ბზიფი ან მისი ერთი ტოტი კვეთდა ფიჭვნარს და ბიჭვინთის ყურეს უერთდებოდა. ცხადია, ამ შემთხვევაში ქალაქს წყლით მომარაგების პრობლემა თავისთავად გადაჭრილი ექნებოდა. როსტოვცევი, ეყრდნობა რა არსებულ გადმოცემებს, ტაძრის მშენებლობასთან ერთად, ერთროულად წყალსადენის გაყვანის ფაქტსაც აღნიშნავდა. გალავნით შემოზღუდული ტაძრის ეზოში წყალსადენის ნაშთები მის დროს კარგად შეიმჩნეოდა, ისე, როგორც მისი წყალშემკრები აუზი. მონასტრიდან 4 ვერსის დაშორებით, სოფელ ლძაასთან (დღევანდელი ლიძავა) მდებარეობდა მეორე ასეთი წყალშემკრები აუზი, საიდანაც არხი მთებისკენ მიდიოდა. მისი ტრასა აღნიშნული ყოფილა სამხედრო უწყების მიერ 1846 წელს შედგენილ რუკაზეც და, რაც მთავარია, ის კვეთდა მდ. ბზიფის ძველ

ტოტს, რომლის მიხედვით დადგენილი იყო VI საუკუნემდე არსებული (უფრო ზუსტად, X ს.) შესართავი. ამის შემდეგ ბზიფი უკვე სხვაგან, დღევანდელ ადგილას ერთვოდა ზღვას (45).

1873 წლის 9 დეკემბერს თბილისში, კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ოფიციალურ გახსნაზე ად. ბერჟემ თავის საჯარო გამოსვლაში აღნიშნა არა მარტო აფხაზეთის სანაპიროს, არქეოლოგიური ძეგლების, სამაროვნების და ნამოსახლარების შესწავლის აუცილებლობა, არამედ საგანგებოდ შეეხო ბიჭვინთის არქეოლოგიურ მნიშვნელობას. მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: „თურმე ბიჭვინტაში, ბზიფის მარჯვენა ნაპირზე ძველთაგანვე წმინდად გამოცხადებული ტყე-ჭალაკი ყოფილა, მსგავსად კავკასიის სხვა ადგილებისა. აქ არსებულ ნანგრევებზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად მსხვილი ხეების ფესვებქვეშ, **რ ო გ ო რ ც   ე ს   დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ა** (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.), გვხვდება ურნები და ამფორები და ეს უბრალო შემთხვევითობა როდია... ამ სახის ნივთებს არაიშვიათად პოულობენ მაშინაც, როდესაც ქარიშხალი მათ ძირფესვიანად ამოგლეჯს ხოლმე" (46). ამასვე ადასტურებს ზემოთ მოხსენიებული მეტყევე ა. ა. როსტოვცევი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში (სურ. 13) მონდომებით სწავლობდა ბიჭვინთის რელიქტურ ფიჭნარს. შემდგომში ჩვენ მიერაც გაითხარა რომაული ხანის „ურნა-სამარხები" და „ამფორა სამარხები" ნაქალაქარიდან დასავლეთით, დღევანდელი ფიჭნარიდან 25—50 მეტრის ჩრდილოეთით, რაც ადასტურებს ამ ცნობების სისწორეს. 1876 წელს დაბეჭდილ „რუსეთის იმპერიის საგეოგრაფო-სტატისტიკურ ლექსიკონში" ძველ პიტიუნტთან დაკავშირებით მინიშნებულია—„Окрестные развалины свидетельствуют о том, что прежде город был весьма значителен по величине".

1885 წელს მოსკოვში გამოვიდა არქიმანდრიტ ლეონიდეს (კაველინის) საყურადღებო ნაშრომი „აფხაზეთი და მასში ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი" (47), რომელშიც ცალკე განყოფილება დაეთმო ბიჭვინთას. ამ წიგნის პოპულარობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ორი წლის შემდეგ გამოდის ახალი, მეორე „შესწორებული და შევსებული გამოცემა", რომლის რედაქტირებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია „გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსსა და არქეოლოგს. დ. ზ. ბაქრაძეს", მისივე ხელმძღვანელობით შედგენილი ყოფილა „ახალი, უფრო სრულყოფილი, აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუკა". მესამე, 1899 წლის მოსკოვისავე „მნიშვნელოვნად შესწორებულ" გამოცემას ვ. ლატიშევმა „უკიდურესად უცნაური პლაგიატი" უწოდა (48). ამჯერად წიგნის შემადგენლად მითითებულია სხვა პირი, ვინმე ი. ნ., შესაძლოა, შემდგომში ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წინამძღოლი—არქიმანდრიტი იერონ ნიკონოვი, თუმცა ამის დამტკიცება გაგვიჭირდება. ამ ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეთმობა ბიჭვინთას. ნაქალაქარის გარშემოწერილობა განსაზღვრულია 30 ვერსით. არიანეზე დაყრდნობით, ი. ნ.-ს. ვარაუდით, ძველად ბზიფი კვეთდა ფიჭვის ტყეს და დღევანდელ ბიჭვინთის ყურეში უერთდებოდა ზღვას. ბზიფის „ნაშთად" თვლიდა ის ინკიტის ტბასაც. მაშინ არსებული გადმოცემებით ტაძრის ზღუდე აგებული ყოფილა ნაქალაქარიდან, „ძველი პიტიუსიდან აღებული ქვებით, რომლის კვალზე ახლანდელ ჭალაში მიუთითებენ"—ამბობდა ავტორი. მის დროს უკვე აღარ მოქმედებდა ტაძრის წყლით მომარაგების სისტემა. ი. ნ.-ს აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთი განყოფილების—„კავკასიისა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის" თანაავტორად მოუწვევია სოხუმელი მოყვარული არქეოლოგი, მხარეთმცოდნე ვ. ი. ჩერნიავსკი (49), რომელსაც მიუწოდებია კიდეც მისთვის თავისი მრავალ-

რიცხოვანი ჩანაწერები „აფხაზეთზე“ და მიუმართავს თხოვნით, რომ იქნებ მოხერხებულიყო მათი ცალკე დამატების სახით გამოქვეყნება. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვ. ჩერნიავსკის ცნობა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალი საუღელტეხილო გზების შესახებ, რომლებიც ძველად რომაულ ციხესიმაგრეებთან იყო დაკავშირებული და სადაც, თითქოს კიდევ ყოფილა შემორჩენილი რომაული საგზაო ნიშნები (50).

ბიჭვინტის შესახებ არსებული ბერძნულ-რომაული წყაროების შედარებით სრული ანალიზი მოგვცა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ლ. მელიქსეთ-ბეგი პიტიუს—პიტიუნტს ბერძენი კოლონისტების დაარსებულად თვლიდა. მისი აზრით, ქალაქი პიტიუნტი დიდ როლს ასრულებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველების საქმეში, თუმცა ამის დამადასტურებული არავითარი საბუთი არ მოუტანია. ლ. მელიქსეთ-ბეგი, გრძნობდა რა თავის ნაშრომის ამ ნაკლს, სპეციალურად აღნიშნავდა: „რაც შეეხება არქეოლოგიური ხასიათის მასალებს, ამგვარი რამ არ მოიპოვება, რადგან არავითარი არქეოლოგიური ძიება ძველი ქალაქისა არ ჩატარებულა“ (51). არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოებას კი შეგნებულად უშლიდნენ ბერები სიმონ კანანელის ახალი ათონის მონასტრიდან, რომელთა გამგებლობაში გადასულა 1882 წლიდან ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძარი და მისი შემოგარენიც. ბერებმა ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შესაბამისი პლანტაჟის შემდეგ ვაზი და ხეხილი გააშენეს, გაიყვანეს სადრენაჟო, საწრეტი არხები, რითაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ნაქალაქარს. არა მარტო დაარღვიეს კულტურული ფენები, არამედ დაანგრიეს ნაგებობათა შემორჩენილი კედლებიც. როგორც ჩანს, სწორედ ამ ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ჰქონდა ადგილი მთელ რიგ, მეტად მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენებსაც, რის მიჩქმალვას „საძმო“, საბედნიეროდ, ყოველთვის ვერ ახერხებდა. ჟურნალისტ ა. პ. ზოტოვს 1914 წლის ზაფხულში, შავიზღვისპირეთში, ქვეითად მოგზაურობის დროს, სოხუმის ერთ-ერთ ოჯახში გაუგია ბიჭვინთაში, თებერვალსა თუ მარტში, რაღაც არქეოლოგიური განძის აღმოჩენის შესახებ და მაშინვე იქითკენ გაუწევია. მისი ინტერესი განპირობებული ყოფილა იმითაც, რომ მისი სიტყვებით: „Зная, как вообще редки археологические находки в древнем Питиунте, и, что до настоящего времени лишь немногие из археологов (в последние 25 лет—никто) уделяли свое внимание раскопкам его обширной территории“.

ბერებმა ისარგებლეს იმით, რომ ა. ზოტოვს არ გააჩნდა არავითარი ოფიციალური უფლებამოსილება არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისათვის და წინასწარი ძიების წარმოების ნებაც კი არ დართეს. ალექსეი პეტრეს ძე ზოტოვმა წერილობითი ანგარიში გამოგზავნა თბილისში, არქეოლოგიური კომისიის კავკასიის განყოფილების სახელზე, სადაც აღწერა ბიჭვინთელი ბერების მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები: „გამოვედით რა ტაძრის ზღუდიდან, ჩვენ გავემართეთ მისგან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, ნაგვისა და ქვების ყრილით, რომელიც ქაობშია გაკვალული. გავიარეთ რა ასზე მეტი ნაბიჯი, ჩვენ აღმოვჩნდით ეკალბარდებით დაბურულ ზღუდესთან, რომელიც სწორ კვადრატს ქმნიდა. ჩვენ ამ ზღუდეში არსებული ხვრელით შევაღწიეთ შიგნით და აღმოვჩნდით მონასტრისეულ ბაღსა და ვენახში. რომლებსაც ორ დესიატინამდე ფართობი ეკავათ. აქვე, აღმოსავლეთ ნაწილში, იყო აღმოჩენის ადგილიც. მე წარმომიდგა დაბალი, წაგრძელებული საძირკველი, აგებული ზღვის რიყის ქვებისაგან და ბიზანტიური ფართო

კრამიტის შრეებისაგან, რომელიც აღმოსავლეთი მიმართულებით მომრგვალებას ქმნიდა. კავკასიური ტიპის ძველი ქრისტიანული ტაძრების მსგავსად, თან წამოღებული ბარების მეშვეობით ბერებმა მოხსნეს 1/2 არშინის სისქის მიწის ფენა საძირკვლის შიგნით და იქ აღმოჩნდა მოზაიკის იატაკი, შესანიშნავად დაცული, პატარა ფერადი კენჭებით ხელოვნებით შედგენილი რთული ორნამენტი, ყვავილები, გეომეტრიული ფიგურები და სხვა (სიგრძე მოზაიკური იატაკისა 3 მეტრია, სიგანე 5 მ, საძირკვლის სიმაღლე 1/2 მ, საძირკვლის სიგანე 1/2 მ). იატაკის ცენტრში, მოზაიკის წრეში მსხვილი ძველბერძნული ოთხსტრიქონიანი წარწერაა. ბოლო სტრიქონში ორი შუა ასო აკლია, ბერების მიერ ჩატარებული გათხრებისას ამოგდებული, ბარის გაუფრთხილებელი დარტყმის გამო. რამოდენიმე არშინი მოზაიკური იატაკისა სავსებით გაფუჭებულია „ბერი-მკვლევარების" გაუწაფავობის გამო, როგორც თავდაპირველად, გათხრებისას, ასევე მის შემდეგაც, მათი ცნობისმოყვარეობის გამო. ატეხდნენ მთელ ნაჭრებს სიძველის ამ უძვირფასეს ძეგლს და მიჰქონდათ მონასტერში, სადაც შემდეგ მათ დიდი რაოდენობით ვნახულობდი. გასაოცარი სახით გადარჩა წარწერა ამ იატაკის ცენტრში და ესეც იმის წყალობით, რომ რომელიღაც ბერს შემოუფარგლავს ის კასრის სალტით და ზემოდან ქვები დაუყრია. მამა ევსტაფიმ (მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა), გამოუცნობი მიზეზების გამო, არ მომცა უფლება გადამეღო ამ აღმოჩენის ადგილი, გადამეხაზა ან პირი ამეღო წარწერიდან".

ა. ზოტოვმა ერთ-ერთი ბერის მეშვეობით მაინც მიიღო ამ ბერძნული წარწერის პირი, რომელიც შემდგომში გაშიფრა მოსკოვის არქეოლოგიური კომისიის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარემ, კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორმა ლ. გ. ლოპატინსკიმ. მისი აზრით, წარწერა გვამცნობდა: „სადაც არის ლოცვა. უდროოდ გარდაიცვალა საერთო... მიმართ" (53). აქვე, ამ მოზაიკურიატაკიანი ნაგებობიდან ხუთიოდე მეტრის დაშორებით, ზღუდესთან მებაღე ბერს იმპერატორ იუსტინიანეს (VI ს.) სახელით მოჭრილი ოქროს სამი მონეტა უპოვნია, რომლის განსაზღვრაში ა. ზოტოვს სოხუმელი ნუმიზმატი ა. ი. ივანოვი დახმარებია. ა. ზოტოვი თავის ანგარიშში მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრების ყურადებას მიაქცევს კიდევ ერთ საყურადღებო გარემოებაზე: „კვადრატი, რომელშიაც მოთავსებულია მონასტრის ბაღი, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება საძირკვლის ნაშთები, ფართე ბიზანტიური აგურების ნატეხები, საინტერესო ზღუდეები". მონასტრის წინამძღვარს, „მამა ევსტაფის" ჰქონია მთელი კოლექცია ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნივთებისა...

გარდა აღნიშნულისა, ა. ზოტოვმა ზღვის პირას, ტაძრიდან 1—1,5 კმ-ის დაშორებით, ახალგაზრდა ფიჭვნარში, მიუთითა კიდევ ერთი დიდი ტაძრის ნანგრევებზე, რომელსაც აფხაზები წმინდა ანდრიას სახელს უკავშირებდნენ. ა. ზოტოვი წერდა: „Линия фундаментов (фундаменты: булыжники на извести) наводит на мысль о храме с двумя боковыми притворами". ალბათ, ეს ადგილი ჰქონდა მხედველობაში არქიმანდრიტ ლეონიდესაც, როდესაც წმინდა ანდრიას სავარაუდო საფლავზე მიანიშნებდა ბიჭვინთაში (54).

ა. ზოტოვი იზიარებდა პ. ს. უვაროვას ავტორიტეტს, მოითხოვდა ბიჭვინთის ნაქალაქარის „თანამიმდევრულ", „სერიოზულ" არქეოლოგიურ შესწავლას, რაც მხოლოდ მოგვიანებით, რევოლუციის შემდეგ 1952 წელს გახდა შესაძლებელი. ნიშანდობლივია, რომ პირველსავე წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ-

მა ექსპედიციამ ა. მ. აფაქიძის ხელმძღვანელობით მიაკვლია სწორედ ამ ბერძნულწარწერიან, ზოტოვის მიერ აღწერილ ეკლესიას. ალბათ, საინტესოა შედარება ბიჭვინთელი ბერის მიერ წარწერიდან ნაჩქარევად, მალულად აღებული პირისა და დღეს არსებული დედნისა (სურ. 5), რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

| ა. ზოტოვი, 1914, წ. | ა. აფაქიძე, 1952 წ. | თ. ყაუხჩიშვილი 1952-1953 წწ. |
|---|---|---|
| ΣΟΥΠΕΡ | ΥΠΣΡ | ΥΠΕΡ |
| ΣΕΥΧΗΑΩΡ | Ε-ΧΗCΩΡ | Ε[Υ]ΧΗCΩΡ |
| ΕΘΚΑΙΠΑΓ | ΕΑ-ΑΙΠΑ- | ΕΑ[Κ]ΑΙΠΑ[Ν] |
| ΚΟ--ΤΟ | ΤΟ---ΥΟ- | ΤΟ[ΣΤΟ]ΥΟ[Ι] |
| | ΚΟ----- | ΚΟ[ΥΤΟΥ] |

ლ. ლოპატინსკისეული აღდგენით:; თ. ყაუხჩიშვილისეული აღდგენით (55)

| ლ. ლოპატინსკისეული აღდგენით | თ. ყაუხჩიშვილისეული აღდგენით |
|---|---|
| οὕπερ | ὑπὲρ εὐχῆς 'Ωρὲλ καὶ |
| εὐχὴ ἄωρ(ι/ἀπ)έθ(ανε) | παντὸς τοῦ οἴκου [αὐτοῦ] |
| και πάγ\|κο(ινον) το(ῖς) | |
| თარგმანი: | თარგმანი: |
| „სადაც არის ლოცვა, უდროოდ გარდაიცვალა და საერთო... მიმართ." | „სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლს მიმართ" |
| | „სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლისა მისისათვის". |

თ. ყაუხჩიშვილი ამ წარწერას პალეოგრაფიულ მონაცემთა საფუძველზე



სურ. 5. ბერძნული წარწერა ბიჭვინთის IV საუკუნის ტაძრიდან.

V—VII საუკუნეებით ათარიღებს, თვლის რა, რომ ქართველ დიდებულს, ვინმე „ორელს" მთლიანად ტაძარი თუ არა, მისი იატაკი მაინც თავისი სახსრებით გაუკეთებია.

ასოთა სიმაღლე 5,5 სმ აღწევს, სიგანე 3,7—6 შორის მერყეობს, წარწერა გამოყვანილია ოთხკუთხა მოთეთრო-მოყვითალო მოზაიკური კენჭებით, კენჭებისავე მონაცრისფრო-ლურჯ ფონზე. კენჭების ზომებია 1—1,5 სმ X1—1,5 სმ.

ცხადია, რომ წარწერა 1908 წლის შემდეგ კიდევ უფრო დაზიანებულია.

როგორც ვხედავთ (სურ. 5), მისი პირის გადამღებ ბერს პირველსა და მეორე სტრიქონში „Σ—სიგმად" მიუჩნევია მცენარეული ორნამენტის, მოზაიკის დეტალი, კერძოდ, აკანთის დაკბილული ფოთლის კიდე. ასევე საყურადღებოა ზოტოვისეული პირის „Θ—თეტას" მოხაზულობა, რასაც ჯერ კიდევ თ. ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება წარწერის ხელმეორედ აღმოჩენამდე (55). წარწერის ხელმეორედ აღმოჩენის შემდეგ დაზუსტდა, რომ „თეტას" ნაცვლად „Λ"—„ლამბდაა" გამოყვანილი, ხოლო რომბისებური „თეტას" ქვედა ნაწილისათვის საერთოდ არ რჩება ადგილი—მეოთხე სტრიქონის მეორე ასოს „O" —ო-მიკრონის, გამო. ბერძნულის მცოდნე ბერს სიჩქარისა თუ სხვა მიზეზების გამო „ლამბდა" რომბისებურ „თეტად" მიუღია და არა „ნიუდ". ამ უკანასკნელის ფეხისათვის საერთოდ არ რჩება ადგილი, რადგან შემდეგ „კაპა" და „ალფა" მოდის. ასოებს შორის მანძილი, ინტერვალი, აქ ყველგან საკმაოდ სიმეტრიულად არის დაცული და მოზაიკის დამგებს პროპორცია აქაც არ უნდა დაერღვია. ამგვარად, „ორელ"-ის თ. ყაუხჩიშვილისეული წარწერა ეჭვს არ იწვევს. სადავოდ გამხდარა მხოლოდ ის, რომ „ორელ-ი" ქტიტორია, ადგილობრივი დიდებული, თუ პირიქით, ორელის სახელზე, მისი სულის მოსახსენიებლად აიგო ბიჭვინთაში ეს ბაზილიკა. ვ. ლექვინაძე (56) მას უკავშირებს ბერძნულ სვინაქსარში მოხსენიებულ მოწამე ორენტიოსს, რომელიც იმპერატორ დიოკლეტიანეს ბრძანებით სხვა ქრისტიანებთან ერთად აბაზგიაში გადაუსახლებიათ. მას ვერ ჩაუღწევია გადასახლების ადგილამდე და რიზეში გარდაცვლილა. ვ. ლექვინაძის ვარაუდით, ბიჭვინთაში სწორედ ამ მოწამის სულის მოსახსენიებლად, საოხად აუგიათ ტაძარი IV საუკუნეში. მისი დანგრევის შემდეგ ჩანს აგებული დიდი სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც სპეციფიკური ხუთწახნაგოვანი აფსიდა აქვს. ვარაუდობენ, რომ ხუთწახნაგოვანი აფსიდები ჩნდება V საუკუნიდან და უფრო ადრე არ იყო ცნობილი (57). ლ. მაცულევიჩი ამ წარწერის დათარიღებისას ითვალისწინებდა ძეგლის სტრატიგრაფიას. არქეოლოგიური მონაცემებით აფსიდაში მოთავსებული შესამჩნევად შემაღლებული მონაკვეთი, სადაც მოზაიკაა შემორჩენილი, ორგანულად არ უკავშირდება გვიანდელ VI საუკუნის ბაზილიკას, რადგან ამ უკანასკნელის აგებისას მშენებლებს იგი ჩაუჭრიათ. პირვანდელი ტაძარი კი რომლის იატაკი შემოინახეს მომდევნო ხანის მშენებლებმა, მარტირიუმია. აღნიშნულის გარდა, ეს დასტურდება მოზაიკის სხვა წარწერით. მონოგრამა-ქრიზმით, რომელიც ქრისტეს სახელის პირველ ასოებს და აპოკალიფსურ სიმბოლოს „ალფას" და „ომეგას", ბერძნული ანბანის საწყისს და ბოლო ასოებს მოიცავს. ლ. მაცულევიჩი მოზაიკურ წარწერას IV საუკუნეს მიაკუთვნებდა (58).

ა. აფაქიძის გათხრების შედეგად სანათლავში აღმოჩნდა მოზაიკური იატაკის კიდევ ერთი მოზრდილი ფრაგმენტი, რომელიც დეკორატიული ორნამენტია და „სიცოცხლის შადრევნის" მოტივებისაგან შედგება. გარდა ამისა, აღმოჩენილია ძროხისა და ხბოს გამოსახულება, ხარ-ირემი და ფური თავის ნუკრით და სხვ., რაც ქრისტიანულ სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული. სპეციალისტების აზრით, პიტიუნტის ეს მოზაიკა უახლოეს პარალელებს სირია-პალესტინის თანადროულ ძეგლებში პოულობს. ამასთანავე, შეიმჩნევა ადგილობრივი მოტივები, კერძოდ, ძროხისა და ხბოს გამოსახულება უფრო ქართულ-აფხაზურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, ვიდრე რომაულ-ბიზანტიურ სამყაროს. არ არის გამორიცხული, რომ პიტიუნტში მართლაც არსებობდა მოზაიკის ოსტატთა ადგილობრივი კორპორაცია.

იმ ადგილს, სადაც ტაძარი იდგა, პიტიუნტის ქრისტიანი მოქალაქენი განსა-

კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან აქ დადასტურდა ოთხი ეკლესიის ნანგრევი (სურ. 6, 1, 2). უშუალოდ გალავნის სიახლოვეს! სულ პირველი ტაძარი ერთნავიანია, ნახევარწრიული აფსიდით 26 მX11მ ზომისა, რომელსაც ჩვეულებრივ სტრატოფილეს უკავშირებენ, თუმცა საეპისკოპოსო კათედრას უფრო მის ნანგრევებზე ამოყვანილი სამნავიანი (28 მ X13 მ), მარმარილოს არქიტექტურული დეტალებით შემკული ბაზილიკა უფრო შეეფერება. ზოგიერთი მკვლევარი მოზაიკას ამ მეორე ტაძარს უკავშირებს და თვლის, რომ ის V საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. მესამე ეკლესია მეორის ნანგრევებზეა ამოყვანილი და ისიც სამნავიანი ბაზილიკაა (28 მX14 მ), რომელიც V საუკუნის შუა ხანებით თარიღდება. მეოთხე ეკლესია (17,45 მX11,6 მ) ერთნავიანია. აქვს სამწახნაგოვანი აფსიდა. თარიღდება VI საუკუნის პირველი ნახევრით. როგორც ვხედავთ, ტაძართა ქრონოლოგიური ჩარჩოები IV—VI საუკუნეებში თავსდება იმის გამო, რომ ნაქალაქარის ამ მონაკვეთის, მეტად შეზღუდულ ფართობზე, ადრექრისტიანული ტაძრების რამდენიმე ნანგრევი, სამშენებლო პერიოდი და რთული (სურ. 6) სტრატიგრაფიული კვანძებია დაფიქსირებული (იენის უნივერსიტეტის დოცენ-



სურ. 6. 1. ბიჭვინთის კანაპეში გამოვლენილი ადრექრისტიანული ტაძრები. გეგმა. IV-VII საუკუნეები (ა. აფაქიძის მიხედვით)

ტი ანიგრეტ ლიუნინგი სპეციალურად სწავლობს აღნიშნულ პრობლემას წინასწარი მონაცემებით, მოზაიკიანი ტაძარი მას IV საუკუნის პიწურულში აგებულად მიაჩნია).

1924 წლიდან, სამონასტრო მეურნეობის გაუქმების შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ნაქალაქარის ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად მათი ინტენსიური გამოყენება. დროდადრო სპეციალისტების ვიწრო წრისათვის ცნობილი ხდებოდა რომაული, მათ შორის ოქროს მონეტების აღმოჩენის ფაქტი (58), რომელთაგან თითო-ოროლა თუ აღწევდა მუზეუმების ფონდებამდე. 1925 წლის




სურ. 6.2. 1-4 პიტიუნტის სატაძრო კომპლექსის ეკლესიები. IV-VI სს. (ა. აფაქიძის მიხედვით)

ზაფხულში. აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების თხოვნით პროფ. ა. ს. ბაშკიროვი (59), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიური ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის დავალებით, სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ადგილობრივი მხარეთმცოდნენი: ე. ი. სტრაჟევი, მ. ი. გალაშევსკი, ლ. ბამი და ა. ა. ლუკინი. ექსპედიცია ძირითადად მუშაობდა სოხუმისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიურ შესწავლაზე. მაგრამ უყურადღებოდ არც პიტიუნტის არქეოლოგიური ძეგლები დაუტოვებია. ა. ს. ბაშკიროვის წინასწარი მოსაზრებით „ბიჭვინთის ძეგლების შესახებ თითქმის არ არსებობდა არავითარი ცნობები, ბიჭვინთის ტაძრის გამოკლებით“ და. მიუხედავად ამისა, რატომღაც სწორედ ბიჭვინთის ტაძრისა და მისი წყლით მომარაგების სისტემის შესწავლას მოანდომა მან ძირითადი დრო და სახსრები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი ის დაკვირვება, რომ ახალი საბჭოთა მეურნეობიდან მეოთხედი ვერსის დაშორებით, დასავლეთის მიმართულებით კიდევ შეიმჩნეოდა კვალი ნაქალაქარის ერთ-ერთი მონაკვეთის სასიმაგრო, დამცველი სისტემისა, ხოლო თავად ძველი ქალაქის—პიტიუნტის ნანგრევები მთელ კონცხზე ყოფილა მიმოფანტული. ა. ბაშკიროვის აღწერით: „ეს ნაქალაქარი წარმოადგენს ვრცელ, თითქმის კვადრატულ გრძელ ტერიტორიას, რომელიც შემოზღუდულია ყოველი მხრიდან ყრილით და თითქმის ამოვსებული დამცველი თხრილით“. შიგნით შესანიშნავი ბაღი და ვენახი ყოფილა გაშენებული. მეურნეობის მუშების, ყოფილი ბერების ცნობით, აქ ხშირად პოულობდნენ არქიტექტურულ დეტალებს, კერამიკას, მონეტებს. ახსოვდათ მოზაიკურიატაკიანი ტაძრის აღმოჩენაც. ხილის საშრობთან, მაგრამ შემდგომში რატომღაც ა. ბაშკიროვი არ დაინტერესდა ამ ადგილით. ნაქალაქარის გალავნის კედლები, თანახმად მისი დაკვირვებისა აგებული ყოფილა „მოტანილი ქვის კვადრებით, ხოლო მისი კუთხეები კოშკებით გამაგრებული“. იმ დროსაც კი „უსაქმური ადგილობრივი მცხოვრებნი აგრძელებდნენ განძის ძიებას ამ კოშკებში“, რის კვალსაც ჩვენც არაერთხელ წავწყდომივართ ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების პროცესში. აღწერილი ციხესიმაგრე ბაშკიროვს ძველი ქალაქის მხოლოდ ერთ ნაწილად მიაჩნდა, სადაც ანტიკური ხანის ფენების გამოვლენა მოსალოდნელია. ბიჭვინთის კონცხის აღმოსავლეთ ნაწილში. ადგილობრივ მცხოვრებ „რუს კოლონისტთა“ დახმარებით. ა. ბაშკიროვმა მიაკვლია მონუმენტური ქრისტიანული ორი ტაძრის ნანგრევს, ხოლო ვინმე ი. იშჩენკოს მისთვის უჩვენებია, მაგრამ არ დაუთმია ბიზანტიური საწონი, ბრინჯაოსი. აქვე მიაქცია მან ყურადღება „მცირე, მაგრამ მეტად თავისებურ“ კიდევ ერთ საფორციფიკაციო ნაგებობების კომპლექსს, მდ. ტარის შესართავთან, რომელიც ძველად უზრუნველყოფდა თითქოს ძველი ქალაქის ეკონომიკურ კეთილდღეობას. მანვე მიაკვლია ინკიტისა და ანიშხწარას ტბებს შორის არსებული მიწის ვიწრო ზოლზე, არხის პირას კოშკისებურ ნაგებობას (60). ა. ბაშკიროვმაც დაადასტურა ინკიტის ტბისა და ზღვის შემაერთებელი გამშრალი ყელის არსებობა. ამ ხელოვნური თხრილის სიგრძე ყოფილა 4,5 მ, ხოლო სიღრმე —3 მ. მისი აზრით, ეს არხიც ამტკიცებს ძველი ავტორების ცნობის სისწორეს პიტიუნტის კარგად მოწყობილი შიდა ყურის შესახებ. ამის დამადასტურებლად მას ინკიტი და ანიშხწარა მიაჩნდა, სადაც შემორჩენილი ყოფილა ზღვის რელიქტური ფაუნა. ა. ბაშკიროვი ვარაუდობდა. რომ ამ არხისა და ტბების გაყოლების შესწავლა ძველი სასიმაგრო ნაგებობების საინტერესო სურათს მოგვცემდა ა. ბაშკიროვმა არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ბიჭვინთის დიდი ტაძრის მახლობლადაც. მისგან „რამდენიმე საჟენის დაშორებით“, სადაც მან მიაკვლია დიდი ბა-

ზილიკური ტიპის სამნავიანი და სამაბსიდიანი ტაძრის ნანგრევებს, რომლებისთვისაც მანამდე თითქოს არავის მიუქცევია ყურადღება, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, ამ ნაგებობების ფოტოგრაფიურები მოცემული აქვს არქიმანდრიტ ლეონიდე კაველინსაც (61). 1925 წელს, ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა სამხრეთი ფასადის კედლის ფრაგმენტები და ორი გვერდითი 4,10 მ-ის სიგანის აფსიდები, ისინი ბაშკიროვის მიხედვით, გეგმაში ნახევარწრიულია, ნახევრადექვსწახნაგა წრეში ჩასმული. აგებულია ქვიშაქვის კვადრებით, გამოუყენებიათ აგურის სარტყლებიც, რომელთა რაოდენობა 2-დან 4 რიგამდე მერყეობდა. ამ ბაზილიკას ის გვიანბიზანტიური ეპოქით ათარიღებდა და ანალოგიებიც XIII—XIVსს ძეგლებში ეგულებოდა. გათხრები მას ჩაუტარებია ამ ორ აბსიდას შორის, სადაც ცენტრალურ საკურთხეველს ვარაუდობდა. მან დააფიქსირა აფსიდის კედლის საძირკველი და საკუთრხევლის „ფსევდო-მოზაიკური“ იატაკი. ამ ბაზილიკური ტიპის (სურ. 7) ეკლესიის ნანგრევებში ექსპედიციამ მიაკვლია ადრებიზანტიურ, იონური ტიპის მასიურ კაპიტელს (62), თუ ეს ის კაპიტელია, რომელიც სოხუმის მუზეუმშია დაცული, მაშინ მისი ახლო პარალელია ვაშნარის (ოზურგეთთან) ბაზი-



სურ. 7. ადრექრისტიანული ტაძრები, X საუკუნის კათედრალის მახლობლად ჯვრით ნაჩვენებია მარმარილოს სვეტის აღმოჩენის ადგილი

ლიკის მცირე მარმარილოს სვეტისთავი, რომელიც VI საუკუნითაა დათარიღებული.

აღნიშნული ძეგლი, რომელიც საგრძნობლად დაუზიანებიათ საავადმყოფოს მშენებლობის დროს, გაიწმინდა ნაყარი მიწისაგან (სიგანე 17,5 მ-ია, სიგრძე არ დადგინდა, რადგან დასავლეთი ნაწილი სხვა ნაგებობებით არის დაფარული). ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, 1980 წლის შემოდგომაზე (63) იგი ახ. წ. VI—VII საუკუნეებით დაათარიღა. გამოჰყო რა რამდენიმე სამშენებლო ფენა სამხრეთ აბსიდის ქვეშ ექსპედიციამ დააფიქსირა კიდევ უფრო ადრეული (6,1

მ. სიგანის) V—VI სს. მცირე ეკლესიის ნანგრევები (64). აქვე აღმოჩნდა მარმარილოს პროფილირებული ბაზა სვეტის ძირი (სურ. 8, 1, 2), სვეტის ნაწილები. ეკლესიის აღმოსავლეთით ისევე, როგორც თავად ტაძარში დადასტურდა რამდენიმე უინვენტარო ადრექრისტიანული სამარხი. ამგვარად, კათედრალის აგებამდე,




სურ. 8. 1. I. სამაროვანზე მიკვლეული მცირე სვეტის ფრაგმენტები, მარმარილო, IV საუკუნე. 2. სვეტის ბაზა. პროფილირებული. ადრექრისტიანული ტაძრიდან, კათედრალთან მარმარილო, VI საუკუნე.

მისგან 40 მეტრის მანძილზე დასავლეთით, მანამდე ყოფილა ერთი მონუმენტური 17,5 სიგანის ნაგებობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიჭვინთის, როგორც დიდი საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობას. ა. ბაშკიროვის სწორი დაკვირვებით პიტიუნტის ეკონომიკურ კეთილდღეობას ემსახურებოდა საინჟინრო, სამხედრო თავდაცვითი ნაგებობების მთელი სისტემა, რომლის კვალი ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ოციან წლებში. ა. ბაშკიროვი კარგად გრძნობდა ბიჭვინთის კონცხის ბუნებრივი დამცველის ქვიშაზვინულების ე.წ. დიუნების შესწავლის მნიშვნელობას და აუცილებლობას, მაგრამ მიუხედავად სურვილისა, როგორც ამას თავად აღნიშნავს, საზონდაკო არქეოლოგიური კვლევა-ძიება მას აქ არ ჩაუტარებია. ჯერ-ჯერობით ამ დიუნებში, როგორც აღვნიშნეთ, არ ჩანს ადრეანტიკური თუ ელინისტური ხანის პიტიუნტის კვალი (65).

1939 წელს ბიჭვინთის კონცხის არქეოლოგიური ძეგლები ადგილზე მიმოიხილა აფხაზმა მხარეთმცოდნე ი. ე. აძინბამ (66), რომლის მიზანს შეადგენდა ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურული ძეგლების ნუსხის შედგენა. მან დაათვალიერა დიდი ტაძრის გალავნიდან 200—300 მეტრით დაშორებული III ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღში არსებული ნანგრევები, რომელსაც ის „ქალაქ პიტიუსის“ ცენტრალურ ნაწილად თვლიდა.

ინკიტის ტბის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მას მიუკვლევია ძველი ნანგრევების კვალისათვის. მისი წესხის თანახმად: 1. „ინკიტის ტბის ჩრდილოეთით კოშკის ნაშთებია, ეგრეთ წოდებული „ქვა", სოლო ინკიტისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2. „Остатки крепостной башни". ამ უკანასკნელს ი. აძინბა „ძველი პიტიუნტის" გარეთა მძლავრ კედლებად თვლიდა. მისი აზრით, ძველი ავტორების მიერ მითითებული პიტიუნტის შიდა ყურე საძიებელია „ბიჭვინთის ძველ ჭაობში, იქ სადაც ინკიტისა და ანიშსწარას (აფხ. ნავების სადგომი) ტბებია" (67). ამგვარად, ბაშკიროვიცა და აძინბაც ინკიტის ტბასთან კოშკის არსებობაზე მიუთითებდნენ. ეს ადგილი, ინკიტის ტბის მიდამოები, ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1955 წელს დაზვერა. ნაქალაქარიდან ჩრდილო-დასავლეთით 3—4 კმ-ის დაცილებით, ინკიტის ტბიდან ჩრდილოეთით 120—130 მ-ის დაშორებით დაფიქსირდა ხელოვნური 3, 10 მ-ის სიმაღლისა და 19 მ დიამეტრის მქონე ხელოვნური ბორცვი, მიწაზეინული, რომლის ზედაპირზე დიდი რაოდენობით ეყარა აგურის ფრაგმენტები. 1957 წელს გაითხარა კიდეც აღნიშნული ადგილი, სადაც ო. ლორთქიფანიძემ გეგმაში მრგვალი კოშკი და სამი კულტურული ფენა დააფიქსირა (ახ. წ. II ს. ბოლო, III ს. დასაწყისი, IV ს.). საინტერესოა, რომ ეს კოშკი რამდენიმეჯერ გამხდარა თავდასხმის ობიექტი, რაზედაც ნათლად მეტყველებს ნახანძრალი ფენები. ერთ-ერთი ასეთი კატასტროფა VI ს. მეორე ნახევრით თარიღდება (68) . ცხადია, აღნიშნული კოშკი ინკიტის ტბის მისადგომებს კეტავდა და პიტიუნტის ფორპოსტს, სადარაჯო კოშკს წარმოადგენდა. ი. ე. აძინბას მოღვაწეობით შეიძლება ითქვას მთავრდება „პიტიუს—პიტიუნტ—ბიჭვინტის" შესწავლის თითქმის ასწლიანი მონაკვეთი. ამ პერიოდში დაგროვილმა მასალებმა ცხადყო პიტიუსის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა. ეს საპატიო მისია შემდგომში დაეკისრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებულ „ბიჭვინტის არქეოლოგიურ ექსპედიციას", რომელსაც 1952—1975 წლებში ხელმძღვანელობდა აკად. ა. აფაქიძე. 1952—1953 წწ. ნაქალაქარზე სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა პირველმა აფხაზმა არქეოლოგმა მ. მ. თრაფშმა (69). ნ. ბერძენიშვილმა 1951 წელს მოინახულა რა აფხაზეთის მთელი რიგი არქეოლოგიური ძეგლები, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების, მათ შორის ბიჭვინთის შესახებ სამართლიანად აღნიშნა: არქეოლოგია, უეჭველია, გამოაკვლევს და დაადგენს ამ ზღვისპირა პუნქტებს, ზღვისიქეთელებთან სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობას, ჩვენი ქვეყნის წინაფეოდალური ურთიერთობისას, წინარე ხანასთან შედარებით ფეოდალურის უპირატესობა სამეურნეო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით აქედანაც კარგად ჩანს „ის თავს აღწევს პასიური მომწოდებლის მდგომარეობას და ზღვისიქითელთა პოლიტიკურ ბატონობასაც" (70).

## შენიშვნები

1. აფაქიძე ა., „დიდი პიტიუნტი" —არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. „დიდი პიტიუნტი", 1, თბ., 1975, გვ. 30—41.

2. როგორც ცნობილია, სტრაბონი, წყაროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა განზომილების სტადიონს ხმარობს ხოლმე- 157 მ, 178 მ და 185 მ. ჩვენს შემთხვევაში არტემიდორეს სტადიონი 185 მ უდრის იხ. Агбунов М. В., Ма-

териалы по античной географии Причерноморья. ВДИ, 1984, № 4, с. 131; Л о м о у р и Н., Из истории географии древней Колхиды, ВДИ, № 4, 1957, с. 105.

3. ბერძნული ქალაქი ბატა (βατα) ლოკალიზებულია თანამედროვე ნოვოროსიისკთან, ბოსფორის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი განაპირა მხარე. იხ. Античные государства Северного Причерноморья, М., 1985, с. 91, სტრაბონის დროისთვის დაკნინებული ჩანს (ტაბ. 11). ზოგიერთი კომენტატორის აზრით ამ დროისათვის „სოფელი და ნავსადგურია", იხ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957. გვ. 120, 291, შდრ.: H. J o n e s, The Geography of Strabo, London, 1949, V, VIII, p. 205, 207, 440; ჩვენ ბატა იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც პიტიუნტსა და ბატას შორის არ ჩანს რამდენადმე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული დასახლება. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ზღვისპირზე, ე. წ. კოლხეთ-მეოტიდის გზის კონტროლს, როგორც ჩანს, კავკასიური აფხაზური, ჩერქეზულ-ადიღეური წარმოშობის მთიელი ტომები ახორციელებდნენ. უფრო გვიანდელი ეთნოპოლიტიკური და გეოგრაფიული ვითარების შესახებ იხ. Руководство к познанию Кавказа, III, О древних городах Восточного берега, с самых отдаленных времен до X столетия, Спб., 1859, с. 34, сл.

4. С т р а б о н, География в 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. М., 1964, с. 471; Л а т ы ш е в В. В. SC, Спб.; 1901, с. 273, ВДИ, 1947, № 4, с. 214; М и щ е н к о Ф. Г., География Страбона, М., 1879, с. 507.

5. В о р о н о в Ю. Н., Диоскуриада-Себастополис—Цхуми. М., 1980, с. 47.

6. Ё л ь н и ц к и й Л. А., Знания древних о северных странах, М., 1961, с. 186 сл. K i s l i n g, RE, VIII, S. V. Heniochi, p. 275. М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, с. 371.

И н а д з е М., Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968, с. 238.

7. H. R a c k h a n, Pliny Natural History, Vol. II (libri III, VII) London, 1957, p. 348, 345.

Л а т ы ш е в В. В., Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, II, Спб., 1904 с. 179; ВДИ, 1948, № 2, с. 219.

8. აქედან ლოკალიზებულია „Cygnus, გედი", ანუ გიენოსი (Γύγνος) დღევანდელი ოჩამჩირე იხ. К у ф т и н Б. А. Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, с. 158, 264, კომენტარები ამ ქალაქებთან დაკავშირებით იხ. J o h a n n i s H a r d v i n i, Plinii Secund. Naturalis Historial II Lipsiae, 1878, p. 552. 547, 548. დაწვრილებით იხ. Ш а м б а С. М., Гюэнос—I, Тб., 1988, с. 6, იქვე ბიბლიოგრაფია.

9. ჰერაკლეას კონცხს და შესაბამისად ამავე სახელწოდების ქალაქს ზოგიერთი მკვლევარი „ბიჭვინთის კონცხის რაიონში" ათავსებს (იხ. П о д о с и н о в А. В. Произведения Овидия как источник по истории Восточной Европы и Закавказья, М., 1985, с. 233.

С к р ж и н с к а я М. В., Северное Причерноморье в описании Плиния старшего, Киев, 1977, с. 119;. რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

10. ბ. ა. კუფტინს ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ზოსიმესთან ახ. წ. 255 წლის ამბებთან დაკავშირებით აღწერილი პიტიუნტის მძლავრი ციხესიმაგრე პტოლემეოსის დროსაც არსებობდა. პტოლემეოსის „კორაქსი" ბზიფთან გააიგივა ჯერ კიდევ მ. ივაშჩენკომ.

К у ф т и н Б., Материалы, I, Тб., 1949, с. 123; ნ. ლომოურმა გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება (იხ. ნ. ლომოური კლავდიოს პტოლემეოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1955, გვ. 53, შენიშვნა 13). თუმცა რუკაზე (გვ. 63) ბიჭვინთასთან აღნიშნულ „ძლიერ კედელთან" კითხვის ნიშანი აქვს დასმული.

11. Л о м о у р и Н. Из исторической географии древней Колхиды, с. 107, пр. 45.

ამასთან დაკავშირებით იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, გვ. 26, 27; დიდი პიტიუნტი, I, გვ. 35, 283.

12. ლ ო მ ო უ რ ი ნ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107. ჯერ კიდევ ა. ვედინსკის მიერ მითითებული კედლების ნანგრევები ბომბორის მახლობლად საკმაოდ დაშორებულია ბიჭვინთის კონცხს და ამის გამოც ძველ პიტიუნტს მას ვერ დავუკავშირებთ. კორაქსების კედლისა და საერ-

თოდ, კორაქსების (ნაწარმოებია ბერძნული „ყვავი“-დან) ტომის შესახებ დაწვრილებით იხ. И в а щ е н к о М. М., Великая абхазская стена, с. 69; В о р о н о в Ю. Н., Археологическая карта Абхазии, Сухуми. 1969, с. 75.

13. Л е к в и н а д з е В. А., По поводу римских крепостей в Восточном Причерноморье, Сообщения АН ГССР, XL: 1, 1965, с. 247—252.

В о р о н о в Ю. Н., Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979, с. 81, 82.

14. გეორგიკა 1, გვ., 267, 268. Р е м е н н и к о в А. М., Борьба племен Северного Причерноморья с Римом в античную эпоху, М., 1954. 92, 93.

15. გეორგიკა, 1, გვ. 109, 150, შენიშვნა 66.

16. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 64 გეორგიკა, 1,. გვ. 224, 11, 33, 101, 125, 136.

17. С е л е з н е в М., Руководство к познанию Кавказа, 1—111, Спб. 1850, с. 103, 193, 77, 85; М а з у р к е в и ч Н., Древнейший Пицундский православный храм на Восточном берегу Черного моря, Записки ООИД, X, Одесса, 1847, с. 3, 4.

М е л и к с е т-Б е к о в Л. М., Древнейшая Пицунда у Понта Евксинского, Записки КОИРГО, XXIX, вып. 4. Тифлис, 1916, с. 158.

К у ф т и н Б. А., Материалы к археологии Колхиды, 11, Тб., 1950, с. 158.

Л о м о у р и Н. Ю., Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, с. 106. (შემდგომში, აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის კოლონიზაციისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში ნ. ლომოურმა გაითვალისწინა ადრეანტიკური ხანის ავტორთა შრომებში პიტიუნტის მოუხსენიებლობის ფაქტი და მისი წარმოშობა აღარ დაუკავშირა ბერძნების გადმოსახლებას, იხ. მისი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 34). Ш. Д. И н а л-И п а, Абхазы с. 122.

А д ж и н д ж а л К. Э., К вопросу о проникновении христианства в Абхазию, Труды АГМ, V, Сухуми, 1980, с. 154, 155.

W. K i m m i g, Die Griechische Kolonisation im westlichen Mittelmeergebiet und Ihre Wirkung auf die bandsthatten des mestlichen Mitteleuropa, Iahbuch Des Romisch—Germanischen Zentzalmuseum. Mainz, 1980, p. 30, Abb. 3.

18. Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, с. 243; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბ., 1970, გვ. 401.

19. Б о л т у н о в а А. И. Античные города Грузии и Армении, сб. Античный город, М., 1963, с. 156, 167.

20. А п а к и д з е А. М. Результаты археологического изучения античных городов Грузии, сб. Античный город, М., 1963, с. 152.

21. გ ე ო რ გ ი კ ა, 11, გვ. 26.

22. П а ч у л и я В., Из Сочи в Сухуми, М., 1965, с. 56;

С и ч и н а в а В., Туристская Абхазия, М., 1978, с. 40;

П а ч у л и я В., Абхазия, Сухуми, 1976, с. 100; М е н ь ш и к о в В. А., П е ш к о в В. М. Берег Пицунды: факты и гипотезы, М., 1980, с. 15, 23;

Ч и к в и л а д з е П., Курорт Пицунда, Тб., 1985, с. 8.

23. М е н ь ш и к о в В. А., П е ш к о в В. М., დასახ. ნაშრომი.

24. Б а л а б а н о в И. П., К в и р к в е л и я Б. Д., О с т р о в с к и й А.Б.,Новейшая история формирования инженерно - геологических условий и долгосрочный прогноз развития береговой зоны полуострова Пицунда, Тб., 1981, с. 108—111, рис. 56.

Б а л а б а н о в И. П., Изменения волнового режима Черного моря в позднем голоцене, Известия АН ГССР (серия географическая) М., 1984, № 5, с. 77 сл.

Х а х у т а и ш в и л и Д. А., Природа и человек в приморской полосе Колхиды в античную эпоху, Кавказский ближневосточный сборник, VII, Тб., 1964, с. 150.

25. Ц е р е т е л и З. В., Ц а г а р е л и З. З. Инженерные мероприятия по защите от разлива мыса Пицунда, Тб., 1974, с. 30, 31.

Б а л а б а н о в И. П., Г а п р и н д а ш в и л и Н. В., К вопросу о местоположении древнегреческих городов Питиунт и Диоскурия (Палеографический аспект проблемы), მაცნე № 2, 1987, с. 151, 155. 2.

26. Б р у к с К., Климаты прошлого, Перевод с английского, М. 1951, с. 274.

27. Л а ш х н а Ш. В. О некоторых низменных озерах Абхазии, Труды Абхазского Г. М., II., Сух. 1957, с. 221, сл. ი. ბ ა ლ ა ბ ა ნ ო ვ ი, ბ. კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა, ა. ო ს ტ რ ო ვ ს კ ი, დასახ. ნაშრომი.

28. Д ь я ч к о в-Т а р а с о в, Гагры и их окрестности, Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, XXIV, Тифлис, 1903, с. 7 (ა. ნ. დიაჩკოვ—ტარასოვი, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის 1901 წ. დაარსებული განყოფილების მდივანი);

П а ч у л и я В., В краю золотого руна, М., 1968, с. 120.

29. Руководство к познанию Кавказа, III, СПб., 1859, с. 19; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე „დიდი პიტიუნტი“, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, გვ. 15. იქვე, ბიბლიოგრაფია.

М а р р Н. Я., Из лингвистической поездки в Абхазию (К этнологическим вопросам). Известия императорской академии наук, № 6, СПб., 1913, с. 323—324.

М е л и к с е т-б е к о в Л.М. Древнейшая Пицунда у Понта Евксинского, с. 71—73. ამავე კრებულში იხ. Р о с т о в ц е в А. А. Пицундская сосновая роща, с. 21, 27;

И н а л-И п а Ш. დასახელებული ნაშრომი, გვ. 112.

30. О т к у п щ и к о в Ю. В., Карийцы в Причерноморье (ономастика). Сб. Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, с. 74.

31. Б е р ж е А. Д. Кавказ в археологическом отношении, Записки общества любителей кавказской археологии, г. Тифлис, 1875, с. 4.

32. დიუბუა დე მონპერეს ბიჭვინთაში ყოფნის დროს, როგორც ჩანს, ნაქალაქარი რაღაც მიზეზების გამო, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, ზერელედ დაუთვალიერებია და მისი აღწერისას ინფორმატორის ცნობებს დაყრდნობია. ის წერდა: „ბევრი სახლი სანახევროდ მიწაშია და მასზე იკითხება მრავალრიცხოვანი თურქული და არაბული წარწერები. არის ბერძნული და ლათინური წარწერებიც კი, დათარიღებული 1500—და 1600 წლით“. Ф р е д е р и к Д ю б у а д е М о н п е р е, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, с. 112. Voyage, 1, p. 241.

33. Б а к р а д з е Д., Кавказ в древних памятниках христианства, Записки Общества любителей кавказской археологии, кн. 1-я. Тифлис, 1875, с. 121. დიაჩკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 597. В о р о н о в Ю. Н., В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978, с. 89. როგორც ჩანს, რუსი თუ ევროპელი მოგზაურები ხშირად ეყრდნობოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა, ფანტაზიორ მთხრობელთა მონაგონს. მაგალითად, პ. კადეჟდინი, XX საუკუნის დასაწყისისათვის პოპულარულ ნაშრომში, კავკასიის თავისებურ გზამკვლევში, ასე აღწერდა ძველ სოხუმს: „Греческий город Диоскурия, с улицами, площадями, фундаментами зданий, виден в нескольких футах глубины в порте Сухума, а в окрестностях повсюду уцелели еще остатки каналов, дорог, древних построек, и также развалины греческих памятников:“ К а д е ж д и н П. П., Кавказский край, природа и люди, Тула, 1901, с. 401). არანაკლებ ფანტასტიკური ცნობები დაიბეჭდა ჟურნალ „Русская Ривьера“-ს 1915, № 3—4, სადაც აღნიშნულია, რომ სოხუმის, ძველი დიოსკურიის შემოგარენში შემორჩენილია მითრიდატე პონტოელის დროის გალავნის კედლები, წარმართული ტაძრების ნანგრევები, რომაელი პატრიციების ვილები და სხვა. იხ. Г р а м и н о в с к и й И., Древние культуры на кавказском берегу Черного моря, ИКОИРГО, XXIII, № 3, Тифлис, 1915, с. 351—352.

შეად. Ч е р н я в с к и й В. И., Из исследований в Юго-Западном Закавказье. II. Доказательство колебаний западного побережья Кавказа в течение исторических времен: следы городов, погребенных в наносах, Известия ИРГО, XIII, 1877, с. 339—349. მისი აზრით, პიტიუნტი ზღვასა და ბზიფის ნაშრევებს უნდა დაეფარათ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობა ანაკოფიის (ახალი ათონი) შესახებ, რომელიც „აღაშენეს ბერძენთა“ და სადაც „ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე ღღესა ჩანან“. იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 169.

მსგავს ინფორმაციას არცთუ ისე იშ-

ვიათად ნახავთ XIX საუკუნის რუსულ პერიოდიკაშიც. იხ. მაგალითად, წერილი „Потонувшие города возле Сухум-Кале и Баку, Московские ведомости“, 1899, № 87.

34. Проф. Нордман А., По Закавказскому краю, Журнал министерства народного просвещения, XX, Спб., 1838, с. 416, 425.

35. დ. ბაქრაძე, რომელმაც მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ბიჭვინთის X—XI საუკუნეების ღვთისმშობლის სახელზე აგებული მონუმენტური ტაძრის ეზოში, კარგად იცნობდა ნაქალაქარის ტერიტორიასაც. მისი აღწერით (Кавказ в древних памятниках христианства. Очерки Мингрелии, Самурдзакани и Абхазии, Записки ОЛКА, I, Тифлис, 1875, с. 121): „Что касается древнего города, то он в настоящее время не существует, и даже неизвестно, когда он сошел со сцены истории. Следы этого города, имевшего окружности до 30 верст, находятся недалеко от нынешнего храма на расстоянии не более 1/4 версты“. თავად ტაძარი დაცული იყო ქალაქიდან მოტანილი ქვებით აგებული კედლით, მანვე ყურადღება მიაქცია წყალმომარაგების სისტემას, რომლის კვალი დღესაც შეიმჩნევა სოფელ ლძაამდე. მოგვიანო ხანის ზოგიერთი მკვლევარიც თვლიდა, რომ ეს ტაძრის წყალმომარაგების აღნიშნული სისტემა, რომელიც თითქოს „გარდასულ დროთა ქალაქ პიტიუსს ეკუთვნოდა“ და 15 ვერსის მანძილზე, კალდახვარიდან იყო გამოყვანილი (იხ. შენიშვნა № 40), რაც ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ძიებით არ დადასტურდა. Агрба З. В., О некоторых археологических памятниках на территории Пицундского храма X века. Известия, XII, Абияли им. Д. И. Гулия, Тб., 1985, с. 105, 108. იხ. აგრეთვე Кавказ, 1860, № 48, 49. (Кавказ в археологическом отношении).

ნაქალაქარზე, კერძოდ, კასტელუმში, აღმოჩენილია ჭები. გარდა ამისა, სავარაუდოა წყალგაყვანილობის სისტემის არსებობა, საკანალიზაციო ქსელთან ერთად. წყალგაყვანილობის მნიშვნელობის შესახებ რომაულ სამყაროში იხ. Марк Витрувий Поллион, Об архитектуре. Десять книг. Перевод с латинского. Л., 1936, с. 210—224, 245—256.

36. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie, executé en 1847—1848. St. Pet. 1851. p. 135 (მ. ბროსეს თან ახლდა არქიტექტორი ნოროვი).

37. რუსეთის V საარქეოლოგო ყრილობაზე (თბ., 1881 წ. სექტემბერი) ა. ერაწოვმა წაიკითხა ოდესის საისტორიო და სიძველის მოყვარულთა საზოგადოების ვიცეპრეზიდენტ ნ. გ. მაზურკევიჩის მოხსენება, რომელიც ეხებოდა ბიჭვინთის „ტაძრის ბედს უკანასკნელი 40 წლის მანძილზე“. საილუსტრაციო მასალად წარმოდგენილი ყოფილა აკადემიკოს ნ. ჩერენცოვისეული ჩანახატები. ამ სხდომაზევე, მოგონებებით, თუ როგორ მიმდინარეობდა ბიჭვინთის ტაძრის რესტავრაცია გამოსულა ა. ვ. კომაროვი. იხ. Труды V археологического съезда в Тифлисе, 1887, с XXXIII ოდესის აღნიშნულ საზოგადოების მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა მასალები ბიჭვინთის ტაძრის შესახებ. ლითოგრაფიები, ჩერენცოვისა და კაუფმანის გეგმები... იხ. Библиографический указатель литературы о Кубанской области, Кубанскому казачьему войску и Черноморской губернии, I, Екат. 1899. გარდა ამისა, Черноморский берег (долина Бзыби), Пицундский храм, Кавказ, 1864, № 64. Красницкий К., Освещение возобновленного из развалин древнего Пицундского храма, Кавказ, 1869, № 122, 123; Пицундский монастырь в Абхазии, Домашняя беседа, № 36, 1877; Пресвятые Богородицы монастырь на Восточном берегу Черного моря. Одесса, 1876; Географическо-статистический словарь Российской империи. СПБ. 1873, т. V, с. 124, 125. Николаев П., Забытая гавань на Черноморском побережье (Пицунда). Кавказ, 1912. № 204.

Павлинов А., Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, М. 1893. с. 74.

38. С Северо-Восточного прибрежья Черного моря, Кавказ, 1866, № 77, 80.

39. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, Путевые заметки графини Уваровой, ч. II, М., 1891, с. 130, сл.

40. Фон-Дервиз Н. В., Сухумский округ. Записки Кавказского от-

дела Императорского русского географического общества, кн. XXV, выпуск 8-й, 1906, с. 8, 9. ნ. ფონ დერვიზმა ასეთნაირად გამოხატა თავისი დამოკიდებულება სიძველეებისადმი: „Раскопок я не делал, так как не считал себя вправе и не имел к тому возможности“ (გვ. 18).

41. И с а р л о в А. С., Письма о Грузии, Тифлис, 1899, с. 58, 59, с. 392, 394, 395.

42. Б а й е р н Ф. О древнейших сооружениях на Кавказе, Сборник сведений о Кавказе, т. 1, Тифлис, 1871, с. 318. ფ. ბაიერნი ცალკე განიხილავს, ე.წ. „წმინდა ქალაქებს“. მისი სიტყვებით: „არქეოლოგმა, რომელმაც თავი უძღვნა ამიერკავკასიის მხრის შესწავლას, არ შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება ამ წმინდა ქალაქებს“. დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას 1852 წელს, ქალაქ ფოთთან მას უნახავს პალიასტომის ტბის ნაპირას მდგარი წაგრძელებული, ულრანი ტყით დაფარული გორაკი. მაშინ რიონის აუზში ბევრი ყოფილა ამ ტიპის ხელოვნური გორაკი. ფ. ბ ა ი ე რ ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 302. იხ. აგრეთვე Протоколы подготовительного комитета у археологического съезда в Тифлисе, М., 1879, с. 20. რიონის პირი და პალიასტომის მისადგომები, დიუბუას მიერ მიკელეულ ციხესთან, დაუთვალიერებია ვლ. ჩერნიავსკისაც. მისი დაკვირვების თანახმად: „Целый ряд таких укреплений есть и далее от моря“. ვლ. ჩერნიავსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 347 (Известия Императорского русского географического общества, 1877, XIII, вып. V).

43. დიდი პ ი ტ ი უ ნ ტ ი, 1, გვ. 14, 15.

44. Р о с т о в ц е в А. А., Пицундская сосновая роща. Записки Кавказского отдела Русского географического общества на XXIX, вып. 4, Тифлис, 1916, ს. 20, 21, 26, 27, 40.

45. ა. რ ო ს ტ ო ვ ც ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19 და შემდ.

46. ა. ბ ე რ ჟ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3, 4.

47. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь. С картами Абхазского побережья и части Римской империи. Составитель И. Н., М., 1899, с. 92, 93, როგორც ჩანს, ავტორი პირადად იცნობდა დ. ბაქრაძეს და დიდად აფასებდა მის ნაშრომებს; იგი განსაკუთრებით წუხდა იმაზე, რომ ამ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის წიგნი — „საქართველოს ისტორია“ არ იყო რუსულად თარგმნილი.

48. Л а т ы ш е в В. В., К истории христианства на Кавказе, Сб. арх. ст., посвященных А. А. Бобрынскому, Спб. 1911, с. 170.

49. ვლადიმერ ივანეს ძე ჩერნიავსკი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი, ტუბერკულოზით დაავადებული, მისივე ცნობით, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1867 წელს ჩამოსულა სოხუმში. Т р а п ш М. М., Археология Абхазии до 1921 г. Труды, 1 Сухуми, 1970 с. 29. გარდაიცვალა აქვე, 1915 წელს. განათლებით ზოოლოგი. იგი დაინტერესებული იყო აფხაზეთის, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის ფლორითა და ფაუნით, გეოლოგიით, არქეოლოგიითა და სხვ. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის არქეოლოგიური ყრილობების, მათ შორის თბილისში 1881 წელს გამართულ V ყრილობის მუშაობაში. დასაბეჭდად მომზადებული ჰქონია აფხაზეთის არქეოლოგიური რუკა, იხ. ი[ერონ] ნ[იკონოვის] დასახ. ნაშრომი, გვ. 251. აქტიურად თანამშრომლობდა კავკასიისა და რუსეთის ცენტრალურ პერიოდიკაში. როგორც ჩანს, იგი არაერთხელ ყოფილა ბიჭვინთაში. მისი აღწერის თანახმად: „Питиунтский Мыс богат болотами, имеет озеро; остатки великого города неизвестны, и вернее всего их искать погребенными в наносах моря и Бзыби, повернувшей теперь к северу, подобно Гумисте“. Чернявский В. И., Из исследований в Юго-Западном Закавказье, с. 347. მისივე ცნობით 1895 წელს გაუძარცვავთ, ყაჩაღებს. არქეოლოგიური კოლექციიდან წაუღიათ ძვირფასი ნივთები. ამ კოლექციიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ბრინჯაოს მოოქროული მუზარადისა და ასირიული სარდიონის ბეჭდის შესახებ (Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества, вып. IV, Тифлис, 1915, протокол №74, прил. с. 12). მ. ჩერნიავსკის სახელთანაა დაკავშირებული 1896 წელს სოხუმის ციხესთან მშენებლობის დროს აღმოჩენილი აწ დაკარგული ლათინური ლაპიდარული იმპერატორ ადრიანეს და მისი ლეგატის ფლავიუს არიანეს სამშენებლო წარწერის ფრაგ-

მენტი. გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის არქეოლოგიური კოლექცია და ბიბლიოთეკა, ამ „ბოტანიკოს-არქეოლოგს“, როგორც მას უწოდებს ვ. ტერ-ავეტისიანი, უანდერძებია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის (Известия Кавк. отд. Моск. арх. общества, V, Тифлис, 1919, с. 49, протокол №76).

კავკასიის განყოფილება ცდილობდა აღნიშნული კოლექცია და ბიბლიოთეკა, რომელსაც ვითომდა უფრო „ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა“, როგორმე თბილისში დაეტოვებინა. ამ კოლექციის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. ა. ლ. ლუკინი, პროფესიით ექიმი, აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აფხაზეთში და 30 წლის მანძილზე არქეოლოგიური ნივთების მშვენიერი კოლექცია შეაგროვა, ასე ახასიათებს ჩერნიავსკის და აფხაზეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეს: „1904 წელს, აღნიშნულის მიმართულებით მე ენახე სოხუმში სუფთა შეუსწავლელი ადგილი. უახლესი ცნობების (ე. ი. არქეოლოგიური ინფორმაციის) მატარებლად აქ იყო მხცოვანი ინტელიგენტი ე. ი. ჩერნიავსკი“, დიდი ორგინალი. არქეოლოგიური ფანტასტიკით აღსავსე და მოსახლეთა ცრურწმენებით გამსჭვალული“ (Л у к и н А. А., Археология Бзыбской Абхазии. Труды отдела истории первобытной культуры, т. 1, Ленинград, 1941, с. 19).

50. Ч е р н я в с к и й В. И., Краткий очерк Абхазии, Известия Императорского русского географического общества, вып. VI, год XIII, т. XIII, с. 427, СПБ. 1878 г., იხ. მისივე, Забытый древний путь, Черноморский вестник, Батуми, 1898, № 217. რომელშიც ბზიფის ხეობაზე გამავალი გზაც აქვს განხილული. მისივე, Соляные источники в Абхазии, Джикетии и Самурзакани, Известия КОИРГО, 1881, № 1, т. VII, с. 96—97.

51. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 66. აღნიშნული ნაშრომი გადმობეჭდილია მცირეოდენი შესწორებებით ოდესის საიმპერატორო საისტორიო და სიძველეთა საზოგადოების „ჩანაწერების“ XXXII ტომიდან, რომელიც 1914 წელს გამოიცა, გვ. 109—122. საინტერესოა ნ. მარის რეცენზია ამ ნაშრომზე, Христианский Восток, V, 1916.

52. З о т о в А., Находки в Пицундском монастыре—древнем Питиунте, Известия Кавказского отделения Императорского московского археологического общества, вып. IV, Тифлис, 1915, прил. III, с. 14—17.

53. ა. ზ ო ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16. ი ქ ვ ე, სქოლიოში ლ. ლ. ლოპატინსკი აღნიშნავს: „Эта дефектная надпись, очевидно, погребальная. Но к кому она относится, пока нельзя сказать...“ ა. ზოტოვმა თხოვნით მიმართა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, რათა მის სახელზე გაეცათ ე. წ. „ღია ფურცელი“—ბიჭვინთის სანახებში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება და ამისათვის წარმოადგინა ზემომოყვანილი ანგარიში. განყოფილებამ მას მადლობა გამოუცხადა, 1915 წლის 16 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი № 74). ჟურნალისტი ა. ზოტოვი მიღებულ იქნა საზოგადოების ნამდვილ წევრად და მის სახელზე გაიცა „ღია ფურცელი“, რომელიც მას უფლებას აძლევდა არქეოლოგიური გათხრები ჩაეტარებინა უკვე 1915 წლის ზაფხულშივე, მით უმეტეს, რომ ის საზოგადოებისაგან არავითარ სახსრებს არ თხოულობდა. ამასთან დაკავშირებით ზოტოვი წერდა: „გათხრების წარმოება ამ ადგილებში ძალზე ადვილია (რაშიც ბერებიც სიამოვნებით დაგვეხმარებიან). განსაკუთრებული თანხისა და დროის ხარჯვის გარეშეო“. არაპროფესიონალის ეს გულუბრყვილო იმედები განუხორციელებელი დარჩენილა. გათხრები აქ, როგორც ჩანს, აღარ ჩატარებულა, რადგან I მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი (დიდი პიტიუნტი I, გვ. 51), ა. ზოტოვი ავტორია ჩვენში ნაკლებად ცნობილი წერილისა—„Легенда о дольменах в Черноморской губернии“, ИКОРГО, т. XXII, № 1, Тифлис, 1915.

54. ი. ნ., დასახ. ნ ა შ რ ო მ ი, გვ. 79, 1956—1957 წწ. ბიჭვინტის ნაქალაქარიდან სამხრეთით 400—500 მ დაშორებით ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ორაფსიდიანი ეკლესია, რომელიც თავისი დაგეგმარებით ქართული ხუროთმოძღვრებისათვის საკმაოდ უჩვეულო აღმოჩნდა. ის აუგიათ V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისში, ხოლო დანგრეულა XI საუკუნის მეორე ნახევარში. ნანგრევებში აღმოჩნდა იმპერატორ ნიკიფორე III (1078—1081 წწ.) ბოტინიატის შესანიშნავად დაცუ-

ლი ოქროს 5 მონეტა. გამთხრელების აზრით, ტაძარი მარტირიონია, რომელიღაც წამებულის თუ წამებულების სახელზეა აგებული (მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ბიჭვინტის ორაფსიდიანი ეკლესია. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 111, თბ., 1963, გვ. 125—131). ტაძრების ბიჭვინთის ნაქალაქარის კედლებს გარეთ გატანა ქრისტიანული თემის გაძლიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მისი გავლენის ზრდის მაჩვენებელია. ვ. ლექვინაძე ამ ტაძარს VI საუკუნის დასასრულით ათარიღებს. იხ. Л е к в и н а д з е В.,О. О некоторых сооружениях древнего Питиунта. КСИА 113, М., 1968, с. 57.

55. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1961, გვ. 7, სურ. 14.

56. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., .ბიჭვინთის ბერძნული წარწერის გამო, კრ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 83—87; მისივე, ბიჭვინთის მოზაიკის წარწერა. დიდი პიტიუნტი, III, თბ., 1978, გვ. 218—230, სურ. 119—122. შდრ.: Л е к в и н а д з е В. О., О древнейшей базилике Питиунта и его мозаиках, ВДИ, 1970, № 2, с. 183—189.

57. Х р у ш к о в а Л., Цандрипш, Сухуми, 1986, მითითებულია C h. D e l v o y e, l'art paleochehetien de Chypre, Alhenes, 1976, p. 14.

58. ბიჭვინთის ადრექრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, მათ შორის მოზაიკა, სხვადასხვანაირად, 1V—V1 საუკუნეებით, არის დათარიღებული. ამასთან დაკავშირებით იხ. М а ц у л е в и ч Л. А., Открытие мозаичного пола в древнем Питиунте, ВДИ, № 4, 1956, მისივე, Мозаика Бичвинты-Великого Питиунта, Великий Питиунт, Ш, Тб., 1978, ;с. 100, 104, 137, 138, 160—162; Ш е р в а ш и д з е Л., Пицундская мозаика, °Великий Питиунт, III, с. 169; მისივე, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, с. 8.; А м и р а н а ш в и л и Ш. И., История грузинского искусства, М., 1962, с. 98, 99, 113. A. V o s t c h i n i n a, Mosaiques Greco-Romaines Trouvèes en Union Sovietique, La Mosaique P. 1963, pp. 321—323. აღსანიშნავია ამ სატაძრო კომპლექსის გამთხრელის ი. ციციშვილის შრომები, მისი ანგარიშები გამოქვეყნებული რუსულ და ქართულ ენებზე „დიდი პიტიუნტის" ტომებში იხ. მაგ., მისი, ბიჭვინტის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი დპ. 11, გვ. 83—90, 99—100.

უახლესი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია მ. ოდიშელის საკანდიდატო დისერტაცია „გვიანანტიკური და ადრექრისტიანული მოზაიკები საქართველოში", თბ., 1988, სადაც პიტიუნტის ქრისტიანული მოზაიკა დათარიღებულია 1V საუკუნის მეორე ნახევრითა და V საუკუნის ბოლოთი. მხედველობაშია მისაღები ადრექრისტიანული ეპოქის მოზაიკების დათარიღებაში არსებული სირთულეები. მაგალითად, სპეციალისტების აზრით, ჩრდილო აფრიკის ქრისტიანულ მოზაიკათა ქრონოლოგია ბუნდოვანი და გაურკვეველია, ისინი, ზოგადად, IV—VI საუკუნეებით თარიღდებიან. ამ მრავალრიცხოვან მასალებში, ისევე როგორც იორდანიაში გამოვლენილ პირველხარისხოვან ძეგლებში პიტიუნტის მოზაიკის ანალოგიებს ვერ მივაკვლიეთ (იხ. K a t h e r i n e M. D., D u n b a b i n, The mosaics of Roman North Africa, Studies in Jconography and Patronage, Oxford, 1978, pp. 188—195; Byzantinische Mosaiken aus Jordanien, (Katalog) Berlin, 1988, აქვე ბიბლიოგრაფია, pp. 187—193).

ასეთ'ვითარებაში ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ლ. მაცულევიჩისეული შეპირისპირება ბეთლემის, ბირ ალ-კუთის ქართული მონასტრისა და პიტიუნტის მოზაიკების გეომეტრიული შემკულობისა. აღნიშნული ქართული ტაძარი აგებულია პეტრე ქართველის მიერ V საუკუნის მეორე მეოთხედში. ამ უძველეს ქართულ წარწერაში მოხსენიებულია მოზაიკის ოსტატი „იოსია მომსხმელი ამის სეფისაი" (წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 12). ლ. მაცულევიჩის დაკეირვებით პიტიუნტის მოზაიკის მოტივები თავისებური ადრეული ვარიანტებია ბეთლემის სახეებისა. ამ გარემოებათა გათვალისწინებამ მისცა ნ. ლომოურს შესაძლებლობა დაესვა საინტერესო კითხვა—„ხომ არ არის ამ დეკორატიული მოტივის წარმოქმნის ცენტრი სწორედ დასავლეთ საქართველოში?" (ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 109).

1963 წელს ინგლისის სოფელ პინტონ სენტ მერიში აღმოჩენილ 8, 10 X 5,20

მ-ის მოზაიკაზე სხვა ადრექრისტიანულ სიმბოლიკასთან ერთად გამოხატულია ხარირმები და მოციქულები (ევანგელისტები) და ქრისტეს სახელის პირველი ორი ასო. მოზაიკა დათარიღებულია 1V საუკუნის დასაწყისით. იხ. J. M. C. Toynbee, The Christian Roman Mosaic, JRS, vol. 54, London, 1964.

59. Башкиров А. , Археологические изыскания в Абзазии летом 1925, Известия Абхазского научного общества, 1V, Сухуми, 1926, с. 3, 23,41.

60. ა. ს. ბაშკიროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39 („Между озерами Инкит и Анышхцара на узкой перемычке обнаружены руины башенного сооружения“ აღნიშნულია მის ანგარიშში).

61. გრაფინია უვაროვამ მიმოიხილა ეს ნანგრევები, რომლებსაც ის მცირე ეკლესიების ნაშთად თვლიდა. იხ. მისი, Кавказ... путевые заметки... ч. 11, М., 1891, с. 129—130, А. Л. Абхазия и в ней... с. 100.

62. ა. ს. ბაშკიროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35. აღნიშნულ ექსპედიციას კაპიტელი გადაუტანია სოხუმში, აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების მუზეუმში შესანახად. ეს ის კაპიტელი უნდა იყოს, რომელიც ამჟამად სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზშია გამოფენილი და რომელსაც შეცდომით მინიშნებული აქვს აღმოჩენის ადგილი და თარიღი „ანუხვა ძვ. წ. VI ს.“

63. Лордкипанидзе Г., Исследования в Пицунде, АО, 1980, М., 1981, с. 402—403.

Лордкипанидзе Г., Агрба З., Раскопки на территории комплекса Пицундского храма, Археологические открытия 1980 г. в Абхазии, Тб., 1982, с. 26, 31, табл. 30 –35.

64. Хрушкова Л. Г., Материалы по раннехристианскому строительству в Абхазии, Цандрипш, Сухуми, 1986. მისი რეკონსტრუქციით. აქ საქმე გვაქვს ერთნავიან ტაძართან, რომელსაც გვერდებიდან მიშენებული აქვს ორი აფსიდიანი სათავსი, გვ. 64.

65. ა. ს. ბაშკიროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40, 41.

66. იოსებ ესხაკოს ძე აძინბა (1901—1942 წწ.) აფხაზი მხარეთმცოდნე, 1924 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. შემდეგ აფხაზეთის ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგედ. ა. ს. ბაშკიროვი (1885—1963 წწ.), არქეოლოგიური კვლევის შედეგები მოახსენა შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა II საკავშირო ყრილობას ბათუმში, 1925 წ. აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოებამ, რომელმაც ცხრა წელი იარსება (1922—1931 წწ.), გამოსცა წიგნაკი „შავიზღვისპირეთის სანაპიროს II სამხარეთმცოდნეობო ყრილობა. დადგენილებები და რეზოლუციები. ბათუმი, 1926 წელი, რუსულ ენაზე, სადაც გამოქვეყნებულია ს. ჯანაშიას მიერ ამ ყრილობაზე წაკითხული მოხსენების „აფხაზური ენის ისტორიიდან“ თეზისები.

67. Адзинба И., Архитектурные памятники Абхазии, Сухуми, 1958, с. 40.

68. ა. აფაქიძე, „დიდი პიტიუნტი“. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დპ, 1, გვ. 59—61. ლორთქიფანიძე ო., ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 111, თბ., 1963, გვ. 97—106. სურ. 1.

69. დიდი პიტიუნტი, 1, გვ. 53.

70. ბერძენიშვილი ნ., აფხაზეთში (ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურიდან, 1951 წ.), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბ., 1964, გვ. 295.

# აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო ციხესიმაგრეების სისტემა და პიტიუნტი

## (ახ. წ. I-IV სს.)

კოლხეთის სანაპიროზე რომაელთა სამხედრო ნაწილები პირველად პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოჩნდნენ. ძვ. წ. 65 წელს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული პლუტარქეს „რჩეულ პარალელურ ბიოგრაფიებში", სადაც პომპეუსისადმი მიძღვნილ ნაკვეთში ვკითხულობთ: „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით", რომლითაც იგი პონტოს იცავდა (Plut. B. P. Pomp. 34). მითრიდატე VI დიოსკურიიდან, სადაც მან ძვ. წ. 66/65 წწ. ზამთარი გაატარა, ბოსფორისაკენ გაიქცა. პომპეუსს არ გაუგრძელებია მისი დევნა, რადგან არ ჰქონდა სათანადოდ უზრუნველყოფილი ზურგი. ამიტომაც ძირითადი ყურადღება რომაელებმა აქ ბოსფორის სამეფოს ბლოკადას დაუთმეს (1). სწორედ ამის გამო თქვა პომპეუსმა: მითრიდატეს ჩემზე უფრო ძლიერ მტერს აქ შიმშილს დავუტოვებო. მან ზღვაში საგუშაგო ხომალდები ჩააყენა, რათა თვალყური ედევნებინათ იმ ვაჭრებისათვის, რომელნიც ბოსფორში საქონლით დატვირთულნი მიცურავდნენ და ბრძანება გასცა, „ყოველი შეპყრობილი სიკვდილით დაესაჯათ" (Plut. Pomp. 39). საკაბოტაჟო ნაოსნობის პირობებში რომაელებს ბლოკადა სწორედ კოლხეთის ზღვისპირეთში უნდა განემკაცრებინათ, რათა ფასისის, დიოსკურიისა და „დიდი პიტიუნტის" ნავსადგურების მეშვეობით ვაჭრებს არავითარი საქონელი, მით უმეტეს, ჯარისთვის საჭირო პროვიანტი კოლხეთიდან არ გაეტანათ. შესაძლოა, ზღვისპირეთის ამ ქალაქებში რომაელთა ფლოტის გარდა, ჯარის სხვა ნაწილებიც იყო ჩაყენებული, თუმცა ამის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება. არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ან ამავე საუკუნის მესამე მეოთხედში დიოსკურიის ხორაზე მდებარე ეშერის ციხესიმაგრე აუღიათ და გაუნადგურებიათ კავკასიელ მთიელ ტომებს (2).

შესაძლოა, მოვლენათა ამ რიგს განეკუთვნება პლინიუსის მიერ (Plin. NH, VI, 15) ფიქსირებული მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც, პიტიუნტის ჰენიოხების მიერ აღება-განადგურების გარდა, კოლხეთის ქალაქ დიოსკურიადის (urbe Colchorum Dioscuriade) „გაუდაბურება"-მიტოვება (deserta). ამ დროისათვის რომაელებს კარგად უნდა ჰქონოდათ წარმოდგენილი კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების სტრატეგიული მნიშვნელობა და, ალბათ, ამიტომაც ისინი ძვ. წ. 37 წელს ჯერ ვასალურ სამეფოს „პოლემონის პონტოს" (კაპადოკიის პონტო) შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო პოლემონ II-ის სიკვდილისა და ამ უკანასკნელის სამფლობელოების ანექსიის შემდეგ, პროვინცია „პონტოდ" გადაქცევის შედეგად, ახ. წ. 63 წელს კოლხეთი იმპერიის შემადგენელ ნაწილად გახადეს (3). არ არის გამორიცხული, რომ პოლემონისა და მისი მემკვიდრეების დროს დასავლეთ საქართველოს ციხესიმაგრეებში ჩააყენეს პონტოელთა გარნიზონები, რომლე-

ბიც შემდგომ რომაელმა ლეგიონერებმა შეცვალეს. კორნელიუს ტაციტუსი (ახ. წ. I—II სს.) თავის „ისტორიაში", ანიკეტის აჯანყებასთან და 69 წლის აგვისტო-დეკემბრის ამბებთან დაკავშირებით მოგვითხრობს შემდეგს: „ძველ დიდებულ ქალაქ ტრაპეზუნტს და მის ციხიონს აქ დაბანაკებული კოჰორტა უწინ სამეფო გარნიზიონს შეადგენდა და განადგურდა. მათ ახლახან ჰქონდათ მიღებული რომის მოქალაქეობა, რომაული იარაღი და ნიშნები და, მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ რჩებოდნენ თურმე ძველებურად გაუწვრთნელ, ზარმაც და უდისციპლინო ბერძენ ჯარისკაცებად" (Tac. Hist—III, 47). შეიძლებოდა ანალოგიური სიტუაცია გვევარაუდებინა კოლხეთის ზღვისპირეთში. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია გარემოება, რომ აჯანყებულთა ბელადი, დამარცხებული და ლტოლვილი ანიკეტი, პოლემონის ფლოტის ყოფილი ნავარქი, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე თავშესაფარს პოულობს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (4), სადაც თითქოს ჯერ კიდევ არ დგანან რომაელთა ჯარები (5). ვესპასიანე სასწრაფოდ გზავნის მის შესაპყრობად ფლოტს, ლეგიონის ცალკეულ, როგორც ჩანს გაძლიერებულ ნაწილებს, გამოცდილი მხედართმთავრის, ვირდიუს გემინიუსის ხელმძღვანელობით, რომელიც შეძლებს „სედოხეზების მეფის (6) გადმობირებას და ანიკეტის ხელში ჩაგდებას". აჯანყების მსვლელობის მოცემული აღწერიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ლტოლვილი ანიკეტი თავს ტრაპეზუნტის სანახებში აფარებდეს ან სადმე სხვაგან კაპადოკიის პონტოში. წარმოუდგენელია დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების არსებობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. მართალია, არიანე აღწერს რა სანიგებს, ტრაპეზუნტელების მოსისხლე, დაუძინებელ მტერს, დასძენს, ეს ტომი: „ძველთაგანვე ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი" (PPE, II), ამასთანავე ირკვევა, რომ მათ მეფე საერთოდ არ ჰყოლიათ და რომაელები გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში აყრითაც კი ემუქრებოდნენ. ამის გამო, ვფიქრობთ. ტაციტუსთან რომელიღაც ჰენიოხურ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კოლხეთსა და ბოსფორს შორის მოსახლე დაუმორჩილებელ ტომებზეა საუბარი. სწორედ ესენი, „ჰენიოხები", ესხმოდნენ ამ დროს თავს რომაელ სამფლობელოებს; და მხოლოდ მათ შეეძლოთ „იარაღით დამუქრებოდნენ რომაელებს" (Tac. III, 48). ახ. წ. I საუკუნეში პიტიუნტიც და მისი ვრცელი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაც—„ხორა" მათი კონტროლის ქვეშ ჩანს, და ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება უშლიდა ხელს ძველად ამ „უმდიდრესი" ქალაქის ცხოვრების აღორძინებას. რომაელთა სამფლობელოების უკიდურეს ფორპოსტად ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებამდე კვლავ დიოსკურიადა—სებასტოპოლისი რჩებოდა. იმპერატორ ავგუსტეს (ძვ. წ. 27 წ.—ახ. წ. 14 წ.) დროს რომაელები ჰენიოხების მიერ აოხრებულ დიოსკურიადაში აგებენ კასტელუმს, ციხესიმაგრეს—„სებასტოპოლისს", რომელმაც შემდგომში დასაბამი მისცა ძველი ქალაქის აღორძინებას (7). მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, ნერონის (54—68 წწ.) დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა „საოკუპაციო ჯარები" იდგა (8), ამასთანავე, არ გამორიცხავენ მათ ყოფნას ქალაქ პიტიუსშიაც. ეს უკანასკნელი ახ. წ. I საუკუნეში ჯერ კიდევ „არ გამოირჩეოდა სიძლიერით" და მისი თავდაცვითი ნაგებობები ხისა და მიწაყრილისა უნდა ყოფილიყო, ისეთივე, როგორც არიანამდელი ფაზისის ციხესიმაგრე „ფრურიონი". ამ გარემოებით არის ახსნილი ის ფაქტი, რომ ძველი პიტიუნტის ტერიტორიაზე I—II საუკუნეების ციხის კვალი დანამდვილებით არსად ჩანს (8). აღნიშნული ვარაუდი დადასტურდა 1978 წელს. ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნ-

და მუხის ძელებისაგან აგებული (ახ. წ. I—II სს.)საფორტიფიკაციო ნაგებობების კვალი (9).

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ახ. წ. I საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ციხესიმაგრეები შეადგენდა ერთიან თავდაცვითი სისტემის ხაზს—თავისებურ „პონტოს ლიმესს“ (10), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძს პიტიუნტი წარმოადგენდა. როგორც დავრწმუნდებით ჩვენი ნაშრომის შესაბამისი მონაკვეთიდან, სადაც მოტანილია უახლესი არქეოლოგიური მასალა, პიტიუნტს კავკასიის ციხესიმაგრეების სისტემაში, როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს, ფორპოსტის როლი მხოლოდ ახ წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან შეეძლო შეესრულებინა. რომის იმპერია, აწესრიგებდა რა სასაზღვრო ზოლს აღმოსავლეთში, სამი ძირითადი პრინციპიდან გამოდიოდა: 1. სამხედრო უშიშროება, 2. გადასახადების სახელმწიფო სისტემის მოწესრიგება და 3. რომაული მართლმსაჯულების შემოღება, ადმინისტრაციული მართვის გაუმჯობესება აღმოსავლურ პროვინციებში (11). პართილების აქტიურობის გამო ავგუსტემ ჯარები შეიყვანა გალატიაში (ერთი ლეგიონი), სირიაში (სამი-ოთხი ლეგიონი). ამ გარნიზონებს უნდა შეეშალათ ხელი პართილებისათვის ევფრატის ფორსირებისას, რადგან სირიის უდაბნო სამხრეთი მიმართულებით ბუნებრივად უზრუნველყოფდა საზღვრების უსაფრთხოებას. აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის მოდერნიზაცია, მისი დაცვის სისტემის რეორგანიზაცია ვესპასიანეს სახელთანაა დაკავშირებული (70—79 წწ.). მის დროს სალეგიონო გარნიზონები ჩაყენებულია არმენიაში, კაპადოკიაში, კომაგენასა და ჩრდილოეთ სირიაში. ახალი ლეგიონები განლაგდა სირია-პალესტინის ხაზზე და „ბედნიერ არაბეთში“ (11). როგორც აღნიშნულია სპეციალურ გამოკვლევებში, აღმოსავლეთის საზღვრებზე განლაგებული სალეგიონო ციხესიმაგრეების ქსელი, შუალედური ფორტებითურთ, ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა ქვაფენილიანი გზებით. ამ „ლიმესმა“ (Limes—გზა) აღმოსავლეთშიც ერთიანი, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ხაზის, მაღალორგანიზებული კომუნიკაციის ხასიათი მიიღო. ამ „ლიმესის“ ციხესიმაგრეებში ჩაყენებული იყო სპეციალური სასაზღვრო ჯარების ნაწილები—„ნუმერები“ (numeri). იგი წარმოადგენდა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის ხერხემალს.

სპეციალისტების აზრით,რომაული „გარნიზონები ჩრდილო-აღმოსავლეთ შორეულ პუნქტშიც იდგნენ, რათა აქედან თვალყური ედევნებინათ დარიალისა და დარუბანდის გადასასვლელებისათვის კავკასიაში“ (12). აღმოსავლეთის პროვინციაში „ლიმესის“, სასაზღვრო ციხესიმაგრეების და მათი დამაკავშირებული ქსელის ორგანიზაციული გაფორმება ახ. წ. II ს. დასაწყისისათვის ივარაუდება. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი პიტიუნტსაც, რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტს კავკასიაში. ცხადია, აქედან მოყოლებული, პიტიუნტი რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების ციხესიმაგრეების სისტემის შემადგენელი ნაწილი ხდება. ის უკვე არ არის ლოკალური დანიშნულების, აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთის რიგითი სიმაგრე II საუკუნის ბოლოდან, როგორც ეს არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, ის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და ნავსადგური ხდება. როგორც ცნობილია, რომის იმპერიას გარს ერტყა სასაზღვრო ციხესიმაგრეების ქსელი, კარგად მოფიქრებული თავდაცვისა და თავდასხმის სისტემა. ასევე იყო რეინის გაყოლებაზე, ე. წ. „ქვემოგერმანული ლიმესი“, დუნაიზე, ჩრდილოეთ აფრიკასა თუ ინგლისში, სადაც რომაელებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, ათასობით ლე-

გიონერი და დამხმარე ნაწილები ჰყავდათ თავმოყრილი (13). როგორც დავრწმუნდებით, საგრძნობლად ნაკლები ჯარები, მათი ცალკეული ვექსილაციები—ქვედანაყოფები მდგარან საქართველოს ზღვისპირეთში: აფსარში, ფასისში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში, რაც, ვფიქრობთ, რომაელების განსხვავებული სამხედრო და დიპლომატიური ამოცანების მაჩვენებელია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიულ კოლხეთში. ყველგან, იმპერიის სასაზღვრო ზოლში ახ. წ. I—IV საუკუნეებში ისინი აშენებდნენ „კასტრა-კასტელუმებს", ტიპურ, გეგმაში ოთხკუთხა გამაგრებულ ბანაკებს. ლეგიონის ბაზებს შორის, გარკვეულ ხაზზე და გარკვეულ მანძილზე იდგა 500—1000-კაციანი გარნიზონები, ცალკეული „კოჰორტები" და „ალები", ქვეითები თუ კავალერიის ნაწილები, რომელთაც არ უნდა დაეშვათ „ბარბაროსების" მოულოდნელი შემოჭრა იმპერიის საზღვრებში. მათ თავად ლეგიონერები აგებდნენ, იყენებდნენ რა განსაკუთრებით მძიმე და დამამცირებელ სამუშაოებზე მონებსა და დაქირავებულ აბორიგენებს. ასეთი ბანაკის, სამხედრო ბაზის ფართობი, ჩაყენებული ციხიონის რიცხვიდან გამომდინარე, მერყეობდა 1.5-დან 3.5 ჰექტრამდე (14). ასევე ტიპური იყო შტაბის, ყაზარმების, სახელოსნოების, საწყობების, აბანოთა შენობები, რაც ერთი შეხედვით აადვილებს პიტიუნტში გამოვლენილ ნაგებობათა იდენტიფიკაციას. ისინი ასევე ტიპური პროექტითა და წინასწარ განსაზღვრული სახსრებითა და გეგმით შენდებოდა. რომაულ კასტელუმებს, როგორც წესი, ჰქონდა ოთხი, კოშკებით გამაგრებული კარიბჭე, რომლებზედაც გადიოდა ბანაკის ორი, ცენტრში ურთიერთგადამკვეთი ქუჩა. ამ გზათა ღერძების გადაკვეთის ადგილას იდგა სამხედრო ბანაკის ცენტრალური ნაგებობა „პრეტორია" (pretorium), მეთაურის სახლი და „პრინციპია" (principia), შენაერთის შტაბი. აქვე იყო ცენტრალური მოედანი—„ფორუმი", ანუ „პრინციპიუმი". მთელ ბანაკს გარშემო უვლიდა ფართო გზა, რომელიც უზრუნველყოფდა განგაშის დროს ბარაკების ტიპის ყაზარმებიდან წამოშლილი ლეგიონერების დროულ ოპერატიულ განლაგებას გალავნის საბრძოლო მოედნებზე თუ სხვა წინასწარ დათქმულ ადგილებში (15). „პრინციპიაში" კანცელარიასა და მისაღებთან ერთად, როგორც წესი, ეწყობოდა იმპერატორის კულტთან დაკავშირებული ტაძარი, ბანაკის წმინდა ალაგი, სადაც სპეციალურ სათავსოში ინახებოდა ლეგიონის ამა თუ იმ ვექსილაციის რელიქვიები, საბრძოლო დროშები და ნიშნები. შტაბისა და მეთაურის სახლის გარშემო განლაგებული იყო „ტრიბუნების" ოფიცერთა საკრებულო, ლაზარეთი, სავაჭრო რიგები, საპყრობილე, იარაღისა და სურსათის საწყობები, მოშორებით—სამზარეულო, ბეღელთან ერთად. ბანაკი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სასმელი წყლით, მკაცრად იცავდნენ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს ჭების, გამდინარე წყაროების, კანალიზაციებისა და საპირფარეშოების ქსელის მეშვეობით. გალავნის კედლებთან განლაგებულია წაგრძელებული, ოთხკუთხა ქვის საძირკვლიანი ხის ბარაკები, ყაზარმები (ჯარისკაცების საცხოვრებელი), თავლები, სახელოსნოები. სამხედრო დისციპლინის დაცვას ბანაკში დიდი ყურადღება ექცეოდა. ახალწვეულნი, რომელთა შორის ბევრი ჩანს წერა-კითხვის მცოდნე, ბანაკში იღებდნენ სამხედრო ფიცს, რის შემდეგაც მათ ცენტურიაში (ასეული) განაწესებდნენ. ცენტურიონის (ასისთავი) მეთვალყურეობით რეკრუტი, თეორიის გარდა, სწავლობდა მწყობრში სიარულს, შურდულისა და შუბისპირების ტყორცნას, ცურვას, ცხენოსნობას, ხელჩართულ ბრძოლას, დაბრკოლებათა გადალახვას; სამხედრო საქმეში ავარჯიშებდნენ დღეში ორჯერ. თვეში სამჯერ სრული (ჯარისკაცული) აღჭურვილობით ატარებდნენ 30 კმ-იან ლაშქრობას. ასეთივე შიდაგანაწესი უნდა ჰქონოდა პიტიუნტის ციხიონს II—IV საუკუნეებში. კარისკაცებს ჰქონდათ თავისუფალი

დროც, როდესაც შეეძლოთ მოენახულებინათ ციხესიმაგრის გარეთ, დასახლებაში (canabe) მცხოვრები ნაცნობ-მეგობრები, ოფიციალური თუ არაოფიციალური ცოლ-შვილი, აღენიშნათ დღესასწაულები. ჩვეულებრივ, ციხესიმაგრის კედლებს გარეთ ეწყობოდა ამფითეატრებიც (თეატრონები), ძირითადად, როგორც ვარაუდობენ, გლადიატორთა და ცხოველებთან ბრძოლის წარმოდგენისათვის.

ყოველ საღამოს, მზის ჩასვლისას, საყვირის ხმაზე, ლეგიონერები ეწყობოდნენ ხაზზე, ცენტურიონები ამოწმებდნენ ჯარისკაცების ბანაკში გამოცხადებას და ნიშნავდნენ ღამის გუშაგებს (15). სტანდარტულია, უნიფიცირებულ ლეგიონერთა შეიარაღება, აღჭურვილობა; ჯარისკაცებს ჰქონდათ მძიმე საჭურველი, რკინის ან ბრინჯაოს მუზარადი, ლოყის საცავი ფირფიტებით, სახის დიდი ნაწილის დასაცავად. ტანზე ეცვათ მუხლებამდე სიგრძის, ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი ჯავშნიანი მძიმე ჯაჭვის პერანგი (12—15 კგ წონისა), ფარები „მართკუთხედის მოყვანილობისა, ფერადი (ჯარის ნაწილების გასარჩევად), ცენტრში სქელი ბრინჯაოს ფურცლით (უმბონი) დაფარული (7 კგ-მდე წონისა). შუბები, „პილუმის", სარტყორცნი ტიპისა იყო, რომლის ლითონის ნაწილები 65, 75 სმ აღწევდა. ხელჩართული ბრძოლისათვის გამოიყენებოდა რომაული ორლესული, რომბულწვერიანი, ფართოტანიანი მახვილი, რომლის პირი 44—55 სმ შორის მერყეობდა (წონა 1 კგ-მდე). მისი ქარქაში ტყავგადაკრული, ლითონით მოჭედილი ხისაა. ლეგიონერებს ის მარცხენა თეძოზე ეკიდათ, ბალთებითა და აბზინდებით შემკულ სარტყელზე, ზოგჯერ კი პორტუპეის მეშვეობით, მხარზე გადაკიდებულს ატარებდნენ. ფეხზე ეცვათ, ე. წ. „სამხედრო სანდლები" (caligae), რომელთა სქელი ლანჩები რკინის თავგამოყვანილი ლურსმნებით იყო მოჭედილი, 1 კგ წონისა. ამნაირად უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი პიტიუნტის კასტელუმის ლეგიონერებიც. არქეოლოგიური გათხრებისას რომაულ ბანაკებში აღმოჩენილია შუბისა და ისრის პირები, რაც სპეციალისტების აზრით, არმიაში ამ სახეობის იარაღის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.

ლეგიონერთა წახალისებისათვის შექმნილი იყო სპეციალური ნიშნებით, მათ შორის, საპატიო საბრძოლო იარაღით დაჯილდოების მთელი სისტემა, ფულით დასაჩუქრება და სხვ. ერთი ასეთი IV საუკუნის ვერცხლის სამკლაური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით ბიჭვინთის სამაროვანზეცაა აღმოჩენილი.

ავგუსტეს მმართველობის ბოლო პერიოდისათვის ლეგიონერის ხელფასმა 225 დენარს მიაღწია (ცენტურიონი ჯარისკაცთან შედარებით ხუთჯერ მეტ ჯამაგირს ღებულობდა), მომდევნო, იმპერატორების ხანაში, ინფლაციის გამო მათი ხელფასი 500 დენარამდე გაიზარდა. ყოველ კოჰორტას თავისი თავისებური შემნახველი თუ თვითდამზღვევი სალარო ჰქონდა, სადაც ლეგიონერს შეეძლო დანაზოგისათვის თავი მოეყარა.

რომაული სამხედრო ბანაკების გათხრებისას აღმოჩენილი მონეტები და განძები, ისევე როგორც პიტიუნტში, ჩვეულებრივ, ლეგიონერთა ყოველდღიურ საქმიანობასთან, ჯარისკაცულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. დამხმარე პროვინციული ჯარი (auxilia) თითქმის სამჯერ ნაკლებ ხელფასს ღებულობდა, რასაც არ შეიძლება არ ემოქმედა მის ბრძოლისუნარიანობაზე. ისინი იყოფოდნენ ქვეით ნაწილებად—კოჰორტებად, რომელშიც 500 ან მეტი ჯარისკაცი ირიცხებოდა და კავალერიად, ცხენოსანთა რაზმებად (ala), ფრთეულად (ასევე 500 და 1000-კაციანი შენაერთი). არსებობდა ისეთი დამხმარე ქვედანაყოფები—კოჰორტებიც, სადაც მებრძოლთა 1/4 ცხენოსანი იყო, დანარჩენი კი ქვეითი. ეს დამხმარე ნაწილები,



სურ. 9. ბერძნული დაპინტი და გრაფიტო ბიჭვინთის ნაქალაქარიდან, III–VI საუკუნეები

რომლებსაც რომაელი ოფიცრები წვრთნიდნენ, იარაღის სახეობითაც და ეთნიკური შემადგენლობითაც საკმაოდ ჭრელი იყო. 25 წლის კარგი სამსახურისათვის ისინი ზოგჯერ რომის მოქალაქეობასა და მიწის ნაკვეთს ღებულობდნენ. ხშირად სამხედრო ბანაკის შემოგარენში (16). ამ მხრივ ისინი ლეგიონერებს უთანაბრდებოდნენ. ასეთ პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა ახალი საიმპერატორო დინასტიის

სევერების დროიდან, ახ. წ. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში. ჯარისკაცებს არა მარტო მიწის დამუშავების უფლება მისცეს, არამედ დააკანონეს მათი შერეული ქორწინება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. III საუკუნის რომაული სამხედრო ბანაკები მიწათმოქმედთა დასახლებებად იქცნენ. ასეთი პროცესები, უდავოდ, პიტიუნტშიც მიმდინარეობდა.

ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისციხესიმაგრეებში, მათ შორის, პიტიუნტში დაბანაკებული რომაელი ჯარის ნაწილების ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის შესახებ. თუ ბიჭვინთაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი გრაფიტოთი და დიპინტებით (სურ. 9) ძირითადად კერამიკაზე ამოკაწრული და საღებავით დატანილი წარწერებით ვიმსჯელებთ, ახ. წ. II—VI საუკუნეებში აქ დაბანაკებულ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი მაინც ბერძნულენოვან ეთნოსს უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლოა, XII და XV ლეგიონების ჯარისკაცები III—IV საუკუნეებში პროვინცია კაპადოკიის, მათ შორის საქართველოს ზღვისპირა ქალაქების, ელინური და ელინიზებული მოსახლეობის წრიდან იყო გაწვეული სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

არის ცნობები, რომლის თანახმადაც შორეულ სასაზღვრო ციხესიმაგრეებში ყველაზე უფრო არასაიმედო, მეამბოხე ჯარის ნაწილებს აყენებდნენ ხოლმე. გასარკვევია, ისინი რეგულარული ჯარების, ლეგიონების ვექსილაციებს წარმოადგენენ თუ აფსარუნტში, ფასისში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში, მხოლოდ პროვინციული ჯარის დამხმარე, სასაზღვრო ნაწილები იდგა. ასევე დასადგენია აქ თავმოყრილი ჯარის ნაწილების, ჯარისკაცების საერთო რაოდენობა. ახ. წ. I საუკუნისათვის ეს გარნიზონები არ ჩანს მრავალრიცხოვანი. იოსებ ფლავიოსი (Ios Fl. Bell. jud, II, 367) ახ. წ. 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით ბოსფორის მეფეს—აგრიპას ათქმევინებდა: პონტოსპირეთში და მეოტიდის (აზოვის ზღვა) გარშემო მცხოვრები ტომები—„ჰენიოხები, კოლხები, ბოსფორელები და ტავრები, რომლებიც წინათ საკუთარ ბატონს არ სცნობდნენ, ახლა სამი ათასი ჰოპლიტის ხელით არიან დამორჩილებულნი და ორმოცი გრძელი ხომალდი იცავს მშვიდობიანობას უსხიან ზღვაზე, რომელიც წინათ (მეკობრეობის გამო. ავტ.) არასანაოსნო იყოო“ (17). აქედან კარგად ჩანს, ნერონის ეპოქაში და ვესპასიანეს მმართველობის დასაწყისისათვის კოლხეთსა, პონტოსა და ბოსფორში ნახევარი ლეგიონი—3.000 მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი და რომაელთა ფლოტი (რომელიც, ჩვეულებრივ, დამხმარე ძალად ითვლებოდა) იცავდა იმპერიის ინტერესებს. მ. მაქსიმოვა ამ 3.000 კაცს ფლოტის ეკიპაჟადაც კი თვლიდა (18). გ. ცვეტაევას ვარაუდით, ეს ძალა მთლიანად კონცენტრირებულია ბოსფორმეოტიდაში (19), ხოლო ვ. ლექვინაძის აზრით, ტრაპეზუნტში (20). ვფიქრობთ, უკვე ახ. წ. I საუკუნის ბოლო მეოთხედში რომაელთა ეს არცთუ მნიშვნელოვანი სამხედრო ქვედანაყოფების ცალკეული ვექსილაციები განლაგებულ-დანაწილებულია კოლხეთის სანაპირო ზოლის სტრატეგიულ პუნქტებშიც აფსაროს—აფსარუნტიდან სებასტოპოლისის ჩათვლით, რომელიც ამ დროს რომაელთა მმართველობის ფორპოსტია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ეს ფუნქცია მოგვიანებით, კერძოდ, ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან პიტიუს—პიტიუნტზე გადადის... ვფიქრობთ, ამ შედარებით მცირერიცხოვანი ძალებით მხოლოდ ნავსადგურებში ხომალდების უსაფრთხო დგომის უზრუნველყოფა თუ მოხერხდებოდა და არა დაპყრობითი ომის წარმოება.

ტრაპეზუნტი, ახალი პროვინციის დედაქალაქი, თავისთავად მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრს და ლეგიონის სადგომ სამხედრო ბანაკს წარმო-

ადგენდა. აქ იყო რომაელთა შავი ზღვის ფლოტის ბაზაც. ანიკეტის აჯანყების შემდეგ, როგორც ეს არქეოლოგიური მასალით დასტურდება, აქ XII და XV ლეგიონის ცალკეული ვექსილაციებიც დაბანაკებულან (21). ეს ლეგიონები, XII Fulminata (ელვისებური) და XV Apollinaris (აპოლონისეული), ახ. წ. 74 წელს ვესპასიანემ შეიყვანა კაპადოკიაში პართიასთან ურთიერთობის გართულებისა და ალანთა აქტიურობის გამო (22). აჭარაში, ციხისძირთან (ისტორიული პეტრა?) აღმოჩენილია აგური, ლათინური დამღით VEXFA (23), რომელსაც ასეთნაირად შიფრავენ: 1. ე. ლექვინაძე: vex. (Illationes Legionum XII] F (ulminatae) et XV A (polinaris), რაც მოწმობს XII და XV ლეგიონების ერთობლივ სამშენებლო საქმიანობას. 2. მ. სპაიდელი: Vex (Ilatio) Fa (Siana). ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ ფასისის გარნიზონის ჯარისკაცების მიერ რაღაც გარკვეული სამხედრო საინჟინრო სამუშაოების ჩატარებაზე პეტრაში, რომელიც, მ. სპედელისვე სიტყვებით, აფსაროსის ავანპოსტი უფრო შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე ფასისზე დამოკიდებული გამაგრება (24).

მიუხედავად ამისა, მ. შპაიდელი შესაძლებლად თვლის ფასისის გარნიზონის სახელოსნოების მიერ სამშენებლო მასალის დამზადებას სხვა ციხესიმაგრეების საჭიროებისათვის, ამ ტვიფრის ასეთნაირი გაშიფრვა მ. შპაიდელს აძლევს საშუალებას ივარაუდოს—ფასისის ციხესიმაგრე ააგეს კაპადოკიის „pedites singularis"-ებმა, ანუ სპეციალურმა სამშენებლო ნაწილებმა (25). შეიძლებოდა ამ ვარაუდის გაზიარება, მაგრამ ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი აგურები მიუთითებს სწორედ ლეგიონების ცალკეული სამხედრო ნაწილების ვექსილაციების ტრადიციულ სამშენებლო (26) მოღვაწეობაზე. გარდა ამისა, ვაჰარშაპატში (ეჩმიაძინი) აღმოჩენილი II საუკუნის ლათინური წარწერა სწორედ ამ ორი ლეგიონის ვექსილაციების სამშენებლო მოღვაწეობას გვაცნობს სომხეთის დედაქალაქშიც. ამ ნაწილებს ტრიბუნი ხელმძღვანელობდა და იერარქიულად კაპადოკიის ლეგატს ემორჩილებოდა (27). უახლესი არქეოლოგიური მასალები პიტიუნტის გათხრებიდან, კერძოდ, ლათინურდამღიანი კერამიკული ფილებისა თუ კრამიტების ფრაგმენტები (სურ. 10,1, 2) დოკუმენტურად ამტკიცებს II საუკუნის ბოლოსა და III ს. დასაწყისში მეთხუთმეტე ლეგიონის XV LEG (ion) A (polinaris) უტყუარ სამშენებლო მოღვაწეობას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (28). არ არის გამორიცხული ამ ლეგიონების ცალკეული ვექსილაციების ხანგრძლივი დროით დგომა კოლხეთის ზღვისპირეთის სტრატეგიულ პუნქტებში, ისევე, როგორც დამხმარე ჯარების ცალკეული ქვედანაყოფების მონაწილეობა კავკასიის საზღვრების დაცვაში (29).

რომაელები, ჯერ კიდევ პომპეუსის ლაშქრობიდან მოყოლებული, ასევე იმპერატორ ვესპასიანეს დროიდან, განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ ქართლის (იბერიის) სამეფოს მიმართ (30). როგორც ეს საქართველოს ძველ დედაქალაქში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოჩენილი ახ. წ. 75 წლით დათარიღებული ბერძნული ლაპიდარული სამშენებლო წარწერიდან ირკვევა, რომაელებს როგორც მოკავშირეებს, აქ მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ხასიათის სამშენებლო სამუშაოებიც ჩაუტარებიათ.

წარწერა გვაცნობს: ... „იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის-ძეს კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და (იბერ) ხალხს ეს კედლები განუმტკიცესო (31). წარწერა, რომელსაც პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათი აქვს, დედაქალაქის კარიბჭესთან, გამოსაჩენ ადგილას უნდა ყოფილიყო ჩადუღაბებულ-ჩასმული გალავნის კედელში (31). ზოგიერთი მკვლევარი



სურ. 10. 1. კრამიტის ფრაგმენტები XV ლეგიონის დამღით. II საუკუნის მეორე ნახევარი, III საუკუნის დასაწყისი. 2. აგურის ფრაგმენტი წარწერით მე-18 კოშკიდან. IV-VI საუკუნეები.

არ გამორიცხავს XII ლეგიონის ცალკეული შენაერთების მცხეთაში დაბანაკებასაც კი (32), რასაც, მაგალითად, არ იზიარებს გ. მელიქიშვილი. მისი ვარაუდით, შესაძლოა, რომაელების ჯარის, XII ლეგიონის ცალკეული შენაერთების მონაწილეობა ალბანელების წინააღმდეგ ბრძოლებში იბერიის მხარეზე (33). მართალია,

მცხეთაში არ არის ნაპოვნი ლეგიონერების ტვიფრიანი აგურ-კრამიტები (34), მაგრამ მაინც არ შეიძლება ზემოთ მოყვანილი წარწერიდან გამომდინარე, რომაელების, კერძოდ, არქიტექტორებისა და სამხედრო ინჟინრების მონაწილეობის გამორიცხვა მცხეთის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეში. ახ. წ. I საუკუნეში ვრცელდებოდა საქართველოში მანამდე უცნობი, ახალი სამშენებლო მასალები (კირხსნარი, გამომწვარი აგური) და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ახალი სამშენებლო ტექნიკა, რამაც, ისევე როგორც ყველგან, დიდი გარდატეხა გამოიწვია სამშენებლო ხელოვნებასა თუ სამშენებლო ორგანიზაციაში, დააჩქარა და შედარებით გააიაფა მშენებლობა.

ა. აფაქიძის დაკვირვებით, სიტყვაძვირ მემატიანეებს საგანგებოდ აღუნიშნავთ ეს ფაქტი „ქართლის ცხოვრებაში"; თუმცა უნებლიედ ანაქრონიზმიც დაუშვიათ, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, არდამ ერისთავის დროისთვის გადაუტანიათ ეს ამბავი: „მოზღუდა მცხეთა-ქალაქი ქვითკირითა. აქომამდე არ იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა და ამის გამო დაისწავლეს ქვითკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირ-ზღუდე ციხესა არმაზისა" (ქ. ც., I გვ. 15). ამ დროიდან, ახ. წ. I საუკუნეში ვრცელდება საქართველოში გამომწვარი აგური და სხვადასხვა, სამშენებლო დანიშნულების კერამიკული ფილები. სწორედ ამ ახალი სამშენებლო ტექნიკითა და მასალებით ააგეს რომაელებმა ციხესიმაგრეები დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში: აფსარუნტში, ფასისში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში. იმპერატორ ადრიანეს დავალებით, აღნიშნული ციხესიმაგრეები, გამაგრებული სამხედრო ბანაკები საგანგებოდ მოინახულა და მათი საბრძოლო მზადყოფნა, თავდაცვისუნარიანობა შეამოწმა კაპადოკიის ლეგატმა (ახ. წ. 131—137 წწ.), პროვინციის მმართველმა ფლავიუს არიანემ. ბიზანტიური საისტორიო ტრადიციით (Joan Lydus, De Magistr., III, 53), მას თითქოს იბერია, კერძოდ, დარიალი—„ალანთა", ანუ ოვსთა კარიც მოუნახულებია (35). არიანემ, თითქოს, შესძლო კიდეც მოეგერიებინა 134 წელს ალანთა თავდასხმა კაპადოკიაზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები აქვს დაცული დიონ კასიუსს. ფარსმან იბერთა მეფის შემწეობითა თუ წაქეზებით ალანები მართლაც შესევიან ალბანეთს, სომხეთს, კაპადოკიას, შემდეგ ალანები, „კაპადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს მიერ შეშინებულები", საომარ მოქმედებას წყვეტენ (Dion Cas, LxIx-15, 1).

ამგვარად, ცხადია, ფლავიუს არიანეს (36) თავისი საინსპექციო მოგზაურობისას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კონკრეტული ამოცანა ამოძრავებდა: მას უნდა შეემოწმებინა იმ ციხესიმაგრეთა მზადყოფნა, რომლებსაც არ უნდა დაეშვა ალანთა მოულოდნელი შემოჭრა წინა აზიის რომაულ სამფლობელოებში „მეოტიდა-კოლხეთის" გზით. როგორც ცნობილია, თავისი ამ საინსპექციო შემოვლის შედეგები მან დაწვრილებით გააცნო იმპერატორ ადრიანეს სპეციალურ მოხსენებით ბარათებში, რომლებშიც აირეკლა რომაელთა პოლიტიკაც „ბარბაროსულ" სამყაროსთან დამოკიდებულებაში, ამ შემთხვევაში, მკვიდრ ქართველურ-აფხაზურ მოსახლეობასთან დაკავშირებით. თავად ტრაპეზუნტში, რომელსაც პლინიუსის დროს თავისუფალი ქალაქის („Trapezus Liberum") სტატუსი ჰქონდა (Plin. VI, 11), არიანემ აღნიშნა „ბარბაროსების" დიდი ზეგავლენა ამ „ელინეურ" ქალაქზე (Arr. PPE, 1), მით უფრო საგრძნობი უნდა ყოფილიყო ეს გავლენა აფსარუნტში, ასევე ტრადიციულ კოლხურ ქალაქში (37), რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.

აფსარუნტში მდგარა რომაელთა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი—„ხუთი სპე-

ირა" (πέντε σπεῖραι), რომელსაც ტრადიციულად ხუთ კოჰორტად, ანუ ნახევარ ლეგიონად თარგმნიან ხოლმე (38). ეს იმდენად სერიოზული სამხედრო ძალაა, რომ „სპეირას" კოჰორტად გამაზრებელი მ. შპაიდელიც იძულებულია აღნიშნოს, „აფსაროსში ხუთი კოჰორტის დგომა გაოცებას იწვევს", ხუთი კოჰორტის შემცველი გარნიზონი ყოველი ციხესიმაგრისათვის განსაკუთრებით დიდად უნდა ჩაითვალოს (39). ახ. წ. II საუკუნეში არიანეს დროს რომაული ლეგიონის ძირითად ტაქტიკურ ერთეულს კოჰორტა (600 კაცი) წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, სამ მანიპულად, თითოეული მანიპულა 2 ცენტურიად (ასეულად) და ეს უკანასკნელი კი შესაბამისად ათეულებად (დეკა) იყოფოდა. არიანე რომაული არმიისათვის ქვედანაყოფების, საყოველთაოდ მიღებულ ტრადიციულ სახელწოდებებს, რატომღაც არ იძლევა. ის მათი განსაზღვრისას იყენებს ბერძნულ ტერმინოლოგიას. ჩვენამდე მოუღწეველ ლათინურ წერილებში, ალბათ, ამ სამხედრო შენაერთებს თავისი ლათინური შესატყვისები ჰქონდა. ეფიქრობთ, რომ „სპეირა" აქ ლათინური „მანიპულას" პირდაპირი თარგმანია და კოჰორტის 1/3, 150—200-კაციან რაზმს უდრის; რადგან თეორიულად 5 სპეირა კოჰორტანახევარია, ის მაქსიმუმ, ცხრაას კაცს შეიძლება ითვლიდეს (ამ დროს არსებობდა 500-კაციანი და უფრო ნაკლები კოჰორტებიც, 150—180-კაციანი მანიპულები და შესაბამისად 80-კაციანი ცენტურიები).

აფსაროსის ციხესიმაგრე გასაოცრად კარგადაა შემონახული. გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო პერიოდი, კოშკ-გალავანს ეტყობა მრავალი შეკეთება-გადაკეთების კვალი. მიუხედავად ამისა, რომაული II საუკუნის კასტელუმის ძირითადმა (195 მ X 245 მ—4,7 ჰა-ს) ღერძებმა ჩვენამდე უცვლელად მოაღწია (40). რომაული სტანდარტებიდან გამომდინარე, აფსარუნტი საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს; როგორც წესი, მათ წინასწარვე განსაზღვრული კონტიგენტი —კოჰორტა და მის გასაძლიერებლად შემოყვანილი შეზღუდული ნაწილები შეეძლო დაეტია. არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფოს დასუსტების შემდეგ, XVII საუკუნის აფსარუნტ-გონიოს ციხეში თურქების 800-კაციანი გარნიზონი იდგა. ევლია ჩელების აღწერით, რადგან ეს სიმაგრე „სამეგრელოს მისადგომებზეა და (სახელმწიფო) ფარგლების დასასრულია, ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს" (41). სავსებით სამართლიანად ანალოგიურ ფუნქციას ანიჭებს აფსაროსს მ. შპაიდელი ახ. წ. II საუკუნეშიც, თუმცა ის არ იცნობს სახელგანთქმული თურქი მოგზაურის აღნიშნულ ცნობას. მისი მოსაზრების თანახმად, ალანთა წინააღმდეგ კაპადოკია-არმენიაში 134—135 წლების კომპანიის დროს თავმოყრილ რომაულ ჯარებში არ ყოფილა წარმოდგენილი კლაუდიუსის სახელობის II კოჰორტა, რომლის ყოფნა აფსარუნტში დოკუმენტურად არის დაფიქსირებული (42). ეს მართლაც დამაფიქრებელი ფაქტია, რადგან ამ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად მობილიზებული ყოფილა კაპადოკიის მთელი არმია, დამხმარე ჯარის ნაწილები ტრაპეზუნტიდან, რიზედან და კოლხეთის სხვა ზღვისპირა პუნქტებიდან. მათ შორის არ ჩანან აფსარლები. არიანეს მართლაც არ უნდოდა ან არ შეეძლო აფსაროსის გარნიზონის შესუსტება, იბერიის საზღვრის დაუცველად დატოვება.

ფაიუმში აღმოჩენილ ამ II საუკუნით დათარიღებულ პაპირუსის ფრაგმენტზე (აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში) მოხსენიებულია იქ მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. ფრაგმენტიდან ირკვევა: „აფსაროსში, ისევე როგორც ფასისში (რაზეც ჩვენ არიანეს ცნობა მოგვეპოვება), ვეტერანები დასახლდნენ ქალაქში და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას" (43).

არიანეს „სპეირას“, ერთი მხრივ, კოჰორტასთან, ხოლო, მეორე მხრივ, რომის არმიის დამხმარე ნაწილ—„ნუმერთან“ (numerus) აიგივებენ. ორივე შემთხვევაში, ჩვენგან განსხვავებით, დამხმარე ჯარის ცალკე ნაწილად თვლის მ. სპეიდელი. იმპერატორ ნერონისდროინდელ იტალიაში ქალაქ ნულთან აღმოჩენილ ერთ-ერთ ლათინურ წარწერაში მოხსენიებულია მარციუს პლეტორიუს ცელერი, პონტოს აფსაროსში დაბინავებული დამხმარე სასაზღვრო რაზმების (numerorum) უფროსი (Praepositus). მიუხედავად ამისა, არ უნდა გამოირიცხოს აფსარუნტში რომაელი ლეგიონების ცალკეული ვექსილაციების დგომის საკითხიც. მით უმეტეს, რომ სტრატეგიულად ის მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა კავკასია-პონტოს ლიმესის, სასაზღვრო ციხესიმაგრეების სისტემაში.

აფსარუნტის გარნიზონის ჯარისკაცები (στρατία) დაბანაკებული იყვნენ ციხესიმაგრეში, რომლის დამცველი გალავნის კედელი ( τεῖχος ) და თხრილი (τάφρον) არიანემ საგანგებოდ დაათვალიერა. მან მოინახულა ავადმყოფები, ლაზარეთი, ნახა იარაღის (ὅπλα) საწყობები. თავად დაურიგა ხელფასი ჯარისკაცებს და, რაც მთავარია, მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა გარნიზონისათვის პურის მარაგის შევსება (Arr. PPE, 6). როგორც ჩანს, ადგილობრივი მკვიდრი მიწათმოქმედი მოსახლეობისაგან მისი შესყიდვის გზით. ამგვარად, მოტანილი წყარო გვიჩვენებს გარკვეულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის არსებობას გარნიზონსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რაც ნუმიზმატიკური მასალებითაც კარგად დასტურდება. ჯარისკაცების ჯამაგირის ნაწილი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეძენას ხმარდებოდა ადგილობრივ ბაზარზე. ამ გზით ვრცელდებოდა რომაული ვერცხლის მონეტები ადგილობრივ მოსახლეობაში. 1000-კაციანი გარნიზონისათვის პურის მარაგის დამზადება მნიშვნელოვანი სავაჭრო-საფინანსო ოპერაცია უნდა ყოფილიყო.

გონიო აფსარუნტთან შვეიცარიელმა არქეოლოგმა და მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ დააკავშირა. ამ ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თაოსნობით, რომელიც რამდენიმე კამპანიის შემდეგ შეწყდა (44). გონიოს ციხესიმაგრის ჩრდილოეთით გამოვლენილ იქნა ქალაქის უბანი, ხოლო კასტელუმიდან 0,5 კმ დაშორებით—მისი თანადროული სამაროვანი; გამოიყო კასტელუმის მშენებლობის ორი ეტაპი, რომლებმაც დაადასტურეს წერილობითი წყაროების მონაცემები. პირველი ეტაპი თარიღდება ახ. წ. I—II საუკუნეებით, მეორე—IV—VI საუკუნეებით. ვარაუდობენ, რომ III საუკუნის მეორე ნახევარში აფსაროსი, ისევე, როგორც პიტიუნტი, გუთების თავდასხმის შედეგად დაინგრა და მხოლოდ ამავე საუკუნის ბოლოს ან IV საუკუნის დასაწყისში აღადგინეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია რომაული სამხედრო ბანაკის ჩრდილოეთიდან კარიბჭისკენ მიმართული ქვაფენილიანი გზის ნაწილი, წყალსადენის ქსელი, აბანოსა და „სვეტებიანი ნაგებობის ნაშთები“ და დიდძალი მასობრივი არქეოლოგიური მასალა: კრამიტები, ამფორები, სუფრისა და სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები, წითელლაკიანი კერამიკა, მონეტები, არქიტექტურული დეტალები... კასტელუმის ზომები, როგორც აღვნიშნეთ, 194X 245 მ-ია, ხოლო საერთო ფართობი—4,7 ჰა, მას 18 კოშკი იცავდა.

1974 წელს, გზის გაფართოებისას სოფ. გონიოში, ლოდის ქვეშ, ლითონის ჰურჭელში, რომელიც შეხებისთანავე დაშლილა, აღმოჩნდა ოქროს ნივთების განძი (45), რომელიც ზოგადად ახ. წ. I—III საუკუნეებით თარიღდება. სამეც-

ნიერო მიმოქცევაში ის „გონიოს განძის“ სახელწოდებით შევიდა. განძი შემდეგი ნივთებისაგან შედგებოდა:

1. ჭაბუკ დიოსკურის ოქროს (7,6 სმ სიმაღლის) მარყუჟიანი ქანდაკება; 2. პირშესქელებული ოქროს ფიალა, მასიური, დაღარულზედაპირიანი, დაბალქუსლიანი, მისი დიამეტრია 5,5 სმ; 3. წყვილი სამაჯური, მასიური, ოქროსი, რვაწახნაგოვანი, თავგახსნილი; 4. ოქროს ფირფიტოვანი პოლიქრომული გარსაკრავები, წითელი და მწვანე გაუმჭვირვალე მინისებური მასით (პასტა) შემკული; გარსაკრავებზე რელიეფურად გამოსახულია ვეფხვისებური მტაცებელი ცხოველი, რომელიც თავს ესხმის ჯიხვს. 5. ოქროს გულსაკიდი გვირგვინოსანი ჰელიოსის რელიეფური გამოსახულებით. 6. ოქროს ბალთები ჩიტების სკულპტურული გამოსახულებებით შემკული, ფერადი ქვებით კუთხეებში; 7. ოქროს კილიტები (ვარდულები), ღილები და მძივები, მძივსაკიდები, ოქროს ძეწკვები. „გონიოს განძის“ შემადგენელი ნივთების ერთი ნაწილი, როგორც ეს სამართლიანადაა ხაზგასმული პუბლიკაციაში, ზუსტ ანალოგიებს პოულობს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, მმართველ ზედაფენასთან დაკავშირებულ I—IV საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში დადასტურებულ საგნებთან. აღწერილი ოქროს სამკაულები (მხატვრული და სტილისტური თვალსაზრისითაც), რომელთა ფესვები, მართლაც, ძველკოლხური ოქრომჭედლობისათვის ჩანს დამახასიათებელი, უდავოდ გვიანანტიკური საქართველოს საიუველირო ხელოვნების კუთნილებაა. ამ წრიდან, ალბათ, არ შეიძლება გამოითიშოს პიტიუნტის მეზობლად, სოჭის შემოგარენში, ლოოში ქალის I—II საკუკუნეების სამარხში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებსაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ბოსფორის სახელოსნოებს უკავშირებენ (46). ამ მხრივაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ევლია ჩელების მიერ აღწერილი საქვეყნოდ სახელგანთქმული ტრაპეზუნტელი ოქრომჭედლების ნახელავი და სხვა ადგილობრივი ლაზური ტრადიციები. გონიოს განძზე იმიტომაც გავამახვილეთ ყურადღება, რომ ის განსაკუთრებით რელიეფურად გვიჩვენებს გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ მძლავრი და თვითმყოფადი ადგილობრივი ქართული კულტურის ნაკადების არსებობას. ჩანს, ზღვისპირეთშიც გარკვეულ სოციალურ პოზიციებს ინარჩუნებდნენ ძირძველი, ადგილობრივი მოსახლეობის, ამ შემთხვევაში მისი მმართველი ზედაფენის წარმომადგენლები; ვფიქრობთ, ადგილობრივ არისტოკრატიასთან (ეგრისის სამეფოზე რომ არაფერი ვთქვათ) მშვიდობიანი მეგობრული ურთიერთობის დამყარებით რომაელები განსაკუთრებით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კავშირების გარეშე ზღვისპირა ციხესიმაგრეებში ხანგრძლივად გამოკეტილი გარნიზონები თავის ძირითად, მოკრძალებულ ფუნქციასაც ვერ შეასრულებდნენ.

აფსაროსისაგან 65 კმ-ის დაშორებით, რიონის შესართავთან, მდებარეობდა ფასის ციხე (φρούριον) აქ დაბანაკებული „400 რჩეული“ (ἐπιλέκτοι) მეომრით (στρατιῶται), რაც, ვფიქრობთ, უფრო 1 კოჰორტას, ვიდრე ორ მანიპულას, არიანესეულ 2 სპეირას შეესაბამება. მ. სპაიდელის აზრით, „ფასის გარნიზონი შეიძლება არც ყოფილიყო ლეგიონალური, რიცხვით კი ის თითქმის დამხმარე სამხედრო შენაერთის ზომის ნაწილია“ (47). ფასისის გარნიზონი გაძლიერებული ყოფილა სატყორცნი, სასროლი მანქანა-მოწყობილობებით (μεχαναὶ ἐφεστᾶσιν), რომლებიც გალავნის კედელზეა (τό τεῖχος) დადგმული (PPE, 9). ეს გარემოებაც [illegible] მიგვანიშნებს ფასისში ლეგიონალური კოჰორტის რჩეული შენაერთის ხუთი ცენტურიის [illegible] [illegible]

ჯარის ქვეგანაყოფებს, სასაზღვრო ნუმერებს, როგორც წესი, სატყორცნი მექანიზმები. მანქანები არ ჰქონდათ ხოლმე. ონაგრები. ბალისტები და სხვა ტიპის ქვა და ისარსატყორცნი მოწყობილობები ლეგიონების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა (მოითხოვდნენ შესაბამისად გაწვრთნილ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და გამოცდილ მსროლელებს). ვეგეციუსი (ახ. წ. IV ს.) „სამხედრო საქმის მოკლე აღწერაში" ამბობს: „ერთ ლეგიონში, ჩვეულებრივ, 55 კარობალისტა და 10 ონაგრია, ე. ი. თითო ცალი თითოეულ კოჰორტაზე... ჩვეულებრივ, თითოეულ ცენტურიას თავისი „კარობალისტა" აქვს, რომლებზეც მიმაგრებულია საზიდრები და 11 კაცი" (Veg. II, 25). შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ ფასისის ციხეს იცავდა, სულ ცოტა, 4 კარობალისტა და ორი მაინც, თუ მეტი არა, ქვასატყორცნი მოწყობილობა—ონაგრი. ვეგეციუსის თანახმად, ლეგიონს თავის განკარგულებაში უნდა ჰქონოდა მრავალნაირი მოწყობილობა თუ სამშენებლო მასალა, რათა საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარ პირობებში, სამხედრო ბანაკი შეიარაღებულ ქალაქად გადაქცეულიყო. ასეთი ტიპის ქალაქად გადაქცევა, როგორც ჩანს, არიანეს აღწერიდან (PPE; 9) ფასისსაც შეეძლო. ის ბუნებრივად მიუდგომელ ადგილას აუგიათ, „მისასვლელადაც და უშიშროების თვალსაზრისითაც მეტად მოხერხებულ ადგილზე". ამ „ფრურიონში" მოხვედრა ზღვის მხრიდან მხოლოდ ფასისის შესართავიდან შეიძლებოდა. მას გარშემო ორმაგი თხრილი უვლიდა. ციხესიმაგრის გალავნის კოშკები რომაელებს აგურისაგან მყარ საძირკველზე ამოუყვანიათ. ფასისთანვე და არა ზღვის ნაპირას ყოფილა მოწყობილი ნავსადგური, რომლის უსაფრთხოებაზე განსაკუთრებით უზრუნია არიანეს. მას ციხესიმაგრის კედლებიდან მდინარე ფასისამდე გაუვლია ახალი დამცველი თხრილი და, როგორც ჩანს, მოუზვინავს შესაბამისი მიწაყრილი. ის იცავდა არა მარტო ნავსადგურს (ὅρμον), არამედ „ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებს", ამ ტერიტორიაზე განლაგებულ სახლებს (οἰκίας), რომლებშიც ვეტერანები და „ვაჭარი ადამიანები" (ἐμπορικῶν) ცხოვრობდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ ვეტერანებისათვის პირად საკუთრებაში განსაზღვრული სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები დაურიგებიათ. გარდა ამისა, რომის აგრარული კანონმდებლობიდან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონოდათ საძოვარი, ტყე ან მისი ნაწილი, შეშის, საშენი მასალის დასამზადებლად (48). ფასისში ამ ვეტერანებთან ერთად არიანეს ცნობის თანახმად.თითქოს ადგილობრივ მოსახლეობასაც ვხედავთ. ყოველ შემთხვევაში, სრული უფლება გვაქვს „ზღვის ნაპირზე მცხოვრებთა" სახით, რომელთაც „საქონელი წყლის დასალევად ზღვაზე მიჰყავთ" (PPE: 8) ადგილობრივი მკვიდრნი ვივარაუდოთ. რადგან ფასისი და მისი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია, ხორა დიდი ხნის განმავლობაში რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ისევე, როგორც მთელი აღმოსავლეთშავიზღვეისპირეთის ზოლი, არ არის მოულოდნელი აქ კოლონიის დაარსებაც და მუნიციპალური მიწათმფლობელობის არსებობაც. უდავოა, რომ ფასისის „ფრურიონს", ანუ კასტელუმს თავისი „კანაბე", სამოქალაქო დასახლებაც ჰქონია. არ არის გამორიცხული. რომ ამ „კანაბეს" ხარჯზე აღორძინდა აქ საქალაქო ცხოვრება მომდევნო საუკუნეებში. როგორც ეს ხაზგასმულია სპეციალურ ლიტერატურაში, ვეტერანთა უკანასკნელი დედუქცია, ანუ იმპერატორის სახელით გადამდგარ ლეგიონერთა ორგანიზებული დასახლება დაპყრობილ მიწებზე ადრიანეს შემდეგ წყდება.

ქალაქი ფასისი, არიანეს თანახმად, მდებარეობდა ფასისის მარცხენა ნაპირზე. იქვე იდგა „ფასიანელი ქალღმერთის" ქანდაკებაც. როგორც ჩანს, ქალაქის მკვიდ-

რი მოსახლეობისაგან უნდა (და არა გადამდგარი ლეგიონერებისაგან) გაეგ ო არი ნეს იაზონთან დაკავშირებული თქმულებები. გარდა ამისა, არიანემ ნავსადგურში დაათვალიერა არგოს სახელთან დაკავშირებული ძველი ღუზები. საფრთხის შემთხვევაში ეს ვეტერანები და ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ბრძოლისუნარიანი ნაწილი, წესისამებრ მის გარნიზონს უნდა შეერთებოდა, როგორც დამხმარე ძალა. უნდა ვიფიქროთ, რომ ვეტერანებს რომის მოქალაქეების უფლება ჰქონდათ მინიჭებული, რაც პროვინციაში მამულის გადასახადებიდან განთავისუფლებაში გამოიხატებოდა. ვეტარანების კოლონიები პროვინციებში რომის ძალაუფლების გავრცელების ფორპოსტებს, მათი გავლენის გაძლიერების ცენტრებს წარმოადგენდნენ (48).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინ ფასისის ციხე „იმდაგვარად ყოფილა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდებოდა ბარბაროსთაგან" (Arr. PPE. 9) და ვერც ალყას შემოარტყამდა. არიანესეული კონტექსტის „ბარბაროსებში" ალბათ უფრო მომხდური, გარეშე მტერი უნდა ვიგულისხმოთ. ეგრისელები, რომელთა მეფე—მალასა რომაელების მიერ ყოფილა ტახტზე აღზევებული, ლოიალურად ჩანს განწყობილი. წინაამდეგ შემთხვევაში არიანე აღნიშნავდა ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გარემოებასაც. აქ (PPE: 11) არიანე აღწერს ერთ საინტერესო ჩვეულებას. ზღვაოსნებს წესად ჰქონიათ აქ აეღოთ წყლის მარაგი, რადგან არსებული გადმოცემით, ვინც ამ წესს არ შეასრულებდა, მას ბედნიერი მგზავრობა არ ექნებოდა (49).

არიანესეულ ფასისს მიაგნო დიუბუა დე მონპერემ (50) რიონის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან 700 მ დაშორებით. თუ მის მიერ შედგენილ სქემატურ გეგმას ვერწმუნებით, მთელი ეს ფართობი 175 ნაბიჯი 175 ნაბიჯზე, ისევე როგორც მისი შემოგარენი, დაჭაობებული ყოფილა. ციხესიმაგრე გეგმაში ოთხკუთხაა, კუთხეებში მრგვალი კოშკებით, დაახლოებით 30 ნაბიჯის დიამეტრის მქონე თითოეული. ზღვისკენ შეიმჩნეოდა გასასვლელი. 1955 წელს აღნიშნული ადგილი, „ნაჯიხურად" წოდებული, სპეციალურად მოინახულა ნ. ლომოურმა (51). აღნიშნული სიმაგრე ფოთის ნავსადგურიდან მდებარეობდა 6 მკ-ით აღმოსავლეთით, ხოლო მდინარე რიონიდან—500 მ დაშორებით. მის მარცხენა ნაპირზე შეიმჩნეოდა ოთხი ბურცობი, მიწის შემაღლება, შესაძლოა, კოშკების ადგილი. კედლებს შორის მანძილი უდრიდა დაახლოებით 150მX170 მ, ციხესიმაგრის ფართობი 2,5 ჰექტარს, რაც სავსებით საკმარისი იყო ერთ კოჰორტამდე ჯარის ნაწილის ჩასაყენებლად. ზედაპირული ანაკრეფი მასალა ძირითადად სამშენებლო კერამიკით, კერძოდ, აგურებით ყოფილა წარმოდგენილი. ფასისის ეს ციხესიმაგრე ფოთის აეროდრომის მშენებლობისას დაუნგრევიათ. სამოციან წლებში გ. გრიგოლიამ მოუსწრო მის უკანასკნელ ნაშთებს. საძიებო სამუშაოებისას მიკვლეულ იქნა კოშკის აგურით, ვარდისფერ კირხსნარზე ამოყვანილი წყობა. ქვედა, კულტურულ ფენაში ნაპოვნ იქნა რომაული წითელლაკიანი კერამიკა და იმპერატორ ადრიანეს სახელით კესარიაში (კაპადოკია) მოჭრილი ვერცხლის მონეტა (52). ამგვარად, დადასტურდა როგორც არიანეს ცნობის, ასევე დიუბუა დე მონპერეს ლოკალიზაციის სისწორე.

არიანე ფასისიდან სებასტოპოლისისკენ (მანძილი ფოთსა და სოხუმს შორის 140 კმ-ია) გამოემართა (PPE, 10), მაგრამ გზაში მდინარე ხობოსის შესართავთან (ენგური) რატომღაც შეჩერებულა, მას საჭიროდ ჩაუთვლია საგანგებოდ აღენიშნა ეს დღეს ჩვენთვის თითქოს უმნიშვნელო ფაქტი. იმპერატორისადმი გაგზავნილ ანგარიშში ის წერდა: „აქ ღუზაზე დავდექით. თუ რატომ (დავდექით აქ)

და რა ვიმოქმედეთ, შენთვის ნათელი გახდება ლათინური წერილიდან". რადგან ამ წერილმა ჩვენამდე არ მოაღწია, შეჩერების მიზეზებზე სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ვარაუდობენ, რომ არიანეს დროს აქ უნდა აშენებულიყო პტოლემეოსთან მოხსენიებული ახალი ციხესიმაგრე „ნეაპოლისი", მეორენი მიგვანიშნებენ რომაელთა რაღაც სავაჭრო ინტერესების არსებობასა და ქობოსის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. სხვები არ გამორიცხავენ რომაელთა დაინტერესებას სვანური ოქროთი (53). იმავე დღეს, შუადღისას, ქობოსიდან გამოსული არიანე სებასტოპოლისშია. მისი სიტყვებით, „იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის (μισθοφορέω) მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენზე შეხტომაში", „ავადმყოფების მონახულება", პურის მარაგის შემოწმება, კედლებისა და თხრილების შემოვლა" (PPE, 10). ამგვარად, აქაც რომაული კასტელუმის, ტიპური სამხედრო ბანაკის ერთი დღის ცხოვრების სურათია მოცემული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კონკრეტულად არ არის დასახელებული „სტრატიოტების", ანუ მეციხოვნე ჯარისკაცთა რაოდენობა. სებასტოპოლისის განსაკუთრებული სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აქ, ფასისზე მცირერიცხოვანი გარნიზონი არ უნდა ყოფილიყო ჩაყენებული. ის ხომ ამ დროს რომაელთა მბრძანებლობის ფორპოსტია ამ მხარეში.

არიანე არაფერს ამბობს მის მიერ აქ ჩატარებულ საფორტიფიკაციო სამუშაოებზე, მაგრამ არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელი ლათინური ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტი. ის აღმოჩნდა სოხუმში, გასულ საუკუნეში, ნავსადგომის მშენებლობის დროს (54). კირქვის ფილაზე შემორჩენილა ლათინური სამსტრიქონიანი წარწერის ნაწილი: HADR, (PER. FL,A.) LEG, რომელიც იმპერატორ ადრიანეს სახელით მის ლეგატს არიანეს შეუსრულებია, ალბათ, 131—137 წწ. შორის. ამჟამად წარწერა დაკარგულია.

არიანეს აღწერიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ სებასტოპოლისში ქვეითი ჯარის, კოჰორტის შემადგენლობაში კავალერიის ნაწილებიც შედიოდნენ. ამ დროისათვის ცხენოსანი ჯარის ძირითად ტაქტიკურ ერთეულად „ალა", ანუ ფრთეული ითვლებოდა, რომელიც 500 (Ala Guingeneria) ან 1000 (Ala Riliaria) მხედარს ითვლიდა: „ალა" შესაბამის რაზმებად 16 ან 24 turmae „ტურმად" იყოფოდა. ამავე დროს სოციალურ იერარქიაში, მისი, „ალას" მეთაურობა უფრო პრესტიჟულიც კი ყოფილა, ვიდრე კოჰორტისა. გვიანიმპერიის ხანაში „ალა" გადაიქცა დამხმარე, მათ შორის სასაზღვრო არმიის საკავალერიო ქვეგანაყოფებად (55). V საუკუნის დასაწყისის წყაროს, „ნოტიცია დიგნიტატუმის"—ბიზანტიურ თანამდებობათა ნუსხის თანახმად, სებასტოპოლისში, თუ ის მართლაც სწორად არის ლოკალიზებული, მდგარა „კლავდიუსის სახელობის პირველი ცხენოსანი კოჰორტა" (Notitia dignitatum. or., XXXVIII), რომელიც იერარქიულად არა კაპადოკიის, არამედ Dux Armenic-ს „არმენიის მმართველს" ექვემდებარებოდა (56), რაც საეჭვოა (ამ წყაროში არ იხსენიება ფაზისი, რაც ასევე მეტად დამაფიქრებელია!).

სებასტოპოლისის კასტელუმიც საკოჰორტო, ანუ საშუალო ციხესიმაგრის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. თუ აღნიშნულ წყაროს ვერწმუნებით, აქ ჩაყენებულია რომაელთა ჯარის სპეციალური ქვეგანაყოფი, შერეული კოჰორტა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, და არა მცირერიცხოვანი რაზმი (57). იმავე „ნოტიცია დიგნიტატუმის" თანახმად, პიტიუნტში დაბანაკებულია ერთი „ალა

ბედნიერი თეოდოსიის სახელობისა“ (Ala Felix Theodosiana), ანუ სულ ცოტა 500 მხედარი, რაც არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება. სოხუმში რუსთაველის სახელობის სანაპიროს მშენებლობისას აღმოჩნდა ახ. წ. II—IV საუკუნეების რომაული ციხესიმაგრის ნანგრევები: ჩანს. სებასტოპოლისის კასტელები თავდაპირველად დიდი არ ყოფილა. მისი ფართობი ერთ ჰექტარს არ აღემატებოდა. ნაგებია მსხვილი ლოდებით. კირხსნარითა და აგურის (37 სმX 25 სმX3 სმ) სარტყლებით. ნაწილობრივ შემორჩენილია ათამდე კოშკი და გალავნის კედლის მომრგვალებული კუთხეები, კედლის სისქე 2 მეტრზე მეტია (58). მისი საძირკველი გადგმულია სუსტად გამოსახულ I—II საუკუნეების კულტურულ ფენაში. რადგან ასეთივე ფენა დადასტურებულია ციხესიმაგრის გარეთაც, ფასისის ანალოგიებიდან გამომდინარე. ვარაუდობენ, რომ აქ ცხოვრობდნენ გადამდგარი ლეგიონერები და მათი ოჯახები (57). ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარში საჭირო გამხდარა სებასტოპოლისის ციხესიმაგრის გადაკეთება-გაფართოება და მისი უშუალო მისადგომების თავდაცვაზე ზრუნვა. გვიანდელი კასტელუმის ფართობი უკვე 2—2,5 ჰექტარია და თავისუფლად იტევდა ერთ კოჰორტას; ციხესიმაგრე გეგმაში კვადრატულია, ერთი მხრის სიგრძე 140 მ-ს აღწევდა. თანამედროვე სოხუმის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, სოხუმის ყურედან 2 კმ-ის დაშორებით, 1954 წელს. აღმოჩნდა ცალკე მდგომი რომაული სადარაჯო კოშკიც, კვადრატული ფორმისა (6,30X6.45 მ. კედლების სისქე—0.90 მ), რაც მოწმობს კასტელუმებთან ერთად ამ ტიპის ციხეების არსებობას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ანალოგიური სურათია პიტიუნტშიც.

1959 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა სებასტოპოლისთან დაკავშირებული სამი კულტურული ფენა, ქალაქის ცხოვრების სამი ეტაპის ამსახველი: 1. I—II სს., 2. II—III სს. აღმავლობის ხანა და 3. IV—V სს. პირველი ფენა ძალზე ღარიბია, მეორე და მესამე უდავოდ ქალაქის აღმავლობის ეპოქაზე მოდის, ამიტომაც. ყველაზე მძლავრია. ამასთანავე მთელ ფართობზე ნათლად ჩანს I—V საუკუნეების ცხოვრების უწყვეტი კვალი (66). სპარსეთ-ბიზანტიის ომების დროს, VI ს. შუა წლებში, სებასტოპოლისი, ისევე როგორც პიტიუნტი, ბიზანტიელებს უნდა მოეშალათ. პროკოპი კესარიელის, მონაცემებით, სანიგების „მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს, რომლებმაც აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი, მათ შესაშინებლად“ (pr. BG. IV, 4). არიანე აღნიშნავს: „აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისიო“ (PPE, 11). სანიგებს მართავდა „ბასილეოს სპადაგი“, რომელსაც ტახტი იმპერატორ ადრიანესაგან ჰქონია მიღებული. ამ დროისათვის ამ ადგილებს შესაძლოა მართლაც აბაზგები ფლობდნენ და არიანეს ცნობა მხოლოდ ძველ ტრადიციას ასახავს, რომელიც პროკოპი კესარიელის დრომდე შემორჩა. რომაელები, კეტავდნენ რა ზღვაზე გასასვლელს, აქაც ცდილობდნენ ადგილობრივ ტომებთან, აბაზგ-აფსილ-სანიგებთან, მათ მმართველ წრეებთან შეგონებული ურთიერთობის დამყარებას, რათა გაეძლიერებინათ კონტროლი ჩრდილო კავკასიის გადასასვლელებზე.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისინი საკმაოდ მძლავრ და მეომარ ხალხს წარმოადგენდნენ (60), რომლებისთვისაც, ვფიქრობთ, რომს ანგარიში უნდა გაეწია, რათა უზრუნველეყო ზღვაოსნობის უსაფრთხოება. მათი კონტროლის ქვეშ იყო ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი საუღელტეხილო გზებიც, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. გადასასვლელების იქით ალანები აქტიურობდნენ; მათთან რომაელებს უკვე ჰქონდათ შეტაკებები, სწორედ არია-

ნეს საინსპექციო მოგზაურობის წინ. ამ დროს სებასტოპოლისი, სამხედრო ბანაკის გარდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრია. აქ თავს იყრიდნენ მეზობელი ხალხები, მათ შორის სანიგები. აქედან შედიოდა ქვეყნის შიგნით მარილი, ქსოვილები, ვერცხლის ჭურჭელი. წითელლაკიანი კერამიკა, მინის ნაწარმი, სამკაულები. გაცხოველებული აღებ-მიცემობის მაჩვენებელია ლითონის ფულები, მათ შორის კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

სებასტოპოლისის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები—ბერძნულენოვანი გრაფიტი, სტილოსები და სხვა მეტყველებს დამწერლობის გავრცელებაზე, როგორც ლეგიონერებში, ასევე მოსახლეობის საშუალო ფენებშიც. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ბერძნული წარწერა ადგილობრივი წარმოების ჭრაქზე, თიხის სანათურზე, რომელიც რომაულ სადარაჯო კოშკში აღმოჩნდა. ჭრაქზე, გამოწვამდე დატანილ წარწერაში, ვაჭრობის მფარველი და სულების წინამძღოლი ღვთაება, ანტიკურ სამყაროში პოპულარული ღმერთი—„ჰერმესი“, პარალელურად ლათინური სახელწოდებითაც „მერკური“ მოიხსენიება. ჩანს, საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში მიმდინარეობდა ბერძნულ-რომაულ და ადგილობრივ ღვთაებათა შერწყმის, სინკრეტიზმის პროცესი, იზრდებოდა რომაული ზეგავლენის სფერო. პიტიუნტის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა (დიონისე—ბახუსი, ვაკხი, სატირი და სხვ.) მცირე სკულპტურის ნიმუშები.

პლინიუსის ცნობის თანახმად, რომაული ადმინისტრაცია ადგილობრივ ტომებთან კონტაქტებისას თარჯიმანთა ინსტიტუტს ეყრდნობოდა (Plin., Nat. Hist, VI, 15). II საუკუნის პირველ ნახევარში რომაელთა სამფლობელოები ('Ρωμαίος ἡ ἐπικράτεια) სებასტოპოლისთან მთავრდებოდა (PPE, 17). მათი ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავდაპირველად სებასტოპოლისის კასტელუმი ყოფილა. აქ დაასრულა თავისი საინსპექციო მოგზაურობა ფლავიუს არიანემ 131 წელს და აქვე გაიგო კიმერიული ბოსფორის მეფის ტიბერიუს იულიუს კოტისის (123—131 წწ.) გარდაცვალების ამბავიც. არიანეს არც კიმერიული ბოსფორისაკენ გამავალი საკაბოტაჟო კომუნიკაციები დაუტოვებია უყურადღებოდ, რომელზედაც საყრდენი ციხესიმაგრეების მეშვეობით რომაელებს მომავალში კონტროლი უნდა დაეწესებინათ. შემთხვევით როდი დასძენდა კაპადოკიის ლეგატი: „მე შევეცადე აღმეწერა შენთვის გზა ბოსფორამდე, რათა თუკი რაიმეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელოთ ამ გზის ცოდნის საფუძველზეო“ (PPE, 17). პირველ ასეთ საყურადღებო პუნქტად არიანე ასახელებს პიტიუნტს, შემდეგ კონტექსტში: „ამრიგად, დიოსკურიიდან რომ მიდიხარ, პირველი ნავსადგურია პიტიუნტში (ὅρμος ἐν Πιτυοῦντι) სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე“. როგორც აღნიშნული გვქონდა, სტრაბონი ამ მანძილს განსაზღვრავდა 360 სტადიონით. ტრადიციულ ატიკურსა (177, 6 მ) და სტრაბონისეულ (185 მ) შედარებით გვიანდელ, ბერძნულ-რომაულ (178, 6 მ) სტადიებს შორის, როგორც ვხედავთ, განსხვავება უმნიშვნელოა, რაც კილომეტრებში, შესაბამისად, უდრის 64—66,6 და 62,5 კმ-ს, მანძილი სოხუმსა და ბიჭვინთას შორის პირდაპირი ხაზით 56 კმ-ია. არიანეს სტადია დაახლოებით უდრის 157 მეტრს, 350 სტადია 54,950 კმ-ია, რაც პრაქტიკულად ყველაზე უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. სტრაბონისა და არიანეს მონაცემებში არსებული 10-სტა-

დიანი, თითქოს უმნიშვნელო, განსხვავება შეიძლება აიხსნას სტრაბონისეული „დიდი პიტიუნტისა“ და რომაული ეპოქის პიტიუნტის მდებარეობაში არსებული სხვაობით.

ახ. წ. II საუკუნის ბოლოდან, რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტი დასავლეთ ამიერკავკასიაში სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“, პიტიუნტის ციხესიმაგრეში გადმოდის. ამ გარემოებას ადასტურებს ბიზანტიური წყაროებიც. ზოსიმეს ცნობების განხილვისას ეს ფაქტი ჩვენ უკვე მინიშნებული გვაქვს, მაგრამ V საუკუნის ავტორის—თეოდორე კვირეულის ინფორმაციაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. მისი მითითების თანახმად, პიტიუნტი „ არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად“ (61). პიტიუნტის, როგორც რომაული ეპოქის ციხე-ქალაქის ისტორია ახ. წ. I—VI სს., როგორც სტრატეგიული სანაპირო პუნქტისა სწორედ ამ „ბარბაროსულ“ სამყაროსთან ურთიერთობაში უნდა იქნეს განხილული.

თუ თვით ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის—ძოწითმოსილის თხზულების („სახელმწიფოს მართვის შესახებ“, 52) ერთ ცნობას ვერწმუნებით (62), იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის დროს (284—305 წწ.) ბოსფორის მეფე საურომატი პონტოსპირეთისა და მეოტიდაში მობინადრე სარმატთა ტომების სამხედრო ძალებზე დაყრდნობით თავს დასხმია რომაელთა სამფლობელოებს პონტოში და მათ შორის ლაზიკაც დაულაშქრია, უნდა ვიფიქროთ, რომაელებს აქ არ ეყოთ ადგილობრივი ძალები ამ თავდასხმის მოგერიებისათვის... ცხადია, თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაშიც პირველი დარტყმა პიტიუნტის ციხესიმაგრეს უნდა მიეღო, ხოლო კონსტანტინეს მიერ გამოყენებული V საუკუნის წყაროს „ქერსონესის ქრონიკის“ სისწორის შემთხვევაში, მას არქეოლოგიური დამამტკიცებელი საბუთიც უნდა მოეპოვებოდეს პიტიუნტის ნაქალაქარის სტრატიგრაფიაში. აქ, მართლაც შეიმჩნევა III—IV საუკუნეების ხანძრისა და ნგრევის კვალი. თუ „ნოტიცია დიგნიტატუმის“ პითია (Pithiae) მართლაც ჩვენი პიტიუნტია (63), მაშინ ამ შემთხვევაშიც აქ ერთკოჰორტიანი გარნიზონის არსებობა ეჭვს იწვევს, რადგან არქეოლოგიურ მასალაში მათი არავითარი კვალი არ ჩანს, რაც წარმოუდგენელია.

შესაძლოა, პიტიუნტის და ამ ტიპის კოლხეთის ზღვისპირა სხვა სტრატეგიული პუნქტების ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე (ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა), რომსა და ლაზეთის სამეფოს შორის იქნებ გარკვეული შეთანხმება-ხელშეკრულებაც არსებობდა ლ. ალექსიძის მიერ მინიშნებული ტიპისა—„ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ—„Super Navigatione et mercatura“, თუმცა წყაროები დუმს. ანტონინე პიუსის დროს (138 –161 წწ.) რომაელები კვლავ ნიშნავენ ლაზების მეფეს, ხოლო სეპტიმიუს სევერუსის (193—211 წწ.) მმართველობისას ლაზიკა რომს ემორჩილება (64). ს. ყაუხჩიშვილი (65) საქართველოს ზღვისპირეთში, მათ შორის, პიტიუნტში რომაული გარნიზონის არსებობას სულაც არ თვლიდა იმის დამადასტურებელ ფაქტად, „რომ ამ ქვეყანას რომაელები ფლობდნენ“, რომაელთა ჯარები მხოლოდ და მხოლოდ „გარკვეული პოლიტიკურ-სტრატეგიული მოსაზრებით“ ყოფილან თითქოს აქ დაბანაკებულნი. რადგან იმპერიას აქედან უტევდნენ ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეები, რომაელები იძულებულნი გამხდარან, ადგილობრივ მმართველებთან შეთანხმებით, მათ ციხე-ქალაქებში ლეგიონერები ჩაეყენებინათ. ისევე როგორც ჩრდი-

ლო შავიზღვისპირეთში, ოლბიასა და ქერსონესში (66). აფსარუნტ-ფასის-სებასტოპოლსა და პიტიუნტში I—IV საუკუნეებში ჩაყენებულია ფლოტისა და ჯარის ცალკეული ვექსილაციები, რჩეული ნაწილები, მათ შორის ცხენოსნებიც. კავშირი ამ ციხესიმაგრეთა შორის რეგულარულია, ხოლო ურთიერთობა, ცხადია, მშვიდობიანი, ზურგთან, ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსთან უზრუნველყოფილი. ამაში სისხლხორცეულად უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული რომაელები.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია (67), რომ IV საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი გაგრა-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხამდე ლაზეთის შემადგენლობაშია. ლაზებს ემორჩილებიან აფსილ-აბაზგთა ტომები, რომლებსაც უკვე მართავენ არა ადრინდელი „ბასილევსები", მეტნაკლებად დამოუკიდებელი „მთავრები", არამედ „პატრიკები". თავის მხრივ, ლაზების მეფე, ბიზანტიის იმპერატორის ვასალია. პროკოპი კესარიელის მიხედვით ლაზები „რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ, გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალზე არ შემოჭრილიყვნენ, ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს" (PC. BP, II, 15). ნიშანდობლივია, რომ სპარსელებმაც კარგად იცოდნენ ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობა, ჩრდილო კავკასიის მხრიდან მომთაბარეთა შემოსევებისაგან ბიზანტიის იმპერიის დაცვის საქმეში. ცხადია, ასეთ ვითარებაში „ბიჭვინტა—პიტიუნტი" კვლავ ინარჩუნებდა ფორპოსტის, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის, ძლიერი „ციხე-ქალაქის" დანიშნულებას.

ახ. წ. IV საუკუნეშიც, „სანიგ—საგინების" მეზობლად, პიტიუნტის საზღვრებთან მომთაბარე „მასაგეტ-ჰუნების" აქტივიზაციის პირობებში (PC, BG, VIII, 4) კვლავ მთელი სიმწვავით უნდა დამდგარიყო პიტიუნტის და იმპერიის შორეული მისადგომების დაცვის საკითხები. ასეთ ვითარებაში უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ლაზიკის სამეფოს, რომელიც პროკოპი კესარიელის განმარტებით: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის... არის თავდაცვის ზღუდე" (ἡ ἐπιτείχισμα) — ჯებირი (PC, BP, II, 28). ლაზები ფორმალურად რომაელთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, თუმცა პროკოპი კესარიელის სიტყვებით, „არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ". ლაზებს ევალებოდათ დაეცვათ იმპერიის საზღვრების მისადგომები, „რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალზე არ შეჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად,—რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს—და მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას" (68). ასეთ ვითარებაში პიტიუნტს, ცხადია, არ შეეძლო ნორმალური არსებობა ეგრისის სამეფოსთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის გარეშე. პიტიუნტის ციხესიმაგრე (Πιτιοῦντος φρούριον), პროკოპი კესარიელის მიხედვითაც ტერიტორიულად ლაზიკის მიწაწყალზეა (PC., BP, II, 29), მაგრამ იქ ბიზანტიელთა ციხიონი დგას. 542 წელს, როდესაც „რომაელთა მხედრებს" გაუგიათ, რომ სპარსელებს გადაწყვეტილი ჰქონიათ პიტიუნტზე ლაშქრობა, მათ, ე. ი. რომაელებმა, „დაასწრეს და გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ

ჩასხდნენ ხომალდებში, გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში".

## შ Ე Ნ Ი შ Ვ Ნ Ე Ბ Ი:

1. პ ლ უ ტ ა რ ქ ე. რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბ., 1957, გვ. 117. კოლხეთიდან წასვლის წინ პომპეუსმა ქვეყნის მმართველად—„დინასტად" (იხ. Арр., XII, 114) დანიშნა ადგილობრივი დიდებული არისტარქე (ძვ. წ. 65/64—48 წწ.), რომელიც მხარს უჭერდა მას პონტოელებთან ბრძოლაში თავისი მმართველობის მე-12, ანუ 52/51 წელს მან მოჭრა ვერცხლის მონეტა, პომპეუსის გამოსახულებით, რომელზედაც ზუსტად არის მინიშნებული მისი ტიტულატურა—„ЁПI KOΛXIΔOΣ" — „კოლხეთზე ზემდგომი", „კოლხეთის ზედამხედველი". როგორც ჩანს, არისტარქე დაიღუპა ძვ. წ. 48/47 ფარნაკეს თუ მითრიდატე VII კოლხეთზე თავდასხმის დროს. აქედან მოყოლებული კოლხეთი, სანამ ის პოლემონ I სამფლობელოებს შეუერთეს ძვ. წ. 37 წელს, ჩრდილოკავკასიელი ტომების თარეშის ობიექტად იქცა. ამ დროს უნდა იყოს მოხვედრილი ყუბანში ძვ. წ. I საუკუნეში სარმატულ გორასამარხში V—IV სს. ბერძნულწარწერიანი ვერცხლის ცნობილი ფიალა ფასისის აპოლონ წინამძღოლის ტაძრიდან (დაწვრილებით იხ. Л о р д к и п а н и д з е Г. А., К истории древней Колхиды, Тб., 1970, с. 114). ამავე დროს, კოლხეთი წარმოადგენდა პლაცდარმს, საიდანაც რომაელები ახორციელებდნენ ექსპანსიას ჩრდილო შავიზღვისპირეთში. იხ. Д ь я к о в В. Н., Таврика в эпоху римской оккупации, Ученые записки МГПИ им. Ленина, М., 1942, XXVIII, вып. 1, с. 26; Ц в е т а е в а Б. А., Боспор и Рим. М., 1979, с. 33.

2. В о р о н о в Ю. Н. Диоскуриада—Себастополис—Цхум, М., 1980, с. 75; Ш а м б а Г. К. Эшерское городище, Тб., 1980, с. 60.

3. D. M a g i e, Roman Rule in Asia Minor, Prinston, 1950, pp., 471. 472, 474 сл., 477, 479.

М е л и к и ш в и л и Г. А., К истории Грузии, с. 333; Л о м о у р и Н. Ю. Грузино-римские взаимоотношения, I, Тб., 1981, с. 126; И н а д з е М. П., Причерноморские города древней Колхиды, с. 240, 241.

4. К о р н е л и й Т а ц и т, Сочинения в двух томах. II издание подготовили: Г. С. К н а б е, М. Е. Г р а б а р ь-П а с е к, И. М. Т р о н с к и й, А. С. Б о б о в и ч, Л., 1969, с. 118, 119.

5. Л е к в и н а д з е В. А., „Понтийский лимес", ВДИ, 1969, № 2, с. 75.

6. ნ. ლომოურმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ტაციტუსთან მოხსენიებული მდინარე „ხობუსი" (Chobus) პირველი გამომცემლების კონიექტურაა, ხელნაწერებში აღნიშნულია: Cohibi, ამიტომ მისი დაკავშირება კოლხეთთან, კერძოდ, ენგურთან შეცდომად მიიჩნია. ასევე დამახინჯებული უნდა იყოს, მისი აზრით, ტომობრივი სახელი „სედოხეზები". იხ. Л о м о у р и Н., Восточное Причерноморье и Рим в I в. н. э., Историко-филологические изыскания, Тб., 1980, с. 144, 145. ანიკეტს მოკავშირეები სწორედ ჰენიოხებში, ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ზღვისპირეთის თავისუფალ მეკობრე ტომებში უნდა ეძებნა (საინტერესოა ამ მხრის ეთნონიმები: „აბაძეხი" და „აზეხა") ახ. წ. 14 წელს განეკუთვნება ოვიდიუს ნაზონის ერთ-ერთი ლექსი ციკლიდან „წერილები პონტოდან", სადაც აღწერილია თუ რაოდენ საშიში ყოფილან ზღვაოსნებისთვის მეკობრე ჰენიოხები, ასევე, იმ დროს ახალთა ტომები დათარეშობდნენ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და დასავლეთ სანაპიროც არ ყოფილა მათგან დაცული (О в и д и й, Скорбные элегии, Письма из Понта, Издание подготовили М. А. Гаспаров, С. А. Ошеров. М. 1979, с. 152, 153, 255. Б р а ш и н с к и й И. Б., Понтийское пиратство, ВДИ, 1973, 3, с. 126). ნიშანდობლივია—აფხაზები გაგრა-ადლერის სანაპირო ხაზს „ახას" უწოდებდნენ (Ш. Д. И н а л-И п а. Абхазы. с. 88, პლინიუსი ჰე-

ნიოხების მეზობლად „ახაელებს“ (Achaeorum) ასახელებს (Plin NH, VI, 15, 30)... იხ. აგრეთვე Г. Меликишвили, К истории Грузии, с. 77--78, 307—308, 363, 364.' შდრ.: Инадзе М. П., К вопросу об этническом составе населения северовосточного побережья Черного моря, Мацнэ, 1960, № 2,

7. ბერძნული „სებასტოსი“—„დიდი, წმინდა“ ლათინური „ავგუსტუსის“ შესატყვისი, თავდაპირველად იმპერატორ ოქტავიანეს ეპითეტი, სენატის მიერ ბოძებული ტიტული. Oxford Classical Dictionary, Oxford, 1973, p. 151. აქედან დიოსკურიადის ახალი სახელწოდება—სებასტოპოლისი. D. Magie, დასახ. ნაშრომი, გვ. 472. Лордкипанидзе Г., К названию Диоскуриады-Себастополис, Археологический сборник МГУ, 1961.

8. ათაქიძე ა. „დიდი პიტიუნტი“, გვ. 24; Н. Ю. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения, с. 210; М. П. Инадзе. Причерноморские города... с. 242, 243.

9. Лордкипанидзе Г., Работы Пицундской экспедиции, Археологические открытия СССР, 1978, М., 1979, с. 500.

10. В. А. Леквинадзе, „Понтос лимес“, с. 76; Н. Ю. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 212--214, М. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 242—244. Jörg Wagner, „Pontische Limes“ Limis Akten des XI Internationalen Limeskongresses, Bud., pp. 673—678.

11. Adcock Frank E., Roman political Ideas and Practice, Michigan, 1959; The Cambridge Enciclopedia of Archaelogy, London, 1980, p. 236—238.

12. The Cambridge Enciclopedia, p. 238, 239.

13. D. Baatz, Der Römische Limes, Berlin, 1975; The Cambridge Enciclopedia, p. 237 A Latin Dictionary, Oxford, 1966, p. 1066, 1226, Археология Венгрии, М., 1986, 3. 241.

14. Дельбрюк Г., История военного искусства, II, М.--Л. 1937, с. 127. Barbara Oldenstein—Pferdehirt, Die Römischen Hilstuppen Nörtdlich des Mains. Jahrbuch, das Romisch-Germanischen Zontralmuseum, Mainz 1983, 30, p. 303. Abb 1—3. Peter Connolly, Greece and Roman at war. London, 1981, p. 135 140, 212, 243, 297—302. Археология Венгрии, с. 240—267.

15. დაწვრილებით ლეგიონერთა საბანაკო ცხოვრებაზე და მათ შეიარაღებაზე: Peter Connolly, დასახ. ნაშრომი, Pp., 217—239.

H. Thomas Fischer, Sabine Rieckhoff—Panli von der Römeren zu den Bajiwaren, München, 1982, p. 18—32.

Graham Webster, The Roman Imperial Army, London, 1985, p. 167—254. Античная цивилизация, М. 1973, с. 201--207; G. R. Watson, The Roman Soldier, New York, 1987, p. 31—154; M. C. Bishop, J. C. Coulston, Roman Military equipment, Great Britain, 1989, pp. 25—68

16. Колосовская Ю. К., Панония в I—III вв. н. э. М., 1973, с. 75, сл იქვე საკითხისადმი მიძღვნილი ვრცელი ბიბლიოგრაფია; Археология Венгрии, М., 1986, с. 249, 263; Peter Connolly, დასახ. ნაშრომი, p.p. 218, 223 და შემდ.

17. იოსებ ფლავიოსი, რომაელთა მიმართ იუდეველთა ომის ისტორია; ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, В. В. Латышев, 1, с. 483.

18. Максимова М., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.—Л., 1956, с. 218.

19. Г. Цветаева, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

20. В. Леквинадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

21. М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 316, 318.

22. ლეგიონი (legion, ლათ. legere—შერჩევა-დან) რომის არმიის ძირითადი ნაწილი. ავგუსტეს ეპოქაში ითვლიდა 6100 მძიმედ შეიარაღებულ ქვეითსა და 726 მხედარს, მომდევნო ხანაში მერყეობდა 5000 -4200 ჯარისკაცსა და 300—120 მხედარს შორის. მანიპულის ნაცვლად იმპერატორების ეპოქაში ძირითად ტაქტიკურ ერთეულს 400- 600-კაციანი კოჰორტა შეადგენდა. თავის მხრივ, ის 80—100-კაციან ექვს ცენტურიად იყოფოდა. ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ საინჟინრო-ტექნიკური შენაერთები, არ-

ქიტექტორები, ხელოსნები, სატყორცნი მოწყობილობები—მანქანები (10 ონაგ-რი და 55 კარიბოლისტი, თავისი ქვის ჭურვებითა და ისრების მარაგით). თი-თოეულ ლეგიონს საკუთარი ნომერი, სა-ხელწოდება, დროშა—შტანდარტები ჰქონ-და. სახელწოდება, ჩვეულებრივ, მისი ფორმირების ადგილზე („პონტიკა"), მფარ-ველ ღმერთებ ე (XV ლეგიონი—აპოლო-ნისეული) ან გაწვრთნილობაზე (XII ლეგი-ონი—ფულმინატა— ელვისებური). არსე-ბული ლეგენდა (XII ლეგიონის ელვასთან დაკავშირებულ, სასწაულისებრ სწრაფ გამარჯვებაზე) მიუთითებდა: XV ლეგიონი იდგა ემონაში (ლუბლიანა), შემდეგ გა-დაყვანილ იქნა კარნინტუმში (ავსტრია, თან. პეტრონელი). მისი ცალკეული ვექ-სილაციები იდგნენ დუნაის გაყოლებაზე: გერულატაში (ბრატისლავა), სტუპავა-ში, სადაც აღმოჩენილია დამღიანი კერა-მიკული ფილები და კრამიტები. XII ლეგიონი აფრიკიდან გადმოიყვანეს ჯერ სირიაში, ხოლო 70/71 წელს—კაპადოკია-ში. The Oxford classical Dictionary p. 591—593; G. W a t s o n, დასახ. ნაშრ. გვ. 14. P e t e r C o n n o l l y, და-სახ. ნაშრ. გვ. 13 და შემდ., Lexicon der Antike, Leipzig, 1982, pp. 314—316; O. P e l i c a n, Slovensko a Rimske Imperium, Bratislava, 1961, c. 101. сл., J a n a H e č k o v a, Römischer Buckomplex in Stupava, Archeologické rozhledy, Praga, 1986, № 4 (XXXVIII), p. 383, 390, tab. 1, 2; Auxilaizkastell von Carnintum, Wena, 1886, tab., XII; Античная цивилизация М. 1973 2. 200—212 Gr. W e b s t e r დასახ. ნაშრომი, გვ. 65, 64, 105 ე. წ. H. D. P a r k e r, The Roman Legions, Cambro., 1971, p. 159, 163, 269; П а р ф е н о в В. Н., Последняя Армия Римской империи, ВДИ, № 3, 1983, с. 56.

23. Л е к в и н а д з е В., Римский кирпич со штампом из Цихис-дзири, Сообщения АН ГССР, XIV, 3, 1967, с. 799; ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 29, 30, ტაბ. XIV, 1.

24. შ პ ა ი დ ე ლ ი მ. (პავაის უნი-ვერსიტეტი), კავკასიის საზღვარი. II სა-უკუნის გარნიზონები აფსაროსში, პეტ-რასსა და ფასისში, მაცნე (ისტ., არქ., ეთნოგრ. და ხელ. ისტ. სერია), 1, 1985, გვ. 138; P. S p e i d e l, The Roman army in Asia Minor. Armies and Frontiers in Roman and Byzantine Anatolia, Oxford, 1983, p. 16

25. მ. შ პ ა ი დ ე ლ ი, დასახ. ნაშ-რომი, გვ. 139.

26. Б л а в а т с к и й В., Раскопки Харакса в 1931, 1932 и 1935 гг. ВДИ, 1938, № 2, с. 323, сл.; Б л а в а т с к и й В., Харакс, МИА., 1951, № 19, с. 250, сл.

27. Р о с т о в ц е в М., Новые понтийские надписи с Юга России, Известия археологической комиссии, 1909, вып. 38, с. 11, Ё л ь н и ц к и й П. А., Севeропричерноморские заметки, ВДИ, 1950, № 1, с. 194; А к о п я н А., Экономические и культурные взаимоотношения Армении с Римом (1 в. до н. э. —IV в н. э.), Автореферат кандидатской диссертации, М., 1985, с. 13.

28. К и г у р а д з е Н., Л о р д к и п а н и д з е Г., Т о д у а Т., Клейма XV легиона из Пицундского городища, ВДИ, 1987, № 2.

29. С п е й д а л М. П., (Гонолулу), Древнейший манускрипт с территории СССР, Письмо из римской крепости Апсар, ВДИ, № 4, 1985, с. 176, 179. M. P. S p e i d e l, The Roman army in Ashia minor, კრებული Armies and Frontiers in Roman and Byzantine Anatolia. Oxford, 1983, pp. 7—35.

30. А л е к с и д з е Л., К вопросу о международно-правовых отношениях Иберии (Картли) с Римом, თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრო-მები, 65. თბ., 1957, გვ. 175.

31. წ ე რ ე თ ე ლ ი გ., მცხეთის ბერძნუ-ლი წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958, გვ. 14. A. B o l t u n o v a, Quelques notes sur L'inscription de Vespasien trouvee a Mtschetha, Klio, Berlin, 1971, 53, p. 213—222. წარ-წერიანი ქვის ზომაა 1,23X1,15 მ. 17-სტრიქონიან ტექსტს, რომელიც 0,89 მ-ის სიგანის პროფილირებულ რელიეფურ ჩარჩოშია ჩასმული, უჭირავს 0,89მX 0,85 მ ფართობი. არაა მოღწეული პირ-ველი სტრიქონის დასაწყისის ნახევარზე მეტი, რომლის ზემოთაც, გადარჩენილი წარწერის მარჯვენა ნაწილში რჩება თა-ვისუფალი არე. ხომ არ მიგვანიშნებს ეს გარემოება, რომ წარწერა თავის დრო-ზე უფრო დიდი, იქნებ ორენოვანიც ყოფი-ლა (ბილინგვა) და ჩვენამდე მხოლოდ ქვე-და მეორე ნახევარმა მოაღწია? წარწერის




სურ. 11. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ტაბულა პეუტინგერიანის მიხედვით.

ტექსტი, რომელსაც დეკლარაციული ხასიათი აქვს იმპერატორის კანცელარიაშია შეთხზული. აქ ქართლის (იბერიის) მეფე მითრიდატე, ფარსმანის ძე არ მოიხსენიება იმ შესაფერი ტიტულით — „მეფე დიადი“, რომლითაც ის შემკულია ხოლმე არამეულ-არმაზულ წარწერებში („შარაგასის სტელა“). სამშენებლო წარწერა, რომელიც მცხეთის დამცველი კედლისა და ციხე-კოშკების რეკონსტრუქცია-განახლების დამთავრების აღსანიშნავად გაკეთდა, თავის დროზე, ალბათ, ქალაქის კარიბჭეს თუ ამშვენებდა. არ არის გამორიცხული, რომ იბერიის ციხესიმაგრეთა მშენებლობასა თუ რეკონსტრუქციაში XII ლეგიონის ნაწილები მონაწილეობდნენ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ რომაელები, კერძოდ, XII ფულმინატა ლეგიონის შენაერთები, თითქოს მონაწილეობას იღებდნენ იბერიელების ლაშქრობაში მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, ალბანეთის წინააღმდეგ, იმპერატორ დომიციანეს (81—96 წწ.) მმართველობის დროს (Г. Меликишвили К истории древней Грузии, с. 351, 352. ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 18—20), რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა რომის ისტორიაში.

32. Момзен Т., История Рима, Т. V, М.—Л., 1949, с. 358, Кудрявцев О. В., Рим. Армения и Парфия во второй половине правления Нерона, ВДИ, 1949, № 3, с. 60 Бокшанин А. Г., Парфия и Рим, II, 1966, с. 217—222. Г. А. Цветаева, Боспор и Рим, с. 48.

33. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 351.

34. 1872 წელს ბაიერნს, სამთავროს სამაროვნის გათხრებისას უპოვნია დიდი ზომის „ძველი დროის აგურები“ გამოუცნობი ასო-ნიშნებით. Берже А. П., Кавказская археологическая летопись, Журнал „Кавказская старина“, Тифлис, 1879, № 3, с. 54.

35. Момзен, История Рима, V с. 365, прим. 5; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 358.

36. Philip A. Stadter, Arrian of Nicomedia, Chapel Hill, The University of North Carolina, 1980, pp. 1—11, 32—49; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაყმაძისა, თბ., 1961. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. თბ., 1983; Меликсет-Бек Л.М. По следам Перипла—Арриана, Труды Абхазского института языка, литературы и истории, Сухуми, 1959, XXX, с. 105—113; ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები VI, თბ., 1988, გვ. 250—322.

37. აღნიშნული გარემოება კარგად დასტურდება არიანეს მიერ გადმოცემული ერთი ლეგენდითაც. კერძოდ, არიანე, მოგვითხრობს რა მედეას მიერ აფსირტეს მოკვლის ამბავს, დასძენს, რომ აქ „კიდევაც აჩვენებენ აფსირტეს საფლავს“ (Арр. PPE, 5). ეს ძველი კოლხური ტრადიცია მომდევნო საუკუნეებშიც არის დაცული. იხ. პროკოპი კესარიელი (VI ს.) აფსარუნტში ნამყოფი, დაბეჯითებით მიუთითებს ამ ქალაქის ეპონიმის საფლავის არსებობას ძველი დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში. მას კარგად სცოდნია მისი წარსული: „ეს ქალაქი მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი, შემკულია თეატრონითა და იპოდრომით“. ამ ძველი დიდებიდან მის დროს მხოლოდ ნაგებობათა საძირკვლებიღა დარჩენილა. გეორგიკა, II, გვ. 124. გონიოს კარიბჭესთან უცხოელ არქეოლოგებს გათხრებიც ჩაუტარებიათ. ადგილობრივი მკვიდრნი XX საუკუნის დასაწყისშიც აქ უჩვენებდნენ, მაკრიალის ტაძრის ნანგრევებთან, აფსირტეს საფლავს. Краснов, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

38. Латышев, Sc II, с. 219, ВДИ, 1948, с. 207. ნ. კეჭაყმაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35; მ. შპაიდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135. აქვე, ბიბლიოგრაფია, Н. Ю. Ломоури, Грузинско-римские взаимоотношения, с. 228; Максимова М. И., Античные города Юго-Восточного Причерноморья, М. Л., 1956, с. 315. В. Лекинадзе, „Понтийский лимес“, с. 77. ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაშვილი დ., გონიოს განძი, თბ., 1980, გვ. 52, Michael Speidel, The Roman army in Asia Minor p. 17.

39. მ. შპაიდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136, M. Speidel, დასახ. ნაშრომი, გვ. 17. М. П. Спейдел, Ук. соч., с. 176.

40. Леквинадзе В., Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости. Византийский временник, т. XX, 1961, с. 230; მისივე, „პონტოს ლიმესი“, გვ. 77, 78.

41. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. 1, თბ., გვ. 94. შეად. Агбунов М., Античная лоция Черного моря, М., 1987, с. 68.

42. М. П. Спейдел, Ук. соч., с. 178. შპაიდელი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

43. შპაიდელი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

44. გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973, გვ. 8, 30.

45. ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი.

46. Воронов Ю. Н., Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979, с. 73, 74, рис. 35. ამ ტიპის სამკაულები აღმოჩენილია ზესტაფონის რაიონში, ს. კლდეეთში, ადგილობრივ დიდებულ ერისთავეთა წრის ორმოსამარხებში, რომლებიც ასევე ახ. წ. II საუკუნით თარიღდებიან. მათ მსგავსებას ჯერ კიდევ გ. ლომთათიძემ მიაქცია ყურადღება. იხ. ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 168. გარდა ამისა, რომაულ სამყაროსთან ურთიერთობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ზღვისპირეთის მასალებს

ლენინგრადში, სახელმწიფო ერმიტაჟში 1907 წლიდან ინახება მდიდრული ნივთების კოლექცია, რომელიც შეუძენიათ ბათუმში, ვინმე კონსტანტინიდისაგან (Б. Фармаковский, ОАК за 1907, СПб., 1910, с. 11, 118). ნ. ხოშტარიამ საარქივო მასალებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ „განძი“ აღმოჩენილია ციხისძირში. ის უნდა იყოს მდიდრული სამარხის ინვენტარი, რომელიც მან ახ. წ. II, საუკუნით დაათარიღა (ხოშტარია ნ. ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 26—28). მართლაც, სხვა ცნობების მიხედვითაც, ციხისძირში არაერთხელ აღმოჩენილა ძვირფასი სამარხეული კომპლექსები (სიჭინავა ვ., ახალი ცნობები ციხისძირის (პეტრას) ისტორიისათვის, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 1957, გვ. 50—52). სულ ახალახან აღნიშნული „განძი“, სამარხეული კომპლექსი (ოქროს—საყურეები, აგრაფი, მედალიონი, ბეჭდები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი და სხვ.) შესწავლილ იქნა ნ. ინაიშვილის მიერ, რომელმაც მისი თარიღი III საუკუნეში გადაიტანა (ინაიშვილი ნ., ციხისძირის განძი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბ., 1987, გვ. 145). თუ ექვს არ შევიტანთ კომპლექსის ერთიანობაში, მაშინ მისაღები იქნება ის აზრი, რომ „განძის“ შემადგენელი ნივთები მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით შედის რომის აღმოსავლეთი პროვინციების კულტურის წრეში; ამასთანავე, გამოიყოფა კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებიც, ხოლო ზოგიერთი უცხოელი სპეციალისტი აქ პართულ-სასანურ ელემენტებსაც ხედავს (ნ. ინაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131, იქვე ბიბლიოგრაფია).

ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გვაინტერესებს ქართულ-რომაულ ურთიერთობათა სპექტრი, რომელიც ინტენსიური ჩანს მთელი ამ ხნის განმავლობაში და რომლის გარეშე შეუძლებელია შუხუთის აბანოს, ფასისგან მოწყვეტით გააზრება (ლექვინაძე ვ., ზაქარაია პ., შუხუთის აბანო, მაცნე, 1966, 1). ამ თვალსაზრისითაც ნიშანდობლივია ურეკში, მდინარე სუფსის შესართავთან შემთხვევით აღმოჩენილი, IV ს. ბოლოთი დათარიღებული მდიდრული სამარხის ინვენტარი, რომელიც ასევე ადგილობრივ დიდებულს უნდა ეკუთვნოდეს. (Леквинадзе В. А., Богатое погребение конца IV века из Уреки (Грузия). СА, № 4, 1975, с. 198—208, სურ. 1—8).

47. მ. შპაიდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, 139.

48. Ю. К. Колосовская, Паннония в I—III вв., с. 75—96. აქვე სრული ბიბლიოგრაფია.

49. არიანეს ცნობას ერთგვარად ეხმიანება ევლია ჩელების ფასისში მიღებული შთაბეჭდილება: „ეს მდინარე უკვდავების წყალივით გემრიელია“, ამბობდა მოგზაური. დასახ. ნაშრომი. გვ. 96. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ მ. კასტორსკის (XIX ს. პირველი ნახევარი)

შეუნიშნავს, რომ ფასისის წყალი ადგილობრივ მცხოვრებლებში წმინდად ითვლებოდა და მდინარეში ყოველგვარი სიბინძურის, ნაგვის ჩაყრა აკრძალული ყოფილა. Костровский М., Исторические судьбы Русского Закавказья в древние времена, Журнал министерства народного просвещения, 1852, № 10, с. 10.

50. D u b o i s d e M o n t p é r e u x Yoyage autour du Caucase..., vol. III, p. 1839, p. 67—76. Atlas en 1e série, tab. XVIII.

В. Л е к в и н а д з е, „Понтийский лимес“, с. 80, рис. 5.

51. Л о м о у р и Н., Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, № 4, 1957, с. 90.

52. გ რ ი გ ო ლ ი ა გ., ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის, სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი, თბ., 1973-გვ. 36.

53. Н. Ю. Л о м о у р и, Из исторической географии древней Колхиды, გვ. 100. იქვე ბიბლიოგრაფია.

54. ამ ფილის აღმოჩენა 1896 წ. (ძველი ნავსადგომის ნანგრევებში) დაკავშირებულია სოხუმელი მხარეთმცოდნის ჩერნიავსკის სახელთან (Черноморский вестник, 1896, 27 июня) Ростовцев М. Надпись из Сухума, 300 ИД, XXVI, 1907, с. 365; Ельницкий Л. О малоизученных или утраченных греческих и латинских надписях Закавказья ВДИ, 1964, № 2, с. 138—140. ვ. ჩერნიავსკის შეუსწავლია „სოხუმის ციხის“, წყალქვეშა ნანგრევებიც. იხ. Чернявский В., Из исследований в Юго-Западном Закавказье, Известия РГО, 1877, т. 13, с. 341—347 (выпуск V)

55. Ala—ფრთეული თავდაპირველად რომის არმიაში მოკავშირეთა ჯარებისაგან შემდგარი ლეგიონის ფრთა. კეისრის (ცეზარის) დროიდან დამოუკიდებელი საკავალერიო ნაწილი, იმპერიის ეპოქაში დამხმარე ჯარების 500 და 1000-მხედრიანი ქვედანაყოფები. Lexicon der Antike, p. 26. Античная цивилизация, с. 201.

56. დაწვრილებით იხ. R. T o m l i n The Mobile Army, P. C o n n o l l y-ის წიგნში Greece and Rome at War, pp., 249, 252, 253 (IV ს. მიმდინარეობდა რომის არმიის შენაერთების ლეგიონების, კოჰორტების, ალების და სხვა რიცხობრივი შემცირება).

57. В. Л е к в и н а д з е, „Понтос лимес“, с. 84.

58. Т р а п ш М., Древний Сухуми, Труды II, Сухуми, 1969, 314—359.

59. Ю. Н. В о р о н о в, Диоскурнада—Себастополис, с. 80.

60. В о р о н о в Ю., Тайна цебельдинской долины, М., 1975; И н а л-И п а Ш. Д., Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, с. 238, Феофан Исповедник (760—818) Хронография, Чичуров И., Византийские исторические сочинения, М., 1980, с. 65, 138, 140, И н а д з е М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб. 1968, с. 262.

61. გ ე ო რ გ ი კ ა, 1, გვ. 224.

62. Х а р м а т т а Я., К истории Херсонеса Таврического и Боспора, Античное общество, М., 1967, с. 204, 205; დაწვრილებით იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 42—45. შდრ.: Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, с. 381.

63. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, 1, გვ. 175, 177; ნ. ლომოური „Notitia Dignitatum“-ში მოხსენიებულ „Pithiae“-ს ისევე როგორც „Sebastopolis-ს არ თვლის კოლხეთში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებულ პუნქტებად. მისი აზრით, ეს „Pithae“ საძიებელია სადღაც ტრაპეზუნტის სანახებში და არ შეიძლება მისი იდენტიფიცირება ჩვენს პიტიუს—ბიჭვინტასთან. იხ. Л о м о у р и Н. Ю. К выяснению некоторых сведений „Notitia Dignitatum“ и вопрос о так называемом понтийском лимесе, Византийский временник, 46, М, 1986, с. 64. მართლაც კაპადოკიაშია ცნობილი ქალაქი სებასტოპოლისი. სწორედ იქ არის აღმოჩენილი 137 წლით დათარიღებული წარწერა, რომელშიც ხოტბა აქვს შესხმული კაპადოკიის ლეგატ არიანეს. იხ. Р а н о в и ч А., Восточные провинции Римской империи в I—III вв., М.—Л., 1949, с. 126. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პიტიუნტი არ არის აღნიშნული IV საუკუნის მეორე ნახევრის საგზაო რუკაზე „Tabula Peuntigeriana“-ში, სადაც ნაჩვენებია სავაჭრო გზა (სურ. 11) შავი ზღვის გასწვრივ სებასტოპოლისამდე. იხ. ლ ო მ ო უ რ ი ნ. ი., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების შესახებ, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, თბ., 1958, გვ. 99—110.

64. Л. Алексидзе, დასახ. ნაშრომი; Юлий Капитолин, Жизнеописание Антония Пия, ВДИ, 1957, № 2, с. 249; Инадзе М. П., Причерноморские города, с. 247.

65. ყაუხჩიშვილი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 63.

66. Цветаева Г. А., Боспор и Рим, М. 1978, с. 38; Кадеев В. И., Дьячков С. В. Римские гарнизоны Ольвии и Херсонеса в I—III вв. н. э., Проблемы исследования Ольвии, Парутино, 1985, с. 33.

67. ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 317—318; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 82.

68. გეორგიკა, II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 72, 73, 137 (რომაელების ინტერესების სფეროში შედიოდა მონებითა და ტყვეებით ვაჭრობა, სანაცვლოდ შემოჰქონდათ მარილი და ხორბალი, BP, II, 15); Прокопий из Кесарии, Война с готтами, М., 1950.

# პიტიუნტი ახ წ. II–VI საუკუნეებში

## (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

ჩვენამდე მოღწეული პიტიუნტის დამცველი გალავან-კოშკები, რომელთა რესტავრაცია ამჟამად მიმდინარეობს (ტაბ. V, სურ. 1,2) პროფ. ვ. ცინცაძის პროექტით (1), ბიზანტიურ ეპოქას, კერძოდ, ახ. წ. IV—VI სს. განეკუთვნება. მისი ჩლვიური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე ნაგები ზღუდის საერთო პერიმეტრი 1200 მ-ს აღწევს. კოშკების რაოდენობა კი — 27-ს (2). ქვითკირის გალავნითა და კოშკებით დაცული ნაქალაქარის ტერიტორია ორ შემადგენელ ნაწილად იყოფა: პირველი წარმოადგენს გეგმაში ოთხკუთხა 2 ჰექტრის ფართობის მქონე ციტადელს, რომელიც იმეორებს ძველი რომაული II საუკუნის მეორე ნახევრისა და III საუკუნის დასაწყისის კასტელის დაგეგმარებას. არქეოლოგიური მონაცემებით IV—VI სს. მის ცენტრალურ ნაწილში პრეტორიის, პრინციპიის, ყაზარმების, აბანოს (3) და სხვა ნაგებობების ჯერ გადაკეთებისა და შემდეგ, IV საუკუნის მიწურულს, განადგურების შემდგომ, დედაციხის ტერიტორია მოსწორებულია, დაფარულია მიწით. მთელ ამ ფართობზე V საუკუნის ბოლოს და VI ს. ეწყობა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები: ქურა-სახელოსნოები, კირის გამოსაწვავი ორმოები, ცისტერნები, მარანი და სხვ. (4). დადასტურებულია ამფორასამარხის კვალიც. არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ ძველი ციტადელის ამ შიდა ნაწილს, აღნიშნული დროისათვის, შეცვლილი აქვს თავისი სამხედრო ხასიათი და სხვა ფუნქციური, კერძოდ, სამეურნეო დანიშნულებისაა.

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბატონობდა აზრი, რომ V ს. პირველი მეოთხედის ბიზანტიის იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა ოფიციალურ ნუსხაში — „ნოტიცია დიგნიტატუმში“, პროვინცია „პოლემონის პონტოში არსებულ სტრატეგიულ პუნქტებს შორის თითქოს, მოხსენიებულია ბიჭვინთა „Pithiae“ — პიტიუნტი (5), სადაც მდგარა „ფრთეული (Ala) პირველი ბედნიერი თეოდოსის სახელობისა“. აღნიშნული წყაროს საგანგებო შესწავლის შემდეგ (6) დადგინდა: წყაროში დასახელებული არც ერთი სტრატეგიული პუნქტი, მათ შორის „პითიე, ვალენცია, ჰიუსპორტო, კენე, პარემბოლე, სებასტოპოლისი, ზიგანე და მახორა“ არ მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში· შესაბამისად, V ს. დასაწყისში ეგრისში, მის ზღვისპირეთში არ მდგარა ბიზანტიური გარნიზონები და, ცხადია, ბიჭვინთაც აღარ შედიოდა „პონტოს სასაზღვრო ხაზში — Limen Ponticum“-ში (7), ეს კარგად დასტურდება პიტიუნტის გათხრებისას მოპოვებული მასალებით.

პიტიუნტის ციტადელს აღმოსავლეთი მხრიდან ეკვრის წრიული მოყვანილობის, გალავნითა და კოშკებით გამაგრებული სავარაუდო სამოქალაქო დასახლების ტერიტორია, კანაბე, რომლის საერთო ფართობი 4,5 ჰექტარს არ აღემატება (სურ.4).

როგორც ვხედავთ, პიტიუნტის გალავან-კოშკებით დაცული სივრცე არ არის დიდი და, ვფიქრობთ, მისი არსებობის ბოლო პერიოდისათვის ზუსტად შეესაბამება იუსტინიანე კეისრის 534 წლის შემდგომი პერიოდის დადგენილებაში, ნოველაში მოცემულ განსაზღვრას [8]. ისევე, როგორც ამ დროს სებასტოპოლისი, პიტიუნტიც უფრო ციხესიმაგრეებშია (ἐν φρουρίοις) ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში (ἤ πόλεσιν), მაგრამ, გარდა ციტადელისა საქალაქო უბნები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფართობს მოიცავდა. ეს ჩანს გალავნის გარეთ სამხრეთი მიმართულებით გამოვლენილი ნაგებობების ნაშთების მიხედვითაც. ამ მხრივ საინტერესოა დღევანდელი სტადიონის ტერიტორიაც, სადაც გეოფიზიკური ძიებითაც და დაზვერვების შედეგად მოპოვებული მონაცემებით დასტურდება ძველი დასახლების კვალი. ჩვენი აზრით, III—VI საუკუნეებში პიტიუნტი ქალაქია, რომელიც აგრძელებს რომაულ სამხედრო ბანაკთან წარმოშობილ სამოქალაქო დასახლების ტრადიციას. მას მხოლოდ სკვითების 257 წლის გამანადგურებელი თავდასხმის შემდეგ, მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოების მიზნით, შემოავლეს საკმაოდ ძვირადღირებული სასიმაგრო ნაგებობანი (ტაბ. II) ცხადია, ეს მარტო სტრატეგიული მიზნებით არ გაკეთებულა და ამ აქციას გარკვეული ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. ჩანს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში აქ საქალაქო ცხოვრება ვერ აღორძინდებოდა და ამ სასიცოცხლო პროცესით ხელისუფალნი დიდად უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. რომაულ ციხესიმაგრეს და პიტიუნტის მშვიდობიან მოსახლეობას არაერთხელ დამუქრებია სასიკვდილო საფრთხე. ეს კარგად ჩანს ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ მისადგომებთან ე. წ. III საძიებო თხრილში გამოვლენილი კოლექტიური სამარხების მაგალითზე, სადაც აღმოჩნდა ადამიანთა უწესრიგოდ ჩაყრილი ჩონჩხების გროვა, რომლებშიც ჰარბობდა მცირეწლოვანი ბავშვების ძვლები (9).

პიტიუნტის ნაქალაქარის სტრატიგრაფიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მას თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ განუცდია მტრის შემოსევა, განსაკუთრებით საგრძნობი ყოფილა ბორანთა ტომების თავდასხმა III საუკუნის შუა წლებში და ჰუნთა შემოსევა IV საუკუნის ოთხმოციანი წლებისთვის. V საუკუნეში საქალაქო ცხოვრება ჩამკვდარია. მისი ახალი აღმავლობა ბიზანტიელების აქტიურობასთან არის დაკავშირებული. ჩვენი დაკვირვებით პიტიუნტი არ ექვემდებარება ლაზიკის სამეფოსა და აბაზგ-სანიგთა კონტროლს. საეპისკოპოს არსებობა მიგვანიშნებს ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის გარკვეული ფენის არსებობაზე და მის კავშირზე კაპადოკიასთან, რადგან იერარქიულად პიტიუნტი ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედიოდა (10). ეს უკანასკნელი ახორციელებდა საფინანსო მეთვალყურეობას, ეკლესია ფლობდა საქალაქო მიწების ნაწილს (11), აწარმოებდა საეკლესიო მშენებლობას. ჩვენთვის გაუგებარია ზოგიერთი ავტორის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ პიტიუნტი „ადგილობრივი ქალაქია“ (12), რის ქვეშაც, ცხადია ,ავტონომია უნდა ვიგულისხმოთ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს პროკოპი კესარიელის ცნობას (13). VI ს. მეორე ნახევრიდან პიტიუნტის გამაგრებული ნაწილი მართლაც მიტოვებული ჩანს. ამასთანავე პიტიუნტის სრულ განადგურებაზე საუბარი არ იქნებოდა სწორი, რადგან ბიზანტიელებს მხოლოდ სამხედრო ობიექტები გამოუყვანიათ მწყობრიდან. როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის უბნები ციხესიმაგრის გარეთ ვრცელდებოდა. ამ

თვალსაზრისითაც ახალი საყურადღებო მასალები მოგვცა 1983 წელს გათხრილმა მე-18 კოშკმა (14).

მე-18 ხუთწახნაგა კოშკს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პიტიუნტის სასიმაგრო ნაგებობათა სისტემაში, რადგან აგებულია კანაბესა და კასტელუმის გალავნის კედლების სამხრეთ შესაყართან (ტაბ. IX, I, სურ 4). როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ფორმის კოშკები საგანგებოდ ქვასატყორცნი მექანიზმების ბატარეისათვის იგებოდა (15), რაც ჩვენი გათხრებითაც კარგად დადასტურდა; კერძოდ, აქ IV საუკუნის ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული რომაული ბალისტას, ღერძის მასიური დეტალი (ტაბ. XIV), რომლის მეშვეობითაც იჭიმებოდა ხარის კისრის ძარღვებისაგან დაგრეხილი ბაგირები და იტყორცნებოდა ქვის ჭურვები. 1,50 მ სისქის კედლებიანი კოშკი მიშენებულია გალავანზე, რომლის შემორჩენილი სიმაღლე აქ 4,80 მ-ია. კოშკის საერთო ფართობი აღწევს 20 კვ. მ, სადაც მეციხოვნეთა ათკაციანი რაზმი დაეტეოდა. კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შეიმჩნეოდა VI საუკუნის რემონტის კვალი — წყობაში გამოუყენებიათ 30სმ×30სმ×5სმ აგურები, რომლებიც ცალკე სარტყელს ქმნიდნენ. ციხე-ქალაქის ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ტიპის წყობის კვალი ნაქალაქარის სხვა მონაკვეთებზეც არის დაფიქსირებული. კოშკის სტრატიგრაფიული ჭრილი (ტაბ. IX, 2) ასეთია: 0,30 მ სისქის კორდოვანი ფენა. 1,20 მ სისქის, სამშენებლო ნარჩენების ნაყარი 1,80 მ სიღრმეზე, კოშკის შერჩენილი ზედაპირიდან VI ს. შავი კულტურული ფენა და კრამიტყრილი. 2,20 მ სიღრმე თიხატკეპნილი იატაკი. 2,80 მ შავი კულტურული ფენა, ნახანძრალი, 3 მ. მეორე თიხატკეპნილი იატაკი და IV ს. ნახანძრალი ფენა, 3,80 მ სიღრმეზე. მესამე თიხატკეპნილი იატაკი რიყის ქვებისფენილიანი III ს. მეორე ნახევარი და IV ს. დასაწყისი — კოშკის სამშენებლო პერიოდი, 4.50 მ დედაქანი.

ზედაპირიდან 2,80 მ სიღრმეზე დაფიქსირდა ნახანძრალი შრე 10 სმ სისქისა და კოშკის, VI ს. იატაკის დონე. მასობრივი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია: ე. წ. ბიზანტიური ტიპის, რელიეფურზედაპირიანი, კვერცხისებურკორპუსიანი ამფორების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტით, წითლადშეღებილი იმპორტული სუფრის ჭურჭლით — ლანგრები, თეფშები, მაღალპროფილირებული გვერდებით, რომელთა გარე მხარე მოკლე ჭდეებით არის დაფარული; მინის ნაწარმით, რომელთა შორის გამოიყოფა ამ ეპოქისთვის მეტად დამახასიათებელი სასმისების მრგვალფეხიანი ძირები. განათხარ მასალაში გამოიყოფა ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული სამზარეულო ჭურჭელი: ქოთნები, ქვაბები და ჯამები. სახელოსნო ნაწარმი წარმოდგენილია რკინის ნაჭედი ქუდიანი, სხვადასხვა ზომის ლურსმნებით. ძირითადად ისინი დაფიქსირებულია შავი ნახანძრალი ფენის ზედა ჰორიზონტებში კრამიტებსა და ხის ძელების დანახშირებულ ნაშთებთან, რაც საშუალებას გვაძლევს ისინი სახურავის ხის კონსტრუქციებს დავუკავშიროთ. ამავე ფენამ მოგვცა მახვილი, რკინის დანები, შუბისპირები, ქამრის ბალთა და ე. წ. წებელდური ტიპის ჯვრისებური ფიბულები, საკიდი ჯვარი, ნემსები, მახათები, ბრინჯაოს ანკესები, რკინის გასაღებები და სხვ.* ნახანძრალი ფენა ადევს თიხატკეპნილ

---

* იხ. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დავთარი. 1983, № 1; ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ანტიკური არქეოლოგიის სექტორში.

დამრეც იატაკს, რომლის სისქე, მომზადებასთან ერთად 15 სმ-ია. თიხასა და ქვიშასთან ერთად მომზადებაში გამოუყენებიათ წვრილი რიყის ქვებიც. თიხატკეპნილ მოყვითალო ფერის იატაკს ალაგ-ალაგ ეტყობა მძლავრი ხანძრის კვალი, დიდი ტემპერატურის მოქმედების გამო (1200° მეტი) კრამიტების ფრაგმენტები ერთმანეთზეა შედუღებული ან წიდადქცეულია. იატაკის დონეზე აღმოჩნდა კონსტანტინოპოლში მოჭრილი იუსტინე I (518—527 წწ.) და იუსტინიანე I (527—565 წწ.) სპილენძის ათიოდე მონეტა. ნიშანდობლივია, რომ საერთოდ კოშკში აღმოჩენილ 26 ვერცხლისა და სპილენძის მონეტას შორის არც ერთი არ მიეკუთვნება V საუკუნეს! ანალოგიური ვითარებაა სხვა კოშკებში მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მასალებშიც, რაც უდავოდ გარკვეული რეალური ისტორიული ფაქტის ამსახველია. ამგვარად, ჩვენ ხელთ არსებული ნუმიზმატიკური მასალებით დოკუმენტურად დასტურდება, რომ V საუკუნეში პიტიუნტში მართლაც არ მდგარა ბიზანტიელთა გარნიზონი, როგორც ამას ვარაუდობდა ჯერ კიდევ აკად. გ. მელიქიშვილი.

ანალოგიურ დასკვნამდე ჩვენგან დამოუკიდებლად მივიდა ი. ცუხიშვილი (16). მან სპეციალურად შეისწავლა კონსტანტინე I (306—337 წწ.) და მისი ვაჟიშვილების სახელით მოჭრილი ბიჭვინთაში აღმოჩენილი სპილენძის 310 მონეტის შემცველი განძი, რომელმაც შემდეგი ქრონოლოგიური ჯგუფები მოგვცა:

1) კონსტანტინე დიდი (306—337 წწ.) — 11 ცალი.

2) ელენე დედოფალი, კონსტანტინე დიდის დედა, 328 წ. — 4 ცალი.

3) კონსტანტინე I გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით მოჭრილი მონეტები — 52 ცალი.

4) კონსტანტინე II (357—340 წწ.) — 6 ცალი.

5) კონსტანციუს II (331—361 წწ.) — 102 ცალი.

6) კონსტანტ I (337—350 წწ.) — 75 ცალი.

7) კონსტანციუს II ან კონსტანტ I—60 ცალი.

ისინი მოჭრილია ანტიოქიაში (87), ნიკომედიაში (51), ქიზიკში (31), დანარჩენი კონსტანტინოპოლსა, სისციასა და თესალონიკაში. 101 მონეტის მოჭრის ადგილი მათი ცუდი დაცულობის გამო დაუდგენელია. აღმოსავლეთის პროვინციებში მოჭრილი ეს სპილენძის ფული, რომლის დანიშნულება იყო არმიის შენახვა ე. წ. „საარმიო ტიპისაა“ და ჯარისკაცთა ცხოვრებას უკავშირდება.

როგორც ვხედავთ, ამ განძის ყველაზე ადრეული მონეტა III ს. პირველი მეოთხედისაა, ხოლო ყველაზე გვიანი 361 წლის შეიძლება იყოს. ამგვარად, განძი ისეთსავე სურათს გვაძლევს, როგორც მე-18 კოშკის დახურული კომპლექსის IV ს. ნუმიზმატიკური მასალა. განძი, როგორც ჩანს, უნდა დაემალათ IV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მტრის მოსალოდნელი ან რეალური თავდასხმის შიშით. პირველად ამ დროისათვის უნდა შემოჭრილიყვნენ შავიზღვისპირეთში ჰუნები და აელოთ პიტიუნტი. ამის გამოა, რომ IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნით დათარიღებული მონეტები ბიჭვინთაში ცოტაა. ეს ეპოქა წარმოდგენილია არკადიუსის (395—408 წწ.) და თეოდოს II-ის (405—450 წწ.) ათამდე მონეტით, რაც ძალზე მცირეა. ეს ფაქტი კი უდავოდ ბიჭვინთის, როგორც ციხესიმაგრისა და მასთან დაკავშირებული კანაბეს, საქალაქო [illegible] ეკონომიკური დაქვეითების მაჩვენებელია. ამის მთავარი მიზეზი კი IV ს. ბოლოს (361—395 წლებს შორის) მომხდარი ეს სამხედრო

კატასტროფა უნდა იყოს, რაც რატომღაც არ აისახა წერილობით წყაროებში; იქნებ ეს, ისევე როგორც გონიო — აფსარუნტისა და ფოთი — ფასისის დაცემა უკვე ლაზიკის, ეგრისის სამეფოს უფრო შეეხებოდა და რომაელ-ბიზანტიელ ისტორიკოსთა ინტერესების მიღმა დარჩა.

მე-18 კოშკში, VI საუკუნის ნახანძრალი იატაკის ქვეშ, 2,80 მ სიღრმეზე გამოიყოფა 0,35 მ სისქის IV საუკუნის კულტურული ფენა, კოშკის იატაკის დონე და კიდევ ერთი ნახანძრალი შრე. IV საუკუნის მონეტების გარდა, აქ აღმოჩენილია მინისა და კერამიკის ჭურჭლის ფრაგმენტები, სამკაული, იარაღი, ბრინჯაოს საავგაროზე (საამულეტე), IV საუკუნის ფიბულა, ბერძნულწარწერიანი ფილის ფრაგმენტი და სხვ. (ტაბ. V—VIII). იატაკის ამ დონის შემდეგ მოდის 0,50 მ-ის თითქმის სტერილური თიხნარი (იქნებ იატაკის მომზადება). ის, თავის მხრივ, ადევს III ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისით დათარიღებული კოშკის სამშენებლო ხანის ფენას. საინტერესო სურათს გვაძლევს კოშკში აღმოჩენილი მონეტების სტრატიგრაფიული განლაგება. მე-18 კოშკის ზემოდან, მეორე იატაკის დონეზე, ზედაპირიდან 2,80 მ-ის სიღრმეზე, მათ შორის ნახანძრალ შრეში დაფიქსირებულია კონსტანტ I, კონსტანციუს II (331—361 წწ.) მონეტები, შემდეგ, 3,5 მ-ის სიღრმეზე გვხვდება კონსტანტინე I (306—337 წწ.) ან მისი უახლოესი მემკვიდრეების სპილენძის მონეტები. მათთან ერთად ლიცინიუსის (307—311 წწ.) საფასე. ამავე ტიპის განუსაზღვრელი მონეტა აღმოჩნდა თითქმის 3,90 სიღრმეზე, ხოლო 40 სმ უფრო დაბლა—მაქსიმიანუს გალერის (292—311 წწ.) ბრინჯაოს ფული.

კოშკის მშენებლობის ხანას უახლოვდება 4,50 მ-ის სიღრმეში მოპოვებული: სევერის, ავრელიანეს (270—275 წწ.) და ნუმერიანეს (282—284 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები, რომლებიც თანმხლებ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად III ს. ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისზე მიგვანიშნებენ. IV საუკუნის ბოლოს კოშკი გადამწვარია. V საუკუნის განმავლობაში და VI საუკუნის პირველ წლებამდე კი გაუქმებული ჩანს; ამ დროის ფენაში გვხვდება გვერდით მდებარე II ან III ბაზილიკის მარმარილოს არქიტექტურული დეტალებიც; შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ეკლესიაც დანგრეულია, ისევე როგორც, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ჭაობის პირზე მდებარე ჩვენ მიერ გათხრილი სატაძრო მარანი (ტაბ. XVII), 15, 40 მ×5,40 მ, გეგმაში თიხკუთხა ქვისსაძირკვლიანი ორგანყოფილებიანი ნაგებობა. ის გადაფარული აღმოჩნდა ნახანძრალი ფენითა და სახურავის ჩამონგრეული კრამიტის ნაყარით. შედარებით პატარა სათავსო, რომლის ზომაა — 4,70 მ×5,60 მ სატრაპეზოს ჰგავს. ის ტიხარში დატანებული კარით უკავშირდება მარანს, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა ტევადობის, თიხატკეპნილ იატაკში მხრებამდე ჩასმული 7 ქვევრი, მრგვალი ე. წ. რომაული ტიპის ხელსაფქვავის ფრაგმენტები და ადგილობრივი, ყავისფერკეციანი წელშეზნექილი ამფორები. რომლებიც ზოგადად IV—VI სს. თარიღდებიან. ერთ-ერთ ქვევრზე გამოწვამდე დატანილია ტოლმკლავიანი ჯვარი. რელიეფური ტოლმკლავა ჯვრებია გამოსახული ზოგიერთ კრამიტზეც, რაც ამ ნაგებობის საეკლესიო ორგანიზაციისადმი კუთვნილების მაჩვენებელია. ასევე VI საუკუნის შუა წლებში ჩანს დანგრეული და გადამწვარი, კანაბეს აღმოსავლეთ გალავნის კედელზე მიდგმული, დიდი 300 კვ. მ ფართობის მქონე ბეღელი თუ საწყობი, სადაც აღმოჩნდა 0,5 მ-ის სიმძლავრის ხორბლის დანახშირებული ფენა (17). თუ პროკოპი კესარიელის ცნობას გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარსელების შიშით

ჯარს საერთოდ ბედის ანაბარა მიუტოვებიათ ბიჭვინტის მშვიდობიანი მოსახლობა, რადგან სურსათის მარაგიც კი გაუნადგურებიათ.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც; VI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიელ ისტორიკოსთა შრომებში (აგათია სქოლასტიკოსი, იოანე ეპიფანელი, მენანდრე პროტექტორი, თეოფანე ბიზანტიელი, იოანე მალალა, ევაგრი სქოლასტიკოსი და სხვ.), რომლებიც ზოგადად თუ კონკრეტულად განიხილავენ დასავლეთ საქართველოს ამბებს, პიტიუნტი აღარ იხსენიება!

შ. ამირანაშვილი თვლიდა, რომ პიტიუნტის კანაბეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდგარი ბაზილიკა VI საუკუნის ბოლოს დანგრეულია (18), ხოლო იუსტინიანეს დროს სოხუმ — ბიჭვინტის მონაკვეთი უშუალოდ ბიზანტიას ემორჩილება (18). უდავოდ, ბიზანტიელებმა ბედის ანაბარა მიატოვეს პიტიუნტი, მაგრამ აქ სულ როდი შეწყდა ცხოვრება. როგორც ჩანს, ის გრძელდებოდა ციხესიმაგრის საზღვრებს გარეთ. თუმცა მას ამ დროს უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ძველი სტრატეგიული მნიშვნელობა და ჩვეულებრივ, რიგით დასახლებას წარმოადგენდა.

პიტიუნტის კოშკებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ VI საუკუნის ნახანძრალი ფენები თითქოს საგანგებოდ არის გადაფარული ან სტერილური თიხნარის ფენით, ან სამშენებლო ნაგვით (19). ვფიქრობ, ეს კოშკები სპეციალურად ამოვსებულია გარკვეული მიზნით. ახსნას მოითხოვს VIII საუკუნით დათარიღებული, აფხაზეთის მთავრის „კონსტანტინე აბასგოსის“ ტყვიის შეკიდული ბეჭდის აღმოჩენის ფაქტიც, სწორედ კანაბეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბაზილიკის ნანგრევებთან (20). აღნიშნული საკითხები სცდება ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა წარმოაჩინოს ბიჭვინტა — პიტიუნტის ისტორიის შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი, მისი როლი და მნიშვნელობა აფხაზეთის სამთავროსა და შემდეგ სამეფოს არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაში.

## § 1. პიტიუნტის „შიდა ყურე“ და კანაბეს თავდაცვითი ნაგებობების მეორე ზღუდე

პიტიუნტის სამოქალაქო დასახლებად მიჩნეული ტერიტორია, რომლის ცენტრალური ნაწილი დღეს ჰაობს უჭირავს (ტაბ III), ჩრდილოეთიდან ორი ზღუდით ყოფილა დაცული. აქედან ესაზღვრება მას ტბა ანიშწარა (აფხაზურად „ნავის გზას“ რომ ნიშნავს). ა. როსტოვცევის აზრით (იხ. სურ. 12), ის რამდენიმე ნატბეურთან ერთად დაკავშირებული ჩანდა ინკიტთან და ქმნიდა ძველი პიტიუნტის შიდა ნავსაყუდელს, რაზედაც თითქოს ძველი ავტორებიც მიუთითებდნენ (21). არიანეს გარდა, პიტიუნტში არსებულ „კარგად მოწყობილ ყურეზე“, ნავსადგომზე (λιμένα εὐορμότατον ἔχοντι) ცნობა დაცულია, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოს ზოსიმესთან (zos. 1,32). სამწუხაროდ, ბიჭვინთის კონცხის თანამედროვე სანაპიროზე, მიუხედავად მრავალმხრივი ცდისა, ძველ ნავსადგურს ვერსად მივაკვლიეთ, ამ მხრივ ჰიდროლოგთა წყალქვეშა ძიებასაც არ მოუცია ოდნავ ხელშესახები მასალა (22). ამიტომაა, რომ ინკიტის პირას რომაული კოშკის აღმოჩენას დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, სწორედ პიტიუნტის „შიდა ნავსადგურის“ ძიების პერსპექტიულ მიმართულებასთან კავშირ-

ში (23). ბიჭვინთის ექსპედიციის „საძიებო სამუშაოთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ძველი პიტიუნტის საზღვაო მისადგომისა და ნავსადგომის ძიებაში მდგომარეობდა“ (24). ამ მიმართულებით ა. აფაქიძის მიერ ჩატარებულ სამუშაოთაგან აღსანიშნავია საქართველოს არქეოლოგიურ პრაქტიკაში პირველი აეროფოტოგადაღებები და ამის შედეგად ნაქალაქარის ტოპოგრაფიასთან დაკავშირებით მიღებული ახალი მონაცემები; კერძოდ, მაშინ აღიხიშნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. სპეციალისტების აზრით, პიტი-




სურ. 12. ბიჭვინთის კონცხის გეგმა შედგენილია 1898 წელს. კარგად ჩანს ტბისა და ზღვის შემაერთებელი არხი (ამოღებულია ა. როსტოვცევის ნაშრომიდან: Пицундская сосновая роща как «Памятник природы», Лесной журнал, Петроград, 1915, вып. № 2).

უნტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან „შემოჭრილი ჭაობი „თითქმის ნამდვილად“ ტოვებდა „ოვალური მოყვანილობის შიდანავსადგურის შთაბეჭდილებას“. ტორფნარითა და წყლიანი ჭაობით დაფარული ნაქალაქარის ჩრდილოეთი ხაწილიდან აქვე მდებარე ტბა ანიშწარასკენ მიუყვებოდა ვიწრო, წყლიანი, ჩავარდნილი ზოლისებური მონაკვეთი, რომელიც ძველი არხის შთაბეჭდილებას ტოვებდა; ხოლო ჭაობის სამხრეთ მომრგვალებული ნაწილი „შეიძლება შიდა ნავსადგომად მიჩნეულიყო“ (25), უფრო ადრე კი, 1952 წლის პირველი საძიებო სამუშაოების შემდეგ ფიქრობდნენ შიდა ნავსადგურთან დაკავშირებული, ვიზუალური დაკვირვებების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება თითქოს სწორი არ უნდა ყოფილიყო. დაზვერვითმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ 1-ელ და მე-2 კოშკებს შორის არსებული სივრცე არ იყო ღია და ის „ყოველ შემთხვევაში, თითქმის 90 მ სიგრძეზე კედლით ჩაკეტილი ყოფილა“ (26). მიუხედავად ამისა, ექსპედიციის ანგარიშებში სამართლიანადაა მინიშნებული „საკითხი არხისა და შიდა ნავსადგომის შესახებ მაინც არ არის გადაჭრილი“. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს 1952 წლის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის უბნის უფროსის დ. ხახუტაიშვილის აზრი; მან არქეოლოგიურად შეისწავლა № 1 კოშკი, სადაც გამოჰყო VI და IV სს. კულტურული ფენები. ჭაობმა არ მისცა შემდგომი ჩაღრმავების საშუალება. მის ანგარიშებში აღნიშნულია: „სპეციალურ ლიტერატურაში

გამოთქმული მოსაზრება (როსტოვცევი, ბაშკიროვი), თითქოს ბიჭვინთას შიდა ნავსადგური ჰქონდა, წერილობითი წყაროების მცდარ ინტერპრეტაციაზეა აგებული" (27). 1-ელ და მე-2 კოშკებს შორის დ. ხახუტაიშვილი 180 მ-ის სიგრძის კედლის არსებობას ვარაუდობდა, რაც გამორიცხავდა პიტიუნტის შიდა ნავსადგურის არსებობას. როგორც აღნიშნული გვქონდა პრობლემა დღის წესრიგიდან არც მომდევნო წლებში მოხსნილა. 1964 წელს ინკიტის ტბიდან წყლის ამოქაჩვისა და გრუნტული წყლების დონის საგრძნობი დაწევის შედეგად შესაძლებელი გახდა საძიებო არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში. მე-2 კოშკთან გამოიკვეთა ზღვიური კონგლომერატის ბლოკებით, კირხსნარზე, IV ს. ფენაზე აგებული გალავნის კედლის კონტურები, მისი კვალი დაიკარგა 80 მ-ის შემდეგ ტორფიანი ჭაობის ცენტრში (28). 1975 წელს, როდესაც ჩვენ სათავეში ჩავუდექით ბიჭვინთის არქეოლოგიურ სამუშაოს, ექსპედიციის კონსულტანტმა აკად. ა. აფაქიძემ დაგვავალა ყურადღება მიგვექცია აღნიშნული პრობლემისათვის (29).

1976 წლის გვალვიანმა ზაფხულმა საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა ნაქალაქარის დაჭაობებული მონაკვეთი, სადაც გავლებულ შურფებში, სტერილური ტორფნარის სისქე თითქმის 2 მ აღწევს. დადასტურდა, რომ მე-2 კოშკის აღმოსავლეთი ნაწილიდან იწყება 1,80 მ-ის სიგანის გალავნის კედელი, რომელიც დღეისათვის კოშკთან შეერთების ადგილას 1,5 მ-ის სიმაღლეზეა (თანამედროვე ზედაპირიდან) შემორჩენილი. ის ქვების ამოკრეფის მიზნით დაუნგრევიათ ოცდაათიან წლებში, სადრენაჟო არხების გაყვანის დროს. გალავნის კედელი ნაგებია კონგლომერატით, კირხსნარით, სპორადულად გამოყენებულია რიყის ქვები და როგორც ირკვევა, თავის დროზე ორივე მხრიდან კირხსნარითვე ყოფილა თეთრად შელესილი; გაწმენდის პროცესში გამოჩნდა, თუ როგორ საგრძნობლად არის დაზიანებული ეს კედელი. მთელ მონაკვეთზე ქვები ამოკრეფილია საძირკვლამდე, თითქმის 80 მ-ს სიგრძეზე და ამ სექტორში არსად არ ჩანს კოშკების ნაშთები; მე-2 კოშკიდან აღმოსავლეთით 80 მ-ის შემდეგ გალავნის ხაზს კვეთს 2,50 მეტრის სიგანის, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში გავლებული სადრენაჟე არხი, რომლის ფსკერზე 2 მ-ის სიღრმეზე, წყლის ქვეშ, შეიმჩნევა კირხსნარიანი კონგლომერატისა და აგურის სარტყლებიანი წყობის მქონე კედლის მოზრდილი ფრაგმენტები. არხის აღმოსავლეთი ნაწილი კიდევ უფრო დაჭაობებულია. რკინის 2 მ ჭოკებით ჩატარებულმა ზონდაჟმა კედლის კვალი არსად მიგვანიშნა.

ამგვარად, ნაქალაქარის ამ მონაკვეთში გალავნის კედელი უეჭველად დადასტურდა მხოლოდ 85 მ-ის სიგრძეზე. № 1 კოშკამდე, გალავნის სავარაუდო ოპტიმალური მიმართულების გათვალისწინებით, 100 მ-ზე მეტი მანძილი თითქოს ღია რჩება. შეიძლება ვივარაუდოთ, კანაბეს ეს მონაკვეთი იმთავითვე ძნელი მისადგომი ყოფილა, ტბებისა და მისი დაჭაობებული ნაპირების გამო, ამიტომაც სამხედრო მშენებლებს არ ჩაუთვლიათ საჭიროდ აქ, დამატებითი კოშკების მშენებლობა. ნაქალაქარის დამცველი კოშკების საერთო რაოდენობის ნახევარი მის საწინააღმდეგო სამხრეთ სექტორზე მოდის, საიდანაც ყველაზე რეალური ყოფილა ციხე-ქალაქზე თავდასხმის საშიშროება.

მე-2 კოშკი (ტაბ. XVII) იცავდა როგორც ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ასევე კანაბეს ჩრდილო-დასავლეთ სექტორებს; 2,40 მ სისქის გალავნის კედლის ხაზიდან ის 13,60 მ-ით არის წინ წაწეული, რაც აადვილებდა კანაბეს

მისადგომებზე, განსაკუთრებით № 1 კოშკის მიმართულებით, მოისარ-მეციხოვნეთა კონტროლს, სადაც უნდა ყოფილიყო კანაბეში შესასვლელი, ჩრდილო-აღმოსავლეთ კარიბჭე. მე-2 კოშკს (ტაბ. XVII, 2) სამხრეთიდან უერთდებოდა კიდევ ერთი კედელი, 1,80—1,60 მ-ის სისქისა, რომელიც მას მიჯნავდა შიდა ციხის ტერიტორიისაგან. როგორც გამოირკვა, ის გასდევს კანაბეს დღევანდელ დაჭაობებულ კიდეს ჯერ სამხრეთი და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით (სურ. 4). გადახრა აქ N—S ღერძიდან 15°, შემდეგ კი 25° აღწევს; ის ზუსტად ისეთივე სამშენებლო ხერხებით არის ნაგები, როგორც კანაბეს დამცველი ჩრდილოეთი ზღუდე. მე-2 კოშკის სამხრეთი კედლების გაწმენდისას გამოიკვეთა ორ კონტრფორსს შორის მოქცეული 1,10 მ-ის სიგანის კარი (ტაბ.XVII,2), რომლის მაქსიმალური შერჩენილი სიმაღლე ზღურბლიდან 1,8 მ-ია. კოშკი შიგნიდან და გარედან კირხსნარით ყოფილა შელესილი. აღმოსავლეთი კონტრფორსი, რომლის სიგანე 1,10 მ-ია, სიგრძე 2,70 მ, ამოყვანილია ე. წ. შერეული, რომაულ-ბიზანტიური წყობით. აქ ჩვენამდე მოაღწია აგურის სარტყლების ორმა ზოლმა, რომელთა შორის მანძილი 0,80 მ-ია. თითოეული სარტყლის სისქე 0,44 მ-ია და აგურის ხუთი რიგისაგან შედგება. აგურების ზომებია 34 სმ×34 სმ × 3,5 სმ. აგურის რიგებს, წყობას შორის მანძილი, ანუ დამაკავშირებელი დუღაბის ფენის სისქე 6,5—7 სმ-ია. აღმოსავლეთი კონტრფორსი აგებულია VI საუკუნის დასაწყისში და მას უნდა დაეფარა არა მარტო მე-2 კოშკის შესასვლელი, არამედ დაეზღვია მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე გადმოწოლისაგან.

კარიდან დასავლეთით, 0,55 მ დაშორებით, კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე მიშენებულია მეორე კონტრფორსი — პლატფორმა, რომელიც, თავის მხრივ, უერთდება კანაბესა და ციტადელის გამმიჯნავ კედელს. ის 2,10 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი, დასავლეთი კონტრფორსი, რომლის სიგანე 3,40 მ-ია, ნაგებია ბიჭვინთისათვის ტრადიციული კონგლომერატების კვადრების წყობით, კირხსნარით, მხოლოდ ზედა ნაწილში VI ს. დასაწყისში მიშენებული აქვს აგურის ხუთი რიგისაგან შედგენილი სარტყელი, რომლის საერთო სისქე 0,41 მ-ია. სარტყლის აგურის სისქე 3,5—3,8 სმ-ია, ზომები —34 სმ×34 სმ დუღაბის კირხსნარის სისქე 6,5 სმ-ია. ანალოგიური შერეული წყობა არ დადასტურებულა კანაბეს და ციტადელის გამმიჯნავ კედელში, რომელიც თავდაპირველად მე-2 კოშკიდან სამხრეთით მხოლოდ 10 მ-ის სიგრძეზე გაიწმინდა და ჩვენ თავდაცვითი ნაგებობების მეორე რიგის ზღუდე ვუწოდეთ.

მე-2 კოშკიდან, 70 მ-ის სამხრეთით, ჩვენ მიერ გაწმენდილი კედლის დასაწყისიდან, კანაბეს დაჭაობებული კიდის გასწვრივ, კასტელუმის აღმოსავლეთი კარიბჭიდან 50 მ-ის დაშორებით გავლებულმა XXII თხრილმა (ტაბ. XIX) დაადასტურა ამ ზღუდის არსებობა მთელ ამ გაყოლებაზე. აქ ნაყარი მიწის ფენის აღების შემდეგ მკვეთრად გამოისახა თხრილის მთელ მონაკვეთზე გამავალი გალავნის კედელი (სურ 4). გაიწმინდა მისი აღმოსავლეთი საფასადო მხარე. ნაყარი მიწის სიმძლავრე ამ სექტორში 1 მ-ს აღწევდა და ნაქალაქარის დაჭაობებული ნაწილისაგან მკვეთრად გამოჰყოფდა XXIII თხრილს. განსხვავება ამ დონეებს შორის ნულოვანი წერტილდან 0,92 მ-ია. აღნიშნული ნაყარი მიწა უშუალოდ დევს შავი ფერის, ნახანძრალ კულტურულ ფენაზე, რომელიც ამ კედლის არსებობის უკანასკნელ პერიოდთან, კერძოდ, VI ს. არის დაკავშირებული. თხრილი XXIII აღმოსავლეთ ნაწილში კედლის

გარეთა საფასადო მხრის გაყოლებაზე შავი ფერის კულტურული ფენის ზედაპირი ერთგვაროვანია. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კედელთან შავი კულტურული ფენის ზედაპირზე აღმოჩნდა ე. წ. წებელდური, ჯვრისებური ფიბულა, რომლის მსგავსი ბიჭვინთაში წინათაც არაერთხელ უნახავთ. ანალოგიების მიხედვით, აღნიშნული სამკაული, ჯვრისებური შეილდსაკინძები, ახ. წ. VI—VII საუკუნეებით თარიღდება (30). VI საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება, ათენის აგორის მასალების მიხედვით (31), მინის სასმისების მრგვალფეხიანი ძირები, რომლებიც ამავე ფენაში და, საერთოდ ნაქალაქარზე. მათ შორის მე-18 კოშკში, მრავლად არის წარმოდგენილი. ნაქალაქარის ამ ფენისათვის ძალზე დამახასიათებელია გოფრირებულზედაპირიანი ამფორების ფრაგმენტები. ზუსტად ასეთივე ამფორების ფრაგმენტები გამოფენილია ბრიტანეთის მუზეუმში (დარბაზი 49). ისინი განსაზღვრულია როგორც აღმოსავლეთ ეგეიდის (Eastern Aegean) პროდუქცია და VI საუკუნით არის დათარიღებული. ხშირად გვხვდება სუფრის ჭურჭლის, კერძოდ, შემოტანილი ალექსანდრიული და რიგი მცირეაზიური (ანტიოქია და სხვ.) ცენტრების (32) გვიანდელი წითლად შეღებილი კერამიკის — ლანგრების, ჯამების, თეფშებისა და სხვა ფრაგმენტები, ადგილობრივი და იმპორტული ტარა და სხვ. როგორც აღვნიშნეთ, თხრილში გამოვლენილი ზედა კულტურული ფენა ქალაქის არსებობის უკანასკნელ პერიოდს უკავშირდება. კედლის ხაზიდან აღმოსავლეთისაკენ ეს ფენა კიდევ ექვს მეტრზე გრძელდება და ჭაობის კიდესთან თითქოს წყდება.

XXIII თხრილში დაფიქსირებული ზღუდის დასავლეთი, შიდა მხრის გაწოვლენისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიჭვინთელი ბერების დარგულ ასწლიან კვიპაროსებს განადგურების საფრთხე დაემუქრებოდათ. აქ 20 მ-ის სიგრძეზე გამოვლენილი კედელი დამხრობილია N—S მიმართულებით, გადახრა ღერძიდან 15° აღწევს; კედლის სიგანე მერყეობს 2 მ—2, 20 მ-ს შორის და დასავლეთ ნაწილში საგრძნობლადაა დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. აღწერილი ე. წ. თავდაცვის მეორე რიგის ეს კედელი ამასთანავე, გალავანთან შედარებით უფრო მდარე, ნაჩქარევად ნაგების შთაბეჭდილებას ტოვებს. წყობაში გამოყენებულია როგორც მოზრდილი რიყის ქვები, ასევე კონგლომერატის კვადრები კირხსნარის მძლავრ ფენაზე. მშენებლები ცდილან თითქოს დაეცვათ კიდეც რიგების თარაზულობა. ამ მიზნით ქვის წყობის ხაზის გასასწორებლად ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია კრამიტის ან აგურის ფრაგმენტი და სქლად დადებული დუღაბის ფენა. ეს კედელი, ორივე მხრიდან კირხსნარით თეთრად შელესილი, ორ ნაწილად ჰყოფდა კანჭვეს (იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაფართოებულია კასტელუმის ტერიტორია).

კედლის გაწმენდის პროცესში გამოირკვა, რომ თხრილის ჩრდილოეთი ნაწილიდან 7 მ-ის დაშორებით კედელი ქმნიდა კუთხეს. ძირითადი კედლის ხაზიდან აღმოსავლეთისაკენ აღმოჩნდა 1,20 მ-ით წინ წამოწეული გეგმაში ოთხკუთხა კონსტრუქცია (ტაბ. XVIII,1), რომელიც კარიბჭის პილონს წარმოადგენდა. მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე შავი, ნახშირნარევი კულტურული ფენის ზედაპირიდან 0,70 მ და შეიცავს კონგლომერატის კვადრების 4 რიგს. კვადრების ზომებია 40×20 სმ. მეორე ასეთივე პილონი გამოიკვეთა თხრილის სამხრეთ ნაწილში, პირველი, ჩრდილოეთი პილონისაგან 2,25 მ-ის დაშორებით. ამ ორ პილონს შორის კარიბჭეა, რომელიც (პილონებს შორის არსებული გასასვლელი) ქალაქის არსებობის ბოლო პერიოდში ამოქო-

ლილი ჩანს 1,20 მ-ის სისქის კედლით. ე. ი. VI საუკუნისათვის, თუ V საუკუნის მიწურულში ეს ნაწილი იზოლირებულია კანაზეს ცენტრალური, დღეს ჭაობიანი ნაკვეთისაგან. სიმაგრის დამცველებს გასასვლელის ამოქოლვის დროს გაუთვალისწინებიათ ამ ადგილას ჭარბი წყლის დაგროვების საშიშროება. ტიხრის კედლის ცენტრალურ ნაწილში 0,53 მX0,35 მ ზომის ჭაობისაკენ დაქანებული კრამიტი დაუტანებიათ ნიაღვრის წყლის სადინრად (ჩრდილოეთი პილონის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხიდან კრამიტი-სადინარი დაშორებულია 0,95 სმ-ით, ხოლო სამხრეთი პილონის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან — 1 მ-ით).

ჩრდილოეთი პილონი ეკვრის ზღუდის კედელს, რომლის სიგანე მხოლოდ 0,60 მ-ია. მშენებლებს აქ მხედველობაში მიუღიათ მათი საერთო სისქე, რომელიც 180 მ აღწევს. ეს დასტურდება იმითაც, რომ ამ ვიწრო კედლის სიგრძე — 1,20 მ ზუსტად ემთხვევა პილონის სიგრძეს და შემდეგ კვლავ გადადის გალავნის 2 მ სისქის კედელში უწყვეტი წყობით, რაც მათი თანადროულობის მაჩვენებელია. ამ ზღუდის კედლის სისქე აქ 1,80—2 მ-ს შორის მერყეობს. აქვე იწყება, დასავლეთისაკენ მიმართული ასეთივე წყობის მქონე მარნის კედელი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი; ამგვარად, კარიბჭესთან მეტად საინტერესო სამეურნეო ნაგებობების კვანძი იქმნება (33), რომლის არქეოლოგიური შესწავლა დამთავრებული არ არის. ამ ზღუდის, კედლის შემორჩენილი ზედაპირის მაქსიმალური წერტილიდან (0 წერტილიდან განლაგებულია + 0,81 მ-ზე ) — 1,10 მეტრის სიღრმეზე იწყება VI საუკუნის შავი ნახანძრალი, მძლავრი კულტურული ფენა, რომლის სისქე 0,60 მ-ია; ის თანდათანობით გადადის თიხანარევ მონაცრისფრო ღორღნარევ ფენაში, რომლის საერთო სიმძლავრე აქ 0,35 მ-ს არ აღემატება. კედლის ზედაპირიდან 1,15—1,20 მ-ის სიღრმეზე ნაპოვნია ბრინჯაოს მონეტა (02—1.77/496), მოჭრილი კონსტანტინე I (306—337 წწ.) ან მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს. ამავე ტიპის, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებული, სამი მონეტა აღმოჩნდა თიხნარიანი ფენის თავზე, 1,45 მ სიღრმეზე. 1,35 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირებულია ე. წ. ხალიანი მინის ფრაგმენტებიც. ჩრდილო შავიზღვისპირეთში ამ ტიპის ჭურჭელს სპეციალისტები IV და V საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ. ათენის აგორის კომპლექსებში კი ის IV საუკუნითაა განსაზღვრული. აქ თითქმის არ გვხვდება წითელლაკიანი კერამიკა, შედარებით ბევრია ამფორების ფრაგმენტები, რომელთა შორის გამოიყოფა სამოსური ტარა და ე. წ. ხარაქსის ტიპის ახ. წ. IV ს. პირველი ნახევრის ბრტყელძირიანი ამფორების ფრაგმენტები (დიდი ზომის, ფართო და სწორყელიანი ამფორები პირდაპირ ანალოგიებს პოულობს ტანაისის IV ს. ფენებში დადასტურებულ ტარასთან). აღწერილი ფენა დევს 10 სმ სისქის ნახანძრალ შრეზე, რომელიც, როგორც გამოირკვა, გადადის XXII თხრილში გამოვლენილი ზღუდის სამხრეთი პილონის სასაძირკვლე ბალიშზე (ტაბ. XX, 1). სამხედრო კატასტროფის დროს, ჩანს, IV ს. ბოლო მეოთხედისათვის, ეს ზღუდე არსებულა. ის აუგიათ III ს. ბოლოს, რადგან ზღუდის მშენებლებს ჩაუჭრიათ ამ დროის ფენაც და III ს. შუა წლების ნახანძრალი შრეც.

სამხრეთი მიმართულებით აღნიშნული ზღუდე კვლავ გასდევს ჭაობის ნაპირს, სადაც ის წინა წლებში იყო დაფიქსირებული საძიებო შურფებით (34). ნიშანდობლივია, რომ ამ მონაკვეთში კედელი ჩრდილოეთ-სამხრეთი ღერძიდან 25° გადახრას იძლევა. მე-2 კოშკიდან 100 მ-ის შემდეგ (ამ მანძილ-

ზეა დაფიქსირებული კედელი) ზღუდეს უკვე 30° გადახრა აქვს და, როგორც ჩანს, მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ ისე, რომ IV—VI სს. სატაძრო კომპლექსი ჩრდილოეთიდან მისი მეშვეობით არის დაცული, ხოლო სამხრეთიდან კანაზეს გალავნით. მანძილი მათ შორის 40 მ არ აღემატება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფართობში ექცევა ეკლესიათა ეზოები, სადაც აღმოჩნდა III—IV საუკუნეების მონეტათა განძი, რომელთა შორის ყველაზე გვიანდელია ვალენტინიასეს (364—375 წწ.) სახელით მოჭრილი ფული (35). ცხადია, მთელი ამ სატაძრო კომპლექსის ნგრევა 375 წლის შემდგომ არის მომხდარი და არქეოლოგების (რ. რამიშვილი) მიერ სამართლიანადაა დაკავშირებული ჰუნების შემოსევასთან.

XXII თხრილიდან 25 მეტრის დაშორებით სამხრეთისაკენ ზღუდის მშენებლებს გადაუკვეთავთ ციტადელის კასტელუმის მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის არხი ისე, რომ ის არ დაუზიანებიათ (ტაბ. XXVI, 1,2). ამ დროისათვის კოლექტორი მოქმედებდა და მხოლოდ ჰუნების გამანადგურებელი თავდასხმის შემდეგ გამოსულა მწყობრიდან. ზღუდის საძირკველში დატოვებულია სპეციალური არხი, რომელიც მისგან 2,5 მეტრის დაშორებით, აღმოსავლეთისკენ შედის ჭაობში და იქ მთავრდება. კოლექტორის მშენებელ რომაელ ლეგიონერებს მთელი ტრასის დაგეგმარებისას, რომელიც თვითდინების პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული (36), როგორც ჩანს, გაუთვალისწინებიათ ჭაობსა თუ ძველ წყალსატევში, რომელთანაცაა იგი შეერთებული, წყლის დონის მოსალოდნელი აწევა. ამიტომ საკანალიზაციო არხის ბოლო მონაკვეთს ტეხილი ზიგზაგი პროფილი აქვს. ამ კოლექტორს უერთდება კანაზის აბანოს საკანალიზაციო ქსელიც (სურ. 13). ცენტრალური კოლექტორის ცალკეული ბოლო მონაკვეთების გაწმენდისას გვხვდებოდა მარმარილოს ლუთე-



სურ. 13. პიტიუნტის აბანოსა და კასტელის საკანალიზაციო არხების გეგმა.

რიებისა და აბაზანების მოზრდილი ნატეხები, IV—VI სს. კერამიკა და სხვ. კოლექტორის ხანძრისაგან შერუჯული და შებოლილი ქვის კედლები, მისი დამტვრეული გადახურვის ფილები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს კატასტროფის მასშტაბებზე.

კანაბეს დღეს დაჭაობებულ ჩრდილო-დასავლეთ სექტორში ოცდაათიან წლებში, ტორფის მოჭრის დროს აღმოჩენილა ამფორების გროვა. ამასთან დაკავშირებით ა. აფაქიძე დასძენდა: „გაურკვეველია მიზეზი ამფორების ასე ჯგუფური აღმოჩენისა. ხომ არ ელაგა ეს კარგად ცნობილი, საზღვაო ვაჭრობაში ფართოდ გამოყენებული კერამიკული ტარა ციხე-ქალაქის შიდა ნავსადგურში შემოსულ ხომალდზე?“ ეს მეტად საინტერესო კითხვა დღესაც უპასუხოდ რჩება ჭაობში არქეოლოგიური სამუშაოების სირთულისა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო. ერთი გარემოება ეჭვს აღარ იწვევს. ორმეტრიან ტორფნარს ძველი წყალსატევი ამოუვსია. ისევე როგორც თანდათანობით ილევა პატარა რელიქტური ტბა ანიშხწარა (ტაბ. III,2). ხიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პირველი ხის სასიმაგრო ნაგებობანი I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის პირველ ნახევარში (37) რომაელებს ამ წყალსატევის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში აუგიათ, იქ, სადაც მოგვიანებით III საუკუნის ბოლოს დამატებითი ზღუდე და კარიბჭე ეწყობა.

## § 2. რომაული სასიმაგრო ნაგებობანი

თანამედროვე ჭაობის, ძველად კი წყალსატევის პირას გავლებულ XXIII თხრილში (ტაბ. XIX,1) ჰიდროტექნიკური თუ თავდაცვითი დანიშნულების კედლის საძირკვლიდან 0,84 მ სიღრმეზე, III საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ნახანძრალი შრიდან 0,66 მ დაშორებით, ზღვიურ ქვიშანარევ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ხის თავდაცვითი ნაგებობების ნაშთები (ტაბ. XX,1). ესაა მუხის ძელების (38) მესერი და ასეთივე ძელების წრიული დაგეგმარების გაურკვეველი ტიპის კონსტრუქციები. წრიულად განლაგებული, მიწაში ვერტიკალურად ჩარჭობილი 21 მუხის ხიმინჯის საერთო დიამეტრი 1 მეტრს აღწევს, მისგან ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე მიმართულია (20° გადახრით) მესერი, რომელიც გამოვლინდა მხოლოდ 8 მეტრზე. მესერში, ძელები განლაგებულია ორ რიგად. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რიგებს შორის მანძილი 20 სმ არ აღემატება. მუხის ძელების დიამეტრი მერყეობს 8-დან 20 სმ-მდე. კულტურული ფენის ზედაპირიდან ისინი ამოშვერილია 30 სმ სიგრძეზე; გაჭედილია გრუნტში ქვებით ან საგანგებო ხის სოლებით, თავები თითქოს დანახშირებულია* (ხანძრის შედეგი?). ძელები გადაფარულია გრუნტის წყლით, რამაც განაპირობა მათი კონსერვაცია. „ანდიყასის“ ტიპის წყლის საქაჩი მოწყობილობების გამოყენებამ საშუალება მოგვცა დაგვეფიქსირებინა მისი სამშენებლო ჰორიზონტი. აქ სამშენებლო ნაგავი წარმოდგენილია ხის ტოტების ანაკაფით, ბურბუშელით, ფიცრების ჩამონატეხებით, ნაფოტებით 7 სმ სიგანის სამუშაო პირის მქონე ნაჯახების კვალით, ხის პალოებისა და სოლების ჩამონაჭრებით, გარეული ღორისა და შინაური მსხვილ-

---

* ძელები იმდენად კარგად არის შემონახული, რომ ხერხდება მათი წლიური რგოლების ათვლა, სამშენებლოდ გამოყენებული მუხის ხეების წლოვანების (15—30 წ.) დადგენა. მუხის ცალკეული ხეები დღესაც გვხვდება ნაქალაქარზე, მათ შორის კანაბეს დაჭაობებულ ნაწილში (აღმოჩენილი ხის ნაგებობები კვლავ დაიფარა მიწით).

ფეხა საქონლის ძვლებით, კაკლის ნაჭუჭებითა და ატმის კურკებით, მიდიების ხიჟარებით. კერამიკიდან აღსანიშნავია კრამიტებისა და სქელი აგურის ფილების და ხელსაფქვავების ფრაგმენტები, ასევე შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი რომაული წითელლაკიანი კერამიკა. კერამიკული ტარიდან გამოირჩევა სამოსური, როდოსული, სინოპური, იტალიკური და კუნძულ კოსის (ტაბ. XXI,XXIII) სპეციფიკურყურებიანი ამფორები, რომლის მსგავსი ადრე ბიჭვინთაში არ აღმოჩენილა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც დიდი იშვიათობაა. ჩვეულებრივ ისინი ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრითა და ახ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება (39).

ტრაქტორით ამ ნაგებობის მესრის ერთი ძელი ამოვაძვრეთ გრუნტიდან. ლითონის ბაგირის მეშვეობით. მისი სიგრძე 1,35 მ-ია, დიამეტრი—10 სმ. ბოლო წათლილი აქვს, წაწვეტებული 0,55 მ-ის სიგრძეზე, კანგაუცლელია, ძელების საერთო რაოდენობა XXIII თხრილში 70-ს აღემატება. მესერი, ხის ძელური გალავნის კედელი გრძელდება, როგორც ჩრდილო-სამხრეთი ხაზის მიმართულებით, ასევე დასავლეთისაკენ; ის შედის ქვის კედლის საძირკვლის ქვეშ და ამიტომ ამ სასიმაგრო ნაგებობის საერთო გეგმის დადგენაზე, მის საერთო ფართობზე საუბარი ნაადრევია. ნიშანდობლივია, რომ ამ შედარებით სუსტ ახ. წ. I—II საუკუნეების კულტურულ ფენას არ მოუცია ისეთი მასალა, რომლის დაკავშირება შეიძლებოდეს ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობასთან.

კალკენბურგში, ლეიდენის მახლობლად ჰოლანდიაში, ინგლისში, რაინდუნაისპირეთში და სხვ. აღმოჩენილია მსგავსი ხის ძელური, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ნაშთები (40). ე. წ. „Pila muralia", რომელთა მეშვეობით დაცული იყო ლეგიონერთა უსაფრთხოება, ახ. წ. I—II საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი.

ამ ძელური სასიმაგრო ნაგებობების აღმოჩენამ გვიჩვენა, რომ რომაელები ჯერ კიდევ არიანეს საინსპექციო მოგზაურობაზე ადრე საფუძველს უყრიან სამხედრო პლაცდარმს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნაოსნობის უსაფრთხოება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშნულ სექტორში. II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში კი შენდება ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული მძლავრი სამხედრო ბანაკი — კასტელუმი, რომელიც მალე გადაიქცა რომაელ მფლობელთა მძლავრ ფორპოსტად. იგი, ისევე როგორც ფასისისა და სებასტოპოლისის ციხესიმაგრეები, სამხედრო მშენებლების მიერ განსაზღვრულ იქნა ჯარის რეგულარული ნაწილების ხანგრძლივი დგომისათვის, სურსათის სულ ცოტა ერთი წლის მარაგით. რომაელების მიერ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის დალაშქვრამ ნათელი გახადა, რომ ასეთი კეთილმოწყობილი. ხანგრძლივი დანიშნულების სამხედრო ბანაკებისა და შესაბამისი კომუნიკაციების აგების გარეშე ახალი ტერიტორიების დაპყრობა და საზღვრებზე „რომაული მშვიდობის" დამკვიდრება არ მოხერხდებოდა. ხანგრძლივი მკაცრი ზამთრის პირობებში რომაელი 8 ჯარისკაცისთვის განსაზღვრული, ორშესასვლელიანი კარვები, გამოუსადეგი ხდებოდა. ასევე ხშირ შეკეთებას მოითხოვდა ხის სასიმაგრო ნაგებობანიც. ამიტომ უკვე II საუკუნიდან იწყება ქვის ციხესიმაგრეების მშენებლობა. მათთვის საგანგებოდ არჩევდნენ ჯანმრთელ, გაშლილ სწორ ადგილებს სასმელი წყლის სიახლოვეს. ამ თვალსაზრისითაც პიტიუნტისათვის კარგი ადგილი შეირჩა (41).

პიტიუნტში ხანგრძლივი დანიშნულების რომაული სამხედრო ბანაკის, ქვის კასტელის მშენებლობის აუცილებლობის საკითხი დადგა არიანეს (131—137 წწ.) „პროვინცია კაპადოკიის" ლეგატის საინსპექციო მოგზაურობის შედე-

გად; უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც გაირკვა სამხრეთ კავკასიაში დაბანაკებული ლეგიონების სტრატეგია სომხეთის, ალბანეთის, საქართველოს და ჩრდილოკავკასიელი ხალხების, კერძოდ, მომთაბარე ტომების ალან-ოვსების მიმართებაში. უცნობია, რა პოზიცია ეკავათ რომაელთა შავიზღვისპირა სიმაგრეების მშენებლობასთან დაკავშირებით ქართლის მეფეს ფარსმან II და ეგრისის მმართველებს. პიტიუნტის ციხის მშენებლობაში, როგორც დაგვიდასტურა პიტიუნტის კასტელის დასავლეთ კედლის ცენტრალურ მონაკვეთზე გავლებულმა საძიებო თხრილმა, მონაწილეობას ღებულობდნენ რომის იმპერიის XV ლეგიონის საინჟინრო ნაწილები (ტაბ. VII). საძიებო თხრილი, რომელიც გავლებულ იქნა მე-12 და მე-13 კოშკებს შორის არსებულ 20 მ მონაკვეთზე, მიზნად ისახავდა კასტელუმის დასავლეთი კარიბჭის გამოვლენას. აქ გამოიკვეთა დიდი მე-12 კოშკი (11,85 მ $\times$ 10,50 მ) ვიწრო, 0,75 მ სიგანის კარებით, და მომცრო მე-12 (7,30 მ $\times$ 6.80 მ) კოშკების კონტურები. მცირე კოშკთან გაიწმინდა 1,30 მ სიმაღლეზე შემორჩენილი 4,5 მ სიგანის მქონე კონგლომერატით კირხსნარზე ნაგები კედელი (ტაბ. VII,2), რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით გრძელდება და მხოლოდ 10 მ-ის სიგრძეზეა გამოვლენილი. ესაა კარიბჭის ჩრდილოეთი კუთხის კედლის დასაწყისი (ტაბ. XXI,2), სამხრეთი კუთხე არ შემორჩენილა, წყლიანი თხრილის შემდეგ მთავარი დაბრკოლება გალავნის კედელია, რომლის დასანგრევად რკინისთავიანი „ტარანები", ანუ „ვერძებია" საჭირო.

ჩვენი გათხრების მაგალითზედაც მტრის ძირითადი ძალები თავდაცვის ყველაზე უფრო სუსტი რგოლისკენ, კარიბჭისკენ ჩანს მიმართული. ამ კედლის ხაზიდან 0,60 მ-ის დასავლეთით. VI—V სს. კულტურული ფენის ქვეშ მივაკვლიეთ 3,25 მ. სიგანის, ზღვის ლოდებითა და კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე ნაგებ კედელს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ 15 მ-ზეა გასუფთავებული. აქ კირხსნარი იმდენად უხვადაა გამოყენებული, რომ კედელი მთლიანად თეთრი ფერისაა, და მკვეთრად განსხვავდება IV—VI სს. რუხი გალავნისაგან. მე-12 და მე-13 კოშკების კავშირ-ურთიერთობა ბიჭვინთის ძველ თეთრი გალავნის კედელთან, მათი შეერთების კვანძები, ისევე როგორც თხრილის სტრატიგრაფია, თუმცა დაზუსტებას მოითხოვს, მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. თეთრი გალავანი აგებულია III ს. დასაწყისში. თეთრკირხსნარიანი გალავნის შერჩენილი ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე, კირხსნარიან სამშენებლო შრეში აღმოჩნდა სეპტიმიუს სევერუსის (193—211 წწ.) ტრაპეზუნტში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა და მასთან ერთად თიხის ფილის ფრაგმენტი ლათინური დამღით — LEG XV (სურ. 10,1). სწორედ ეს პატარა დამღიანი ფრაგმენტი გვაძლევს საშუალებას პიტიუნტის მშენებლობა რომის იმპერიის რეგულარულ, და არა დამხმარე, პროვინციაში დაკომპლექტებულ ჯარის ნაწილებს დავუკავშიროთ. XV ლეგიონი — „აპოლინარისად", ანუ „აპოლონისეულად" წოდებული თავდაპირველად იდგა რომის პროვინცია პანონიაში, დუნაის ლიმესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტში, ჯერ ემონაში (ლიუბლიანა), შემდეგ კი—კარნინტუმში (ავსტრია). აქ იყო მისი ძირითადი სალეგიონო სამხედრო ბანაკი. აქედან ცალკეული ვექსილაციები იგზავნებოდა უფრო ჩრდილოეთით, დუნაის გაღმა აგებულ კასტელებში, რომლებიც ფორპოსტების როლს ასრულებდნენ, აკონტროლებდნენ რა პროვინციის უახლოეს მისადგომებს. ამიტომაც XV ლეგიონის ბიჭვინტის ანალოგიური დამღიანი კერამიკული ფილები და კრამიტები აღმოჩენილია როგორც

კარნინტუმში, ასევე გერულატაში (რუსოვცეში) და სტუპავაში, თანამედროვე სლოვაკიის ტერიტორიაზე, არსებულ რომაულ ციხესიმაგრეებში (43).

აღმოსავლეთში მოვლენების გართულების გამო, ვესპასიანემ ახ. წ. 74 წელს, ალანთა აქტივიზაციისა (იბერიის მეშვეობით) და პართიასთან მოსალოდნელი ომის გამო, XV ლეგიონი გადმოიყვანა მცირე აზიაში, კერძოდ, პროვინცია კაპადოკიაში. სალეგიონო ბანაკი მოეწყო სატალაში, მცირე სომხეთის ყოფილ დედაქალაქში, სადაც ამ ლეგიონის ბაზამ ახ. წ. V საუკუნემდე იარსება (44). მისი ცალკეული ვექსილაციები იდგა პროვინციის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტში, მათ შორის ტრაპეზუნტში (45).

ბიჭვინთაში აღმოჩენილი ლეგიონის დამღიანი კრამიტების ფრაგმენტები გვიჩვენებს (46), რომ იმპერატორების კომოდუსის (180—192 წწ.) ან სეპტიმიუს სევერუსის (193—211 წწ.) დროისათვის, ან უფრო ადრე, II საუკუნის შუა წლებში, პიტიუნტში ჩაყენებულია რომაული მუდმივი გარნიზონი, რომელიც უშუალოდ ჩანს დაკავშირებული ტრაპეზუნტთან. ანალოგიური ვითარებაა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის სხვა პუნქტებში (47). ბიჭვინთაში აღმოჩენილი, ტრაპეზუნტში II—III საუკუნეებში მოჭრილი სპილენძის საქალაქო მონეტებიც, უპირველეს ყოვლისა, ამ ორ სტრატეგიულ პუნქტს შორის არსებული პირდაპირი სამხედრო და მერე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის მაჩვენებელია. ეს მონეტები არ ჩანს არც პიტიუნტისა და არც სებასტოპოლისის შემოგარენში. აფხაზეთის შიდა რაიონებში მას გასავალი არ ჰქონია.

XV ლეგიონი, როგორც ეს წერილობითი წყაროებითაც ცნობილია (Tacit. Hist. III, 23) აღჭურვილი ყოფილა დიდი კალიბრის, მძიმე ქვისსატყორცნი მანქანებით. ბიჭვინთაში დიდი რაოდენობით გვხვდება საშუალო სიდიდის საშურდულე ქვები და, რაც მთავარია, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა, აღმოჩენილია ბალისტის პერიტრეტის ტიპის მასიური, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღერძის ნაწილი (ტაბ. XIV,1). ის გამოიყენებოდა ე. წ. ტერსონულ ქვისსატყორცნებში ხარის, ცხენის დაგრეხილი კისრის ძარღვების ბაგირების დასაჭიმად (48). მსგავსი დეტალები ცნობილია დუნაისპირა რომაული ციხესიმაგრეებიდან, ჩრდილო მესოპოტამიის ქალაქ ჰიტრადან (49) და სხვ.

ამგვარად, ჩვენი აღმოჩენითაც დასტურდება არიანეს ის ცნობა, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეების გარნიზონებს ქვასატყორცნი და ისარსატყორცნი, კატაპულტები, ბალისტები და ონაგრები ჰქონიათ. ნიშანდობლივია ისიც, რომ III—IV საუკუნეებში რთული საერთაშორისო ვითარების გამო რომაული სამხედრო-საინჟინრო აზრი მიმართული ჩანს თავდაცვითი ნაგებობების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისკენ.

შესაბამისად იზრდებოდა სატყორცნი მექანიზმების, არტილერიის წინაჭრის როლი და მნიშვნელობა. ეს გარემოება კარგად ჩანს პიტიუნტის კანაპეს დამცველ მრავალწახნაგა, სპეციალურად სატყორცნი მექანიზმებისათვის გათვალისწინებულ მე-3,18 და პირველი კოშკის მაგალითიდან (სურ. 4). მე-5 და მე-6 მართსხეპური კოშკები, რომლის პირდაპირ ანალოგიებს კაპიდავასა და დინოგეტიკის ციხესიმაგრეებში ვხედავთ (50), ასევე ამ მიზნებს ემსახურებოდა.

II—III საუკუნეების პიტიუნტის კასტელუმის გეგმა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, მაგრამ როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, გვიანდელი

ციხესიმაგრის ზომები ძირითად მონახაზებში უნდა ემთხვეოდეს მას. დასავლეთი კარიბჭიდან 60 მეტრის დაშორებით, კასტელუმის ცენტრში, ორმოცდაათიან და სამოციან წლებში გაითხარა რომაულ სამხედრო ბანაკთან დაკავშირებული II საუკუნის დასასრულისა და III—IV სს. რამდენიმე ნაგებობა (51), რომელთა შორის გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია — პრეტორიუმი და აქ დაბანაკებული შენაერთის, სამხედრო ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი შენობები — პრინციპია (ტაბ. VI). ამ მხრივ პიტიუნტის კანაბე ლეგიონის ბანაკის დაგეგმარებას იმეორებს, მაგრამ მისი მასშტაბები შედარებით მცირეა. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია შთამბეჭდავი, მონუმენტური, „დიდი“, „გრანდიოზული“ შენობების ნაშთები, ლათინური ლაპიდალური წარწერების ფრაგმენტები. ყველაფერი ეს მიგვანიშნებს აქ დაბანაკებული ჯარის, კოჰორტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, მისი მეთაურის, პრეტორის მაღალ მდგომარეობაზე. პრეტორია აგებულია ბანაკის მთავარი 80 მ-ის სიგრძისა და 5,5 მეტრის სიგანის მოკირწყლული ქუჩის, ე. წ. „ვია პრეტორიის“ ბოლოში, ფასადით კასტელუმის აღმოსავლეთი კარიბჭისაკენ, რომელსაც ტიპურ ბანაკებში „Porta praetoria“-ს უწოდებდნენ (52).

მშენებლობის ხასიათი გვიჩვენებს, რომ რომაელები ხანგრძლივი დროით ფიქრობდნენ პიტიუნტში დარჩენას. პრეტორია, „ლეგატის სასახლე“ (ტაბ. VI,9) მეტად მკვიდრადაა ნაგები, კონგლომერატის ბლოკებით, კვადრებით კირხსნარის უხვი ფენით. ამ ქვითკირის შენობის კედლების სისქე შთამბეჭდავია—0,90 მეტრი! მთელი ამ კომპლექსის საერთო ფართობი 1000 კვ. მეტრს აღწევს. დასავლეთ ნაწილში, რომელიც ყრუ კედლის მხარით მიქცეულია „დეკუმახის კარიბჭისაკენ,“ ვხედავთ სამ იზოლირებულ სათავსს: პირველის ფართობი ორმოცი კვ. მ-ია, მეორე ცენტრალურის ოც კვ. მ. არ აღემატება, ხოლო მესამე ოცდათვრამეტ მეტრს აღწევს. ანალოგიებიდან გამომდინარე (53) უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეტორიის ამ ყველაზე ძნელად მისადგომ ოთახებში, კერძოდ, ცენტრალურ სათავსოში (ლათ. Sacelum) ინახებოდა იმპერატორის ბიუსტი, ვექსილაციის დროშები და შტანდარტები; გვერდით კი (aerarum) შენაერთის სალარო და შტაბის კანცელარიის საიდუმლო საცავი უნდა ყოფილიყო. ამ ოთახებში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ დიდი (27 მ×8 მ) დარბაზიდან, რომელსაც სადღესასწაულო მიღებების და ელჩებთან შეხვედრის ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა. მისი საერთო ფართობი თითქმის 213 კვ. მეტრს აღწევდა.

ამ დიდი დარბაზიდან პრეტორიის ეზოში მოხვედრა შეიძლებოდა 1,85 მ სიგანის კარით. ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია ისეთივე დაგეგმარების ოთახები, როგორიც ეს დასავლეთ სექტორში აღვწერეთ (54). აქ სათავსების იატაკი კერამიკული ფილებით არის დაფარული, ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია 8 კვ. მეტრის ოთახი, რომლის დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან მისი სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან იწყება პრაქტიკულად კასტელუმის საკანალიზაციო კოლექტორი (აქ გამტარი ნაწილის სიგანე 45 სმ-ია), რომელიც საინჟინრო თვალსაზრისით სრულყოფილი ნაგებობაა, ქვის 70 სმ კედლებით, კერამიკული ფილებით მოგებული ფსკერით და ბრტყელი ლოდების გადახურვით (ტაბ. XXI).

პრეტორიის ეზოში, რომელსაც ხშირად საკრალური დანიშნულებაც ჰქონდა, განლაგებულია საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვ. აღმოსავლეთიდან პრეტორიას ეკვრის 3,7 მ×27.25 მ, ე. ი. ასი კვად-

რატული მეტრის მისაღები, რომლის ფასადი კოლონადით უნდა ყოფილიყო შემკული. აქედანაა ცენტრალურ ქუჩაზე გასასვლელი. კასტელუმის ცენტრში განლაგებული პრეტორია თავადაც იმგვარადაა დაგეგმილი, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა მისი ციტადელად გადაქცევა (55). პრეტორიის გვერდით, ცენტრალური ქუჩის ჩრდილო და სამხრეთ გაყოლებაზე მდებარეობდა პრინციპიის კომპლექსში შემავალი ორი ერთნაირი დაგეგმარების, ერთმანეთის პირისპირ მდგარი შენობა (ტაბ. VI, ნაკვეთები XVI და XIII).

პირველი (ე. წ. ნაკვეთი XVI) წარმოადგენს სამი მხრიდან ბურჯებით გამაგრებულ, მონუმენტურ, გეგმაში ოთხკუთხა, 0,90 მ სისქის კედლებიან დარბაზს, რომლის ფართობი 240 კვ მ-ია. იატაკი ჰიდრავლიკური კირხსნარითაა შოლესილი. ცენტრში ერთმანეთისაგან 5 მ-ის დაშორებით პილონებია აღმართული, რომლებსაც ეჭირათ კრამიტიანი გადახურვის კონსტრუქციები. ქუჩის მხრიდან მას 20 მ × 3 მ ზომის მინაშენი აქვს, რომლის იატაკი შემდგომში, ალბათ, III ს. შუა წლების კატასტროფის შემდეგ, მოზაიკით დაუფარავთ, რომელიც არ გამოირჩევა დიდი მხატვრული და ტექნიკური ღირსებით. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ფანტასტიკური არსების ტრიტონის გამოსახულებათა (56) ფრაგმენტი; ტრიტონი, ჭაბუკისტანიანი და თევზისკუდიანი ზღვის ღვთაება, ნიჟარის ბუკში უბერავს. რომაული მითოლოგიის თანახმად, ნიჟარაში ჩაბერვისას წარმოშობილი ხმების მეშვეობით მას ძალუძდა ზღვის სტიქიის აბობოქრება ან დამშვიდება. პიტიუნტის დამცველთა ყოველდღიური ცხოვრებაც ზღვასთან მჭიდრო კავშირში უნდა წარმოვიდგინოთ და ამ სტიქიის თაყვანისცემის ამსახველი სიუჟეტის გაჩენა დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის შესასვლელში სავსებით გასაგები ხდება.

პრეტორია და აღწერილი კომპლექსი დაკავშირებულია გალერეისა და სხვა ტიპის ნაგებობებით, რომელთა დანიშნულების გარკვევა ყოველთვის არ ხერხდება. მთავარი გზის სამხრეთ მონაკვეთზე, მოზაიკიანიატაკიანი მინაშენიდან 5,5 მეტრის სამხრეთით, გამოვლენილია ამავე ტიპის მონუმენტური ნაგებობები (იხ. ნაკვეთი XIII). როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, საერთო გეგმა, ფართობი, მინაშენები, ცენტრალური სათავსის ორი პილონი, ერთ ხაზზე განლაგებული შესასვლელებით, სამი მხრიდან კონტრფორსებიანი კედლები, იატაკი ერთნაირია და საერთო გეგმითაა აშენებული (57). შემდეგ კი, III ს. შუა წლების კატასტროფის შედეგად პრინციპიის სამხრეთ კომპლექსი რამდენიმე სათავსად, ოთახად გადაუტიხრავთ. ამ „ერთ-ერთი ყველაზე უფრო გრანდიოზულთაგანი“ ნაგებობის შიდა ფართობი 240 კვ. მ (12×20). აქ გათხრებისას აღმოჩნდა 0,85 მ დიამეტრის მქონე ჭა, რომელიც გაუქმდა შენობის დანგრევის შედეგად IV ს. ბოლოს. ამ ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კედლების წინაც დადგენილია მოზაიკური იატაკის არსებობის ფაქტი. გადარჩენილია კერამიკული ნატეხებისა და თეთრი კირქვის კენჭებისგან გაკეთებული საბრძოლო სპილოს გამოსახულება და ლომის ნაწილი. ამგვარად, პრინციპიის ცენტრალური ნაგებობების ერთმანეთის პირდაპირ განლაგებული გალერეის მსგავსი მინაშენებიც შემკულია მოზაიკური იატაკით, რაც ამ მონუმენტური საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გამორჩეული ხასიათის მაჩვენებელია. რომაულ ციხესიმაგრეებში მსგავსი მონუმენტური ნაგებობები ცნობილია, მაგრამ, როგორც ეს აღნიშნულია გ. ვებსტერის სპეციალურ გამოკვლევაში, „ჯერჯერობით ვერავინ შეძლო დამაკმაყოფილებლად აეხსნა, თუ რა იყო ამ უზარმაზარ ნაგებობათა ნამდვილი დანიშნულება“ (58).

ვარაუდობენ, სადაც ჯვარედინი ფორმის ჰოლებია, აქ სასამართლოები, ტრიბუნალი, რეკრუტების ფიცის მისაღები ადგილი ან ბაზილიკა — ტაძარი, შენაერთის შტაბის სამუშაო ოთახები, ოფიცერთა საკრებულო, ე. წ. „სკოლებია“ (schola). ფორტებში ცალკე შენობები ჰქონდა დათმობილი საპყრობილეს (carcer) თავისივე ვიწრო საკნებით, იარაღის საწყობებს (Arsenale) და სხვადასხვა სახელოსნოს.

როგორც ეს აღნიშნულია პიტიუნტის გათხრის ანგარიშებში, XIII ნაკვეთში გამოვლენილი ნაგებობა მართლაც ყველაზე უფრო გრანდიოზულია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს აქ დისლოცირებული ჯარის ნაწილების ვექსილაციების სტრატეგიულ მნიშვნელობას. მისი მოზაიკური იატაკის სიუჟეტიც — „საბრძოლო სპილოს“, მხეცის — ლომის გამოსახულება ლეგიონერების ფათერაკიან ცხოვრებას უფრო შეიძლება დავუკავშიროთ, ვიდრე სამოქალაქო მოსახლეობას. ამგვარად, პიტიუნტის პრინციპიის მასშტაბებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ის უბრალო სავექსილაციო ფორტად მივიჩნიოთ. ამ საზოგადოებრივი დანიშნულების მოზაიკიან ნაგებობას ჩრდილოეთიდან ეკვრის სამეურნეო სათავსების მთელი წყება; ერთ-ერთ მათგანში აღმოჩენილია ქვევრები. ამ მარანში, უნდა ვივარაუდოთ, ინახებოდა ღვინის გარკვეული მარაგი. ღვინო შედიოდა ლეგიონერთა კვების რაციონში და, გარდა ამისა, იხმარებოდა საკულტო რიტუალებშიც. პრინციპიის ამ მონუმენტურ შენობას დასავლეთიდან უვლის გასწვრივი გზა, რომლის გაყოლებაზე, საწინააღმდეგო მხარეს, მდებარეობდა III—IV საუკუნეებში არაერთხელ გადაკეთებული ნაგებობების კომპლექსი (ტაბ. VI, ნაკვ. XVII), რომელიც ლაზარეთს უნდა წარმოადგენდეს. მისი პირველი სათავსი 7,5 მ×12,5 მ ორადაა გატიხრული. იატაკი ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოლესილი; ასევე შელესილი ჩანს ნაგებობის კედლებიც. პირველი სათავსის ზომებია 4 მ×7,5 მ. არ არის გამორიცხული, რომ აქ იყო მოზაიკური იატაკი. დაფიქსირდა კანალიზაციისა და მიწისქვეშა გათბობის არსებობის ფაქტი. მეორე სათავსის შიდა ფართობი 4 მ×4,5 მ. მესამე სათავსი 5,5 მ × 12 მ ზომისაა. გათხრების პროცესში გამოიკვეთა სამხრეთი მხრის შესასვლელი, ზღურბლის სამი ქვა. ამ სათავსების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს „აბაზანიანი“ სათავსები, რომლებსაც ასევე მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია და მიწისქვეშა გათბობის სისტემები ჰქონია. აბაზანა ინდივიდუალური დანიშნულებისაა 2,80 მ×1,20, სიღრმე 50 სმ არ აღემატებოდა. შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. სამხრეთ კედელში ნახვრეტია, სადინარი წყლის დასაცლელი. მეორე აბაზანა მისგან გამოყოფილია 0,34 მ სისქის ტიხრის კედლით. მისი ზომებია 1,3 მ×1,2 მ. შემდეგ მოდის გეგმაში ნახევარწრიული სათავსი, ასევე ჰიდრავლიკური ხსნარით გალესილი იატაკით. მას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საკანალიზაციო არხები ჩამოუდის. ისინიც ცენტრალურ ქუჩაზე გამავალ ძირითად კოლექტორს უერთდებოდნენ. თავის დროზე გამთხრელები აქ „აბანოს კომპლექსის“ არსებობას ვარაუდობდნენ. ეს ორი აბაზანა, როგორც ჩანს, ლაზარეთის კომპლექსში შედიოდა და დაჭრილ თუ ავადმყოფ ლეგიონერებს ემსახურებოდა. კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდნენ რომაელები სამხედრო ბანაკებში, ფორტებში, კასტელუმებში ლაზარეთის ორგანიზაციის საქმეს. ამ მიზნით აგებდნენ გეგმაში ოთხკუთხა დიდ შენობებს, რომლებიც ზომებით პრინციპიას არ ჩამოუვარდებოდა, ლაზარეთი (Valetudinarium) იგ ბოდა როგორც სალეგიონო, ასევე ერთ და ორკოჰორტიან ციხესიმაგრეებში. ღია ეზოში გამოდიოდა გალერეე-

ბი, ხოლო მათ გარშემო შემოუყვებოდა იზოლირებული პალატების ბლოკების სისტემა. პალატების ზომა 4 მ×5 მ-ზეა და გაანგარიშებულია 5 საწოლზე. მათ ჰქონდათ საბაზანო ოთახებიც, მიწისქვეშა გათბობა, საკანალიზაციო და წვიმის წყლის საწრეტი არხები, საპირფარეშოები და სხვ. ცალკე სათავსები იყო გამოყოფილი ადმინისტრაციისათვის, ავადმყოფთა მისაღები საშზარეულო, საკუჭნაო სურსათის მარაგისათვის. იქნებ ამაზე მეტყველებდეს XVIII ნაკვეთში, III ს. ნახანძრალ ფენაში დაფიქსირებული მარცვლეულის, კერძოდ, ბრინჯისა და ხორბლის ნაშთები. მარცვლეული მოუთავსებიათ სინოპურ ამფორებში. ცხადია, აქ სანოვაგის საწყობთან გვაქვს საქმე. აქვე აღმოჩნდა ოციოდე მონეტა, ხუთი ვერცხლისა და დანარჩენი სპილენძისა. ჩანს, ამ დროს, მიმოქცევაში ერთდროულად ტრიალებდა ადრიანეს (117—138 წწ.) ვერცხლის ფულები (იმპერატორის პროფილისა და ჰერაკლეს კვერთხის ან ყვავილის გამოსახულებით), ფილიპეს (244—249 წწ.) ვერცხლის ფული და ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები.

სხვა არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სანათურ-ჭრაქებით, სუფრისა და სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტებით, რკინის სამეურნეო იარაღებით, ხელჩოთი და მაკრატლით. ერთ-ერთ მარცვლეულიან ამფორაში ნაპოვნია ოქროს ხუთი სამაჯური, ვერცხლის გემიანი ბეჭედი და ელექტრონის საყურე, რომელიც ბორანების თავდასხმის დროსაა დამალული (59) და III საუკუნის შუა წლებით თარიღდება. რომაულ ციხესიმაგრეებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ლეგიონერთა პირადი ჰიგიენის მკაცრად დაცვას. სისუფთავე ცხოვრების ნორმა იყო, რისთვისაც, ცხადია, ცხელი და ცივი წყლის გარკვეული მარაგია საჭირო. ამ მიზნით იგებოდა აბანოები (თერმები) ჯარისკაცებისათვის, ყაზარმების სიახლოვეს, ხოლო ოფიცრებისათვის, ჩვეულებრივ, ციხის ციტადელის კედლის გარეთ. რომაული აბანოს მთავარი პრინციპი იყო არა შხაპის მიღება ან აბაზანაში ყოფნა (60), არამედ ოფლის დენა; ამიტომ რომაული ბანაობის წესი მოითხოვდა ცვალებადი ტემპერატურისა და ტენიანობის ოთახთა მთელ რიგს, მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ უშვებდნენ ცხელი ან ცივი წყლის ნაკადს, ბოლოს კეთდებოდა მასაჟი, სხეულის ზეთით დაზელვა. აბანო ჯარისკაცთა დასვენების ადგილს, თავისებურ კლუბსაც წარმოადგენდა, სადაც ხშირად აზარტული თამაშებიც იმართებოდა. პიტიუნტის შიდა ციხეში (ე. წ. XIX ნაკვეთი) გათხრილია ასევე III—IV სს. დათარიღებულ ნაგებობათა ნაწილი, ე. წ. ჰიპოკაუსტით, 18 მ×5 მ ზომისა. იატაკი ჰიდრავლიკური, მოვარდისფრო ხსნარითაა მოკირწყლული, რომელზედაც დადგმულია მრგვალი და ბრტყელი აგურებით ამოყვანილი, ერთმანეთისაგან 40 სმ დაშორებული სვეტები, კალორიფერები. ჰიპოკაუსტის აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა საცეცხლური, რომლის თავზეც აბანოს ცხელი განყოფილება, ე. წ. caldarium-ია სავარაუდო. გაითხარა აბანოს ცივი (Frigiearium-ი) და თბილი (Tepidarium) განყოფილებები. ჩრდილოეთი მხრიდან მოწყობილია აბანოს გასახდელი (Apoditerium-ი). აბანოს კომპლექსის ნაგებობების იატაკი თავის დროზე მოზაიკით ყოფილა შემკული. აბანოს კომპლექსში შედის დასავლეთი მხრიდან მიდგმული „აბსიდიანი" ნაგებობა, რომლის ცენტრში 3,8მ×1,55 მ×0,35 მ აუზია მოწყობილი. მასთან, ისევე როგორც აბანოს სხვა განყოფილებებთან, დაკავშირებულია წყლის კერამიკული მილების, კანალიზაციებისა და გამდინარე წყლის კოლექტორების საკმაოდ

რთული სისტემა, რომელიც სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. აბანოს კომპლექსის საერთო ფართობი საკმაოდ დიდია, რაც სრულად შეესაბამება გარნიზონის მასშტაბებსა და (400—500 ჯარისკაცი+დამხმარე ნაწილები) რომაული ჯარისათვის დაწესებულ ნორმებს. ვიტრუვიუსის თანახმად, „აბანოს მოცულობას ადამიანთა რიცხვი განსაზღვრავდა“ (Vitr. V, 10,4).

ისევე, როგორც ეს დადასტურებულია მთელ რიგ რომაულ ციხესიმაგრეებში, პიტიუნტშიც ციტადელის გარე კედელზე III ს-ში აღმოსავლეთი მხრიდან მიუშენებიათ 26,5×10 მ ზომის, ოფიცრებისთვის განკუთვნილი, ერთსართულიანი კრამიტით გადახურული აბანო (XXIV,2). მას რომაული საჰყაროსთვის ტრადიციული, ანფილადური დაგეგმარება და ოთხი განყოფილება ჰქონდა (61). მათი საერთო სასარგებლო ფართი, ჰიპოკაუსტების, საცეცხლურთა გამოკლებით, 197 კვ. მ აღწევს და, როგორც ჩანს, კასტელუმის აბანოთაგან განსხვავებით, ერთდროულად შედარებით მცირე რაოდენობას უნდა მომსახურებოდა. აბანოს ყველაზე დიდი მონაკვეთი გასახდელზე, „აპოდიტერიუმზე“ მოდის. მისი ფართობი 13,3×9,5 მ, ანუ 123,5 კვადრატული მეტრია. რომაული აბანოსათვის ასეთი დისპროპორცია ბუნებრივია, რადგან მობანავეები გასახდელი დარბაზიდან ნაწილდებოდნენ განყოფილებებში და გარკვეულ დროსაც აქვე ატარებდნენ. აპოდიტერიუმს ჰქონდა ტანსაცმლის ჩამოსაკიდი მოწყობილობები, აქვე ტრიალებდნენ მსახურები. კირხსნარიანი იატაკი მოპირკეთებულია წითლად გამომწვარი ოთხკუთხა 30 სმ×28 სმ×3 სმ ზომის კერამიკული ფილებით. ოთახის ცენტრში 40 სმ სიმაღლეზე შემორჩენილია 1.5 მ×0,95 მ ზომის ბრტყელი აგურით ნაგები, კირხსნარზე, კვარცხლბეკისმაგვარი კონსტრუქცია, რომელიც აგურისავე თაღის ცენტრალური სვეტის ძირადაა მიჩნეული. აპოდიტერიუმიდან 1 მ-ის სიგანის კარით შედიოდნენ ფრიგიდარიუმში. აბანოს ცივ, 21 კვ-მეტრიან, განყოფილებაში, რომელშიც ერთდროულად მაქსიმუმ ათ კაცს თუ შეეძლო ყოფნა. იატაკი აქაც თიხის ფილებითაა დაფარული. დასავლეთი და აღმოსავლეთი მხრიდან იატაკის დონიდან 25 სმ. დაბლა მოწყობილია ნახევარწრიული ნიშები, ე. წ. ექსედრები — 1,4 მ დიამეტრის მქონე ნახევარწრიული აუზები, ასევე თიხის ფილებით მოპირკეთებული (ვიტრუვიუსის მიხედვით ამ აუზების თავზე უნდა ყოფილიყო სასინათლო სარკმლები). კედელში იატაკის დონეზე წყლის სადენი 6 სმ დიამეტრის მქონე კერამიკული მილია დატანებული. ცივ განყოფილებაში წყლის რეზერვუარად გამოყენებული ჩანს 1 მ დიამეტრის მქონე, კირხსნარით შელესილი თიხის მოზრდილი ჭურჭელი. ცივი განყოფილება, 0.8 მ-ის სიგანის კარით, 37,5 მ ფართობის მქონე ტეპიდარიუმს, თბილ აბანოს უკავშირდება, რომელსაც იატაკქვეშა გათბობის თავისი ავტონომიური სისტემა ჰქონია; ჰიპოკაუსტიდან, იატაკქვეშა ღუმელის საცეცხლურის პირიდან ცხელი ჰაერის ჭავლი სპეციალურად დატოვებული არხებით ამოდიოდა და ათბობდა სათავსს. თბილ აბანოს, როგორც წესი, არ ჰქონდა არც აბაზანები და არც წყლის სხვა რეზერვუარები. აქ ხდებოდა მომზადება ცხელი განყოფილებისთვის, რათა გადასვლა ერთი სითბური რეჟიმიდან მეორეში მკვეთრი არ ყოფილიყო. თბილი აბანოდან შესასვლელია კალდარიუმში, სადაც ხდებოდა ოფლის ინტენსიური გამოყოფა და ორგანიზმის გახურება. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც ექსედრაა, 1,6 მ დიამეტრის მქონე ნახევარწრიული აბაზანა, წყლის სადინარი კოლექტორისკენ დაქანებული თიხის მილით. ასეთივე მილი დადასტურებულია აღმოსავლეთ კედელში. მათი მეშვეობით, ორივე მხრიდან, ხდებოდა

უსუფთაო, ნახმარი წყლის გამოყვანა კალდარიუმიდან, სადაც სრულდებოდა განბანვის პროცესი. არქეოლოგებმა დაადგინეს საკანალიზაციო მილების მიმართულებაც. ის გრძელდება ცხელი განყოფილების აღმოსავლეთით, უხვევს სამხრეთისაკენ და უერთდება აბანოდან გამომდინარე მთავარ მაგისტრალს, და თავის მხრივ, უკავშირდება კასტელუმის მთავარ, ძირითად კოლექტორს. სამწუხაროდ, აბანო იმდენად განადგურდა (IV ს. ბოლო მეოთხედში), რომ არ ხერხდება მისი ცხელი და ცივი წყლით მომარაგების სისტემის დადგენა. პიტიუნტის აბანოებიც წყლის დიდ მარაგს მოითხოვდა და საჭირო იყო რეზერვუარების არსებობა (იხ. Vitr, V, X).

ადრიანეს ეპოქაში აბანოები მუშაობას იწყებდა შუადღისას და საღამოს 9 საათისთვის იკეტებოდა. ცნობილია, რომ რომაულ სამყაროში, ძირითადად, აბანოებში იყენებდნენ წყლის თავისუფალ დინებას და არ იცნობდნენ ონკანების სისტემას (62). თავად აბანოებში კი წყალი რეზერვუარებში იყრიდა თავს და შერე ნაწილდებოდა გეჯების მეშვეობით მობანავეთა შორის.

ჩვენ მიერ აღწერილი აბანო არ გამოირჩევა ჩვეულებრივი რიგითი საგარნიზონო, ტიპური, რომაული თერმებისაგან (63). როგორც აღვნიშნეთ, მისი საერთო მოცულობა (64) არ იყო დიდი. ის ოფიცრებისთვის უნდა ყოფილიყო გამიზნული.

აბანოს ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის კასტელუმში შესასვლელი 2,8 მ-ის სიგანის კარიბჭე — „პორტა პრეტორია", რომელსაც ორი პატარა ნახევარწრიული ფასადის მქონე კოშკი იცავდა. თავისი გეგმარებით ისინი იმეორებენ II საუკუნის დასასრულის რომის ერთ-ერთი, ე. წ. ავრელიანეს კარიბჭის ფორმას (65). ამ კოშკებს შორის გადის კოლექტორის ტრასა, რომლებსაც უერთდება აბანოსგან გამოსული კერამიკული მილებისაგან და ამფორებისაგან შედგენილი კანალიზაცია (ტაბ. XXVI,1). აღნიშნულ კარიბჭის კოშკებში აღმოჩნდა იუსტინე I და კონსტანციუს II მონეტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისინი თავის ფუნქციას ასრულებდნენ IV ს. სამოცდაათიან წლებამდე, ე. ი. ჰუნების შემოსევამდე. აღწერილ კარიბჭესთან, კასტელის მთავარი ქუჩის — „ვია პრეტორიის" ჩრდილოეთ ნაპირას გაითხარა გეგმაში ოთხკუთხა შენობა (ტაბ. VI), რომელშიც ყარაულში განწესებული ლეგიონერების სამორიგეო უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად სამორიგეოს ჰქონია მიწისქვეშა გათბობა, მაგრამ III საუკუნის შუა წლების კატასტროფის შემდეგ ის გაუუქმებიათ. მის საპირისპირო მხარეს, XVIII ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დაფიქსირდა მინის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საწარმოო წუნს შეიძლება დაუკავშირდეს, ისევე როგორც დიდი ტემპერატურის მოქმედების გამო გამდღვარი მინის მასის ნაწილები. გამთხრელები აქ მინის სახელოსნოს არსებობას ვარაუდობენ, რაც სავსებით დასაშვებია. სხვადასხვა დანიშნულების სახელოსნოები, ე. წ. „ფაბრიკები" (Fabricae), დამახასიათებელია რომაული სამხედრო ბანაკებისათვის. ციხესიმაგრის დიდი ნაწილი კი, ცენტრის განაპირას, პრინციპიის, ოფიცერთა საკრებულოებისა და აბანო-ლაზარეთების შემდეგ ლეგიონერთა ყაზარმებს ეპირათ. პიტიუნტში მათი მხოლოდ ერთი ნაწილია გამოვლენილი.

ანალოგიებიდან გამომდინარე (66), ეს უნდა ყოფილიყო 80—100 კაცზე გაანგარიშებული, ბარაკის ტიპის, გრძელი, გეგმაში მართკუთხა ათგანყოფილებიანი ნაგებობები, რომლებიც, ჩვეულებრივ, წყვილ-წყვილად იდგნენ ერთმანეთის საპირისპიროდ,

რეა-ათკაციან ქვედანაყოფისათვის ზოგჯერ (აქედან 2 რეგულარულად საყარაულო სამსახურს ეწეოდა) გამოყოფილია ორი ოთახი 3 მ×7 მ ×6 მ და და 3 მ×4მ ზომის აღჭურვილობისა და სურსათის შესანახად. გარდა სადერეფნო სისტემისა, ყაზარმებს ფასადის გაყოლებაზე კოლონადიანი ვერანდაც ახასიათებს, სადაც ეწყობოდა საჭმლის ნარჩენებისა და ნაგვისათვის განკუთვნილი, მიწაში ჩადგმული ხის ყუთები ან მოწნული კალათები, რომლებიც ჰერმეტულად იხურებოდა. ასეულისათვის, ჩვეულებრივ, მხოლოდ ათი ოთახი იყო გამოყოფილი. ყაზარმებში დამატებითი, მეთერთმეტე და მეთორმეტე ოთახები ცენტურიონის უმცროსი ოფიცრისათვის ან საერთო საკუჭნაოებისთვისაა ხოლმე გამოყოფილი (66). აქედან გამომდინარე, პიტიუნტში ექვსამდე ყაზარმა მაინც უნდა ყოფილიყო, სულ ცოტა ერთი კოჰორტის, ექვსი ცენტურიის დასაბინავებლად. შესაბამისად, რომაულ ციხესიმაგრეებში იქნებოდა სურსათ-სანოვაგის გარკვეული მარაგი, მოსალოდნელი გარემოცვის, ალყის გათვალისწინებით. შენდებოდა საგანგებო ბეღლები, ფორმით ოთხკუთხა, ვიწრო და გრძელი, მიწის დონეს აცილებული ნაგებობები (67). ყოველ წელს, მოსავლის აღების შემდეგ, ძველი მარცვლეულის მარაგს განაახლებდნენ, ახალი გამშრალი მარცვლეულის ხარჯზე. არის შემთხვევები, როდესაც ბეღლები, სურსათის საწყობები პრინციპიას ეკვრის გარშემო, ყაზარმები კი განლაგებულია სალეგიონო კასტელის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში. ცალკეულ შემთხვევებში ძნელია განასხვაო ერთმანეთისაგან ყაზარმების, არსენალისა და საწყობების შენობები (66). მართალია, პიტიუნტის კასტელის გათხრები ჯერ არ დამთავრებულა, მთელი რიგი პრობლემები ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება, მაგრამ ზოგიერთი ზოგადი დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებლად მივიჩნიეთ.

პიტიუნტი II—IV საუკუნეებში წარმოადგენდა რომის იმპერიის, კერძოდ, პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში მყოფ უკიდურეს სასაზღვრო ციხე-ქალაქს, რომაელ მფლობელთა ავანპოსტს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. პრეტორიის, პრინციპიისა და სხვა ნაგებობათა მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული ჯარისა და ფლოტის ნაწილების, ვექსილაციების ბირთვი, შტაბითა და პრეტორის რეზიდენციით. პიტიუნტის ციხესიმაგრე საგრძნობლად ჭარბობდა ფასისსა და სებასტოპოლისის ანალოგიური დანიშნულების სამხედრო ბანაკებს.

პიტიუნტი ხომ რომის იმპერიის შორეულ მისადგომზე განლაგებული ციხესიმაგრე „ბარბაროსთა," განსაკუთრებით ჩრდილოშავიზღვისპირელი მომთაბარეების „სკვითების" (გუთები, ბორანები, ალანები და სხვა სკვითურ-სარმატული ტომები, ჰუნები) დარტყმას პირველი ღებულობდა. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ლიდეც გვამცნობს: კოლხებს, რომლებსაც „აგრეთვე ლაზები ეწოდებათ" სკვითები აწუხებდნენ (IL, III, 56; IV, 146). წერილობით წყაროებს ავსებს არქეოლოგიური მასალა. გათხრები ცხადყოფს — პიტიუნტი ორჯერ, ახ. წ. III ს. შუა წლებში და IV ს. ბოლო მეოთხედში გამხდარა მტრის მსხვერპლი. ზოსიმე აღნიშნავს, რომ ბორანები „პირველ ყოვლისა, თავს დაესხნენ პიტიუნტსო (Zos, 1,32), იმ მომენტისათვის პიტიუნტის „ძველ ჯარს," ციხის გარნიზონს, ციხეს ( φρούριον ) სათავეში აღარ ედგა მათი წინა შემოტევის ოსტატურად მომგერიებელი სუქცესიანუსი, რისთვისაც იმპერატორმა ვალერიანემ 257 წლის გაზაფხულზე ის დააწინაურა, გადა-

იყვანა რა სამეფო კარზე „პრეტორიანელთა უფროსად“ (68), ანუ პრეტორ-პრეფექტად და იქ მან „მიჰყო ხელი ანტიოქიის საქმეების მოწესრიგებას და მის დასახლებას“. ამით ისარგებლეს „ბორანებმა“ და იმავე წლის ზაფხულში აიღეს და გაანადგურეს პიტიუნტი, ხოლო შემდეგ ტრაპეზუნტიც (Zos. 1, 33, 2), რომელსაც ლეგიონი იცავდა! ეს ის დროა, როდესაც იმპერატორი ვალერიანე თავად იმყოფება მტრისგან ახლახან განთავისუფლებულ ანტიოქიაში და დიდ ყურადღებას უთმობს მის აღორძინებას; როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში: „პიტიუნტის აღებამ დიდი როლი ითამაშა სამხედრო მოქმედებათა შემდგომ განვითარებაში. ბორანთა ხელში აღმოჩნდა კარგი საშუალედო ბაზა, რომელსაც გააჩნდა არა მარტო მძლავრი სიმაგრე, არამედ შესანიშნავი ნავსადგურიც“ (69). აქ უნდა ჩაეგდოთ ხელში ბორანებს რომაული ფლოტის გარკვეული ნაწილი, რადგან ზოსიმეს თქმით, ამის შემდეგ მათ: „იშოვეს დიდი რაოდენობა ხომალდებისა და ცურვისთვის გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც იცოდნენ ნიჩბების ხმარება“. აიღეს რა ტრაპეზუნტი „სკვითებმა“, მათ დიდი ნადავლიც ჩაიგდეს ხელში, რადგან ქალაქის კედლებისათვის გარეუბნის მოსახლეობასაც შეეფარებინა თავი. გამარჯვებულები, შემოარბიეს რა კაპადოკია, დაუბრკოლებრივ დაბრუნდნენ ჩრდილოშავიზღვისპირეთში; სპარსეთთან ომით დაკავებულმა ვალერიანემ ვერ მოახერხა მათ წინააღმდეგ რაიმე ეფექტური ზომების გატარება. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო ლაზეთის, ეგრისის სამეფოს მნიშვნელობა რომის საგარეო პოლიტიკაში და მისი, როგორც საიმედო ზურგის განმტკიცებაზე (პიტიუნტთან მიმართებაშიც!), მათ განსაკუთრებით უნდა ეზრუნათ. პროკოპი კესარიელის არაერთხელ მოტანილი ინფორმაციის ფონზე საინტერესოდ გვეჩვენება VI საუკუნის გოთი ისტორიკოსის იორდანეს სიტყვებიც (70), რომლის მიხედვითაც თურმე ლაზები ერთგულად იცავდნენ კავკასიის გადასასვლელებს „რომის იმპერიის გულისთვის“ (Getica., 1, 51).

ტრაპეზუნტის დაცემის გამო კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო პიტიუნტის სტრატეგიული მნიშვნელობა. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, მისი აღდგენა 257 წლის კატასტროფის შემდეგ მალე მომხდარა. შესაძლოა უკვე იმპერატორ ავრელიანეს (274—278 წწ.) დროიდან ის უკვე ძველებურად ასრულებდა თავის ძნელ მოვალეობას — იცავდა საზღვაო კომუნიკაციებს მომთაბარეების მოსალოდნელი თარეშისაგან და განგაშის ცნობას აწვდიდა კაპადოკიის ხელისუფალთ, ზღვისპირა ციხესიმაგრეებს; ამ დროს რომ ტრაპეზუნტს მთლიანად დაუკარგავს თავისი ყოფილი სამხედრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, პიტიუნტში აღმოჩენილი III ს. მეორე ნახევრის ნუმიზმატიკური მასალითაც კარგად დასტურდება. თუ აქ ნაპოვნი მესამე საუკუნის პირველი ნახევრის, 247 მონეტიდან 191, ე. ი. 78% ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ამ საუკუნის მეორე ნახევარში მის ადგილს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკვე რომის ზარაფხანის მიერ გამოშვებული ფული იკავებს! III ს. ბოლოსა და IV ს. პირველ ნახევარში კი უკვე ანტიოქია ხდება წამყვანი, რაც ვფიქრობთ, ცენტრალური ხელისუფლების ამ რეგიონით საგანგებო დაინტერესების მაჩვენებელია (ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრებიდან არც ჯარის ნაწილების გადმოყვანაა გამოსარიცხი). III ს. მეორე ნახევრით, პიტიუნტში ასზე მეტი მონეტაა წარმოდგენილი. IV ს., ჰუნების თავდასხმამდე, პიტიუნტის აღმავლობის ხანაა. ამ ეპოქაზე მოდის 520 მონეტაზე მეტი, რომელთა ქრონოლოგიურ ჩარ-

ჩოებს კონსტანტინე დიდის (306—337 წწ.) და კონსტანციუს II (337—361 წწ.), განსაკუთრებით ვალენტინიანეს (364—375 წწ.) სიფასეები განსაზღვრავს (71). არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ პიტიუნტმა კიდევ ერთი გამანადგურებელი დარტყმა იწვნია IV საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის, რაც აისახა კიდეც ნაქალაქარის სტრატიგრაფიაში. ამ დროს, ჰუნების შემოსევის შედეგად, საბოლოოდ დაინგრა კასტელუმის ყველა ძირითადი ნაგებობანი, პრეტორია-პრინციპია, ლაზარეთ-აბანოები, საწყობები და სხვ. V—VI სს. კასტელუმის ეს ტერიტორია ძირითადად სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

ამიანე მარცელინისა (IV ს.) და იორდანეს ცნობებით, ჰუნებმა გაანადგურეს რა ალანთა ტომები, ჩრდილო-კავკასია — მეოტიდაში შემოაღწიეს დაახლოებით ახ. წ. 360—370 წწ. (71). 370 წლისათვის ვარაუდობენ ჰუნების მიერ ბოსფორის სამეფოს მოსპობას და მისი აზიური ნაწილის სასტიკ აოხრებას (72). მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალზე მდებარეობდა და, როგორც აღვნიშნეთ, რომის იმპერიის მცირეაზიული პროვინციების შორეულ მისადგომებს იცავდა პიტიუნტიც, რომელმაც ტირიტაკის, გორგიპიის (თანამედროვე ახაპა) და თავად ბოსფორის დედაქალაქის პატიკაპეონის საშინელი ბედი გაიზიარა. რომაული გარნიზონი განადგურებულ იქნა (74).

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, კარგა ხნით, პიტიუნტმა დაკარგა თავისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით ნათლად აისახა ნუმიზმატიკურ მასალებში. აქ სულ რამდენიმე მონეტაა აღმოჩენილი IV ს. ბოლოსი, ესაა ვალენტინიანე II (375—393 წწ.). V საუკუნის დამდეგის შემდგომი პერიოდი კი საერთოდ ერთადერთი, ფეოდოს II (408—450 წწ.) მონეტითაა წარმოდგენილი (36). ბიზანტიელთა გარნიზონი პიტიუნტში კვლავ იქნა ჩაყენებული VI საუკუნის დასაწყისში. ისევ მათ, გარნიზონის ჯარისკაცებს, უნდა დავუკავშიროთ ბიჭვინთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამ დროის 120-ზე მეტი მონეტა, რომელთა უმეტესობა კონსტანტინოპოლშია მოჭრილი! ახ. წ. 542 წ. სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს პიტიუნტის ციხესიმაგრე მიტოვებულია და ამის გამო აქ კვლავ შეწყდა ბიზანტიური მონეტების ნაკადი, რადგან მონეტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიჭვინთის ნაქალაქარის ქრონოლოგიაში, ვფიქრობთ, საჭიროა სპეციალურად განვიხილოთ ისინი.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი


1. ც ი ნ ც ა ძ ე ე., ნაქალაქარი ბიჭვინთა, კრ. ძეგლის მეგობარი, თბ., 1971, № 26.

2. აფ ა ქ ი ძ ე ა., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, კრ. დიდი პიტიუნტი. 1, თბ., 1975, გვ. 82.

3. ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ფ უ თ უ რ ი ძ ე რ., რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ნ., ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ოთ., მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., თ ო ლ ო რ დ ა ვ ა ვ., ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიცია 1961—1962 წწ., სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1969, გვ. 59.

ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ფ უ თ უ რ ი ძ ე რ. 1966 წელს ბიჭვინტაში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ. 1967, გვ. 63.

4. ა ფ ა ქ ი ძ ე ა., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, გვ. 27; რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების

შედეგები (1961—1967 წწ.), დიდი პიტიუნტი, 1, გვ. 131, 135.

5. ყაუხჩიშვილი ს., Notitia dignitatum, გეორგიკა, 1, თბ., 1961, გვ. 175—178. В. Леквинадзе, Понтийский лимес, с. 93. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ II ს. რომის პოლიტიკური ზეგავლენა ეგრისზე საკმაოდ შესუსტდა და აქ არც რომაელთა გარნიზონები უნდა მდგარიყო, ყოველ შემთხვევაში V ს. მაინც. ჯანაშია ს. საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, 1, თბ., 1949, გვ. 254—259.

6. ლომოური ნ., Notitia dignitatum-ის ზოგიერთი ცნობის გარკვევისათვის, თსუ შრომები, 162, თბ., 1976, გვ. 76; იგივე იხ. რუსულ ენაზე: Ломоури Н., К выяснению некоторых сведений „Notitia Dignitatum“ и вопрос о так называемом Понтийском лимесе. Византийский временник, 46, М., 1986, с. 59—74. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 249—257.

გ. მელიქიშვილის აზრით, IV ს. მეორე ნახევრიდან, ვიდრე VI ს. ოციან წლებამდე, ლაზიკის მიწა-წყალზე რომაული გარნიზონები აღარ იდგა. Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 381—385; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1979, გვ. 165.

7. იქნებ ამ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას ასახავს ზოსიმეს ის ცნობაც, სადაც საუბარია იმპერიის ოთხ საგამგებლო ოლქად დაყოფაზე. ბიზანტიის სამფლობელოების საზღვარი ალბათ ზოსიმეს დროისათვის, იმპერატორ ანასტას I ეპოქაში (491—518 წწ.) პიტიუნტამდე კი აღარ აღწევდა, არამედ „ფასისზე მდებარე სიმაგრეებამდე“ ვრცელდებოდა (იხ. გეორგიკა, 1, გვ. 269). თუ ფასისს ზოგადად განვიხილავთ, ამ სიმაგრეებში პიტიუნტიც უნდა ჩავთვალოთ, სადაც ბიზანტიელთა გარნიზონი იყო ჩაყენებული.

8. გეორგიკა, II, გვ. 198.

9. აფაქიძე ა., ფუთურიძე რ., რამიშვილი რ. და სხვ., ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1961—1962 წწ. გვ. 61.

10. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1971, გვ. 122, 137.

11. ინაძე მ., ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია და სებასტოპოლისი—ბიჭვინტა, მაცნე, 1963, № 4, გვ. 148.

12. Н. Ломоури, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

13. გეორგიკა, II, გვ. 137.

14. Лордкипанидзе Г., Кигурадзе Н., Исследования Пицундского городища, Археологические открытия 1983 года, М., 1985, стр. 469, 470.

15. Г. Lander, Roman Stone Fortifications (I—IV A. D.), London, 1984, p. 258, 259 E. W. Marsden, Greek and Roman Articlery, London, 1969 pp. 188—198. (ასევე ექსწახნაგაა პიტიუნტის გალავნის № 1 კოშკი, რომელიც, როგორც ჩანს, ქალაქში, კანაბეში ჩრდილო-დასავლეთ შემოსასვლელს იცავდა).

16. Цухишвили И., Взаимоотношения Восточноримской империи с Западной Грузией в IV—XII вв. (по нумизматическим данным), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук (на правах рукописи), Ереван, 1987, с. 7, 8.

17. აფაქიძე ა., ფუთურიძე ნ., რამიშვილი რ., ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., თოლორდავა ვ., ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიცია 1961—1962 წლებისა, გვ. 60; სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა კასტელის წლიური მარაგის გაანგარიშებისა, იხ. G. Webster, Roman Imperial Army, London, 1985, p. 225, 226, დამხმარე მოკავშირე ფორტების წყვილად განლაგებული ბეღლები (Horren) ძალზე ჰგავდა სალეგიონო ციხესიმაგრეების ბეღლებს, ზომით კი ოდნავ განსხვავდებოდნენ (დაახლ. 27,4მX9მ). ზოგიერთი ბეღლის ტევადობა 270 კუბური მეტრია, მთელი წლის მარაგი კი 290 კუბურ მეტრს მოითხოვდა. გათხრილია 105 მ x26 მ. ფართობის მქონე რომაული სამხედრო ბეღლები. G. Webster, p. —168).

კასტელუმის ლაზარეთის და აბანოს კომპლექსის დანგრევის შემდეგ მოწყობილი კერამიკული ქურა დათარიღდა ახ. წ. VI ს. დასაწყისით (იხ. ჰელიძე ზ., ზოგიერთი არქეოლოგიური ობიექტის არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების ცდები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, 1973 წ., თბ., 1974, გვ. 86). დათარიღებისათვის აღებული კერამიკული ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ფრანგი მეც-

ნიერის ე. ტელიეს მიერ დამუშავებული „თანდათანობით ორმაგი გახურების მეთოდით“, რომლის შედეგად აღდგენილი დედამიწის მაგნიტური ველის დახრილობა შეესაბამება VI ს. სიტუაციას, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 348—367.

18. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ (გვ. 136), აღნიშნავდა, რომ „ტაძარი მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და აღდგენილი საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დროს“. იხ აგრეთვე Амиранашвили Ш., История грузинского искусства, М., 1963, стр. 98, 99.

19. ლამბაშიძე ო., ბიჭვინტის VII თხრილში 1956—1957 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში, მსკა, III, თბ., 1963, გვ. 94.

20. ლექვინაძე ვ., კონსტანტინე აბაზგის შეკიდული ბეჭედი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 5, 1955, გვ. 404.

21. Ростовцев А., Пицундская сосновая роща, Записки КОИРГО, кн. XXIX, вып. 4. Тифлис, 1916, с. 18.

22. Меншиков В., Пешков Б., Берег Пицунды, М., 1980, стр. 9, 14, 54 сл. (ავტორები ინკიტის ტბას ზღვის ყურედ თვლიან).

23. აფაქიძე ა., „დიდი პიტიუნტი“, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, გვ. 60, 61 .

24. აფაქიძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

25. აფაქიძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 57, ტაბ. 1, 1, 2.

26. აფაქიძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

27. ხახუტაიშვილი დ., ბიჭვინტის ციხე-ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის გათხრების შედეგები, 1952 წ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიურ კვლევა-ძიებისადმი, თბ., 1963, გვ. 19.

28. აფაქიძე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 59.

29. Лордкипанидзе Г., Работа Пицундской экспедиции, Археологические открытия СССР 1976, года, М., 1977, стр. 462.

30. ლამბაშიძე ო., ბიჭვინტის ციხე-ქალაქის მეოთხე კოშკის გათხრების შედეგები, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 127. Воронов Ю., Материалы по археологии Абазгии и Санигии (II—VII вв.). Сб. Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, с. 53. იხ. აგრეთვე ვ. ნიკოლაიშვილის ანგარიშები „დიდი პიტიუნტი“ 1, გვ. 173, სურ. 22.

31. A. S. Robinson, Pottery of the Roman period, The Athenian Agora, V Ng, 1959, pp. 248, 263, T. 56, 1, 2. რომაულ კერამიკაზე დაწერილებით J. W. Hayes, Late Roman Pottery, London, 1972. p. 323 - 413, Fig. 66—93.

32. ლორთქიფანიძე ო., ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება. მოამბე, 1962, № 7, გვ. 247, 251, 253. დღესათვის გამოყოფილია აფრიკის, კვიპროსის, ალექსანდრიის დიდი სახელოსნო ცენტრის წითელლაკიანი კერამიკა, აგრეთვე პერგამონის წრისა და სხვ. ანტიოქიის სახელოსნო ცენტრებს უკავშირებენ მოთეთრო ფერის კეცის, წითელლაკიან კერამიკას, იხ. Кропоткин В., Римские импортные изделия в Восточной Европе. Свод археологических источников, вып. Д-1—27, М. 1970, с. 16; M. Rodziwicz, La Céramique Romanine Tardive D'Alexandrie, I Warsovie, 1976, pp. 39—41, tab. Pl. 9, 14—30 Апакидзе А., Лордкипанидзе Г., Раскопки Питиунта. АО, 1975 г. М., 1976. J. W. Hayes, Late Roman Pottery, London, 1972 p. 13—310-316—321.

33. დაწერილებით XXIII თხრილის შესახებ იხ. Лордкипанидзе Г. Археологические исследования Питиунта, Сб. Полевые археологические исследования в 1976 году. Тб. 1979, с. 178—185. Лордкипанидзе Г., Результаты исследования XXII раскопа Пицундского городища. Полевые археологические исследования в 1978 году, Тб., 1981, стр. 119—124.

34. დიდი პიტიუნტი, I, გვ. 58, სურ. 3, 4.

35. რამიშვილი რ., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, III ეპნის 1958 წლის გათხრების წინასწარი ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1959, გვ. 24, 26.

36. ცნობები ანტიკური ხანის საკანალიზაციო სისტემებზე იხ. Waterworks

in the Athenian Agora, N.-J., 1968, pp. 2-32, Fig., 36, 37.

37. Лордкипанидзе Г., Раскопки в Пицунде, АО 1977. М., 1978, с. 464.

38. ხის ნიმუში—მუხა განსაზღვრულია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ტყის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხის რესურსების ლაბორატორიაში ე. ლომჯანიძის მიერ 1980 წ. (№ 4, 09-171).

39. H. Robinson, დასახ. ნაშრომი, F—94, G—198, M—54. V. Grace, Amphoras and the ancient wine trade, Athes, 1961, Зеест И., Керамическая тара Боспора, М., 1960, с. 100—VII. განსაკუთრებით აღსანიშნავია—M. H. Callender, Roman Aphorae, with Index of Stimps. London, 1965 pp. 1—56, Fig 1.

40. G. Webster, The Roman Imperial army, pp. 168, 169, 173.

მას შემდეგ, რაც რომაელები ღრმად შეიჭრნენ ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ახ. წ. I საუკუნიდან წარმოიშვა ყინვაგამძლე ხის ნაგებობების საჭიროება. ბანაკებისათვის იყენებდნენ გალური ტიპის ჩალით გადახურულ ხის შენობებსაც, გათხრილია ძლიერი ქვაფენილები, მოხრებით დაცული წყალსაცავები. ძლიერი ფორტები. გარდა G. Webster-ის აღნიშნული ნაშრომისა, იხ. Peter Connoly, Greek and Rome At War, London, 1981, p. 294.

41. კასტელების მშენებლობის რეკომენდაციები და სამხედრო ბანაკების აღწერები მოცემულია ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოღწეული II ს. სამხედრო ტოპოგრაფიის სახელმძღვანელოს ტიპის, ლათინურ თხზულებაში: „Gremalici Liber de Munitionibus Castrorum". Domszewaki-ის გამოცემა, Leipzig, 1887. სამხედრო მიწისმზომელი (ტოპოგრაფი), პირველ რიგში, არჩევდა მეთაურის „კარვისათვის" განკუთვნილ ადგილს (praetorium), რომლის კომპლექსში შედიოდა არა მარტო უფროსი ოფიცრის საცხოვრებელი ოთახები, არამედ შტაბის შენობებიც (principia). დაგეგმარებული ქუჩები სამ კატეგორიად იყოფოდა, ხოლო კატეგორიის სიგანე 6 მ და 10 სმ იყო განსაზღვრული. დაწვრილებით იხ. G. Webster, დასახ. ნაშრომი, გვ. 169. 170.

42. Кигурадзе П. Ш., Лордкипанидзе Н., Тодуа Г., Клейма XV легиона из Пицунта ВДИ, 1987, № 2, стр. 88—92.

43. G. Webster, დასახ. ნაშრომი, გვ. 45, 47, 51, 54, 65, 105.

V. Ondrouch, Limes Romanis na Slovenska, Bratislava, 1938.

O. Pelikan, Slovensko a Rimske imperium, Bratislava, 1960, Jana Hečkova, Römischer Baukomplex in Stupava, Archeologicke rozhledy, XXXVIII Praha, 1986, № 4. pp. 383, 390. Der Romische Limes in Osterreich, Wien, 1900, tab. IV, VII; Das Auxilarkastel von Carnintum, W., 1926, Tafel 12, Titus Kolnik Ausgrabungen auf der Römishen Sta, tion in Milanovce in den Jahren 1956—1957, Limes Romanus konferenz Nitra Bratislava, 1959, p. p. 40, 41. J. Anderson, E. Cumont, Studia Pontica, II, Bruxelles, 1906, p.343 Corpus Inscriptium Lateni, III, Suppl. № 11194—11196.

44. G. Webster, The Roman Imperial Army, p. 65, 115 A. Г. Бокщанин, Парфия и Рим, II, М. 1966; The Oxford Classical Dictionary 593. O. B. Кудрявцев, Провинция Каппадокия в системе римской восточной политики, ВДИ, 1955, №2 с. 70 William M. Ramzay, The Social Basis of Roman Power in Asia Minor, Alerdeen University Press 1941, pp. 1—6, 176—178.

45. Максимова М. И. Античные города Юго-Восточного Причерноморья М. Л., 1956, str. 316, CIL, III, Suppl. № 6745.

Paul Petit, La Paix Romaine Paris, 1967, იხ. რუკა 4.

46. ამ ტიპის დამღების, როგორც ძვირფასი საისტორიო წყაროების, შესახებ იხ. Античная цивилизация, М., 1973, с. 207.

47. Кигурадзе Н. Ш., Лордкипанидзе Г. А., Тодуа Т.Т. დასახ. ნაშრომი, სურ. 6.

48. Дильс Г., Античная техника М.—Л., 1934, стр. 93—95, рис. 47; E. W. Marsden, Greek and Roman Artillery, Oxford, 1969; Эллинистическая техника, М.—Л., 1948, с. 286, 287

49. G. Webster, დასახ. ნაშრომი, გვ. 178, 184; P. Connoly, Gre-

eke and Rome at War, L., 1981, p. 282. f. 302.

50. M. T o d d, The Walls of Rome, London, p. 81, Fig. 40.

51. დიდი პ ი ტ ი უ ნ ტ ი, 1, გვ. 92, სურ. 6.

52. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

53. Л е к в и н а д з е В., Понтийский лимес, ВДИ, № 2, 1969, стр. 46, მისივე, Л е к в и н а д з е. О некоторых сооружениях древнего Питиунта, КСИА, 113 ყველაზე უფრო ახლო ანალოგიად მიაჩნია არნსბურგის პრეტორია. M. ch. D a r a m b e r g, Édm. Saglio, Dictionnaire des antiquitées Grecques et Romaines, 39. Paris, 1906, S.V. „Praetorium", ზოგადი მსგავსება იხ. T a m e s L a n d e r, Roman Stone Fortifications, 1—IV A. D. L. 1984. p. 128, 129, Fig. 117—119.

დაწვრილებით პრეტორიაზე, და საერთოდ რომაული სამხედრო ბანაკების დაგეგმარებაზე, იხ. G r a h a m W e b s t e r, The Roman Imperial army, fig. 33—39, 52, pp. 195—197, 224.

54. ფ უ თ უ რ ი ძ ე რ. ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, გვ. 135.

55. შეად. B. Л е к в и н а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 86 А п а к и д з е А. Л о р д к и п а н и д з е О., Отчет о работах Причерноморской археологической экспедиции в 1959, году, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1953 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ. 1960, გვ. 35.

56. დაწვრილებით იხ. ჰ ყ ო ნ ი ა ა., ბიჭვინტის საერო მოზაიკის ფრაგმენტები, დიდი პ ი ტ ი უ ნ ტ ი, III, თბ., 1978, გვ. 196—216.

57. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, 1, გვ. 187—196; რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

58. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

59. ფ უ თ უ რ ი ძ ე რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 149, ტაბ. 26, 27.

60. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

61. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა ვ., ბიჭვინტის ნაქალაქარის IV უბანი, დიდი პ ი ტ ი უ ნ ტ ი, 11, გვ. 145—156.

62. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 227. М а р к В и т р у в и й П о л л и о н, Об архитектуре, Ленинград, 1936, с. 144—147. Архитектура античного мира, Составители В. П. З у б о в и Ф. А. П е т р о в с к и й, М., 1940, стр. 208 сл (Лукиан, Гиппий или бани, 2, 8), с. 213—214; Ч а р л ь з К а м е р о н, Термы римлян. М.-Л., 1938, с. 16; W e r n e r H e i n z, Römische Thermen, Munchen, 1983, pp. 142—157; J o n a t h a n R u t l a n d, A R o m a n Town, London, 1988, pp. 8—9.

63. G. W e b s t e r დასახ. ნაშრომი, გვ. 227, 228, სურ. 53.

64. Краткий справочник архитектора, М., 1951, Раздел-Бани, Расчет мощности бань, с. 204—205.

65. M. T o d d, The walls of Rome, p. 51, fig. 24.

66. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 197—203, 226—227, სურ. 41., 46—51 (ყაზარმებს ქვის ზღურბლი ჰქონდათ). J. L a n d e r, Roman Stone Fortifications variation and change from the First Century A. D to the Fourth, Oxford, p.p. 67—105, Fig 54.

67. G. W e b s t e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

68. А. М. Р е м е н н и к о в, Борьба племен Северного Причерноморья с Римом в III в., с. 93. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 253—268 წლებში იმპერია დაღუპვის პირამდე იყო მოსული. Д ь я к о в В., Социальная и политическая борьба в Римской империи в середине III в., ВДИ, 1961, № 1 с. 84.

69. А. М. Р е м е н н и к о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

70. Памятники средневековой истории народов Центральной и Восточной Европы. И о р д а н, О происхождении и деянии гетов, М., 1960, с. 75, 51 Ф и л о с т р о г и й, Церковная история, кн. XI, 8 SC ВДИ, 1949, № 4, с. 256. 395 წელს ისევ ჰუნები შეესივნენ რომის მცირეაზიურ პროვინციებს კავკასიაზე გავლით (ისე, რომ პიტიუნტი კარგა ხნის განმავლობაში გაპარტახებულია, ყოველ შემთხვევაში V საუკუნის პირველ ნახევარში მაინც).

71. Д у н д у а Г., Монетное де-

ло и монетное обращение в Грузии в античную эпоху (VI в до н э.—IV в. н. э.), Тб. 1982. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук:

მ ი ს ი ვ ე, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 410.

72. Иордан, დასახ. ნაშრომი, გვ. 269. Бернштам. А. Очерки истории гуннов, Л., 1951, с. 143—153; Г а д л о А. В., Этническая история Северного Кавказа IV—X вв. I, 1979 с. 9, 18.

73. Г а н д у к е в и ч В., Боспорское царство, М.—Л. 1949, с. 478—480, 482, 483, Степи Евразии в эпоху Средневековья, Археология СССР, М., 1981. с. 11. ი ქ ვ ე,! უახლესი ბიბლიოგრაფია ჰუნების შესახებ.

# მონეტები და სამონეტო მიმოქცევა

პიტიუნტი გამოირჩევა მონეტების დიდი სიუხვით (1), რაც თავად ძეგლის ხასიათით არის განპირობებული. მონეტების ასეთი სიმრავლე საერთოდ ახასიათებს იმპერიის ეპოქის რომაულ სამყაროს (2), ხოლო ციხე-ქალაქებში, რომაულ კასტელებში აღმოჩენილ საფასეებს, ჩვეულებრივ, ლეგიონერებს უკავშირებენ (3). პიტიუნტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები სხვა არქეოლოგიურ მასალებთან ერთად უნდა ასახავდეს მისი ეკონომიკური განვითარების დონესაც. თუ შემთხვევით აღმოჩენებს არ მივიღებთ მხედველობაში (4) 1952—1975 წწ. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულია 1400-მდე ოქროს, ვერცხლის და სპილენძის მონეტა, მათ შორის ოთხი განძია. ესაა კარგად გამოკვლეული, რამდენიმე ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყოფილი; თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სისტემატიზებული, საისტორიო წყაროს მნიშვნელობის ნუმიზმატიკური კომპლექსი (5). ჩვენ მიერ მომდევნო წლებში მოპოვებულია 114 სპილენძისა და ვერცხლის მონეტა, რომელთა ნახევარზე მეტი (ტაბ. LIII), ნაქალაქარის თანადროულ, II—IV სს. სამაროვანზე (ეს მონეტებიც განსაზღვრულია, ძირითადად, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. დუნდუას მიერ). ისინი გვაძლევენ საშუალებას თვალი გავადევნოთ არა მარტო რომის იმპერიის ექსპანსიის ცალკეულ ეტაპებს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, არამედ შევისწავლოთ პიტიუნტის სამონეტო მიმოქცევა ახ. წ. II—VI სს, მისი საშინაო ბაზრის ხასიათი გვიანანტიკურ ხანაში. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით აღწევდნენ თუ არა ისინი პიტიუნტის შიდა ბაზრიდან ადგილობრივი მოსახლეობის აფსილ-აბაზგების ყოფაში, რადგან ბიჭვინტის კონცხებზე მათი კვალი არ ჩანს. საერთოდ კი, ზღვისპირეთის ბერძნულ-რომაული ეპოქის დასახლებების ადგილობრივი, ე. წ. ბარბაროსული გარემოცვა მხოლოდ ძვირფასი ლითონის, ოქროსა და ვერცხლის ფულს ღებულობდა I—II სს. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტის ფუნქციას რომაული დენარი ასრულებს, რომელთა შორის წამყვანი ადგილი რომის პროვინცია კაპადოკიაში, კერძოდ, ქალაქ კესარიაში მოჭრილ ვერცხლის მონეტებს ეჭირა; ისინი ტრაპეზუნტიდან, ფასის — სებასტოპოლისის მეშვეობით აღწევდნენ ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (6). ამ ასპექტითაც განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქ სენაკთან, სოფელ ეკში ა. წირღვავას მიერ გადარჩენილი I—II სს. 907 რომაული ვერცხლის მონეტის განძი, რომლის საერთო წონა 3,5 კგ-ზე მეტია (7); ეს არის საშუალო სიდიდის განძი (8) თავისი დროისათვის არცთუ ისე უმნიშვნელო კაპიტალი. მისი თავმოყრა, დაგროვება, როგორც ვარაუდობენ, ფასისის გარნიზონთან რეგულარული სავაჭრო ოპერაციების ან რაღაც დიდი გარიგების შედეგია. ამასთანავე, ის უნდა ასახავდეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში III ს. პირველი მეოთხედისათვის არსებული ფულადი მიმოქცევის ხასიათსაც. გ. დუნდუას განსაზღვრით ამ განძის 771 მონეტა, კესარიული ტეტრადრაქმაა, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა მოჭრილია იმპერა-

ტორ ადრიანეს (117—138 წწ.), ხოლო 55—ანტონიუს პიუსის (138—161 წწ.) მმართველობის დროს. განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა, რომელიც მიგვანიშნებს მისი ჩაფლვის თარიღზე, გამოშვებულია ალექსანდრე სევერის (222—235 წწ.) სახელით. რომაულ გარნიზონებთან, ზღვისპირა ციხე-ქალაქებთან გაცხოველებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად ჩანს წარმოშობილი ამავე ეპოქის სხვა, ჩვენთვის ცნობილი რომაული ვერცხლის მონეტების განძები; სეფიეთიდან (377 ც.), გერზეულიდან (463 ც.) თუ ნაბაკევიდან. აქაც ეგრისის შიდა ბაზარი, როგორც ეს გამოარკვია ქ. გოლენკომ, რომაულ ეპოქაშიც, არ ღებულობს სპილენძის მონეტებს; ისინი ფიქსირებულია ზღვისპირა პუნქტებში და მათ შორის დიდი რაოდენობით ციხე-ქალაქ პიტიუნტის კულტურულ ფენებში, მის II—IV სს. დათარიღებულ სამაროვანზე. ისინი ლეგიონერების კუთვნილებად, მხოლოდ და მხოლოდ მათი ხელფასის შემადგენელ ნაწილად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან, ამასთანავე, ეს მონეტები შიდა საქალაქო ფულადი მიმოქცევის შემადგენელი ნაწილია, რაც აისახა კიდეც დაკრძალვის წესებში, სამარხებში (იხ. ცხრილი I), სადაც მათ „ქარონის ობოლის" დანიშნულება ჰქონდათ (9). საერთოდ, ასეთი სურათი ახასიათებს განვითარებულ საქალაქო ფულად მეურნეობას ანტიკურ ხანაში; სპილენძის მონეტები პიტიუნტშიც ფართოდ იყო მიმოქცევაში, საშინაო ბაზარზე მათ იყენებდნენ როგორც წვრილ ხურდა ფულს.

პიტიუნტში გვიანელინისტური ხანის, ძვ. წ. II—I სს. სულ სამიოდე სპილენძის მონეტაა აღმოჩენილი, მათი მოჭრის ადგილები (ერთი მხრივ, მცირე აზიაში, ლაოდიკია, პონტო), ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო შავიზღვისპირეთი (ქერსონესი) მიგვანიშნებს, მის გარკვეულ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკაბოტაჟო ვაჭრობაში. ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტიც, ისევე როგორც, საერთოდ, აფხაზეთის ზღვისპირეთი არ გამოირჩევა ახ. წ. I ს. მონეტების სიუხვით. ესაა: ავგუსტეს (ძვ. წ. 27—ახ. წ. 14) სპილენძის მონეტა, პოლემონ II (49—63 წწ,) პონტოს მეფისა და ვესპასიანეს (69—79 წწ.) ვერცხლის ფულები, ქალაქ ამასტრიის პონტოს — ერთი საფასე. ისინი დაკავშირებულია რომაელთა ჯარის პიტიუნტში დაფუძნებასთან, შესაბამისად, აქედან მოყოლებული მონეტათა რიცხვიც საგრძნობლად იზრდება.

ახ. წ. II ს. ეკუთვნის პიტიუნტის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ვერცხლის 17 და სპილენძის 47, ე. ი. სულ 64 მონეტა (აქედან, სპილენძის ორი და ვერცხლის ერთი მონეტა მედალიონად, სამკაულადაა გამოყენებული). სულ ადვილი შესაძლებელია ისინი სავაჭრო-ეკონომიკური არხებითაც მოხვედრილიყვნენ პიტიუნტში, მაგრამ მათი რაოდენობის ასეთი ზრდა უფრო რომაელი ლეგიონერების ბიჭვინტაში გამოჩენას უნდა დავუკავშიროთ. არიანეს „პერიპლუსიდან" ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ დაურიგა მან ხელფასი აფსარში, ფასისში, სებასტოპოლისში და სხვა სტრატეგიულ პუნქტებში ჩაყენებული რომაული გარნიზონების ჯარისკაცებს (10). ნიშანდობლივი ჩანს ბიჭვინტური მონეტების უმეტესობის ტრაპეზუნტსა (25-ზე მეტი) და კაპადოკიის კესარიაში (9 ცალი) მოჭრის ფაქტიც, რადგან სწორედ აქედან მიემართებოდა ბიჭვინტაში რომაული ჯარის ცალკეული ვექსილაციები.

რადგან II საუკუნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიტიუნტში რომაელების დამკვიდრებასთან კავშირში, ამიტომ შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ ამ ხანის მონეტები:

ბოსფორის მეფე კოტის II (123—132 წწ.) — სესტერციუსი — 1 ცალი.

ანტონინე პიუსი (138—161 წწ.) — კესარიული დრაქმა, რომში მოჭრილი დენარი და სპილენძის ორი მონეტა, პაუტალიაში (თრაკია) მოჭრილი მედალიონი (11), სულ 5 ცალი.

ანტონინე პიუსისა და მარკუს ავრელიუსის (161—180 წწ.) სახელით მოჭრილი დენარი — 1 ცალი.

ლუციუს ვერუსი (161—169 წწ.) — ტრაპეზუნტის საქალაქო სპილენძის მონეტა მედალიონი, კესარიული დიდრაქმა — 2 ცალი.

კომოდუსი (180—192 წწ) — დენარი, ექვსი მონეტა სპილენძისა, აქედან მოჭრილია — 4 ტრაპეზუნტში, 2 ამისოში (პონტო) — სულ 7 ცალი.

ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები — II ს. დასასრულისა 10 ცალი.

ლუცილა (138 წ.) — სპილენძის რომაული მონეტა-მედალიონი — 1 ც.

ბოსფორის მეფე სავრომატ II (174—210 წწ.) — სპილენძის მონეტა — 1 ცალი. ბოსფორული მონეტები კარგად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პიტიუნტი II საუკუნის საკაბოტაჟო ნაოსნობის ერთ-ერთი პუნქტია, სებასტოპოლისთან ერთად, სადაც ჩრდილოშავიზღვისპირეთის 10 მონეტაა ნაპოვნი (12). სეპტიუმს სევერუსი (193—211 წწ./ — 3 ცალი), აქედან, ერთი ვერცხლის დენარია, 195/197 წწ. მოჭრილი.

ეს უკანასკნელი მონეტები, ალბათ, III ს. მიმოიქცეოდა, ისევე, როგორც ტრაპეზუნტში II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში მოჭრილი სპილენძის საფასები. ეს ვარაუდი დასტურდება კონკრეტული არქეოლოგიური მასალითაც, კერძოდ, პიტიუნტის სამაროვნის III ს. მეორე ნახევრის სამარხში აღმოჩენილი სპილენძის 6 მონეტით. აქ ერთადაა თავმოყრილი: 1) სეპტიმიუს სევერუსის (193—214 წწ.), 2) კარაკალას (211—217 წწ.), 3) იულია დომნას 217 წ. 4) ელიაგაბალუსის (218—222 წწ.), 5,6) გორდიანეს (238—244 წწ.) ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტები. ამ სამარხში დადასტურდა მედალიონად გამოყენებული ვერცხლის კესარიული გახვრეტილი მონეტა, დრაქმა; II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისით დათარიღებული.

როგორც ბიჭვინთის ნაქალაქარის, მე-18 კოშკში აღმოჩენილი მასალებიც ადასტურებს (ე. წ. დახურული კომპლექსი) III ს. მეორე ნახევარშიც კვლავ მიმოქცევაშია ადრიანეს (117—138 წწ.) კესარიული დიდრაქმები და კომოდიუსის (180—192 წწ.) მონეტები. მე-18 კოშკის ქვედა ფენაში აღმოჩენილი ყველა დანარჩენი ლითონის ფული მოჭრილია 256—257 წწ. „სკვითთა" თავდასხმის შემდეგ: 1) ავრელიანეს (270—276 წწ.) და მისი მეუღლის, სევერინას სპილენძის მონეტები, 2) ნუმერიანეს (282—284 წწ.) სპილენძის მონეტა, 3) მაქსიმიანუს გალერის (292—311 წწ.) სპილენძის ორი მონეტა, კონსტანციუს ქლორის (292—306 წწ.) საფასე და ისინი უკავშირდება კანაბეს დამცველი კედლებისა და კოშკის მშენებლობის ხანას, III საუკუნის მიწურულში ბიჭვინთაში აღმოჩენილი II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისის მონეტების დიდი ნაწილი ტრაპეზუნტის ზარაფხანიდანაა გამოსული. მეორე ადგილზეა კესარია (კაპადოკია), რომლის მონეტებიც. ასევე ტრაპეზუნტის გზით შემოდიოდა. II საუკუნის მონეტებიდან რომში შეიღიოდეა მოჭრილი. ტრაპეზუნტის მონეტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პიტიუნტის ახალი გამაგრების, სამხედრო ბანაკის ორგანიზაციისა და ეკონომიკური გაძლიერების საქმეში (ეაჭრობა-მომარაგება), II საუკუნის მეორე ნახევარსა და

III საუკუნის პირველ ნახევარში, წამყვანი ადგილი ისევ ტრაპეზუნტს უჭირავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ სხვადასხვა დროს დაბანაკებული ყოფილა რამდენიმე რომაული ლეგიონი, I, XV და XII ლეგიონები და ცალკეული ვექსილაციები, ხოლო მის ნავსადგურში იდგა შავი ზღვის რომაული ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ნუმიზმატიკური მასალები თვალნათლივ გვიჩვენებენ ტრაპეზუნტის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს პიტიუნტთან, რაც, პირველ რიგში, სამხედრო მნიშვნელობის პროვიანტისა და აღჭურვილობის რეგულარულ მოწოდებაში გამოიხატებოდა.

II საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის პირველ ნახევარში, რომაული მონეტების მოზღვავებას, სპეციალისტები აღნიშნავენ სებასტოპოლისშიც. რადგან აქაც შედარებით ხშირად პოულობდნენ სპილენძის, ტრაპეზუნტის, ე. წ. საქალაქო მონეტებს, რომლებიც იჭრებოდა კომოდის (180—192 წწ.), მაკრინასა (217—218 წწ.) და სხვა იმპერატორთა მმართველობის დროს, ვარაუდობენ, რომ სებასტოპოლისი შედიოდა ათი ქალაქის (სინოპე, ამისო და სხვ.) კავშირში, რომელსაც სათავეში ტრაპეზუნტი ედგა. ამის გამო გამხდარა ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტა ამ რეგიონის ძირითად საფასედ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში ალებ-მიცემობის ძირითად საშუალებად (13).

პიტიუნტის ციხე-ქალაქის სპეციფიკა გვაფიქრებინებს, რომ, ამასთანავე, ლეგიონერებს ხელფასის ნაწილი ტრაპეზუნტში მოჭრილი საქალაქო მონეტების სახით ურიგდებოდათ. ამას ხელს უწყობდა საზღვაო ტრანსპორტით მისი გადმოზიდვის ადვილი შესაძლებლობა. აქედან კი, ჩვეულებრივი სავაჭრო გარიგებებით „საქალაქო" მონეტა ვრცელდებოდა როგორც პიტიუნტის, ასევე სებასტოპოლისის (14) შიდა საქალაქო ბაზარზე, რომლებთანაც, საბანაკო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ლეგიონერები მჭიდროდ ჩანან დაკავშირებულნი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სპილენძის ეს „საქალაქო" მონეტები ვერ აღწევს ისტორიული კოლხეთის, ეგრისის შიდა რაიონებში, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კი მათ „სავაჭრო მონეტის" ფუნქციები შეუძენიათ. კ. გოლენკო სამართლიანად მიიჩნევდა ტრაპეზუნტს მონეტების მთავარ მიმწოდებლად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებისათვის (15).

პიტიუნტის მონეტების III ჯგუფში ახ. წ. III ს. მონეტებია გაერთიანებული, მათი რიცხვი 374 ერთეულით განისაზღვრება (აქედან. 80% სპილენძია, 20% — ვერცხლი) 149 მონეტას შეიცავდა კასტელში პრინციპიის კომპლექსში ნაპოვნი განძი, რომელიც, უეჭველად, ლეგიონერის საკუთრებას შეადგენდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა. 139 ცალი, ტრაპეზუნტშია მოჭრილი, რაც, ვფიქრობთ, პირდაპირ მიგვანიშნებს ამ ქალაქის სპილენძის მონეტების პიტიუნტში მოხვედრის მექანიზმსა და გზებზე. გ. დუნდუას დაკვირვებით განძის ყველაზე ადრეული მონეტა ადრიანეს (117—138 წწ.) კესარიული დიდრაქმაა, ხოლო ყველაზე გვიანდელი მოჭრილი 244/245 წწ. ტრაპეზუნტში ფილიპე უმცროსს ეკუთვნის; განძის დაფლვის პერიოდისთვის მასში თავმოყრილი მონეტები უნდა ასახავდეს პიტიუნტის ფულად მიმოქცევას, რაც ჩანს III ს. პირველი ნახევრის, პიტიუნტის სხვა მონეტებითაც (16). განძი, ბუნებრივია, დაუკავშირდა 256—257 წლების კატასტროფას მეკობრე ტომთა „ბორანების" პიტიუნტზე თავდასხმის, მათ მიერ ქალაქის აღებისა და განადგურების დროს (17). საბედისწერო მიჯნა კარგად აისახა ნუმიზმატიკურ მასალაში. III საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის 267, ხოლო მის მეორე ნახევარზე — 107 მონეტა. III საუკუნის მონეტათა საერთო რიცხვი კი ახალი აღმო-

ჩენებითურთ, როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, 390 აღემატება... ასეთი შეფარდება არ უნდა იყოს შემთხვევითი; იგი ასახავს პიტიუნტის ფულად-სასაქონლო ურთიერთობის რეალურად არსებულ ვითარებას. ასევე კანონზომიერი ჩანს მკვეთრი ცვლილება მონეტების გამომშვები პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების, ზარაფხანების ტოპოგრაფიაში. თუ პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის მონეტათა უმრავლესობა მოჭრილია ტრაპეზუნტში, შედარებით ნაკლები — კაპადოკიის კესარიაში, II ჯგუფის მონეტებს შორის უკვე წამყვან ადგილს საკუთრივ რომში მოჭრილი ფული იკავებს, ანტიოქიის ზარაფხანა წარმოდგენილია ჯერ III საუკუნის მიწურულის 11 მონეტით, რომლებიც, შესაძლოა, IV საუკუნეში, ამ ქალაქში მოჭრილ სხვა მონეტებთან ერთად პიტიუნტში მიმოიქცეოდა და შემდგომში დომინირებს კიდეც. III საუკუნის მეორე ნახევრის მონეტათა უმეტესობა მცირე აზიის ქალაქებში კი არაა ძველებურად მოჭრილი, არამედ იმპერიის დედაქალაქის ზარაფხანაში. ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ III საუკუნის მეორე ნახევრის მონეტებში გვხვდება ციზალპური გალიის, ზემო პანონიისა და მაკედონიის ქალაქების: მედიოლანუმის (მილანი), ციცინიუმის, სისციისა და თესალონიკეს ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. როგორც ჩანს, კატასტროფის შემდეგ პიტიუნტით დაინტერესებულა ცენტრალური ხელისუფლება, შესაძლოა, მისი ყოფილი პრეტორის სუსეკიანეს თაოსნობითაც კი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სხვებისაგან განსხვავებით, უფრო კარგად იცნობდა ადგილზე შექმნილ ვითარებას. მე-18 კოშკში აღმოჩენილი მონეტები, რომლებშიც არ ურევია III საუკუნის პირველი ნახევრის საფასეები, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კანაბეს გალავანი აგებულია III საუკუნის ბოლოს. ამ თარიღზე მიგვანიშნებს აღნიშნულ კოშკში დაფიქსირებული III საუკუნის მეორე ნახევრის მონეტები, მოჭრილი იმპერატორ ავრელიანეს (270—275 წწ.), მისი მეუღლე სევერინას, იმპერატორ ნუმერიანეს (282—284 წწ.) და სხვათა დროს*. III საუკუნის ბოლოდან იწყება პიტიუნტის საქალაქო ცხოვრების აღორძინება, რაზეც ამ დროის მონეტებიც მიგვანიშნებს. პიტიუნტი კვლავ ჩართული ჩანს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკაბოტაჟო ვაჭრობაში, როგორც ბოსფორის სამეფოსთან დამაკავშირებელი ნავსადგური. როგორც ჩანს, მისი დაცვა ამჯერად უნდა დაკისრებოდა იმპერიის ცენტრალური ნაწილებიდან გადმოყვანილ ჯარის ნაწილებს, რომლებსაც შედარებით სწრაფად უნდა აღედგინათ პიტიუნტი.

ყურადღებას იპყრობს პიტიუნტში აღმოჩენილი ე. წ. „მიმავალი მარსის" გამოსახულებიანი რომაული დენარების სამი ე.წ. „ბარბაროსული მინაბაძი", რომლებსაც სპეციალისტები ბოსფორში III ს. დამკვიდრებულ გოთებს უკავშირებენ. გ. დუნდუა მათ ბიჰვინტაში „ბორანების" თარეშის ეპოქას აკუთვნებს; სოხუმთან, კელასურში ასეთივე მონეტაა ბოსფორის, მათ შორის, 326 წელს მოჭრილ რისკუპორიდის საფასესთან ერთად ნაპოვნი (17), რაც მათი მიმოქცევის ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებს: პიტიუნტში აღმოჩენილი ბოსფორის მეფის რისკუპორიდ VI (318—333 წწ.) ვერცხლის ფული კიდევ ერთხელ ადასტურებს პიტიუნტის რეგულარულ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობას ბოსფორის სამეფოსთან ახ. წ. IV ს. ანუ IV ჯგუფის მონეტები ყველაზე უფ-

---

* სამაროვანზე III საუკუნის 19 მონეტაა აღმოჩენილი, აქედან, მეორე ნახევარზე მხოლოდ 1 მოდის, რაც შესაძლოა მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვის შემცირების მაჩვენებლადაც გამოდგეს.

რო მრავალრიცხოვანია. მათი საერთო რაოდენობა 535 აღწევს, აქედან მხოლოდ ორია ნაპოვნი სამაროვანზე, სადაც, როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ამ დროისათვის, ქრება სამარხებში მონეტების ჩატარების წესიც. IV ს. მონეტების რიცხვის ზრდასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ პიტიუნტის ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარების მაღალი დონეც. მისი ასეთი დაწინაურება უკავშირდება არა მარტო ადრექრისტიანული თემის ეკონომიკურ განმტკიცებას, არამედ პიტიუნტის გარნიზონის გაძლიერებასაც, რასაც ადგილი ჰქონია გვიანრომაულ ხანაში. ამის მტკიცების საშუალებას იძლევა IV ს. მონეტები, აღნიშნული ასპექტით ნიშანდობლივია პრინციპიის კომპლექსის (XVI ნაკვეთი) გვიანდელ მინაშენში მიკვლეული 310 სპილენძის მოხეტის განძი (18). განძში შედის კონსტანტინე I, დიდის (306—337 წწ.) და მისი მემკვიდრეების სახელით მოჭრილი წვრილი ნომინალის სპილენძის მონეტები; რაოდენობრივად ყველაზე მეტია კონსტანციუს II (337—361 წწ.) მონეტები, 102 ცალი. ზარაფხანების ტოპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: ანტიოქია — 87, ნიკომედია 51, ქიზიკი — 31, კონსტანტინოპოლი — 20; ალექსანდრია — 10, სისცია — 9, თესალონიკა — 1 (როგორც ი. ცუხიშვილი აღნიშნავს, 101 მონეტის მოჭრის ადგილი არაა განსაზღვრული). ცხადია, უნდა გამოირიცხოს პიტიუნტის პირდაპირი სავაჭრო კავშირები აღნიშნულ ცენტრებთან. უფრო უპრიანია მათი დაკავშირება იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებთან, საიდანაც ჯარისკაცების ხელფასის სახით ისინი ბიჭვინტამდე აღწევდნენ. მით უმეტეს, რომ განძში წარმოდგენილი მონეტების ნაწილი აშკარად გამოხატული, ე. წ. საარმიო ტიპისაა და რომლებზედაც გარდა წარწერისა—„დიდება არმიას" გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი — „ვიქტორია" ჯარისკაცების, შუბოსნისა და ფაროსნის წყვილი (19) და სხვ. ი. ცუხიშვილის აზრითაც, ზარაფხანების მრავალფეროვნება და მონეტების წონის მერყეობა აკავშირებს მათ არმიასთან (10). ცნობილია ისიც, რომ IV ს. ჯარისკაცები ხელფასს სპილენძის საფასეებით იღებდნენ (21).

განძი, საერთო აზრით, ჩაფლულია IV ს. სამოცდაათიან წლებში ბარბაროსთა ლაშქრობის დროს ბოსფორსა და კავკასიაზე (22).

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევადაროთ პიტიუნტში აღმოჩენილი IV საუკუნის მონეტების სამი დამოუკიდებელი ჯგუფი: 1) განძი, 2) კულტურული ფენებიდან მომდინარე საფასეები და მე-18 კოშკის ე. წ. „დახურული კომპლექსი". სამაროვანზე ამ ხანის მონეტები ძალზე მცირეა!

ნაქალაქარზე ნაპოვნი IV ს. ცალკეული მონეტები იმპერატორის მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული:

ლიცინიუსი (307—323 წწ.) — 22 ცალი, აქედან 14 ზარაფხანა დადგენილია (6 — ანტიოქია, 5 — თესალონიკა, 2 — ქიზიკი, 1 — ნიკომედია). აღნიშნული განძის დაგროვების დროისათვის ისინი, როგორც ჩანს, აღარ იყვნენ მიმოქცევაში ან მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი.

კონსტანტინე I დიდი (333—337 წწ.) — მათ შორის, დედოფალ ელენეს 328 წ. მოჭრილი 4 მონეტა და იმპერატორის სიკვდილის შემდეგ მისი სახელით გამოშვებული ფული — 65 ცალი, რომელთაგან წამყვანი ადგილი ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ზარაფხანებს უჭირავს.

კრისპუსი (317—326 წწ.) — 4 ცალი, მოჭრილი თესალონიკესა და ანტიოქიაში.

კონსტანტინე II (337—340 წწ.) — 14 ცალი; 4 მათგანი მოჭრილია კონსტანტინეპოლში, სამ-სამი — ნიკომედიასა და ქიზიკში, 1 — სისციაში.

კონსტანტინე II (337—361 წწ.) — 45 ცალი, აქედან 11 ანტიოქიაში მოჭრილი, ორ-ორი ნიკომედიაში, კონსტანტინეპოლსა და ქიზიკში, 1 სისციაში.

კონსტანტ I (337—350 წწ.) 57 ცალი.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება: მომდევნო წლების მონეტები, განსაკუთრებით IV ს. მიწურულისა, პიტიუნტში თითქმის არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვალენტინიანე II (375—393 წწ.) ერთადერთ მონეტას, რომელიც შეიძლება ჰუნების მოსვლამდეა მოჭრილი. ამ თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესოა მე-18 კოშკის ნუმიზმატიკური მასალა, სადაც IV საუკუნის მეორე ნახევარი წარმოდგენილია სპილენძის შემდეგი მონეტებით:

კონსტანტინე I—3 მონეტა. ერთი ანტიოქიაშია მოჭრილი.

კონსტანციუს II — 2 მონეტა (ნახანძრალი იატაკის დონეზე).

ამგვარად, პიტიუნტის ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში IV საუკუნის მეორე ნახევარში წამყვანი პოზიცია კონსტანტინე დიდისა და მისი მემკვიდრეების მონეტებთან ერთად კონსტანციუს II პროვინციული სპილენძის ემისიებს უჭირავს. უდავოა წყვეტილი IV საუკუნის ბოლო მეოთხედის ფულად მიმოქცევაში, რაც ჰუნების გამანადგურებელი ლაშქრობით უნდა აიხსნას. აქედან მოყოლებული მთელი V საუკუნის განმავლობაში პიტიუნტის ფულადი მეურნეობა დაქვეითებული ჩანს, რადგან ბიზანტიელთა გარნიზონი აქ ნამდვილად აღარ დგას. ეს ფაქტი აირეკლა ნუმიზმატიკურ მასალაში, სადაც V საუკუნე წარმოდგენილია სპილენძის რამდენიმე მონეტით. ესაა არკადიუსის (395—408 წწ.) — 8 მონეტა, თეოდოს V (408—450 წწ.) და მისი მეუღლის ორი მონეტა. ახალი აღმავლობა პიტიუნტის ფულად მიმოქცევაში შეინიშნება მხოლოდ VI საუკუნის დასაწყისიდან, რაზეც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

## საწონები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან

ბიჭვინტის ნაქალაქარზე დადასტურებულია რომაული ტიპის უღლიანი სასწორის ნაწილების აღმოჩენის ფაქტი (24), რაც საწონებთან, გირებთან (25) ერთად სამონეტო-ფულადი მეურნეობის, საქალაქო ცხოვრების აღებ-მიცემობის გარკვეული დონის არსებობის მაჩვენებელია. მე-18 კოშკში, ბიზანტიურ ეპოქასთან დაკავშირებულ ფენებში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ოთხი, ორი ბრინჯაოსი და ორი ტყვიის საწონი (ტაბ .XV) გარდა ამისა, კიდევ ერთი ბიზანტიური საწონი ნაპოვნი იქნა კოლექტორის ბოლო მონაკვეთის გაწმენდისას, 1987 წელს (ტაბ. XV, 5), დათარიღდა IV საუკუნით.

1. (02—1:83 (520). საწონი ბრინჯაოსი. სფერული მოყვანილობისა. ბრტყელი პოლუსებით. სიმაღლე 3,4, დიამეტრი ბრტყელი თავებისა 2,7 სმ. წონა გაწმენდამდე 330,05 გრ. გაწმენდის შემდეგ 328,5 გრ. ზედა ბრტყელი თავის, პილუსის ცენტრში, ვერცხლის ძაფით ინკრუსტირებულია ბერძნული ასოები Λ. Α. მარცხენა ლიბრას, საწონის ნორმატივის მაჩვენებელია, მარჯვენა კი უღლიანი ალფა რიცხვითი ნიშანია და უდრის 1. ამგვარად, საწონზე ვერცხლის ძაფით გამოყვანილია გირის საანგარიშო სიდიდე „I ლიბრა"; ორივე სიბრტყეზე, ცენტრში წერტილისებური ფოსოა გამოყვანილი, (ტაბ. XV,1). ჯე-

რადობის ნიშანი „რომაული ფუნტი“, „ას-ი“ ზომა-წონის ეს ერთეული უდრიდა 327,45 გრ. და იყოფოდა 12 უნციად, თითოეული 27,3 გრ. გვიანანტიკურ ხანაში 1 ლიბრა შეესაბამებოდა 72 სოლიდს. ანალოგიური საწონი სისტემა გავრცელებულია ადრებიზანტიურ ეპოქაში. სწორედ ბიზანტიურ საწონებს ახასიათებს ჯერადობის მაჩვენებლად ბერძნული ანბანის ასოების გამოყენება (25). ეს ლიბრა ახლოსაა ქართულ ლიტრასთან, რომელიც ასევე 327,4 გრამამდე იწონიდა (26), რაც სულხან-საბასაც აქვს აღნიშნული.

ამ ტიპის საწონები ფართოდ არის გავრცელებული IV—VI სს. ბიზანტიურ სამყაროში, ცნობილია ანალოგიურნიშნიანი ცალებიც (27), მაგრამ მათი წონა ხშირად მერყეობს (322 გრ-დან 334,5 გრ-მდე), რასაც ყველა ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული ახსნა სჭირდება. ბიჭვინტური ლიბრა კი, როგორც დავრწმუნდით, საკმაოდ ზუსტია და მხოლოდ ერთი გრამით მეტია გვიანანტიკურ (ისიც იმ შემთხვევაში თუ ნორმიდან გადახვევასთან გვაქვს საქმე) სისტემაზე. აქედან ჩანს, რომ ბიჭვინთაში IV—VI საუკუნეებში გავრცელებულია აღმოსავლეთ რომის იმპერიისათვის დამახასიათებელი საწონი სისტემა 328.5- გრამიანი ლიბრა. 2. საწონი (02—1; 83/512) ბრინჯაოსი, მცირე ზომისა, სფერული მოყვანილობისა, ბრტყელი თავებით (პოლუსებით). სიმაღლე 0,8 სმ., ბრტყელი თავების დიამეტრი — 0,8 სმ. წონა გაწმენდამდე—6,60 გრ. გაწმენდის შემდეგ — 6.374 გრ. ბრტყელ ზედაპირზე, თავზე ამოჭრილია ბუდე „ლუნარული სიგმა“ (?)-სათვის, რომელიც თავის დროზე ინკრუსტირებული უნდა ყოფილიყო ვერცხლის ძაფით. ბრტყელი პოლუსების ცენტრში ასევე წერტილისებური ჩაღრმავებაა, ისეთივე როგორც ლიბრასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ. თუ ასოს განსაზღვრა სწორია, მაშინ აქ „C“ სოლიდის მაჩვენებელია. მართალია სოლიდი საშუალოდ 4,5 გრ. იწონიდა, მაგრამ ანალოგიებიდან გამომდინარე, დასაშვები ჩანს, მისი წონის მერყეობა 3-დან 6 გრამამდე. საკითხი უფრო იოლად გადაწყდება თუ ვივარაუდებთ, რომ საქმე გვქვს ჩვენი ლიბრის გარკვეულ (328,5:6,3) შემადგენელ $\frac{1}{52}$ ნაწილთან, ხოლო თუ ასოს Ω „ო-მეგად“ მივიჩნევთ ან შებრუნებულად განვიხილავთ Ω, მაშინ ის უნციის 1/4-ია (Cicilicus)* 3, საწონი ტყვიისა (02—1:83(4651), მართკუთხედი უსწორმასწორო გვერდებიანი, სადაზედაპირიანი, სიგრძე 6 სმ, სიგანე 2,2—2,1 სმ, სისქე 9,2 სმ. წონა გაწმენდამდე 37 გრამი, გაწმენდის შემდეგ 36,831 გრ. ჩვენი ლიბრის 1/9 ნაწილი უნდა იყოს; წონიდან გამომდინარე 6 ნომისმა-სოლიდს უახლოვდება. შესაძლოა $1^1/_2$ უნცია, თუმცა წონით ეს უფრო შემდეგ გირას უახლოვდება.

4. საწონი (02—1:83(4642) ტყვიისა, მართკუთხა, შუაში გატეხილი და ძველთაგანვე შეკოწიწებულ-შეკეთებული მირჩილვის მეშვეობით. როგორც ჩანს, საკმაოდ უფრთხილდებოდნენ. რემონტის დროსვე დეფორმირებულია, სიგრძე — 7,5 სმ. სიგანე 2 სმ, სისქე 0,2 სმ. წონა გაწმენდამდე 42,9 გრ. გაწმენდის შემდეგ 42,6 გრ. ანუ 7 ნომისმა-სოლიდი. ზედაპირი შემკულია რელიეფური წყვილი ჯვარედინი ხაზებით, რომლებიც საწონის ცენტრში რომბს ქმნიან. ჯვარედინი, პარალელური ქედების თავებთან, ერთმანეთის საპირისპირო 4 რელიეფური წერტილია, რომლებსაც თითქოს ჯერადობის დანიშნულე-

* წონა შეესაბამება ერთ რომაულ „სექსტულას“—4,55 გრ.

ბა არ უნდა ჰქონდეს და უფრო დეკორატიულია. რომბის ცენტრში კი რე-ლიეფური ასო-ნიშანია ან „E“ — 5(?) (ტაბ. XXVI).

5. საწონი ბრინჯაოსი (02:1.87(56), მრგვალი, კარგად გამოჩარხული, დია-მეტრი 2,5 სმ, სისქე 4 მმ, წონა გაწმენდამდე 20,3 გრ., გაწმენდის შემდეგ — 20 გრ. ზედაპირზე ამოჭრილია ბერძნული ასოები „N“ ნორმატივის — „ნომის-მის“ და „E“ მისი რაოდენობის მაჩვენებელი). ცენტრში წერტილის მაგვარი ჩღრმავებაა. ამგვარად, წარწერის მიხედვით ესაა 5-ნომისმიანი საწონი. ანა-ლოგებიდან გამომდინარე, 5-ნომისმიანი გირების წონა მერყეობდა 20,6—22,7 გრამამდე.

ბიზანტიური საწონი სისტემა დამახასიათებელია არა მარტო ბიჭვინტი-სათვის, არამედ ის გავრცელებულია მთელ საქართველოში. ამ მხრივ, ნიშანდობ-ლივია მცხეთის სამაროვანზე სამთავროში გათხრილი VI ს. დათარიღებული ქვა-ყუთი № 251, სადაც აღმოჩნდა უღლიანი სასწორი კლასიკური საათიაქო ტიპისა, თავისივე მრგვალი ბრინჯაოსავე ჯამებით და ბრინჯაოს ხუთი საწონით. რადგან სამარხში სასწორთან და გირებთან ერთად ნაპოვნი იყო ნახევრადძვირ-ფასი ქვები, მათ შორის გვიანსასანური ხანის გემა — ინტალიოები, გამოით-ქვა ვარაუდი — სამარხი შეიძლება ყოფილიყო როგორც იუველირის ოქრო-მჭედლის, ასევე ზარაფისა (28). ბიჭვინტაში მე-18 კოშკში ოთხი ერთად აღ-მოჩენილი საწონი გვიჩვენებს, რომ ბიზანტიური გარნიზონის ჯარისკაცებში ყოფილან პირები, რომლებიც მისდევდნენ აღებ-მიცემობას და შესაძლებელია ხელოსნობის ამა თუ იმ დარგებსაც.

ბიჭვინთაში აღმოჩენილი საწონები, მონეტებთან ერთად მიგვანიშნებს სა-შინაო ბაზრის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების მაღალ დო-ნეზე, რაც დამახასიათებელი ჩანს ამ ეპოქის ციხე-ქალაქებისათვის.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ საზომის ქართული სახელწოდება ლიტრა ბერძნულის გამოხატულებაა და „ჩვენ წინაპრებს რომაული ლიტრა ბერ-ძნული კულტურული გზით უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“ (26).

ცხრილი I

**მონეტები პიტიუნტის სამაროვნიდან**

| №№ | სამარხის ტიპი და № | მონეტა | თარიღი | აღმოჩენის ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კირხსნარიანი ორმო-სამარხი 1 | ანტონიუს პიუსის და მარკუს ავრელიუსის დე-ნარი, ვერცხლი. | 161-168 წწ. | კისრის არე |
| 2 | ორმოსამარხი 28 | იულია დომნა. კესარიული დრაქმა. ვერცხლი. | 217 წ. | მუცლის არე |
| 3 | ორმოსამარხი 48 | ანტონინე პიუსი. კესარიუ-ლი დრაქმა. | 138-161 წწ. | კისრის არე |
| 4 | ორმოსამარხი 49 | სეპტიმიუს სევერუსი. დე-ნარი. ვერცხლი. | 193-211 წწ. | თავის არე |
| 5 | ორმოსამარხი 50 | სეპტიმიუს სევერუსი (?) ტრაპეზუნტი (?) სპილენძი. | ახ. წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნის დასაწყისი | თავის არე |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 6 | ორმოსამარხი (კენოტაფი) 55 | ვესპასიანე. დენარი. | 69-79 წწ | სამარხის ცენტრალურ ნაწილში |
| 7 | ორმოსამარხი 64 | კესარიული დრაქმა, ვერცხლი. | II საუკუნის დასასრული, III საუკუნის დასაწყისი | გულმკერდის არე გამოყენებულია გულსაკიდად |
| 8 | ორმოსამარხი 64 | კარაკალა. ტრაპეზუნტი, სპილენძი | 211--217 წწ. | ქვედა კიდურებთან |
| 9 | ორმოსამარხი 64 | გორდიანე. ტრაპეზუნტი, სპილენძი. | 238-214 წწ. | ქვედა კიდურებთან |
| 10 | ორმოსამარხი 64 | გორდიანე. ტრაპეზუნტი სპილენძი. | 238-244 წწ. | ქვედა კიდურებთან |
| 11 | ორმოსამარხი 64 | იულია დომნა. ტრაპეზუნტი. სპილენძი. | 217 წ. | ქვედა კიდურებთან |
| 12 | ორმოსამარხი 64 | სეპტიმიუს სევერუსი ტრაპეზუნტი. სპილენძი | 193-211 წწ. | ქვედა კიდურებთან |
| 13 | ორმოსამარხი 64 | ელიაგაბალუსი. ტრაპეზუნტი. სპილენძი. | 218-222 წწ. | ქვედა კიდურებთან |
| 14 | ორმოსამარხი 79 | ალექსანდრე სევერუსი. დენარი. ვერცხლი. | 222-235 წწ. | თავის არე. |
| 15 | ორმოსამარხი 93 | იულია დომნა კესარიული დენარი. ვერცხლი | ახ. წ III საუკუნის დასაწყისი | პირის არე. |
| 16 | ორმოსამარხი 96 | ალექსანდრე სევერუსი. ტრაპეზუნტი. სპილენძი | ახ. წ. III საუკუნის დასაწყისი | პირის არე. |
| 17 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 101 | მონეტა ვერცხლისა. დამლილი | ახ. წ. III საუკუნის I ნახევარი | პირის არე. |
| 18 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 107 | ალექსანდრე სევერუსი ტრაპეზუნტი. სპილენძი | ახ. წ. III სიუკუნის დასაწყისი | პირის არე. |
| 19 | ორმოსამარხი 124 | მონეტა სპილენძისა. | ძლიერ დაზიანებული | თავის არე. |
| 20 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 163 | პონტოს მეფე პოლემონ II. დრაქმა. ვერცხლი. | 49-63 წწ. | ქვედა ყბასთან. |
| 21 | ამფორა-სამარხი 183 | სამხრეთ პონტოს ერთ-ერთი ქალაქი სპილენძი. | ძვ. წ. I საუკუნის, მითრიდატეს ეპოქა. | ამფორაში, ჩონჩხის ძვლებთან ერთად |
| 22 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 205 | იულია დომნა. კესარიული დრაქმა. ვერცხლი. | 217 წ. | პირის არე. |
| 23 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 207 | კესარიული დიდრაქმა. ვერცხლი | ახ. წ. II საუკუნის დასასრული | გამოყენებული საკიდად. ყელის არე. |
| 24 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 207 | კონსტანტინეს ანმისი მემკვიდრეების მონეტა. სპილენძი. | ახ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი | თავის არე. |
| 25 | ორმოსამარხი 209 | ალექსანდრე სევერუსი დენარი. ვერცხლი. | 222-235 წწ. | თავის არე. |
| 26 | ორმოსამარხი 230 | მონეტა ვერცხლისა. | ცუდად დაცული. | თავის არე. |
| 27 | ორმოსამარხი 235 | მონეტა სპილენძისა. | ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარი | თავის არე. |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 28 | ორმოსამარხი 239 | მონეტა სპილენძისა. ტრაპეზუნტი. | ახ. წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნის დასაწყისი. | თავის არე. |
| 29 | ორმოსამარხი 242 | მონეტა სპილენძისა. | ახ. წ. II საუკუნის ბოლო III საუკუნის დასაწყისი. | თავის არე. |
| 30 | ორმოსამარხი 264 | მონეტა სპილენძისა. | ახ. წ. III-IV საუკუნეები. | თავის არე. |
| 31 | ორმოსამარხი 267 | მონეტა სპილენძისა. | ახ. წ. IV საუკუნის ცუდად დაცული. | თავის არე. |
| 32 | ორმოსამარხი 277 | მონეტა ვერცხლისა, რომაული დენარი. დაზიანებული. | ახ. წ. III საუკუნის I ნახევარი. | პირის არე. |
| 33 | კრემაციული სამარხი 298 | მონეტა სპილენძისა, ძლიერ დაზიანებული | III საუკუნე? | თავის არე.<br>პირის არე. |
| 34 | ორმოსამარხი 302 | ალექსანდრე სევერუსი. სპილენძი. | 222-235 წწ. | თავის არე. |
| 35 | ორმოსამარხი 306 | იულია დომნა. დენარი ვერცხლი. | 196-202 წწ. | თავის არე. |
| 36 | ორმოსამარხი 316 | დიოკლეტიანე. სპილენძი, | 284-305 წწ. | თავის არე. |
| 37 | ორმოსამარხი 317 | მონეტა სპილენძისა, ტრაპეზუნტი. | ახ. წ. II საუკუნის დასასრული | |
| 38 | ხსნარიანი ორმოსამარხი 319 | მონეტა სპილენძისა. ცუდად დაცული. | ახ. წ. II-III საუკუნეების მიჯნა | თავის არე. |
| 39 | ორმოსამარხი 321 | მონეტა ვერცხლისა, ძლიერ დაზიანებული, დენარი. | ახ. წ. III საუკუნის I ნახევარი | პირის არე. |
| 40 | ორმოსამარხი 323 | ორბიანა, ტრაპეზუნტი, სპილენძი. | 225-227 წწ. | თავის არე. |
| 41 | ორმოსამარხი 324 | მონეტა სპილენძისა, ტრაპეზუნტი. ცუდად დაცული. | ახ. წ. II საუკუნის დასასრული. | თავის არე. |
| 42 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 325 | მონეტა სპილენძისა. ცუდად დაცული. | ახ. წ. III-IV საუკუნეები. | თავის არე. |
| 43 | ორმოსამარხი 326 | მონეტა სპილენძისა, ტრაპეზუნტი. | ახ. წ. II საუკუნის დასასრული. | თავის არე. |
| 44 | ორმოსამარხი 330 | მონეტა ვერცხლისა, ძლიერ დაზიანებული. | ? | თავის არე. |
| 45 | ორმოსამარხი 332 | კარაკალა. დენარი. | 211-217 წწ. | თავის არე. |
| 46 | ორმოსამარხი 333 | გორდიანე. ნეოკესარია, სპილენძი. | 238-244 წწ. | თავის არე. |
| 47 | ორმოსამარხი 334 | მონეტა სპილენძისა, ცუდად დაცული. | ახ. წ. II-III საუკუნეები. | თავის არე. |
| 48 | ორმოსამარხი 334 | მონეტა სპილენძისა, ცუდად დაცული. | ახ. წ. II-III საუკუნეები. | თავის არე. |
| 49 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 352 | მონეტა სპილენძისა | ახ. წ. III საუკუნე? | თავის არე. |
| 50 | ამფორასამარხი 370 | მონეტა სპილენძისა | ახ. წ III საუკუნის II ნახევარი | სამარხიდან 30 სმ. მოშორებით |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 51 | ორმოსამარხი 380 | დიოკლეტიანე. მონეტა სპილენძისა. | 284-305 წწ | დაზიანებული სამარხი |
| 52 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 388 | მონეტა სპილენძისა, ძლიერ დაზიანებული. | ? | ყელის არეში. |
| 53 | ორმოსამარხი 395 | კომოდუსი. კესარიული დრაქმა. ვერცხლი. | 180-192 წწ. | პირის არე. |
| 54 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 401 | მონეტა სპილენძისა, ძლიერ დაზიანებული. | | |
| 55 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 403 | ელაგაბალუსი, გეტა? | 218-222 წწ.<br>211-212 წწ. | პირის არე. |
| 56 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 405 | იულია დომნა. ვერცხლი. | 217 წ, | პირის არე |
| 57 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 416 | მონეტა სპილენძისა, | ახ. წ. III-IV საუკუნეები. | სამარხის ზედაპირზე |
| 58 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 416 | მონეტა სპილენძისა. ძლიერ დაზიანებული. | ? | ყელის არეში, |
| 59 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 421 | მონეტა სპილენძისა. ტრაპეზუნტი. | III საუკუნის I ნახევარი. | ქვედა კიდურების არეში. |
| 60 | კირხსნარიანი ორმოსამარხი 428 | მაქსიმიანე გალერუსი | 292-311 წწ. | ქვედა კიდურებთან. |
| 61 | ორმოსამარხი 429 | მონეტა სპილენძისა. ძლიერ დაზიანებული. | | ყელის არეში. |
| 62 | სამაროვნის ჩრდილო მონაკვეთი საძიებო შურფი 0,40 სმ სიღრმეზე. | მონეტა სპილენძისა. | II საუკუნის ბოლო ? | |
| 63 | სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთი საძიებო შურფიდან. | მონეტა ვერცხლისა, დენარი. (ნაკლული). | ახ. წ. II-III საუკუნეები. | |

## შენიშვნები


1. ა ფ ა ქ ი ძ ე ა., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, I, გვ. 119—122.

2. დაწვრილებით რომის იმპერიის სამონეტო მიმოქცევისა და ფულის სისტემების შესახებ იხ. H. M a t t i n g l y, Roman Coins from the earliest times to the fall of the Western Empire, London, 1960, p. 120—244. К р о п о т к и н В., Клады римских монет на территории СССР, Свод археологических источников, М., 1961, с. 5 сл. David R. S e a r, The Empirors of Rome and Byzantium. Chronological and Genealogical, London, 1981.

3. J a n R a i t a z, Наличие монет в римских постройках Словакии, Slovenska Numizmatika, IX Bratislava, 1986; Fr. D i o k, Die Münzfunde wahrend der Notgrabung im Tier—garten Jahre, 1976. Garnintum, Jahrbuch, Wien, 1986, p.p. 104—108.

4. ა ფ ა ქ ი ძ ე ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 49, П а х о м о в Е., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. II, Баку, 1938, № 344, вып. IV, Баку, 1949, № 1418.

5. К а п а н а д з е В., Нумизматические находки Пицундской археоло-

гической экспедиции за 1953—1959 гг., ВДИ, № 4, 1966.

გ. დუნდუა სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II, ახ. წ. IV სს. დიდი პიტიუნტი, I, გვ. 280—413. G. Dundua G. Lordkipanidze, Pitiuntin der Spätantike Georgica, Jena, 1980, pp. 40—45.

6. რომაულ ხანაში დასავლეთ საქართველოს ფულადი მიმოქცევის შესახებ დაწერილებით იხ. Голенко К., Денежное обращение Колхиды в римское время, Л., 1964, მისივე. Заметки об обращении римской монеты в Закавказье, ВДИ, № 4, 1971. ახალი მასალები აფხაზეთიდან განხილულია ს. შამბას საკანდიდატო დისერტაციაში. Монетное обращение в Абхазии с античной эпохи до начала распада единого Грузинского царства, Тб., 1983, с. 20, 21; მისივე, Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э. XIII в. н. э.) Тб., 1987, с 57—74. ბიჭვინთის კონცხიდან ჩრდილო-დასავლეთით, გაგრა-განთიადის მთისწინა ზოლში განლაგებულ ხაშუფსა, აჩმარდასა და ლაფსთას ხეობებში არქეოლოგიურად ფიქსირებულია გვიანანტიკური ხანის ადგილობრივი სამოსახლოებისა და სამაროვნების კვალი. შემთხვევით აღმოჩენებში გვხვდება რომაული ვერცხლის მონეტები, რომლებიც აქ ზღვისპირა პუნქტებთან სავაჭრო—ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად უნდა იყოს მოხვედრილი (Шамба Г. К., Археологические разведки 1967 года в Гагрском районе, Материалы по археологии и искусству Абхазии, Сухуми, 1974, с. 65).

7. დუნდუა გ., საქართველოს სამონეტო განძები, თბ., 1979; Дундуа Г., Монетное дело и монетное обращение Грузии в античную эпоху, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1982, გვ. 42—43.

8. შდრ.: В. Крапоткин. დასახ. ნაშრომი, გვ. 15. ათასზე მეტი რომაული მონეტის შემცველი განძი სსრკ ტერიტორიაზე სულ ათამდეა ცნობილი. 5441 რომაულ დენარს (20, 745 კგ-ი) შეიცავდა სახელმწიფო ერმიტაჟის მიერ 1950 წელს შეძენილი ერთი უცნობი წარმოშობის ყველაზე უფრო დიდი განძი. ადვილი შესაძლებელია აღნიშნული განძი აფხაზეთში იყოს ნაპოვნი.

9. მოხუცი ქარონი, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ცხოვრობდა მიწისქვეშეთში და ევალებოდა მიცვალებულთა სულების გადაყვანა, ჰადესის კარამდე. რათა მდინარე სტიქსეზე მას მიცვალებულთა სულები დაუბრკოლებლად გადაეყვანა, ამისათვის ჭირისუფალნი მიცვალებულებს, ბერძნულ-რომაული წესის თანახმად, პირში ან ხელში მონეტებს უდებდნენ. აქედან, „ქარონის ობოლი“ („ობოლი“ ფულის ერთეულია დრაქმის $^{1}/_{6}$, დაახლოებით 0,73 გრ. ვერცხლით.) აღნიშნული ჩვეულების დამკვიდრება იდეოლოგიის ისეთ კონსერვატულ სფეროში, როგორიცაა დაკრძალვის წესი, მიგვანიშნებს საზოგადოებაში არსებულ ფულად ურთიერთობათა განვითარებულ ხასიათზე. მაგალითად, რომის პროვინცია პანონიაში, რომელიც დღევანდელი სლოვაკიის ნაწილსაც მოიცავდა, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თუმცა იცნობდა რომაულ მონეტებს, მაგრამ რომაელებისაგან განსხვავებით მათ არ იყენებდა სამარხებში, „ქარონის ობოლებად“ იხ. Красонска Л., Римские монеты в погребениях в Словакии—Slovenska Numismatica, IX. Bratislava, 1966, стр. 128. რომაული დაკრძალვის წესების შესახებ იხ. J. Toynbee, Death and Burial in the Roman World, London, 1971.

10. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა-კომენტარები და რუკა ნათელა კეჭყმაძისა, თბ., 1961. Philip A. Stadter, Arrian of Nicomedia, Chapel Hil, 1980.

11. ანტიკური ხანის სამახსოვრო მედალიონები, თანამედროვე მემორიალური, ანალოგიური დანიშნულების ნივთებისგან, მედლებისაგან განსხვავებით არასოდეს არ კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას, მონეტის ფუნქციას. იხ. Зограф А., Античные монеты, Материалы и исследования СССР., № 16, М.—Л., 1951, с. 103. მონეტა—სამკაულები რომში მოდაში შემოვიდა II საუკუნეში, Фенглер Х., Гироу Г., Унгер В., Словарь нумизмата, М. 1982, с. 173.

12. ს. შამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—46.

13. Воронов Ю., Диоскуриада—Себастополис—Цхум, М., 1981,

c. 82. მართალია, საიმპერატორო ეპოქაში მოკავშირე ქალაქების მონეტების მოჭრა არ შემწყდარა, მაგრამ მათ აღარ ჰქონდათ პოლიტიკური ხასიათი. მათ უშვებდნენ, უპირატესად, საკულტო და სადღესასწაულო მიზნით. ამით ყოფილა გამოწვეული მონეტათა ტიპოლოგიის თავისებურება. ქალაქები აქ წარმოდგენილია თავიანთი მთავარი ღმერთებით ან გმირებით. ხშირად ასეთი ხასიათის მატარებელია „სამოკავშირეო მედალიონებიც". იხ. ა. ნ. ზოგრაფი, დასახ. ნაშრომი' გვ. 99.

14. ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ იხ. დუნდუა გ., კიდევ ერთხელ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ, დიდი პიტიუნტი, II თბ., 1977, გვ. 343—346. გარდა ამისა, გ. დუნდუა სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავს: ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტების დიდი ნაწილი 328 ც. აღმოჩენილია პიტიუნტსა და სებასტოპოლისში! 192 ცალზე გამოხატულია მიტრა, 50—ტიუხეფორტუნა, 17—დიონისე, 12—სარაპისი, 6—აპოლონი, 2—ჰერმესი, 1—ჰერაკლე და 1—რეაკიბელა. მისი საყურადღებო დასკვნის თანახმად, ტრაპეზუნტის მთავარ ღვთაებას არაბერძნული წარმოშობის მზისა და სინათლის, ადგილობრივი კოლხური ღვთაება წარმოადგენდა. გ. დუნდუა, დასახელებული სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 39.

15. გოლენკო კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 35—36.

16. დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტის ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 352, და შემდ. ცხრილი III.

17. შამბა ს., დასახ. ნაშრომი.

18. ცუხიშვილი ი., გვიანრომაული მონეტების ბიჭვინტის განძი, დიდი პიტიუნტი II, გვ. 250—301.

19. Mattingly H., დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

20. Цухишвили И., Взаимоотношения Восточноримской империи с Западной Грузией в IV—XII вв, Автореферат кандидатской диссертации. Ереван, 1987, с. 8 (на правах рукописи).

21. Кандуракп Э., О натуральном и денежном обмене в IV—V вв., Византийский Временник, XIV, М., 1958, с. 37.

22. ი. ცუხიშვილი, გვიანრომაული მონეტების ბიჭვინთის განძი, გვ. 257.

23. ბიზანტიური ხანის მონეტებზე დაწერილებით იხ. ი. ცუხიშვილი, ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები. დიდი პიტიუნტი, II, გვ. 335—332; მისივე, რომაელთა გარნიზონი IV-V სს. ბიჭეინთაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 1982, № 2, აგვისტო, ტომი 107, გვ. 443—443; გარდა ამისა, იხ. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966.

24. დიდი პიტიუნტი, 1, გვ. 179. სურ. 22 (ვ. ნიკოლაიშვილი, ბიჭვინტის ნაქალაქარის XIX ნაკვეთზე 1967—1970 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში).

25. O. M. Dalton, Byzantine Art and Archaeology, New York, pp. 621-ო. დალტონი ბიზანტიურ სიძველეთა აღიარებული სპეციალისტი, მინის საწონებისა და მონეტების აღწერის შემდეგ (გვ. 615) გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობას წმინდა მარკოზის (S. Marco) საგანძურში დაცული მინის სანათურის შესახებ, რომლის ვერცხლის გარსაკრავზე დატანილ წარწერაში იხსენიება იბერიელი არქიეპისკოპოსი—Archbishop of Iberia. მისი აზრით, ამ ტიპის ჭურჭელი საქართველოდან შემოდიოდა (a fact which may possibly connect this group of glass vessels with Georgia) ბრიტანეთის მუზეუმში 50-ე დარბაზში გამოფენილია ბიზანტიური საწონები, მათ შორის პიტიუნტში აღმოჩენილი ცალების ზუსტი ანალოგიები. დათარიღებულია III—IV საუკუნეებით (ვიტრინა № 12), აღნიშვნით—აღმოსავლეთ რომის იმპერია.

26. ჯავახიშვილი ი., ქართული საფას—საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925., გვ. 99, 103.

27. E. Pernice, Griechische Gewicte, Berlin, 1894 pp. 20—21. Чистова Л., Античные и средневековые системы имевшие хождение в Северном Причерноморье, Сб. Археология и история Боспора, Симферополь, 1962.

28. Иващенко М. М., Находка византийского эксагия в Грузии, КСИА, XIX, 1948, с. 43—45. შდრ.: Иотов В., Ексагии от музеите в Толбухин, Нумизматика, 2/88, с. 18—20; Герасимов Т., Ранневизантийские екзагии от България, Археология, 1973, № 2, с. 54.

# ბიჭვინთის სამაროვანი და პიტიუნტის მოსახლეობის ეთნოკულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯერ კიდევ 1952 წელს მოინიშნა, ე. წ. „სამხრეთი უბანი“ — განლაგებული ნაქალაქარიდან და ტაძრიდან სამხრეთით და დასავლეთით, ვიდრე გაგრა-ბიჭვინთის გზამდე. ესაა ტერიტორია, სადაც ცალკეული სამარხები იყო ფიქსირებული (1). ექსპედიციის წინაშე, როგორც ამას აღნიშნავდა მისი ხელმძღვანელი ა. აფაქიძე, დაისვა შემდეგი ამოცანა: 1. „დიდი პიტიუნტის“ ნეკროპოლის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, 2. მისი გავრცელების საზღვრების მოხაზვა, 3. სამაროვნის ხასიათის გამოკვლევა, სამარხ-ნაგებობათა და დაკრძალვის წესების შესწავლა. 1961 წელს ნეკროპოლის სავარაუდო ტერიტორიაზე, გავლებულ იქნა 28 საძიებო თხრილი, ზომით 20 მ×2 მ ან 10 მ×2 მ, ხოლო სიღრმეს (0,80—0,90 მ) გრუნტული წყლების დონე განსაზღვრავდა. დაზვერვებით გამოირკვა: ერთი ფეოდალური ხანის სამაროვანი მდებარეობდა ბიჭვინთის X—XI სს. ცნობილი ტაძრის აღმოსავლეთით, თითქმის ფიჭვნარის ზოლამდე, ხოლო მეორე გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანისა — ციხე-ქალაქის, ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. ამასთანავე შეინიშნებოდა, რომ გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბევრად უფრო დიდია მომდევნო პერიოდის სასაფლაოზე, რაც შესაბამისად, საქალაქო ცხოვრების ინტენსივობით აიხსნა (2). ჩვენ მიერაც კათედრალთან გამოვლენილ ადრექრისტიანულ ტაძრებთან გაითხარა რამდენიმე ქრისტიანული უინვენტარო სამარხი (3), რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს V—VI სს. ე. წ. ანთროპომორფული სარკოფაგი (ტაბ. XXIII), რომლის ზუსტი ანალოგია ცნობილია სოხუმიდან (აღმოჩენილია მდ. ბესლას ნაპირას, ეკლესიის ნანგრევებთან. ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში) და, რომელიც საეკლესიო იერარქს უნდა უკავშირდებოდეს. მაშინ გამოვლენილი სამაროვნის სავარაუდო ტერიტორიის დაზვერვამ, რომელსაც საგანგებო რაზმი აწარმოებდა რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, დაადასტურა, რომ მისთვის ყველაზე მეტად ორმოსამარხები ყოფილა დამახასიათებელი. მისი აზრით, პიტიუნტის სამაროვანზე გვიანანტიკურ ხანაში მიცვალებულებს სამარხეულ ორმოებში აწვენდნენ მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცით, ნებისმიერი დამხრობით. შემდგომი კვლევით, დაზუსტდა, რომ დამხრობას გარკვეული ყურადღება მაინც ექცეოდა, ხოლო (ცხრ. III) ფეხმოკეცით, გვერდზე დაკრძალვა გამონაკლისია და არა წესი (15 შემთხვევა). ამ სახის სამარხები, რომელთა რაოდენობა ძალზე მცირეა, შესაძლოა დაუპირისპირდეს ბერძნულ-რომაულ ტრადიციებს, ისევე როგორც IV ს. დათარიღებული ცხენიანი სამარხები. ახ. წ. III—IV. სს. დათარიღდა რამდენიმე ამფორასამარხი. სამაროვნის არქეოლოგიური ძიებისას ყურადღება მიიპყრო ღუღაბით, კირხსნარითა და კონგლომერატის ხსნარით ნაგები სამარხებმა, რომლებსაც

ასევე წინაქრისტიანული ეპოქით ათარიღებდნენ. IV ს. განეკუთვნა კრამიტსამარხები და თიხის ფილებით ნაგები სამარხები. არქეოლოგების დაკვირვებით მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში მაინც (4) III საუკუნეში თუ არა, იწყება გარდატეხა აქაურ დაკრძალვის წესებში; თუმცა ორმოსამარხები ადრექრისტიანულ ეპოქაშიც არსებობს.

მიცვალებულის დამხრობა თავით დასავლეთისაკენ, გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში დასვენება, უინვენტაროდ დაკრძალვა პიტიუნტის მოსახლეობის ფართო ფენებში III საუკუნეში არსებობდა, ქრისტიანობის საყოველთაო აღიარებამდე. უკანასკნელ წლებში ძველი სამაროვანი საგრძნობლად დაზიანდა და ნაწილობრივ განადგურდა კიდეც საცხოვრებელი კორპუსების, მათი კომუნიკაციების ინტენსიური, ფორსირებული მშენებლობის დროს. სამაროვნის ნაწილი მოექცა საავტომობილო გზების ქვეშ, რომლის მხოლოდ ერთი სექტორი შევისწავლეთ.

1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკისა და არქეოლოგიის კათედრებმა პიტიუნტის სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების დასადგენად ჩაატარეს მაგნიტური და ელექტროსაძიებო სამუშაოები კვანტური მაგნიტომეტრის M — 33-ის გამოყენებით (5). გამოირკვა, რომ ბიჭვინთის კურორტის დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე სამაროვანი გრძელდება მე-6 კოშკის დასავლეთით 100—600 მ მანძილზე (ტაბ. XXVIII). აქვე უნდა გადიოდეს მისი ჩრდილოეთი საზღვარიც.

1984 წელს ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ახალი, ე. წ. ბიჭვინთის შემოსავლელი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, გადაუდებელ ამოცანად ჩათვალა სამაროვანზე გამავალი მისი ტრასის არქეოლოგიური შესწავლა. ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან 180 მ-ის დაშორებით დაფიქსირდა სამაროვნის აღმოსავლეთი სასაზღვრო ზოლი, რომელიც დასავლეთისაკენ გრძელდება (400 მ-ის მანძილზე), ხოლო სამხრეთით ფიჭვნარის ზოლს აღწევს. სამაროვნის ფართობი, შურფების მეშვეობით, განისაზღვრა დაახლოებით 3,500 ათასი კვადრატული მეტრით, ანუ 3,5 ჰექტრით (ტაბ. XXVII, XXIX).

სამაროვანზე მშენებარე გზის ტრასაზე ცენტრალური თხრილის (50 მ× 40 მ) გავლებამ საშუალება მოგვცა ერთდროულად, შედარებით ვრცელ ფართობზე, გაგვეთხარა ორასამდე სამარხი (ტაბ., XXVIII).

მთლიანად სამაროვანზე გაითხარა 430 სამარხზე მეტი, გამოიყო რვა ტიპი (ცხრ. II. ტაბ. XXX, 1,2). ორმოსამარხები, 2) კირხსნარიანი, დუღაბიანი, 3) კრამიტსამარხები, 4) აგურ-სამარხები, 5) ამფორასამარხები, 6) კონგლომერატის კვადრებით ნაშენი, გეგმაში ოთხკუთხა სამარხები, ორმოსამარხები 7) კონგლომერატითა და ლოდებით ნაგები, გეგმაში მრგვალი, ე. წ. ჭასამარხები, 8) კრემაციული ორმოსამარხები. ორმოსამარხებს გაბატონებული ადგილი უჭირავს სამაროვანზე. დღეისთვის გამოვლენილი სამარხების ნახევარზე მეტი სწორედ მათზე მოდის, აქედან 120-ზე მეტი ინვენტარიანია. რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზეა დუღაბიანი, ანუ კირხსნარიანი სამარხები (ინვენტარიანია 73). ჩვეულებრივი ორმოსამარხებისაგან განსხვავებით მათი მოწყობა გარკვეულ სახსრებს, დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. პიტიუნტის სამაროვანზეც ამფორებს ჩვილი ბავშვების დასაკრძალავად იყენებდნენ, ბერძნულ- რომაული ტრადიციის შესაბამისად (ამ წესს ადგილობრივი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა არ მისდევდა). სამაროვანზე გამოვლენილ იქნა

65 ამფორასამარხი, აქედან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ინვენტარი. მართალია, პროცენტულად შედარებით მცირეა კრამიტსამარხები, სულ 13 (აქედან ექვსია ინვენტარიანი), მაგრამ ისინი აქ არა მარტო გარკვეულ სოციალურ წრეს, არამედ ბერძნულ ეთნოსს, მის ტრადიციებს უნდა დავუკავშიროთ. საინტერესოა, რომ თანადროულ ბოსფორის სამეფოს სამაროვნებში შენიშნულია მათი რაოდენობის შემცირების ტენდენცია. მცხეთაში (სამთავრო) კი პირიქით, II ს. მიწურულიდან მათი რაოდენობა იზრდება. ბიჭვინთის სამაროვანზე III—IV საუკუნეებში გვხვდება, ე. წ. კერამიკული ფილასამარხები, კონგლომერატის კვადრებით ნაგები, გეგმაში ოთხკუთხა და მრგვალი სამარხები, რომლებიც მოსახლეობის შედარებით შეძლებულ ფენებს შეიძლება მივაკუთვნოთ. დაკრძალვის ტიპების ასეთი მრავალფეროვნება ახასიათებს აზიური ბოსფორის გვიანანტიკური ხანის სამაროვნებს, რომელთანაც ბევრი აქვს საერთო ბიჭვინთაში გათხრილ II—IV საუკუნეების სამარხებს.

ჩვენი სამაროვნის სამარხების დიდი უმრავლესობა ინდივიდუალურია. მიცვალებულის დამხრობა (ცხრ. III, ტაბ. XXXI) საუკუნეების მიხედვით უნდა დაჯგუფდეს, რადგან ერთი შეხედვით ის ნებისმიერია. III—IV საუკუნეებში თითქოს ჭარბობს მიცვალებულების გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალვა, თავით დასავლეთით ან აღმოსავლეთისაკენ. გვხვდება კანონიკური ქრისტიანული წესით მოწყობილი უინვენტარო სამარხებიც, სადაც მიცვალებული გულხელდაკრეფილი დაუკრძალავთ, თავით დასავლეთისკენ. სამაროვანზე აღმოჩენილია ადრეული ტიპის რკინის ჯვარიც (ტაბ. LIXXVII, 1). ბიჭვინთის სამაროვანზე გაითხარა რამდენიმე ცხენიანი ორმოსამარხი და კირხსნარიანი სამარხი (ტაბ. XLVI, LII), რაც არ არის დამახასიათებელი ბერძენ-რომაელებისათვის. ბოსფორის სამეფოს სამაროვნებში მათ ბარბაროსულ სამყაროს, სინდებს, სკვით-სარმატებს უკავშირებენ. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესოა სამარხი (გაითხარა 1988 წელს), სადაც 8—9 წლის ბავშვთან ერთად კვიციც არის დაკრძალული. ცხენიანი სამარხები, ე. წ. „ხახვისთავიანი" ფიბულის მეშვეობით, რომელიც ერთ-ერთ ასეთ საფლავში აღმოჩნდა IV საუკუნით თარიღდება.

პიტიუნტის ნეკროპოლის II—IV სს. სამარხეული ინვენტარი, როგორც დავრწმუნდებით, არ გამოირჩევა არც მრავალფეროვნებითა და არც მრავალრიცხოვნებით. შედარებით ხშირად გვხვდება საშუალო და მცირე ზომის მინის ჭურჭელი (ნელსაცხებლები, ბალზამარიები, ფლაკონები და სხვ. (ტაბ. LXVII—LXXIV), რომელთა ერთი ნაწილი შესაძლოა პიტიუნტის ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული. კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ასევე ადგილობრივი და შემოტანილი ღაბალი, ორყურა ან ცალყურა სადა და წითელლაკიანი კოჭობებით, ამფორისკებით, პატარა დოქებით (ტაბ. LXII — LXVI). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნაქალაქარის კულტურული ფენებისაგან განსხვავებით, სამარხებში იშვიათია წითელლაკიანი ჯამები და ლანგრები, ასევე თითქმის არ გვხვდება საბრძოლო იარაღი, რომელსაც, ჩანს, უფრთხილდებოდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ამ მხრივ ანალოგიური სურათია სხვა რომაულ კასტელებთან დაკავშირებულ სამაროვნებზეც. სამარხებში იშვიათად გვხვდება ძვირფასი ლითონის ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ესაა წვრილმავთულიანი საყურეები, გემიანი ბეჭდები-საბეჭდავები. სამაჯურები, საკინძები, გულსაკიდები და სხვ. (LXXVII—XXVIII). შედარებით ხშირია მრავალფეროვანი, ე. წ. პასტის, აგრეთვე გიშრისა და ქარვის

მძივები, ქამრის ბალთები, წამოსასხამების საკინძები — ფიბულები. საინტერესოა ზოგიერთი გემის სიუჟეტი: ნახევრადძვირფას ქვებზე ამოჭრილია სხვადასხვა სცენები, მაგალითად: სამი გრაცია, ორი ერთად შეკრული მარჯვენა, თანხმობისა და თანამშრომლობის სიმბოლო (6), დელფინზე მჯდომი კუპიდონი — ამური, ფრინველები და ცხოველები. ისინი ასახავენ მათი მფლობელების გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს (ტაბ. LXI). გვხვდება ქრისტიანულსიმბოლიკიანი გამოსახულებებიც. ოქროს ნივთები აღმოჩნდა ათ სამარხში (ტაბ. LX—VIII, 2—4). მონეტები დადასტურდა 52 სამარხში. ყურადღებას იპყრობს მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. I ს-დან ახ. წ. IV ს. პირველ ნახევრამდე; მონეტათა დიდი უმრავლესობა III ს. განეკუთვნება, რაც საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მონეტებს ზოგჯერ სამკაულებადაც იყენებდნენ. ერთ შემთხვევაში კესარიული დიდრაქმა II ს. შუა ხანებისა ოქროს (საკმაოდ მდარე ხელობისა) ჩარჩოში — გარსაკრავშია ჩასმული და მედალიონის დანიშნულებას ასრულებდა (ტაბ. LXVIII, 2). ბიჭვინთის ნუმიზმატიკური ძეგლებისათვის ერთგვარი სიახლეა სამაროვანზე აღმოჩენილი ვესპასიანეს დინარები (69—79 წწ.), რომელთაგან ერთი, როგორც აღვნიშნეთ, IV საუკუნით დათარიღებულ კენოტაფში აღმოჩნდა! სხვა მონეტები, მათ შორის ტრაპეზუნტის II—III სს. (ტაბ. LXIII) სპილენძის მონეტები ჩვეულებრივია და საქალაქო ფულადი მიმოქცევის მაჩვენებლებადაც გამოდგება. 96 ორმოსამარხში წარმოდგენილია რკინის, ნაჭედი მრგვალთავიანი ლურსმნები, მათი რაოდენობა მერყეობს ერთიდან რვამდე და დასაკრძალავი ხის ყუთების, კუბოების შესაკრავად გამოიყენებოდა. ცხადია ისინი, როგორც „ყუთები" პიტიუნტის სახელოსნოებში მზადდებოდა. მანძილი რკინის ლურსმნებს შორის ხშირად დაკრძალულის სიმაღლის მაჩვენებელია. როგორც აღვნიშნეთ, ხის კუბოები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული სამაროვნებისათვის, რომელთაც, ისევე, როგორც პიტიუნტის ნეკროპოლს, სამარხეული ტიპების მრავალფეროვნება ახასიათებს. პიტიუნტის ნეკროპოლისათვის, სამაროვნისათვის შერჩეულია კარგად მისადგომი სწორი ველი, რომელიც კასტელუმის ტერიტორიასთან ახლოს, ჩ-დ. გაგრძელებაზე მდებარეობს (ტაბ. XXIX). სიახლოვე ციტადელის კედლებთან სამაროვნის უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანი პირობა უნდა ყოფილიყო. სტრატიგრაფიული ჭრილი ძირითადად ერთგვაროვან სურათს იძლევა. მთელ საძაროვანზე სამარხეული ორმოები გაჭრილია კორდოვან 40 სმ სისქის მოშავო მიწის ფენასა (ტაბ., XXII) და მის მომდევნო ხირხიტოვან ან ზღვიურ ქვიშანარევ ფენაში, გრუნტული წყლების დონემდე 0,50—0,90 მ სიღრმეზე. შეინიშნება ერთი მეტად საინტერესო თავისებურებაც. ზოგიერთ ორმოსამარხში, როგორც ჩანს, ჭარბი ტენიანობის საწინააღმდეგოდ, გამოყენებულია კირხსნარი. ცალკეულ შემთხვევებში კირხსნარით იფარებოდა ხის კუბოც (ტაბ. L, 1—3) და კუბოს გარეშე დაკრძალული ცხედარი (ტაბ. LI). სამაროვანზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური, კრანიოლოგიური მასალა, ძვლები და თავის ქალები, გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ანტროპოლოგიის სექტორს, სადაც მიმდინარეობს მათი სპეციალური შესწავლა. ჯერ არც ერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული თავის ქალის ხელოვნური დეფორმაციისა, მათ შორის არც ცხენიან სამარხებში.

სამაროვნის სრული კატალოგის გამოცემამდე, რომელსაც ამზადებს ბიჭვინ-

თის არქეოლოგიური ექსპედიცია (ბიჭვინთა, IV), ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სამარხების ტიპების ზოგადი აღწერა; მით უმეტეს, რომ აქ ნათლად ჩანს პიტიუნტის მოსახლეობაში არსებული სოციალური დიფერენციაციაც და ქრისტიანობის გავლენით თუ მისგან დამოუკიდებლად დაწყებული სამარხეული ინვენტარის გაქრობის პროცესი. ისინი წარმოდგენილია ერთნაირი ტიპის სამარხებით, რომლებშიც გვხვდება დასაკრძალავი ნივთების მცირე ასორტიმენტი ან მხოლოდ ხის კუბოების ნაშთები, ლურსმნები. გარდა ჩვეულებრივი ორმოსამარხებისა, ანალოგიური სურათია დადასტურებული, ე. წ. კირხსნარიან ორმოსამარხებშიც, სადაც ერთმანეთის გვერდით განლაგებულია ინვენტარიანი და უინვენტარო სამარხები. I—II საუკუნეების რომაული სამარხებისათვის ესოდენ დამახასიათებელი კრემაციული სამარხები პიტიუნტში თითო-ოროლაა (ერთ %-ზე ცოტა მეტი), რაც მოწმობს, რომ III—IV საუკუნეებში მათ აქ გადმონაშთის ხასიათი აქვთ. გაბატონებული ადგილი პიტიუნტის სამაროვანზე ინვენტარიან და უინვენტარო ინჰუმაციურ ორმოსამარხებს უჭირავთ (იხ. ცხრილი II), რომლებშიაც დასავლეთი ორიენტაცია ჭარბობს...

## § 1. სამარხთა ტიპები

### ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ა ნ ი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი

**სამარხი 4**. სამაროვანი. თხრილი № 1, კვ. $G_7$, სიღრმე — 75 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. ხელები ჯვარედინად ეწყო მკერდის არეში. თავის ქალა, ზედა ყბა, მარცხენა ზედა და ქვედა კიდურები საგრძნობლად დაზიანებულია.

ჩონჩხის სიგრძე — 164 სმ. სამარხში აღმოჩნდა:

1. რკინის ლურსმნები — 3 ც.
2. მინის ჭურჭლის, ფლაკონის ფრაგმენტები, მარცხენა მხართან.
3. გაურკვეველი რკინის ნივთის ფრაგმენტი, მუცლის არეში.

**სამარხი 6**. კვ. $H_7$, სიღრმე — 75 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთ აღმოსავლეთით, მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, ხოლო მარცხენა მუცლის არეში, თავის ქალა დაზიანებულია, ჩონჩხის სიგრძე — 1,65 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

რკინის ლურსმანი — 2 ც.

**სამარხი 12**. კვ. $G_6$, სიღრმე — 1 მ. სამარხი ბავშვისაა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. თავის ქალა დაზიანებულია, შემორჩენილია ქვედა ყბა, ხელები ეწყო ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 67 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ცალყურა კოჭობის პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები; პირმომრგვალებული, ბრტყელყურიანი კეცი მოწითალოდ არის გამომწვარი. II—III საუკუნეების (10) რომაული ეპოქის სამაროვნებისთვის დამახასიათებელი ჭურჭელი, რომელიც ზოგჯერ შებოლილია.

**სამარხი 23**. კვ. $H_8$, სიღრმე — 85 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთით, ძალზე დაზიანებული. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ქვედა კიდურები. ჩონჩხის სიგრძე — 1,40 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები სხვადასხვა ფორმის და ზომისა — 18 ც. იოტები ლურჯი, გაუმჭვირვალე მინისა, ე. წ. პასტა — 16 ც., ყელის არეში.

შავი მინის მძივი — 1 ც.

მძივსაკიდი, ლურჯი მინისა, მილისებური ,ზედაპირორნამენტებული — 1 ც.

2. საყურე რგოლის ნატეხები, ვერცხლისა — 2 ც., თავთან.

**სამარხი 24.** კვ. $G_8$, სიღრმე — 85 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით, ხელები ეწყო ტანის გასწვრივ, ჩონჩხი დაზიანებულია, ნაკლული. თავის ქალა გადახრილია მარცხნივ. შედარებით უკეთაა დაცული წვივის ძვლები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მინის ჭურჭლის, სანელსაცხებლის პირ-ყელის ნატეხები, მარცხენა მხართან.

2. ლურსმნები რკინისა — 2 ც.

**სამარხი 25.** კვ. $H_8$, სიღრმე — 80 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით. მარცხენა ზედა კიდური ედო მუცელზე, მარჯვენა არ შემოინახა, დაზიანებულია გულმკერდისა და მენჯის ძვლებიც. შემორჩენილია თავის ქალის ფრაგმენტები. ჩონჩხის სიგრძე — 1,70 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ოთხკუთხა ნივთი რკინისა, ბრტყელღეროიანი — 1 ც. მუცლის არეში.

2. ამფორის კედლის ფრაგმენტები.

**სამარხი 27.** კვ. $F_8$, სიღრმე — 65 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთით. დაზიანებულია თავის ქალა და წვივის ძვლები. მარჯვენა ზედა კიდური ედო მკერდზე, ხოლო მარცხენა, ტანის გასწვრივ, ჩონჩხის სიგრძე — 1,10 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ლურსმანი რკინისა — 1 ც.

2. ამფორის კედლის ფრაგმენტები.

**სამარხი 28.** კვ. $E_9$, სიღრმე — 55 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთით, თავი გადახრილია მარცხნივ, ორივე ზედა კიდური ეწყო მუცლის ქვემოთ. დაზიანებულია მენჯის ძვლები.

ჩონჩხის სიგრძე — 1,55 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა — 1 ც. იულია დომნა, კესარიული დრაქმა. ახ. წ. III ს. დასაწყისი, ედო შუბლზე.

2. ლურსმნები რკინისა — 8 ც., ქვედა კიდურებთან.

**სამარხი 30.** კვ. $P_8$, სიღრმე — 55 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია. თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. თავი გადახრილია მარჯვნივ. ორივე ზედა კიდური ეწყო ჯვარედინად მუცლის ქვემოთ. დაზიანებულია მარცხენა ქვედა კიდურის წვივის ძვალი.

ჩონჩხის სიგრძე — 1,55 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. რგოლები ბრინჯაოსი, ბრტყელღეროიანი — 2 ც., მარჯვენა კიდურის თეძოსთან.

2. ამფორის პირის ნატეხი — 1 ც. ქვედა კიდურებს შორის.

3. წიდა (მინისა?) შავი ფერის — 1 ც.

4. რკინის ბრტყელთავიანი მოკლე ლურსმნები „პიკარტები“ რკინისა — 75 ც. (სანდლების მოჭედილობა), ტერფებთან (7).

**სამარხი 32.** კვ. $E_9$, სიღრმე — 80 სმ. ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია, ნაწილობრივ შემორჩენილია ზედა კიდურების ძვლები. მარჯვენა კიდური მოხრილია, ხოლო მარცხენა ედო ტანის გასწვრივ, მიცვალებული ესვენა გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ამფორის ყური, კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

**სამარხი 36.** კვ. $I_7$, სიღრმე — 60 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთით, რომელიც გადახრილია მარჯვნივ, ზედა კიდურები ეწყო ტანის გასწვრივ.

ჩონჩხის სიგრძე — 1,20 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. თიხის ჰურჰლის კედლის ფრაგმენტი, შემკულია მოკლე ირიბი ჩანაჭდევებითა და ტალღებით, ადგილობრივი ნაწარმი. მასთან კავშირში უნდა განვიხილოთ ამავე კვადრატში დაფიქსირებული წელგამოყვანილი ამფორის (ყავისფერკეციანი) ფრაგმენტები.

**სამარხი 37.** კვ. $I_7$, სიღრმე — 70 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთისაკენ, ქვედა კიდურები მოკეცილი აქვს მარცხნივ; მარცხნივაა გადახრილი თავი. მარჯვენა ხელი ედო მუცლის ქვემოთ, ხოლო მარცხენა — მკერდის არეში.

ჩონჩხის სიგრძე — 1,30 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები მინისა, მსხლისებური, მრავალწახნაგა — 5 ც., მარჯვენა ხელის მტევანთან.

2. ფირფიტა ბრინჯაოსი, გახვრეტილი, შემოუყვება წრიული ღარები.

3. პატარა რკინის დანები — 3 ც., მარჯვენა კიდურის თეძოსთან.

**სამარხი 39.** კვ. $I_7$, სიღრმე — 1 მ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით: თავი გადახრილია მარცხნივ. დაზიანებული აქვს მენჯისა და გულმკერდის ძვლები. ხელები ჯვარედინად ეწყო მუცლის ქვემოთ. ჩონჩხის სიგრძე — 1,55 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ამფორის პირ-გვერდისა და მინის ჰურჰლის ნატეხები; ამფორა ადგილობრივი ნაწარმია მოწითალო-მოყავისფრო თიხისა — 7 ნატეხი (ამფორაში, რომელიც მიცვალებულის გვერდით იყო ჩადგმული აღმოჩნდა ბავშვის ძვლები).

2. პატარა ზომის, კარგად განლექილი მოვარდისფრო თიხის ცალყურა დოქი, იმპორტული. ყურნაკლული. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ქვედა კიდურის წვივის ძვალთან.

3. ლურსმნები რკინისა — 2 ც., მარცხენა მხრის ძვალთან იქვე, $I_6$ კვადრატში დაფიქსირდა ინვენტარიანი კრამიტსამარხი № 40.

**სამარხი 41.** კვ. $I_7$, სიღრმე — 60 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში თავით დასავლეთით, თავი გადახრილია მარჯვნივ;. მარცხენა ზედა კიდური ედო მკერდზე, ხოლო მარჯვენა — მუცლის ქვემოთ;

ჩონჩხის სიგრძე — 1,55 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მინის პურპლის ფრაგმენტები, თავთან.

2. მინის ლურჯი ფერის მოგრძო მძივი — 1 ც., ყელის არეში.

3. ლურსმანი რკინისა — 1 ც., ქვედა კიდურებთან.

**სამარხი 47.** კვ. $H_8$, სიღრმე — 85 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთით. დაზიანებულია თავის ქალა და ჩონჩხის მარცხენა ნაწილი. ორივე ზედა კიდური ეწყო მუცლის ქვემოთ.

ჩონჩხის სიგრძე — 1,55 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სამაჯური ბრინჯაოსი, სადა მასიური, თავგახსნილი — 1 ც. დიამეტრი — 6.7 სმ. მარცხენა ხელზე.

2. რგოლები ბრინჯაოსი — 2 ც., მკერდის არეში.

3. აბჟორის ძირ-კედლის ფრაგმენტები, ფეხთან (ანალოგიური სადა ბრინჯაოს სამაჯურები დამახასიათებელია III—IV სს. პიტიუნტის სამაროვნისათვის).

**სამარხი 48.** კვ. $H_8$, სიღრმე — 85 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით სამხრეთით. ძალზე დაზიანებულია. შემონახული არაა თავის ქალა. ორივე ზედა კიდური ეწყო მუხლის ქვემოთ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები მწვანე მინისა (სხვადასხვა ფორმის — 63 ც.), ყელის არეში.

2. მძივები თეთრი მინისა — 9 ც.

3. მონეტა — 1 ც.

ანტონინე პიუსის (138—161 წწ.) კესარიული დრაქმა, აღმოჩნდა კისრის არეში.

4. სანელსაცხებლე მინისა, ვიწრო და მაღალყელიანი, წელგამოყვანილი, ძირშეზნექილი — 1 ც. მარჯვენა მხართან (ამ ტიპის სანელსაცხებლები იხ. ტაბ. LXXIII).

5. სანელსაცხებლე თეთრი ფერის მინისა — 1 ც. ძირის — 3,7 სმ., მარცხენა მხართან.

6. დანა რკინისა — 1 ც. ზედა, მარცხენა კიდურის იდაყვის ძვალთან.

7. ლურსმანი რკინისა — 1 ც., მარჯვენა კიდურის წვივის ძვალთან (ამ ტიპის სანელსაცხებლები გვხვდება პიტიუნტის სამაროვანზე II—III სს. კოჭობებთან ერთად. სამარხეული კომპლექსი შეიძლება მივაკუთვნოთ II ს. მიწურულსა და III ს. დასაწყისს).

**სამარხი 49.** კვ. $D_7$, სიღრმე — 70 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთით, ძალზე დაზიანებულია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა — 1 ც. სეპტიმიუს სევერუსის (193—211 წწ.) დენარი, აღმოჩნდა თავის არეში, ზედა ყბასთან.

2. მინის პურპლის ნატეხები — 6 ც., ყელთან.

3. რკინის ლურსმანი — 2 ცალი, თავთან. სამარხეული კომპლექსი განეკუთვნება III საუკუნის პირველ ნახევარს.

**სამარხი 50.** კვ. $E_7$, სიღრმე — 60 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთით, ქალა გადახრილია მარცხნივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,60 მ (გვერდით დაფიქსირდა დაზიანებული უინვენტარო ორმოსამარხი).

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ბრინჯაოსი — 1 ც., სეპტიმიუს სევერუსის (193—211 წწ.) დენარი, აღმოჩნდა თავთან.

2. ბალთის ნაწილი, ბრინჯაოსი — 1 ც., მარცხენა კიდურთან.

3. რგოლი რკინისა — 1 ც., მარჯვენა კიდურთან.

4. საკინძე ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, თავთან ოვალური ნახვრეტით — 1 ც.

5. ლურსმნები რკინისა — 5 ც.

6. თეთრი ფერის მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, მარჯვენა მხართან (სამარხეული კომპლექსი განეკუთვნება III ს. პირველ ნახევარს).

**სამარხი 56.** კვ. $D_8$, სიღრმე — 50 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთით. თავის ქალა დაზიანებულია, შემორჩენილია ქვედა ყბა. მარცხენა ზედა კიდური აზიდულია ყელთან, მარჯვენა ედო გულმკერდზე. ჩონჩხის სიგრძეა 1,45 მეტრი.

ინვენტარი:

1. სანელსაცხებლე მინისა, მაღალყელიანი — 1 ც. 12 სმ. სიგრძისა, მარცხენა მხართან. იმავე ტიპისა როგორც 343-ე სამარხში დაფიქსირებული ფლაკონი, II—III სს. მონეტასთან ერთად. გარდა ამისა, ამ ტიპის ფლაკონები (ტაბ. LXVII,6) აღმოჩენილია № 48, 302, 406, 410, 415, 425 და სხვა სამარხებში.

2. რკინის ლურსმანი — 1 ც.

**სამარხი 57.** კვ. $D_7$, სიღრმე — 50 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძალზე დაზიანებულია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ლურსმანი რკინისა — 1 ც.,

2. კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

**სამარხი 59.** კვ. $F_6$, სიღრმე — 70 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავის ქალა დაზიანებულია, შემორჩენილია ქვედა ყბა. მარცხენა ზედა კიდური ედო მკერდზე, ხოლო მარჯვენა — მუცლის ქვემოთ. ჩონჩხის სიგრძე — 1,40 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მინის ჭურჭლის ნატეხები, ქვედა მარცხენა კიდურის არეში.

**სამარხი 64.** კვ. $F_7$, სიღრმე — 65 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით. თავი გადახრილი აქვს მარჯვნივ. ხელები ჯვარედინად ეწყო მუცელზე. ჩონჩხის სიგრძე — 1,60 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სამაჯურები ბრინჯაოსი — 2 ცალი, მუცლის არეში.

2. რგოლი რკინისა, გარედან ბრტყელი, შიგნიდან ოვალური — 1 ც.

3. ცალყურა პატარა დოქის პირ-გვერდის ნატეხები (ამფორისკი?) მარჯვენა კიდურთან.

4. ნახევარმთვარისებური საკიდი, ვერცხლისა —1 ც., ყელის არეში.

5. მძივები მინისა და პასტისა — 12 ცალი, ყელის არეში (მათ შორის, ე. წ. თვლებიანი).

6. მინის ჭურჭლის ნატეხები, ყელი ცილინდრული, მუცელთან გამოყვანილი, სფერული. აღმოჩნდა მარჯვენა კიდურის წვივის ძვალთან.

7. ავგაროზი, ძვლისა — 1 ცალი, ყელის არეში.

8. დანა რკინისა — 1 ცალი, ქვედა მარცხენა კიდურის წვივის ძვალთან.

9. რკინის ბეჭდის ნატეხები — 2 ცალი.

10. ფიბულის ნატეხები, გულმკერდის არეში.

11. ბეჭედი ვერცხლისა — 1 ცალი, მუცლის არეში.

12. ბეჭედი ვერცხლისა, სარდიონის თვლით — 1 ცალი, მუცლის არეში.

13. თვლები სარდიონისა — 5 ცალი. ვერცხლის ბეჭდის რკალი წახნაგოვანი ფორმისაა. სარდიონის თვალი კი გვერდებწახნაგოვანი (8 წახნაგა), სადაზედაპირიანი.

ანალოგიური ფორმის ბეჭდები თარიღდება ახ. წ. III საუკუნით (80).

14. მონეტები — 7 ც.

1. კესარიული დრაქმა, გახვრეტილი — გამოყენებული გულსაკიდად, ახ. წ. II ს. დასასრული III საუკუნის დასაწყისი (აღმოჩნდა გულმკერდის არეში).

2. სპილენძი, მოჭრილია ტრაპეზუნტში, სეპტიმიუს სევერუსის ხანა (193—211 წწ.)

3. სპილენძი, ტრაპეზუნტი, კარაკალა (211—217 წწ.).

4. სპილენძი, ტრაპეზუნტი, იულია დომნა, 217 წ.

5. სპილენძი, ტრაპეზუნტი, ელია გაბალუსი (218—222 წწ.).

6. სპილენძი, ტრაპეზუნტი, გორდიანე (238—244 წწ.).

7. სპილენძი, ტრაპეზუნტი, გორდიანე (238—244 წწ.) ტრაპეზუნტშია მოჭრილი. ექვსივე მონეტა აღმოჩნდა ქვედა კიდურის ფალანგებთან, გაბნეული სამარხეული კომპლექსი III საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს (მონეტები დიდხანს ყოფილა მიმოქცევაში და საკმაოდ გაცვეთილია). ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება მაღალცილინდრულყელიანი, სფერულმუცლიანი მინის თლაკონი, რომელიც კარგად თარიღდება III საუკუნით (9). ასეთივე ტიპის ჭურჭელი (ტაბ. LXXII, 2,4 LXXIII, 5) აღმოჩენილია პიტიუნტის № 408, 120, 403, 406, 412 სამარხებში (არ არის გამორიცხული III საუკუნის მიწურული).

**სამარხი 66.** კვ., $D_9$, სიღრმე — 65 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ეწყო მუცლის ქვემოთ, ჯვარედინად, მხრების სიგანე 54 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. პატარა, თხელკედლიანი თიხის ჭურჭლის, კოჭობის ნატეხები — ძირის დმ — 3 სმ., პიტიუნტის და, საერთოდ, რომაული ეპოქის ნეკროპოლებისათვის, ძალზე დამახასიათებელი. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებია II—IV საუკუნეები, პიტიუნტში ფართოდ ვრცელდება III საუკუნეში (10).

**სამარხი 69.** კვ. $F_9$. სიღრმე — 45 სმ. მშენებლების მიერ სამარხი ძალზე დაზიანებულია, ჩონჩხიდან შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ყბისა და მკერდის ნაწილი. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ მიცვალებული აქაც გაშოტილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ, თავით ჩრდილოეთით. სამარხის ძირში აღმოჩნდა ხის ნაშთები, რაც რკინის ლურსმნებთან ერთად კუბოში დაკრძალვის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბეჭედი ვერცხლისა, სარდიონის თვლით —1 ც. (ტაბ. LXI,5), ამოჭრილია ხელისჩამორთმევა, თანხმობისა და თანამშრომლობის ნიშანი.

2. რკინის რგოლისა და ბეჭდის ნატეხები — 2 ც.

3. ლურსმნები რკინისა.

ვერცხლის ბეჭედი ანალოგიებიდან გამომდინარე III საუკუნით თარიღდება (11).

**სამარხი 70.** კვ. $E_7$, სიღრმე — 45 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გა-

შოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ჩონჩხი შედარებით კარგად არის შემონახული, ნაწილობრივაა დაზიანებული. მარცხნივ გადახრილი თავის ქალა; ხელები ეწყო მუცლის ქვემოთ, ჯვარედინად. ჩონჩხის სიგრძე — 1,65 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჰიკარტები" რკინისა — 9 ც. (სანდლების მოჭედილობა), ტერფებთან.

2. ფიბულა ბრინჯაოსი — 1 ც., მრგვალი, თავგახსნილი. მოძრავი შესაკრავით. ქვედა მარცხენა კიდურის ბარძაყის ძვალთან (ტაბ. LV,3),

3. რგოლი ბრინჯაოსი — 1 ც.

4. ფარის უმბონი (?) ბრინჯაოსი, რელიეფურშვერილიანი ცენტრში აღმოჩნდა ქვედა კიდურებთან.

ანალოგიური ფიბულები თარიღდება ახ. წ. III—IV საუკუნეებით (12).

**სამარხი 71.** კვ. $E_7$, სიღრმე — 45 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია. თავით დასავლეთისაკენ, დაზიანებულია. თავის ქალა დაშლილია, შედარებით კარგად შემორჩენილია ქვედა ყბა, ხელები დაკრეფილი აქვს გულმკერდზე ჯვარედინად.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მოოქროვილი თეთრი პატარა ზომის მძივები — 5 ც. (დაფიქსირებულია გულმკერდის არეში).

2. გიშრის მძივები — 4 ც.

3. მინის ლურჯი ფერის მძივები — 2 ც.

4. ღერაკი ბრინჯაოსი, დამტვრეული — 3 ც.

**სამარხი 72.** კვ. $E_9$, სიღრმე—55 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთით, დაზიანებულია. მარჯვენა ზედა კიდური უდევს გულმკერდის არეში. მხრების სიგანე 30 სმ. ჩონჩხის სიგრძე — 1,50 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები გიშრისა — 2 ც.

2. მძივები ლურჯი ფერის მინისა — 34 ც., ყელის არეში.

3. ქარვის მძივები. ფრაგმენტული.

4. ორყურა, პირგაშლილი ქოთნის პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები, მარჯვენა ქვედა კიდურთან.

5. ლურსმნები რკინისა, 4 ც.. მარცხენა ქვედა კიდურების გაყოლებაზე და ხელთან, მეოთხე მარჯვენა მენჯის ძვალთან.

**სამარხი 73.** კვ. $F_8$. სიღრმე—56 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია თავით დასავლეთით. ნაწილობრივ დაზიანებულია თავის ქალა, რომელიც გადახრილია მარცხნივ. მარჯვენა ზედა კიდური უდევს მკერდზე, მარცხენა — მუცლის ქვემოთ. მხრების სიგანე 40 სმ. ჩონჩხის სიგრძე — 1,70 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. საქამრე ბალთა ბრინჯაოსი — 1 ც. (ტაბ. LVII, 1), აღმოჩნდა მუცლის არეში.

2. რკინის ლურსმნები — 3 ც., მარჯვენა ქვედა კიდურის გაყოლებაზე,

**სამარხი 74.** კვ. $E_8$, სიღრმე — 50 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთით. სამარხი ძალზე დაზიანებულია, შემორჩენილია ჩონჩხის მხოლოდ ქვედა კიდურების ბარძაყის ძვლები, ზედა კიდურების ფალანგების ფრაგმენტები დაფიქსირდა მუცლის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჰიკარტები" რკინისა — 19 ც. (სანდლების მოჭედილეობა), ტერფებთან.

2. დანა რკინისა — 1 ც. მარცხენა გვერდთან, 13,5 სმ. სიგრძისა.

3. რგოლები ბრინჯაოსი, პატარა ზომის — 2 ც., მუცლის არეში.

4. ლურსმნები რკინისა — 3 ც., მარჯვენა გვერდთან.

**სამარხი 75.** კვ. $D_8$, სიღრმე — 55 სმ. ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია ქვედა კიდურებისა და თეძოს ძვლები. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით ჩრდილოეთით.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები (ერთი მწვანე, ორი ცისფერი) — 3 ც., ყელის არეში.

2. ბეჭედი მინისა (ნატეხები) — 1 ც., მუცელთან.

3. „ჭიკარტები" რკინისა — 8 ც., ტერფების არეში.

4. მინის სანელსაცხებლის ნატეხები — 12 ც.

5. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ნატეხები — მარჯვენა მხართან, ძირის — 3,5 სმ.

6. ამფორის კედლის ნატეხები — 2 ც., სამარხში მოხვედრილა მისი მიწით ამოვსების შემდეგ.

7. ლურსმანი რკინისა — 1 ც., მარჯვენა გვერდთან.

**სამარხი 76.** კვ., $E_9$, სიღრმე — 50 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. დაზიანებულია მხოლოდ თავის ქალა. თავი გადახრილი აქვს მარჯვნივ. ორივე ხელი დაკრეფილია მუცლის ქვემო არეში. მხრების სიგანე — 37 სმ. ჩონჩხის სიგრძე — 1,80 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. თეთრი მინის ჭურჭლის კედლისა და ძირის ნატეხები, მარჯვენა მხართან.

**სამარხი 78.** კვ. $D_9$, სიღრმე — 45 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავის ქალა ძალზე დაზიანებულია, მარცხენა ზედა კიდური მკერდზე უდევს, მარჯვენა კი — მუცელზე. ჩონჩხის სიგრძე — 1,20 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჭიკარტები" რკინისა — 54 ც., აღმოჩნდა ტერფებთან (სანდლების მოჭედილობა). $D_9$ და $D_{10}$ კვადრატების მიჯნაზე დაფიქსირებულია უინვენტარო, დანგრეული სამარხი. მიცვალებული დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთით.

**სამარხი 79.** კვ. $D_{10}$, სიღრმე — 45 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთით. თავის ქალა გადახრილია მარცხნივ, ორივე ზედა კიდური ჯვარედინად ეწყო გულმკერდის არეში, მუცლისკენ. ჩონჩხის სიგრძე — 1,60 მ. მხრების სიგანე — 29 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჭიკარტები" რკინისა — 30 ც., აღმოჩნდა ქვედა კიდურებთან (სანდლების მოჭედილობა).

2. მძივები გიშრისა — 8 ც., მკერდთან.

3. მძივები მოოქროვილი (4 შეწყვილებული, 5 თითო ცალი) — 13 ც., ყელის არეში.

**სამარხი 281.** კვ. $C_1$—$C_2$ მიჯნაზე, სიღრმე — 1 მ, ხრეშოვანი ფენა, ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთისაკენ, მარჯვენა ზედა კიდურის მტევანი მუცლის ქვემო არეში დაფიქსირდა, ხოლო მარცხენა ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,25 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, ძალზე ფრაგმენტული, მოთეთრო, მარჯვენა მხარეს ჩაუდგამთ ბარძაყის ძვალთან.

2. რომაული აგურის ფრაგმენტები. მოხვედრილია სამარხის მიწით ამოვსებისას.

3. ლურსმნები რკინისა, 2 ცალი. აღმოჩნდა ქვედა კიდურებთან ტერფების არეში.

**სამარხი 265.** კვ. $G_2$, სიღრმე — 60 სმ., ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი, კარგად დაცული, გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით აღმოსავლეთისაკენ, მარჯვენა ზედა კიდური ტანს გასწვრივ ედო, ხოლო მარცხენა — თეძოს ძვლის ქვეშ. ჩონჩხის სიგრძე — 1,80 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბალთა ბრინჯაოსი, საქამრე, სადა, ქვედა კიდურების ფალანგებთან, მათ შორის.

2. „ჭიკარტები" რკინისა დაფიქსირდა ტერფებთან და ფალანგებთან.

3. რომაული აგური კვადრატული ფორმისა, წითლად გამომწვარი, აღმოჩნდა სამარხის მარჯვენა ნაწილში, ჩონჩხის ბარძაყის ძვალთან. აგური ვერტიკალურად საგანგებოდაა ჩადგმული სამარხეულ ორმოში. აგურის ზომებია: 16 სმ × 17 სმ. სისქე — 4 სმ. აგური დაღარულზედაპირიანია, დაუყვება 6 ღარი.

**სამარხი 266.** კვ. $F_1$, სიღრმე — 90 სმ. ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთისაკენ. ქალა გადახრილია მარცხნივ. ზედა კიდურის მტევანი დაფიქსირდა მუცლის არეში, ხოლო მარჯვენა— ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,75 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მინის ჭურჭელი, თეთრი ფერისა ფრაგმენტული, აღმოჩნდა ქვედა მარცხენა მუხლის არეში, ფორმის დადგენა არ ხერხდება.

2. მინის ანალოგიური ჭურჭელი — ფრაგმენტული, აღმოჩნდა კისრის არეში.

3. ჩხირები ძვლისა საქსოვი (ბადის) — 4 ცალი, აღმოჩნდა გულმკერდის არეში, ერთი კი — ქვედა კიდურების კოჭებთან (20).

4. შუბისპირი რკინისა, მასრიანი, ფორმის აღდგენა არ ხერხდება. მარცხენა ქვედა კიდურის ფალანგებთან.

5. ვერცხლის გულსაკინძი, ფრაგმენტული.

6. „ჭიკარტები" რკინისა — 30 ცალი, აღმოჩნდა ქვედა კიდურების არეში, წვივის ძვლების გასწვრივ და ორივე ქვედა კიდურის ფალანგებთან.

7. ლურსმნები რკინისა — 7 ცალი. ორ-ორი დაფიქსირდა ქვედა კიდურების ორივე მხარეს, 3 ცალი თავისა და მხრების არეში.

8. კოჭები თიხისა, ფრაგმენტული, ნაწილობრივ აღდგენილი. პირი ოდნავ გარეთა მხარეს აქვს გადაშლილი. მუცელი სფერული ფორმისაა, ძირბრტყელი. ყურნაკლულია, შემორჩენილი აქვს ყურის მიძერწვის კვალი (ყური მიძერწილი ყოფილა პირს ქვემოთ და მუცლის არეში). უხეში, მინარევებიანი, სუსტად გამომწვარი კეცი მოვარდისფრო ფერისაა. ჭურჭელს ემჩნევა (ზედაპირზე) ცეცხლში მოხვედრის კვალი. ის ეკუთვნის ადგილობრივ ნაწარმთა წრეს, იმეორებს ალექსანდრიული ნაწარმის ფორმას (21), ჭურჭლის ჩ — 10 სმ. ძირის დმ—4, 5 სმ, როგორც აღვნიშნეთ (10), ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია რომაული სამყაროსათვის და III—IV საუკუნეებში პიტიუნტის სამაროვანზეც ხშირად გვხვდება (ტაბ. LXV,1).

**სამარხი 288.** კვ. $M_3$, სიღრმე — 80 სმ, № 284 სამარხთან, სულ ახლოს მისგან 22 სმ. დაშორებით. 288-ე სამარხის გაჭრის დროს დაზიანდა სამარხი 284-ე, ჩანს ეს უკანასკნელი უფრო ადრეულია.

ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. თავის ქალა დაშლილია, იგი ოდნავ მარჯვნივ იყო გადახრილი. ორივე ზედა კიდური, იდაყვში სიმეტრიულად მოხრილი, მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბეჭედი რკინისა ძალზე დაჟანგული და დაშლილი. დაფიქსირდა მარცხენა კიდურის, ხელის მტევანთან.

**სამარხი 290.** კვ. $H_2$, სიღრმე — 80 სმ., 288-ე სამარხიდან აღმოსავლეთით 1,5 მ-ში ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი გაშოტილ, ოდნავ მარცხნივ, თითქოს მობრუნებულ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. თავის ქალა მარცხნივაა გადახრილი. მარჯვენა ზედა კიდური ედო ტანის გასწვრივ, სიგრძეზე. ხელის მტევანი (ფალანგები) დაფიქსირდა მარჯვენა ბარძაყის ძვლის ქვეშ, ხოლო მარცხენა—თეძოს ქვეშ. ჩონჩხის სიგრძე — 1,65 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. რგოლი ბრინჯაოსი (დმ—1,5 სმ.) აღმოჩნდა მარჯვენა თეძოს ძვალზე.
2. თიხის ჯამის ძირის ფრაგმენტები, ნაცრისფრადაა გამომწვარი, იდო თავთან.
3. დოქის პირის ფრაგმენტი, კეცი წითლად გამომწვარი — აღმოჩნდა მხრების არეში.
4. „პიკარტები" რკინისა 150 ცალი აღმოჩნდა ქვედა კიდურების ფალანგებთან.
5. ლურსმნები რკინისა — 5 ც., ქვედა კიდურებთან — 1 ცალი, ოთხი — თავთან.

**სამარხი 291.** კვ. $E_1$, სიღრმე — 1 მ., ხრეშოვანი ფენა, ე. წ. „წრიული კედლის" წრის შიგნით. მიცვალებულის მარცხენა ზედა კიდური დაფიქსირდა უშუალოდ წყობის ქვეშ. სამარხი ნაწილობრივ დაუზიანებიათ კედლის ამოყვანის დროს. მიუხედავად ამისა, ჩონჩხი შედარებით კარგადაა დაცული. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მარჯვენა ზედა კიდური მკლავში მკვეთრადაა მოხრილი. ამ ხელის ფალანგები დაფიქსირდა, მარცხენა, მკვეთრად მოხრილ და სახისაკენ აზიდულ, ზედა კიდურის წინამხრის ძვლებთან. ჩონჩხის შერჩენილი სიგრძე 1,65 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. რკინის ბალთა, ნაკლული აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის ფალანგებთან.

**სამარხი 294.** კვ. $K_1$, სიღრმე — 60 სმ., ხრეშოვანი ფენა. სამარხი ნაწილობრივ დაზიანებულია ამ ადგილებში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების დროს. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთისაკენ. მიცვალებულის მარჯვენა ქვედა კიდურის არეში დაფიქსირდა სხვა მიცვალებულის ჩონჩხის, კერძოდ, ბარძაყისა და თეძოს ძვლების ფრაგმენტები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი თიხისა, პირგვერდნაკლული. პირი ძაბრისებურია, ქობა ზედა ნაწილში მოსწორებულია; დოქი მხრებდაქანებულია, სფერულმუცლიანი, ძირისკენ შევიწროებული, რგოლისებური ძირი ოდნავ შემაღლებულია; ყური

განივკვეთში ოვალური ფორმისაა, მიძერწილია მხრებისა და ყელის არეში. მიძერწვის ადგილი მოუსწორებელია. დოქის ზედა ნაწილი ნაწილობრივ დაფარულია წითელი საღებავით, რამდენიმე ნაღვენთი შერჩენილია მუცლის არეში. დოქი ჩარხზეა გამოყვანილი. კეცი თანაბრად არის გამომწვარი, გადანატეხში ღია აგურისფერისა. შეიცავს წვრილ მინარევებს (სილა, პიროქსენი). ჰურჭელი უნდა განეკუთვნებოდეს გვიან ანტიკური ხანის მცირე აზიურ ნაწარმთა III—IV სს. ჯგუფს. აღმოჩნდა მარჯვენა ქვედა კიდურის ფალანგებთან (ტაბ. LXVI,1).

2. ქოთანი თიხისა, ბრტყელძირა, ძალზე ფრაგმენტული. ადგილობრივი ნახელავი აღმოჩნდა მარჯვენა ქვედა კიდურის ბარძაყის ძვლებთან.

**სამარხი 297.** კვ. $D_1$, სიღრმე — 70 სმ. ხრეშოვანი ფენა ჩ — 70 სმ. ნახევარწრიული ფორმის კედლის ქვეშ.

სამარხი მიწის სამუშაოების დროს ძალზე დაზიანებულია, არ დაფიქსირდა ზედა და ქვედა კიდურები. თავის ქალა დაშლილია. ჩანს, მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ზარაკი ბრინჯაოსი, აღმოჩნდა მუცლის არეში.

2. მინის ჰურჭლის ფრაგმენტები, ზოგ ნატეხს ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის კვალი, ყელმაღალი ზარისებური ტანისა და შეზნექილი ძირით, ისეთივე როგორც 48, 302, 406, 410, 415, 425 ტიპის სამარხები. ახ. წ. III საუკუნე.

3. ლურსმანი რკინისა—5 ცალი, აქედან ორი აღმოჩნდა თავთან, ორივე მხარეს, სამი — ქვედა კიდურების არეში. მოზარდის (?) დასაკრძალავი ხის ყუთის სიგანე დაახლოებით 55 სმ აღწევდა, სიგრძე — 1,6 მ.

**სამარხი 301.** კვ. $E_1$, სიღრმე — 60 სმ. ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი დაზიანებულია, შემორჩენილი იყო მხოლოდ ქვედა კიდურები. სამარხი დაუზიანებიათ (მილის გაყვანის დროს). მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბალთა ბრინჯაოსი, აღმოჩნდა მარჯვენა ბარძაყის ძვალთან, ქამრის ნაწილი.

2. მახათი ბრინჯაოსი, დამტვრეული აღმოჩნდა მარჯვენა ბარძაყის ძვალთან.

**სამარხი 302.** კვ. $Б_2$, სიღრმე — 95 სმ. ხრეშოვანი ფენა, 303-ე სამარხიდან დასავლეთით 2 მ-ის დაშორებით. სამარხი დაზიანებულია მიწის სამუშაოების დროს. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზედა კიდურების ფალანგები დაფიქსირდა მუცლის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ერთი ცალი, ალექსანდრე სევერუსი (222—235 წწ.), კბილებს შორის.

2. საკინძი ძვლისა, ორი ცალი, თავთან.

3. ჰურჭელი მინისა, კოლბისებური, პირფართე, მრგვალი მუცლით და ოდნავ შეზნექილი ძირით. მსგავსი ფორმის ჰურჭელი დათარიღებულია III საუკუნის მეორე ნახევრით (22). აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის იდაყვსა და ბარძაყის ძვალს შორის.

4. ჰურჭელი მინისა, მაღალი ყელით, ზარისებური ტანითა და შეზნექი-

ლი ძირით, ისეთივე როგორებიც წარმოდგენილია 48, 302, 406, 410, 415, 425 სამარხებში, III ს. (ტაბ. LXXIV,1).

5. ბეჭედი ვერცხლისა, კემით. ბეჭდის რკალი დაზიანებულია, იდო მარცხენა ზედა კიდურის, ხელის მტევნის ფალანგებთან.

6. სამაჯურები, ბრინჯაოსი, სადა, თავგახსნილები 2 ც., აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის ხელის მტევანთან.

7. ორნამენტიანი გულსაკიდი ვერცხლისა, მრგვალი, შუაში ჩასმული სადა, გამჭვირვალე მინით (ქვის იმიტაცია), მარცხენა ზედა კიდურის სხივის ძვალთან.

ანალოგიური ტიპის გულსაკიდები ახ. წ. III—IV საუკუნეებით თარიღდება (23). ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა სამარხში წარმოდგენილი მინის სანელსაცხებლები.

8. ლურსმანი რკინისა, ორი ცალი, ერთი თავის არეში, მეორე — ქვედა კიდურებთან.

ამგვარად, აღწერილი სამარხეული კომპლექსი — 302 ახ. წ. III ს. მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

**სამარხი 305.** კვ. $D_2$, სიღრმე — 50 სმ., ხრეშოვანი ფენა. მოზარდის ჩონჩხის შემორჩენილი ნაწილების მიხედვით ხერხდება მიცვალებულის დამხრობისა და პოზის დადგენა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. სამაჯურების აღმოჩენის ადგილის მიხედვით, სავარაუდოა, რომ ზედა კიდურების ხელის მტევნები მუცლის არეში ეწყო.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სამაჯურები ვერცხლისა, ფრაგმენტები, 2 ც., წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი — ზედა მარჯვენა კიდურის მაჯის არეში.

2. მძივები — 13 ცალი. სერდოლიკის მრგვალი ფორმის მძივები — 5 ცალი, კერამიკული, მრგვალი ფორმისა, ნარინჯისფერი — 1 ცალი, ქვის მოთეთრო ფერის მძივები, ზედაპირზე ემჩნევა რკინის ჟანგის კვალი. 5 ცალი; რკინის მძივები, რგოლისებური ფორმისა, აქედან ერთი მთელია, მეორე ნაკლული— 2 ცალი. გაბნეული იყო ყელთან (22).

**სამარხი 306.** კვ. $D_3$, სიღრმე — 55 სმ., ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ თავის ქალა და ქვედა კიდურების ფრაგმენტები. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა, ვერცხლისა, იულია დომნა, დენარი მოჭრილია 196—202 წწ., პირის არეში.

2. ვერცხლის ნივთის უსახო ფრაგმენტი, კისრის არეში.

3. ჭურჭელი მინისა, ფრაგმენტების სახით (სამი ჭურჭელი) აღმოჩნდა მუცლისა და მკერდის არეში. ფორმა არ აღსდგა.

**სამარხი 312.** კვ. $B_1$, სიღრმე — 95 სმ. ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ზედა კიდურების მტევნები დაფიქსირდა მკერდის არეში. ჩონჩხის სიგრძე — 1,30 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, კოლბისებური. დაფიქსირდა მარცხენა მხრის ძვალთან მარცხენა მხარეს. ანალოგიური სამარხი 297-ში გამოვლენილი სანელსაცხებლისა თარიღდება ახ. წ. III საუკუნით (23).

**სამარხი 313.** კვ. $R_1$, სიღრმე — 50 სმ. ხრეშოვანი ფენა, ჩონჩხი ძალზე

დაზიანებულია, მიუხედავად ამისა, ჩანს მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ზედა კიდურების ფალანგები დაფიქსირდა მუცლის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი თიხისა, ძალზე ფრაგმენტული (70 ნატეხი). ცალკეული დეტალების მეშვეობით შესაძლებელი სდება მისი ფორმის აღდგენა. დოქის პირი ძაბრისებურია, სადა. ქობიანი. ყური განივკვეთში ბრტყელია. რკალისებური მომრგვალებულზედაპირიანი, ქუსლი მკვეთრად გამოეყოფა ძირს, გარეთა მხრისკენ განზიდულია. ზოგიერთ ფრაგმენტს ემჩნევა წითელი ლაკის შერჩენილი ლაქები, ტანი მსხლისებური, ჭურჭლის ნაწილი ლაკით ყოფილა დაფარული. თიხა კარგადაა განლექილი, მუქვარდისფრად გამომწვარი. ამ ნიშნებით უფრო ეკუთვნის გვიანანტიკური ხანის მცირეაზიულ და არა ალექსანდრიულ IV—V სს. ნაწარმთა ჯგუფს. აღმოჩნდა მარჯვენა თეძოს ძვალთან, მისგან ჩრდილოეთით 40 სმ. დაშორებით.

2. ლურსმნები რკინისა (ორი ცალი), მიცვალებულის ქვედა კიდურებთან.

**სამარხი № 315.** კვ. $P_1$, სიღრმე — 55 სმ. ხრეშოვანი ფენა. ჩონჩხი დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალა გადაარილია მარჯვნივ. მარჯვენა ხელის მტევანი დაფიქსირდა მუცლის არეში, ხოლო მარცხენასი — მენჯის ძვალთან. ჩონჩხის სიგრძე — 1,35 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი თიხისა, გვერდებაკეცილი და პირმოყრილი, პირის ქობა ოდნავ მესქელებულია, ნაპირებმომრგვალებული, შიდა მხარეს შეზნექილია. ჯამი დგას რკალისებურ ოდნავშემაღლებულ ქუსლზე. გარეთა ზედაპირი დალარულია სიმეტრული, ვიწრო, ახლოს მიჯრილი წრეხაზებით. შიდა მხრიდან ზედაპირი სადაა, ადგილ-ადგილ შერჩენილი აქვს ნარინჯისფერი ლაკის კვალი. როგორც ირკვევა სამარხში იმთავითვე დაზიანებული ჯამი ჩაუდგამთ. ძირზე ეტყობა ძველი აღდგენის, შეკეთების კვალი. ჩალისფრად გამომწვარი, მკვრივი, კარგად განლექილი, წვრილმინარევებიანი. კეცის მიხედვით განეკუთვნება მცირეაზიულ ნაწარმთა წრეს (ჯამის პირის დმ — 16. სმ. ძირის დმ — 5 სმ). რომლის ანალოგიური ნაწარმი განვიხილეთ 245-ე სამარხის აღწერისას (18). აღმოჩნდა მარცხენა ქვედა კიდურის წვივის ძვალთან (ტაბ. XXXIX, 1,2).

2. დოქი თიხისა — პატარა, ნატიფი ხელობისა, დაიშალა 50 ნატეხად. შემორჩენილი ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით შესაძლებელია აღდგენა ნიმუშისა. პირი ძაბრისებური ფორმისაა, სადა, პირის ქობა ზედა ნაწილში შევიწროებულია. დოქი მსხლისებური ფორმისაა. დგას შემაღლებულ. რგოლისებურ ქუსლზე. მხრების არეში შედარებით თხელკედლიანია, ძირისაკენ შესქელებული (0,2—0,4 სმ), ყური განივკვეთში ოვალური ფორმისაა, ზედა ნაწილში ოდნავ აზიდული. ჭურჭელი მთლიანად დაფარული ყოფილა ნარინჯისფერი თხელი ლაკით. ჭურჭელი ჩარხზეა გამოყვანილი. კეცი კარგად განლექილი, ღია მოვარდისფრო-ჩალისფრად გამომწვარი. ძირის დმ — 3.5 სმ. დამზადებულია ისევე, როგორც ჯამი. ანტიოქიაში, იდო თავის ქალასთან სამარხის კიდიდან 10 სმ დაშორებით.

3. ბეჭედი ბრინჯაოსი, ნაკლული.

4. ბეჭედი ვერცხლისა. აღმოჩნდა მარცხენა ხელის მტევანთან, ბრინჯაოს ბეჭდის გვერდით.

5. მძივები მინისა, სამი ცალი. ყელის არეში მრგვალი ფორმისა, გამ..

ჰვირვალე მუქი ლურჯი ფერის, ზედაპირგაპრიალებული, ორნამენტებული, გეომეტრიული სახის ორნამენტი დატანებულია მძივის თითქმის მთელ ზედაპირზე ჰორიზონტალურად. კომპოზიცია მარტივია და კონტრასტულ ფერთა გვერდიგვერდ დადების ეფექტზეა დამყარებული.

**სამარხი № 316.** კვ. $C_2$ $D_2$, საზღვარზე, სიღრმე — 90 სმ. ხრეშოვანი ფენ: აღმოჩნდა დაზიანებული ქრისტიანული სამარხის მოხსნის შემდეგ. სამარხი ოთხკუთხა ფორმისაა. სამარხის კედლების ამოსაყვანად თითქოს გამოყენებულია დიდი ზომის რიყის ქვები, ზღვური კონგლომერატის კვადრები. კირხსნარის კვალი ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი. სამარხის სიგრძე გარეთა მხარე! 1,10 მ, სიგანე — 70 სმ, შიდა მხარეს — 75 სმ. შერჩენილი კედლის ჩ — მერყეობს 25—30 სმ. სამარხში ჩონჩხის კვალიღა დაფიქსირდა, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩა მოზარდის რამდენიმე კბილი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა სპილენძისა, საგანგებოდ გახვრეტილი და მედალიონად გამოყენებული. დიოკლეტიანე (284—305 წწ.).

2. ბალთა ბრინჯაოსი, აღმოჩნდა სამარხი ორმოს განაპირას აღმოსავლეთ კედელთან.

3. ავგაროზი რკინისა, ზარაკისებური, აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან.

4. კოჰობი თიხისა, ცალყურა. პირის ქობა გარეთა მხრისკენ ოდნავ გადაშლილია. მუცელგამობერილი, ძირბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ფორმის ყური მიძერწილია პირის ქობის ქვემოთ და მუცლის არეში. კეცი უხეშია, მსხვილმინარევებიანია. ძირისა და მუცლის ნაწილი შებოლილია. საკმევლად გამოყენების კვალი? კეცი მოყავისფროდაა გამომწვარი: ჩარხზეა გამოყვანილი. განეკუთვნება ადგილობრივ ნაწარმთა წრეს (?) კოჰობის ჩ — 7,1 სმ. პირის დმ—7 სმ. ძირის დმ — 4,9 სმ. ანალოგიური ჰურჰელი დამახასიათებელია გვიანრომაული ხანის ძეგლებისათვის — III—IV საუკუნეები (10).

5. მძივები პასტისა, მათ შორის მოოქროვილია 10 ცალი და ორი ქვისაა, ორნამენტი შედგება ორი ტოლი ჰორიზონტალური მოშაბიამნისფერო-მომწვანო ზოლისაგან, რომლის შუა სარტყელს ავსებს ყვითელი ტეხილი ხაზი.

6. მძივ-საკიდი ქარვისა, ძლიერ დაზიანებული. ლობიოს მარცვლის ფორმისა. არხი გაყვანილია შევიწროებულ ადგილში.

შავი ფერის, წაგრძელებული, ცილინდრული ფორმის მინის მძივი. თავსა და ბოლოში ოდნავ შევიწროებული. ერთ ბოლოში დატანილი აქვს მარტივი ორნამენტი. მძივები აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის მხრის ძვალთან.

7. ბრინჯაოს ბალთა, ფრაგმენტული.

**სამარხი № 323**, კვ. $C_1$, სიღრმე—60 სმ , უახლოესი სამარხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 75 სმ მოშორებით. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ორივე ზედა კიდური ტანის გასწვრივ ეწყო. ჩონჩხის სიგრძე — 1,60 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბეჭედი ვერცხლისა (დაზიანებული), აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის ფალანგზე.

2. საკინძები ძვლისა, აღმოჩნდა თავის ქალის ორივე მხარეს.

3. მინის ჰურჰლის ფრაგმენტები, მათ შორის სქელი მინის ჰურჰლის ძირი, იდო თავის ქალის მარცხენა მხარეს.

4. ლურსმნები რკინისა, 6 ცალი, აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხის გაყოლებაზე ორივე მხარეს.

**სამარხი № 328.** კვ. $A_1$ სიღრმე—80 სმ, 327-ე სამარხიდან 1,30 მ-ის დაშორებით. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალა ოდნავ გადახრილია მარცხნივ. ზედა კიდურები ჯვარედინად მუცლის არეშია დაკრეფილი. ჩონჩხის ჩ — 1,50 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. კოჭობი თიხისა, შეკოწიწდა ძირის, ნაწილობრივ გვერდებისა და პირის ფრაგმენტები. პირი სადა, გარეთა მხრისკენ გადაშლილია; ჭურჭელი სფერულტანიასია, ცალყურა (ერთ-ერთ ფრაგმენტს ემჩნევა ყურის მიძერწვის ადგილი), კოჭობი თხელკედლიანია. ძირბრტყელი ქუსლი არ გამოეყოფა, თუმცა ფსკერი ოდნავ შემაღლებული აქვს. კეცი კარგად განლექილა მუქვარდისფრად, შედარებით სუსტად გამომწვარი. მისი ზედა ნაწილი დაფარული ყოფილა მოყავისფრო-მოწითალო ფერის ლაქით. საღებავის ნალევნთები შემორჩენილი აქვს ძირთან. ჭურჭელი გამოყვანილია ჩარხზე. მცირეაზიული ნაწარმი. ამ ტიპის ჭურჭელი ხშირად გვხვდება გვიანრომაული ხანის სამარხებში (10), სამარხში იდო თავის ქალის მარჯვენა მხარეს.

2. ბალთა ვერცხლისა, საქამრე, აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში.

**სამარხი № 330.** კვ. $D_1$, სიღრმე — 1 მ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთისაკენ. ზედა კიდურები დაკრეფილი ჰქონდა მუცლის არეში. თავის ქალა მარჯვნივაა გადახრილი. ჩონჩხის სიგრძეა 1,75 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ვერცხლისა, III (?) დაფიქსირდა მკერდის არეში, მარცხენა მხარეს.

2. ბალთა ბრინჯაოსი, საქამრე, აჟურული, აღმოჩნდა მარცხენა ქვედა კიდურის ბარძაყის ძვალთან.

3. მინის ჭურჭელი, სფერულტანიანი და მაღალყელიანი. მომწვანო ფერის მინისა იდო მარჯვენა ზედა კიდურის სიახლოვეს, თითების ფალანგებთან.

4. რგოლი ძვლისა (ფრაგმენტი), აღმოჩნდა ქვედა კიდურებს შორის.

5. „ჭიკარტები" რკინისა, გაბნეული ქვედა კიდურების ფალანგებთან, 30 ცალი.

6. ლურსმნები რკინისა, 9 ცალი, ჩონჩხის გარშემო. ორ-ორი თავთან და კიდურებთან.

**სამარხი № 333.** კვ. $A_2$, 1 მეტრის სიღრმეზე. 332-ე სამარხიდან დასავლეთით, უშუალოდ მის გვერდით. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით ჩრდილოეთისაკენ. თავის ქალა გადახრილია ოდნავ მარცხნივ. ორივე ზედა კიდური მკლავშია მკვეთრად მოხრილი. დაკრეფილია ყელისა და მკერდის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ბრინჯაოსი, გორდიანე (238—244 წწ.). ნეოკესარია. დაფიქსირებულია პირთან.

2. ჭურჭელი მინისა, ჩალეწილი. ჩადგმულია მხრის ძვალთან მარჯვენა მხარეს.

3. ლურსმანი რკინისა, 2 ცალი. აღმოჩნდა სამარხის თავსა და ბოლოში.

**სამარხი № 334.** კვ. $M_3$, სიღრმე — 70 სმ. სამარხი ნაწილობრივ დაზიანებულია აქ ადრე ჩატარებული სამშენებლო, მიწის სამუშაოების დროს. ჩონჩხიც ძლიერ დაზიანებულია. აქ აღმოჩენილი ცალკეული ძვლების მიხედვით

შესაძლებელი ხდება მიცვალებულის პოზის დადგენა. იგი დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტები სპილენძისა, ორი ცალი, ცუდადაა დაცული (IV ს.?), თავთან.

2. მძივები პასტისა სხვადასხვა მოყვანილობისა, 20 ცალი, მათ შორის გამოირჩევა: ა) მრგვალი ფორმის, თეთრი ფერის მინის მძივი, შემკული მცენარეული ორნამენტით. მძივის ტანზე ასიმეტრიულად არის განლაგებული ორი შვიდფოთოლა და ერთი რვაფოთოლა ყვავილის გვირგვინი, გულით. გვირგვინი ნაწილობრივ რეალისტურად, ნაწილობრივ სტილიზებულად არის გამოსახული. ოსტატურადაა შერჩეული ფერადოვანი გამა, თეთრ ფონზე ლაქებით დატანილია ყვითელი ყვავილები, რომლებსაც ამრისი (სილუეტი) ყავისფერი არშიით აქვთ შემოსაზღვრული, ყვავილთა გული შაბიამნისფერია.

ბ) მრგვალი ფორმის მოზაიკური მძივი. ორნამენტი გეომეტრიულია. ჭრელ ფონზე ყვითელი არშიით გამოიყოფა ტოლგვერდა რომბი (სამი ცალი). ისინი ფორმითაც და ფერადოვანი წყობითაც ერთნაირია. ყვითელი არშიის შემდეგ მოდის მწვანე, აგურისფერი, ყავისფერი, რუხი და გული ისევ ყავისფერი აქვს. გულთან ყვავილის მცირე გვირგვინი იქმნება ფონისათვის. გამოყენებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფერი, ყვითლის გარდა.

გ) კასრის ფორმის შერეული ტექნიკით დამზადებული მძივი. ძირითადი სხეული სხვადასხვა ფერის მინისაგანაა დამზადებული, ბოლოებში არშიად (ცანტად) გამოყენებულია კერამიკის თხელი, აგურისფერი ანატკეცები. მძივი ისეა ორნამენტებული, რომ ფონი დარჩენილი არ არის. შუა ნაწილში (ვერტიკალურად) გასდევს ყვითელი კლაკნილი ხაზი. ამ ღეროდან გამოდის მცენარეული ხასიათის ორნამენტი, რომელიც თითქოს ფოთლების იმიტაციას წარმოადგენს.

პიტიუნტის სამაროვანზე, ტრადიციული ორმოსამარხების შემდეგ, რომელთა საერთო რაოდენობა 225 აღწევს გამოიყოფა ასევე ინვენტარიანი და უინვენტარო კირისხსნარიანი საფლავები (ცხრილი II). ისინი ქრონოლოგიურად თანაარსებობენ და ხშირად ერთმანეთის გვერდითაც არიან განლაგებული. კირხსნარის გამოყენების ფაქტი სამარხებში პირველად ჩვენში პიტიუნტის სამაროვანზე დადასტურდა და მას პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. კერძოდ, კირხსნარის სქელი ფენის მეშვეობით გრუნტული წყლების იზოლაციას ახდენდნენ (24).

## კ ი რ ხ ს ნ ა რ ი ა ნ ი, ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ა ნ ი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი

**სამარხი № 1.** კვ. $F_7$, სიღრმე — 1 მ. ხირხიტიან, ქვიშანარევ ფენაში, მიცვალებულის თავი და მხრები მიწით იყო დაფარული, ტანი — კირხსნარით. ხსნარის სისქე 2 სმ-ია, ჩონჩხის სიგრძე — 1,50 მ.

მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით. ხელები გულმკერდზე აქვს დაკრეფილი. თავის ქალა მარჯვნივ ჰქონდა გადახრილი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რი:

1. მონეტები, ერთი ანტონინე პიუსის (138—161 წწ.), მეორე—მარკუს ავრელიუსის (161—180 წწ.) სახელით მოჭრილი დენარია; მონეტები აღმოჩნდა პირთან, ყელის არეში.

2. მძივები, მინისა — 87 ცალი, აქედან, 62 — ლურჯი მინის, პატარა ზომისა, გიშრის, ოთხკუთხა — 2 ცალი, სარდიონისა — 1 ცალი, აგატისა, და

დი ზომის — 1 ცალი. შავი მინის, მანდარინისებური — 1 ცალი. გრძელი, მილისებური მძივი (სიგრძე 1,5 სმ.) — 1 ცალი. მძივებთან ერთად აღმოჩნდა, შეიდწახნაგა მძივსაკიდი რგოლი, ბრტყელი, წანაზარდებზე მრგვალი ჩანაჭდევებით, დამტვრეულია (სამი ფრაგმენტი), მძივები გაბნეულია ყელის არეში.

3. ვერცხლის საკინძი აღმოჩნდა თავის ქალის მარჯვენა მხარეს. ღეროს თავი მომრგვალებულია, მხრებთან დაწახნაგებული, ოდნავ გაფართოებული და გახვრეტილი. ნახვრეტში გაყრილი იყო ვერცხლის მავთული.

**სამარხი № 5.** კვ. 6, სიღრმე — 0,85 მ. ცხედრის დიდი ნაწილი დაფარულია ხსნარით, მიწა ეყარა თავის ქალას, მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, მარცხენა ხელი ედო მუცლის არეში, მარჯვენა — ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,70 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი პირგადაშლილი, ვიწროყელიანი, პირის კიდე ფართო, ამოღარული. ყელზე, მხარსა და მუცელზე რელიეფური წიბოები შემოუყვება, ყური განივკვეთში ბრტყელია. შუაში ამოღარული, ძირი დაბალი, გამოყვანილი. კეცი კარგად განლექილი, ჩალისფერი, დოქის სიგრძე — 20 სმ. პირის დმ — 8,8 სმ. ყელის დმ — 3,7 სმ. ძირის დმ— 6.5 სმ. დოქი იდო ქვედა კიდურებთან. ყელზე ოთხი ასოსაგან შედგენილი ბერძნული გრაფიტოა HXMH (ტაბ. LXII,1; LXXIII,1), III საუკუნე.

2. „ჰიკარტები“ რკინისა, 20 ცალი, განლაგებული იყო ტერფის გაყოლებაზე (სანდლების მოჰედილობა).

**სამარხი № 11.** კვ. F6, სიღრმე — 0,77 მ. მიცვალებული ასვენია მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთითკენ. შემორჩენილია თავის ქალა და ქვედა კიდურები. მარცხენა ხელი უდევს მუცლის არეში. მარჯვენა — ტანის გასწვრივ, ჩონჩხის სიგრძე — 1,73 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივი მოწითალო, პასტისა (1 ც.) ყელთან.

2. „ჰიკარტები“ რკინისა — 30 ც. ფეხებთან (სანდლების მოჰედილობა).

**სამარხი № 16.** კვ. 7, სიღრმე — 0,95 მ. მიცვალებული მთლიანად დაფარული იყო ხსნარით, თავის ქალის გარდა. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომაროებაში, თავით დასავლეთისაკენ. მარცხენა ხელი უდევს მუცელზე. მარჯვენა კი ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე 1,80 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბალთა ბრინჯაოსი, საქამრე — 1 ცალი, სადა მშვილდისებური, მენჯის ძვლებთან (ტაბ. LVII,6).

2. სანელსაცხებლე მინისა, პირგადაშლილი, მაღალყელიანი და ძირფართო(დმ — 10,5 სმ. პირის დმ — 2,2, ძირის დმ — 4,5 სმ), თავთან.

3. მინის ჭურჭლის ნატეხი (35 ც.) ძირის, პირისა და კედლისა.

4. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი პატარა ქოთნის ნატეხები, ბრტყელძირა, ადგილობრივი ნახელავი. ჩაუდგამთ კირხსნარიანი (დუღაბი) ფენის თავზე, მიცვალებულის მარცხენა ქვედა კიდურთან.

**სამარხი № 18.** კვ. H6, სიღრმე — 1,50 მ. მიცვალებული ასვენია გაშოტილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მთლიანად იყო დაფარული ხსნარით. მარცხენა ხელი მუცლის არეში უდევს, მარჯვენა — ტანის გასწვრივ. სამარხში ქვედა კიდურებთან აღმოჩნდა: „ჰიკარტები“ რკინისა (28 ც. სანდლების მოჰედილობა).

**სამარხი № 19.** კვ. $G_6$, სიღრმე — 1,10 მ. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. მარცხენა ხელი მუცლის არეში, ხოლო მარჯვენა — ტანის გასწვრივ.

ჩონჩხის სიგრძე — 1,83 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბალთა რკინისა — 1 ც., მრგვალი, კაუჭითა და მარყუჟით. მოძრავი ენით (ტაბ. LV,1), III—IV ს.
2. „ჭიკარტები" რკინისა — 20 ც., ფეხის ტერფებთან.
3. ბეჭედი ვერცხლისა — 1 ც., მენჯის ძვლებთან.
4. დოქის ნატეხები, ყავისფრად გამომწვარი თიხისაა. ძირის დმ — 6 სმ. ქვედა კიდურებთან.

**სამარხი № 20.** კვ. $H_6$, სიღრმე — 0,90 მ. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. ხელები უწყვია გვერდზე, ტანის გაყოლებაზე.

ჩონჩხის სიგრძე — 1,30 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, ნატეხები, ძირი კონუსისებურია, მარჯვენა ბარძაყთან.
2. ჭურჭელი მინისა, სანელსაცხებლე მაღალყელიანი, ზარაკისებური გამოყვანილი ტანით და შეზნექილი ძირით. იმავე ტიპისა როგორიც წარმოდგენილია ტაბ. LXVII (III—IV სს.).

**სამარხი № 44.** კვ. $H_6$, სიღრმე — 1,0 მ. ჩონჩხი ძალიან დაზიანებულია. მიცვალებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. ნაშთების მიხედვით ჩონჩხის შერჩენილი სიგრძე 1,30 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჭიკარტები" რკინისა, 14 ც., ტერფებთან.

**სამარხი № 100.** კვ. $D_{11}$, სიღრმე — 0,90 მ. მიცვალებული მთლიანად დაფარულია 10 სმ. სისქის დუღაბით; დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარობაში, თავით დასავლეთისაკენ. ჩონჩხი კარგადაა შემონახული. მისი სიგრძეა 1,75 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, უსახო ნატეხები, მარჯვენა მხართან.

**სამარხი № 101.** კვ. $D_{11}$, სიღრმე—0,80 მ. მიცვალებული დაფარულია ხსნარით. ჩონჩხს დაზიანებული აქვს თავის ქალა და მარცხენა ხელის ნაწილი. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. ჩონჩხის სიგრძე 1,45 მ-ია. სამარხში მარცხენა ქვედა კიდურის გასწვრივ ეწყო კრამიტის (კალიპტერების) ფრაგმენტები. მისი ზომებია: სიგრძე 37 სმ სიგანე 16 სმ სისქე 2,3 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა სპილენძისა, III ს., პირის არეში.
2. ვერცხლის ავგაროზის (?) ნატეხები, ფეხებთან.
3. ლურსმნები რკინისა — 2 ცალი, ქვედა კიდურებთან.

**სამარხი № 107.** კვ. $C_{12}$, სიღრმე — 0,85 მ. ტანი მთლიანად დაფარული იყო 15 სმ სისქის კირხსნარით. ჩონჩხი ძალზე დაზიანებეულია. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით. მარჯვენა ხელის ძვლები არ არის შემორჩენილი, ხოლო მარცხენა ხელი, ჩანს, მუცლის არეში ედო. ჩონჩხის სიგრძე 1,70 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა, III ს., პირთან, სპილენძისა.

2. ლურსმნები რკინისა — 4 ცალი, ფეხებთან.

**სამარხი № 115.** კვ. $E_{12}$, სიღრმე — 0,80 მ. მდებარეობს 114-ე სამარხის უშუალო სიახლოვეს, მის გვერდით. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ჩონჩხი კარგადაა შემონახული. თავის ქალა ტანთან შედარებით 10 სმ-ით მაღლაა. ზედა კიდურები ეწყო მუცლის არეში. ჩონჩხის სიგრძე 1,80 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი თიხისა, ფრაგმენტები, მარცხენა მენჯის ძვალთან.

**სამარხი № 117.** კვ. $C_{12}$, სიღრმე — 0,75 მ. ჩონჩხი მთლიანად დაფარულია დუღაბით. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ძვლები ცუდადაა შემონახული. შემორჩენილია თავის ქალის ნაწილი და ქვედა კიდურები. მუცლის არეში აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი ძალზე დაზიანებული. სამარხი ქალისაა.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, თავის არეში. ჭურჭელი მაღალყელიანია, გუტუსი, საწვეთური ფრინველის გამოსახულებას მოგვაგონებს (შდრ.: ტაბ. LXVII,4).

2. საყურე ოქროსი (თავის ქალის მარჯვენა მხრის არეში.), მრგვალგანივკვეთიანი, ერთი გახსნილი ბოლო გაფორმებულია მარყუჟის სახით, მეორე კავია სპირალურად ჩახვეული ბოლოთი, დმ — 11 მმ.

მინის საწვეთური, ე. წ. გუტუსი ანალოგიებით ახ. წ. II—III სს. თარიღდება (25). საწვეთურები თუ საწოვარი (გუტუსები) ბავშვის სამარხებთანაა ხოლმე დაკავშირებული.

**სამარხი № 125.** კვ. $D_{13}$, სიღრმე — 0,70 მ. სამარხი მოზარდისაა, ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია თავის ქალისა და რამდენიმე ძვლის ფრაგმენტი. როგორც ჩანს, მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ. ჩონჩხის ყელის არეში აღმოჩნდა 7 ცალი მინის მძივი.

**სამარხი № 132.** კვ. $D_{13}$, სიღრმე — 0,75 მ. ჩონჩხზე დასხმულია 20 სმ სისქის ხსნარი. ჩონჩხი კარგადაა შემონახული. მიცვალებული ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. თავი მარჯვნივ აქვს გადაწეული. მარჯვენა ხელი უდევს გულმკერდის, ხოლო მარცხენა — მუცლის არეში. ჩონჩხის სიგრძე — 1,60 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. კოჭობი თიხისა, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი; ცალყურა, სიმაღლე — 9 სმ. პირის დმ — 6,5 სმ. იდო მიცვალებულის ფეხებთან. ამ ტიპის კოჭობები გვხვდება გვიანრომაული ხანის სამარხებში III—IV სს. (10), ალექსანდრიული წარმოების (?).

**სამარხი № 163.** კვ. $C_{11}$, სიღრმე — 0,90 მ. ჩონჩხი კარგადაა დაცული, მხოლოდ თავის ქალა აღმოჩნდა ნაწილობრივ დაზიანებული. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთით: მარჯვენა ხელი უდევს მუცლის არეში, მარცხენა — ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,50 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სანელსაცხებლე (მაღალყელიანი, ლურჯი ფერის) მინისა (ტაბ. LXXIII,4),

თავთან. ამ ტიპის ჭურჭელი — „საცრემლე“ პირველად აღმოჩნდა სამაროვანზე. ანალოგია არ მოეძებნა.

2. ლურჯი ფერის პასტის მძივი, თავის ქალის ქვეშ, ქვედა ყბასთან, მონეტასთან ერთად.

3. მონეტა ვერცხლისა, პოლემონ II, დარქმა (49—63 წწ.).

4. საყურე. ბრინჯაოსი, ნაკლული. თავთან.

5. კოჭობი თიხისა, ცალყურა. პირგადაშლილი. სფეროულტანიანი და ძირბრტყელი. დაბალი ყელი რელიეფური წიბოთია გამოყოფილი მხრისაგან. ანალოგიური ჭურჭელი გვხვდება ბიჭვინთის სამაროვანზე III—IV სს. სამარხებში (10, ტაბ. LXII,4). სამარხეული კომპლექსი III ს. შეიძლება დათარიღდეს.

**სამარხი № 172.** კვ. $A_{11}$, სიღრმე — 0,85 მ. სქელხსნარიანი. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთით. ჩონჩხის სიგრძე 1,30 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მინის ჭურჭლის ნატეხები—3 ცალი.

2. კოჭობის ძირისა და გვერდის ფრაგმენტები თავთან.

**სამარხი № 198.** კვ. $C_{16}$, სიღრმე — 0,80 მ. სამარხი ძალზე დაზიანებულია, კირხსნარის ფენა დანგრეული. მიცვალებული ესვენა გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. დანგრეულ სამარხში, თავის ქალის არეში, აღმოჩნდა წყვილი ოქროს საყურე აღწერილი ტიპისა (ტაბ. LX,7).

**სამარხი № 311.** კვ. $R_1$, სიღრმე — 65 სმ. 308-ე სამარხიდან 1 მ დაცილებით, აღმოსავლეთის მიმართულებით, ჩონჩხი დაზიანებულია. მიცვალებული (მოზარდი) დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ზედა კიდურები ტანის გასწვრივ ეწყო. ჩონჩხის სიგრძე — 90 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები მინისა — 2 ცალი, მრგვალი ფორმის, მოოქროვილი და ქვისა (3 ც.). მძივები აღმოჩნდა კისრის არეში.

2. ლურსმნები რკინისა — 2 ცალი, დაფიქსირდა ქვედა კიდურების არეში.

**სამარხი № 317.** კვ. $D_1$—$D_2$ საზღვარზე, სიღრმე — 1,05 მ. ჩონჩხი მთლიანად ხსნარით იყო დაფარული. ძალზე დაზიანებული. თავის არეში აღმოჩნდა უსახო კერამიკული ნახატები. მათ შორის ერთი მოზრდილი, რომელზეც იდო ქვედა ყბის ფრაგმენტი რამდენიმე კბილითურთ. ჩონჩხის ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით ხერხდება მიცვალებულის პოზის აღდგენა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ზედა კიდურებისა და ფალანგების ფრაგმენტების მიხედვით სავარაუდოა, რომ ხელის მტევნები დაკრეფილი ჰქონდა მუცლის არეში. მარჯვენა ქვედა კიდური მუხლში ოდნავ მოკეცილი იყო.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა, აღმოჩნდა ქვედა ყბის ფრაგმენტის გვერდით. ტრაპეზუნტი (?) II ს. დასასრული, III საუკუნის დასაწყისი, სპილენძი.

2. საყურე ვერცხლისა, წყვილი. აღმოჩნდა ქვედა ყბის ფრაგმენტის გვერდით.

3. სამაგრები (ჩხირები?) ძვლისა—16 ცალი. აღმოჩნდა მხრის ძვალთან, მარჯვენა მხარეს. ქალის სამარხებში რამდენიმე შემთხვევაა ამ ტიპის ძვლის სადა თმის სამაგრების აღმოჩენისა (ტაბ. LXXV).

4. ჭურჭელი მინისა, ფრაგმენტები, აღმოჩნდა თეძოს ძვალთან.

5. მძივები მინისა, მრგვალი ფორმის მოოქროვილი, ორნამენტებული, მძივის ზედაპირი დაფარულია ტალღოვანი ორნამენტით — მოცისფრო, თეთრი და მოლურჯო-მომწვანო ფერისა, ყელის არეში.

6. ლურსმნები რკინისა — 2 ცალი, აღმოჩნდა სამარხის თავსა და ბოლოში.

**სამარხი № 319.** კვ. Б₁, სიღრმე — 1 მ. ნაწილობრივ დანგრეული. ჩონჩხი შედარებით ცუდად არის შემორჩენილი. ჩანს, მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. თავის ქალა გადახრილი აქვს მარჯვნივ. ზედა ორივე კიდურის ფრაგმენტები აღმოჩნდა მკერდის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ბრინჯაოსი, მცირე ზომისა. ცუდად დაცული, IV საუკუნის? აღმოჩნდა პირის არეში.

2. ლურსმნები რკინისა — 4 ცალი, აქედან, 3 — თავთან, ერთი სამარხის ბოლოში.

**სამარხი № 320.** კვ. Б₁, სიღრმე — 95 სმ. ოცსანტიმეტრიანი კირხსნარის აღების შემდეგ გამოჩნდა, რომ ჩონჩხი ნაწილობრივ შემონახულა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. მარჯვენა ზედა კიდური მუცლის ქვედა არეში აღმოჩნდა, ხოლო მარცხენა — ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე—1,50 მ. დუღაბიანი „სარეცლის" სიგრძე, რაზედაც მიცვალებული ესვენა, აღწევდა 2 მ, სიგანე — 60 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი, ფრაგმენტები, მენჯის ძვლებთან.

2. მინის მძივები მუქი ლურჯი ფერისა ერთი — თორმეტწახნაგა, ყელის არეში.

3. ლურსმნები რკინისა — 2 ცალი, აღმოჩნდა თავთან და ქვედა კიდურებთან.

**სამარხი № 321.** კვ. C₁, სიღრმე — 1,05 მ. ხსნარის აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩონჩხი ნაწილობრივ იყო შემორჩენილი (თავის ქალასა და ქვედა კიდურების ფრაგმენტები). მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ზედა კიდურების ფალანგები აღმოჩნდა მუცლის არეში. ჩონჩხის შერჩენილი სიგრძე — 1,40 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ვერცხლისა, დაფიქსირდა პირის არეში. ლითონი გამოფიტულია გვერდებჩნაკლული, მონეტა იმპერატორის პროფილის მიხედვით, შესაძლოა განეკუთვნოს III საუკუნის პირველ ნახევარს?

2. ჭურჭელი მინისა, ოთხკუთხა ფორმის, ლურჯი ფერისა (დაზიანებული), აღმოჩნდა მარჯვენა მხრის ძვალთან. ამ ტიპის ცილინდრული ჭურჭელი ჩნდება II ს. და არსებობს III ს. (26).

3. ვერცხლის უცნობი ნივთის მომრგვალებული ფირფიტის ფრაგმენტები, აღმოჩნდა ზედა კიდურის ფალანგებთან (სარკე?).

4. ჭურჭელი მინისა (დაზიანებული), აღმოჩნდა თავთან.

5. მძივები მინისა — 42 ცალი, ყელის არეში.

6. ლურსმნები რკინისა — 2 ცალი, აღმოჩნდა თავთან და ქვედა კიდურებთან.

**სამარხი № 324.** კვ. $C_1$, სიღრმე — 65 სმ. მიცვალებული მთლიანად იყო დაფარული კირხსნარის 30 სმ სისქის ფენით. ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია. თავის ქალისა და ცალკეული ძვლების ფრაგმენტების მიხედვით, მიცვალებულის პოზის დადგენა მაინც ხერხდება. ის დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. თავის ქალა მარცხნივ აქვს გადახრილი. ზედა კიდურების, ფალანგების აღმოჩენის პირობების მიხედვით ხელები მუცლის ქვემო არეში ჰქონდა დაკრეფილი.

ჩონჩხის შერჩენილი სიგრძე 1,10 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა, ტრაპეზუნტი, II საუკუნის დასასრული, III ს. დასაწყისი, აღმოჩნდა პირის არეში. სპილენძი.

2. თიხის ჰურჰლის პირ-ყელის ფრაგმენტი. აღმოჩნდა მარცხენა ბარძაყის ძვალთან.

3. სანელსაცხებლე მინის, ფრაგმენტები, თეთრი ფერისა. ძირი კონუსისებური.

4. ლურსმნები რკინისა — 3 ცალი. აღმოჩნდა ჩონჩხის გაყოლებაზე, მარცხენა მხრიდან, ერთი ლურსმანი დაფიქსირდა სამარხის ცენტრში.

**სამარხი № 325.** კვ. $C_1$, სიღრმე — 70 სმ. 324-ე სამარხიდან სამხრეთით, 50 სმ მოშორებით. ხსნარის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა, რომ ჩონჩხი ძალზე დაზიანებული ყოფილა. შემორჩენილი ჰქონდა თავის ქალის ფრაგმენტები და ჩონჩხის მარჯვენა მხარე. ირკვევა, რომ მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა. მცირე ზომისა, IV ს.? აღმოჩნდა პირის არეში. სპილენძი.

2. მინის ჰურჰელი მრგვალმუცლიანი. პირგადაშლილი. ჩაუდგამთ თავთან, მის უკან. ამ ტიპის სფერულმუცლიანი მინის ჰურჰელი III საუკუნიდან ვრცელდება.

3. ჰურჰელი მინისა. მომწვანო ფერის. მაღალყელიანი, მარჯვენა მხრის ძვალთან. ფორმის აღდგენა არ მოხერხდა, ამოღებისას დაიშალა.

4. ლურსმნები რკინისა — 5 ცალი. აღმოჩნდა ჩონჩხის ირგვლივ.

**სამარხი № 326.** კვ. $Б_1$, სიღრმე — 70 სმ. მიცვალებული მთლიანად დაფარული იყო ხსნარის სქელი ფენით. ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია თავის ქალის ფრაგმენტები და ჩონჩხის ცალკეული ძვლები. ჩანს, მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით. მარჯვენა ზედა კიდური დაფიქსირდა მუცლის არეში, ხოლო მარცხენა—ტანის გასწვრივ. ჩონჩხის სიგრძე — 1,40 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა სპილენძისა, პირთან. ტრაპეზუნტი, II ს. დასასრული და III ს. დასაწყისი.

2. მძივები მინისა — 20 ცალი, ყელის არეში.

3. ჰურჰელი მინისა, სანელსაცხებლე, თეთრი ფერის, ჩაუდგამთ მარცხენა კიდურთან, ჩალეწილია.

4. ლურსმნები რკინისა — 5 ცალი, ორი მხრებთან, ერთი თავთან და ორი ტერფებთან.

ამავე კვადრატში აღმოჩნდა ასეთივე კირხსნარიანი სამარხი № 327, სადაც მიცვალებული დამხრობილი იყო თავით დასავლეთით, რომელშიც, ჩონჩხის

კისრის არეში, 15 მოზრდილი ქარვის მძივი და სადა რგოლისებური საყურე აღმოჩნდა.

**სამარხი № 03—3.** სიღრმე — 40 სმ. სამარხი დაზიანებულია. შემორჩენილია თავის ქალა, ბარძაყის ძვლები. მიცვალებული დაუკრძალავთ თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. გაშოტილ მდგომარეობაში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა (პირის არეში), იულია დომნა. კესარიული დრაქმა, ახ. წ. 217 წ.
2. ფიბულა ვერცხლისა. ფრაგმენტული. აღმოჩნდა გულმკერდის არეში.
3. ზარაკი ბრინჯაოსი. აღმოჩნდა ფეხებთან.
4. ფიბულა. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, მარჯვენა მხართან.
5. „ჭიკარტები" რკინისა — 10 ცალი (ფეხის ტერფებთან, სანდლების მოჭედილობა).
6. ლურსმანი რკინისა — 1 ცალი, ქვედა მარცხენა კიდურის ბარძაყის ძვალთან.

**სამარხი № 03—5.** სიღრმე — 82 სმ. ჩონჩხი ძალზე დაზიანებულია. შემონახულია თავის ქალა, მიცვალებული დაუკრძალავთ თავით დასავლეთით. საკმაოდ სქელი კირხსნარის ფენის ქვეშ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მედალიონი (ტაბ. LIX. სურ. 1) — საკიდი, ოქროს მრგვალ ბუდეში ჩასმულია ვერცხლის მონეტა (კესარიული დიდრაქმა, ახ.წ. II ს. დასასრული), მონეტას გარსშემოუყვება სადა ფირფიტისაგან გაკეთებული ჩარჩო, რომელზედაც დარჩილულია წრიული. ბრტყელი საკიდი ყუნწი (ყუნწი მიღებულია დაღარული ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად). ბუდე გაკეთებულია საკმაოდ დაუდევრად. ჩარჩოს კიდლები არათანაბრადაა შემოჭრილი, ყუნწის მირჩილვის კვალი ნათლად ჩანს (ყუნწის ბოლოები არაა დაფარული). დმ — 26 მმ. (28) კუსტარული ხელობისა (ტაბ. LXVIII).

2. საყურე ოქროსი — 1 ცალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო ტალღურად არის მოხრილი (ლათინური ასო „S" მსგავსად) და ერთ ბოლოზე დარჩილულია ვარდულა (როზეტი). ვარდულას შუაგული ნახევარსფეროლადაა ამოტვიფრული, რომლის გარშემო რადიალურადაა გამოყვანილი ქედები. მისი ღერო მრგვალგანივკვეთიანი მავთულია, რომლის ერთი ბოლო ვიწროვდება, ხოლო მეორე გაბრტყელებულია. რაზეც დარჩილულია ვარდულა. ვარდულას დმ — 10 მმ.

3. სარკე ვერცხლისა ფრაგმენტული დეკორირებული ზედაპირით (ხუთი რკალისაგან შედგენილი ოთხი სარტყლის წრე გადაკვეთილი მეორე ასეთივე წრით) ვერცხლისფერი ლითონისაა. სახელური გამოსახავს ქალის თითებს. ანალოგიური სარკე ცნობილია რომაული კელნიდან და ახ. წ. I—II საუკუნეებით არის ზოგადად დათარიღებული (29) (ტაბ. LVIII,8).

4. მონეტა სპილენძისა, ცუდად დაცული, ძ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი (?).

5. ბეჭედი რკინისა, ფარაკიანი.

6. მძივები მინისა ექვსწახნაგა, ლურჯი ფერის (ყელის არეში).

7. ვერცხლის საგნის ფრაგმენტები, გაურკვეველი დანიშნულების, მკერდთან.

8. რგოლი რკინისა, სამარხის შუა ნაწილში.

9. პურპელი მინისა პირ-ყელისა და ძირ-კედლის ნატეხები.

10. მინის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხები. პირის კიდე გარეთ შეკეცილია და შემსხვილებული, თავთან.

11. „ჭიკარტები" რკინისა — 14 ცალი, ფეხებთან.

12. რკინის ლურსმნები — 2 ცალი (სამარხი IV ს. შეიძლება დათარიღდეს).

**სამარხი № 03—8.** ხსნარიანია, სიღრმე ზედაპირიდან — 1,30 მ. ხსნარის სისქე 60—70 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით, ზედა კიდურები ჯვარედინად ეწყო მუცლის არეში. ჩონჩხი შედარებით კარგადაა შემონახული, თავის ქალა მარჯვნივ ჰქონდა გადახრილი. ცხედარი იწვა ხსნარიან სარეცელზე. რომელიც ემთხვევა ჩონჩხის სიგრძეს და 1,80 მ-ია. გაუხსნელი კირხსნარიანი სამარხის სიგრძე 2,70 მ-ია, სიგანე თავთან — 90 სმ, ბოლოში — 1,10 მ. დუღაბის სისქე—60—80 სმ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ფლაკონი მინისა, ოთხკუთხა, ბრტყელძირიანი, მინა გამჭვირვალე მომწვანო ფერისა. აღმოჩნდა მარჯვენა მხრის ლავიწის ძვალთან, დამტვრეულია. ამ ტიპის II—III სს. რამდენიმე ჭურჭელია პიტიუნტში აღმოჩენილი (ტაბ. LXVIII,1).

2. კოლბისებური ფორმის მინის ჭურჭელი, ხორკლიანი, ნაზარდებით დეკორირებული, დაზიანებული აღმოჩნდა ჩონჩხის მარჯვენა თეძოსთან. მინა თხელია, მაღალი ხარისხის, მომწვანო, ზედაპირი დაფარულია დეკორატიული დანიშნულების ნაზარდებით (ტაბ. LXIX,2), ხორკლიანზედაპირიანი ჭურჭელი ჩნდება ახ. წ. II—III საუკუნეებში, ამ ტიპის ჭურჭელი ცნობილია სამთავროდანაც და VII საუკუნით არის დათარიღებული (30).

3. რგოლი ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მარჯვენა ქვედა კიდურის წვივის ძვალთან, გარეთა მხრიდან.

4. ისრისპირი რკინისა, სამფრთიანი ყუნწით; დაიშალა. ნაპოვნია სამარხის კირხსნარის ზედა ფენაში. ამ ტიპის ისრისპირები გავრცელებულია გვიანანტიკური ხანის სამყაროში, მათ შორის საქართველოში. ეს პირველი შემთხვევაა ისრისპირის აღმოჩენისა პიტიუნტის სამაროვანზე. ამ ტიპის ისრისპირები III ს. თარიღდება*.

**სამარხი № 03—9.** ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ჩონჩხი ძალზე ცუდადაა შემონახული. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავის ქალა დაშლილია, ხელები დაკრეფილია მუცლის არეში. გაუხსნელი სამარხის ხსნარის სიგრძე 2.10 მ. სიგანე — 50 სმ. ხსნარის სისქე 30 სმ. მიცვალებული ესვენა ხსნარიან 1.75 მ. სიგრძის „სარეცელზე".

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა ვერცხლისა, სეპტიმიუს სევერუსი (193—211 წწ.). აღმოჩნდა პირის არეში.

2. სანელსაცხებლე მინისა, სფერული მუცლით, გაუმჭვირვალე, თეთრი ფერის, აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის იდაყვთან. ყელი ტანისკენ ვიწროვდება, ძირი ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი.

3. მინის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა მარცხენა ზედა კიდურის იდაყვთან, შიდა მხრიდან.

---

* იხ. M. Bishop, J. Coulston, Roman Military Equipment, p. 54, t.41,5. შდრ.: Арсеньева Т. М., Некрополь Танаиса, М., 1977, с. 133, Таб. XLII, 2, 3.

4. ძალზე დაჟანგული უსახო რკინის ნივთი. აღმოჩნდა ყელის არეში, ლავიწის ძვალთან (ფიბულა?).

5. „ჭიკარტები" რკინისა. სანდლების მანჭვლები, მოჭედილობა. გაბნეული აღმოჩნდა ორივე ქვედა კიდურთან ტერფების არეში, 80 ცალი სხვადასხვა ზომისა. ანალოგიური ფეხსაცმლის ლანჩის მოსაჭედი, რკინის „ჭიკარტის" მაგვარი პატარა ლურსმნის თავები, რომლებიც საკმაოდ ხშირია პიტიუნტის სამაროვანზე, დამახასიათებელია რომაული ცივილიზაციისათვის და შეიძლება, საქალაქო ცხოვრების ელემენტადაც მივიჩნიოთ (იხ. M. Bishop, J. Coulston დასახ ნაშრომი, გვ. 35, ტ. 24).

6. ლურსმანი რკინისა — 2 ცალი, ერთი თავთან, მეორე — ფეხთან (ორივე მარცხენა მხარეს), ხის ყუთის შეჭედილობის მაჩვენებელი. ცხადია, რკინის ლურსმნები, რომლებიც ასე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი პიტიუნტში ადგილობრივ სამჭედლო სახელოსნოებში მზადდებოდა.

**სამარხი № 03—14.** სიღრმე ზედაპირიდან 1 მ. ჩონჩხი ცუდადაა შემონახული. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. თავის ქალა დაზიანებულია. ყბის ნაწილი თავის ქალას დაშორებულია 20 სმ-ით. ნაწილობრივ შერჩენილი ზედა კიდურების ძვლების მიხედვით ხელები ჯვარედინად ეწყო მუცლის არეში. ქვედა კიდურები თითქმის არაა შემორჩენილი. გაუხსნელი სამარხის ხსნარიანი მონაკვეთის სიგრძე — 2,32 მ, სიგანე — 90 სმ, ხსნარის სისქე — 25 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ წინასწარ მომზადებულ ხსნარიან „სარეცელზე".

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭურჭელი მინისა, ოთხწახნაგა, გამჭვირვალე, მომწვანო ფერის. შეიცავდა მოყავისფრო ბლანტ სითხეს, რომელიც დაუკონსერვებია კირხსნარისაგან წარმოშობილ საცობს. ჩვეულებრივ მიცვალებულებს მინის ჭურჭლებში ატანდნენ იმ ზეთიან წყალს, რომლის საშუალებითაც აპატიოსნებდნენ მათ. ამ ტიპის ოთხკუთხა, უყურო „ბოთლები" საკმაოდ ხშირია პიტიუნტის სამაროვანზე (ტაბ. LXIX,3) III ს. სამარხებში.

2. „ჭიკარტები" რკინისა. სხვადასხვა ზომის. აღმოჩნდა ქვედა კიდურების ტერფებთან, 30 ცალი.

**სამარხი № 04—8.** სიღრმე — 0,75 სმ. ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაშია, თავით დასავლეთით, ხელები დაკრეფილი აქვს მუცლის ქვემოთ, ჩონჩხის სიგრძე — 1,40 მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მძივები მინისა, აღმოჩნდა კისრის არეში. შავი ფერისაა, ტანდალარული, ერთმანეთთან შედუღებული.

2. ბეჭედი რკინისა ფარაკიანი (ძალზე ფრაგმენტული).

**სამარხი № 04—9.** სიღრმე—90 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. მარჯვენა ზედა კიდური უდევს ტანის გასწვრივ, ხოლო მარცხენა — მუცლის არეში. ჩონჩხის სიგრძე — 1,55მ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. საყურე ოქროსი — 1 ცალი, 55-ე სამარხში ნაპოვნის მსგავსი. შეიმჩნევა განსხვავება — ნახევარსფერულად ამოტვიფრულ ფირფიტას ქვემოდან დარჩილული აქვს ასეთივე, ოღონდ მრგვალი, ბრტყელი დეტალი. რკალის უდიდესი დმ — 10 მმ. ნივთი ოდნავ დეფორმირებულია, თავის არეში.

2. ფლაკონი მინისა ოთხწახნაგა ფორმის, პირფართო, ყელგამოყვანილი,

ძირშეღრმავებული. პირის დმ — 4,3 სმ, ძირის სიგანე — 3,3 სმ. იმავე ტიპისა როგორიც № 03—14 სამარხის „ბოთლი" (ტაბ. LXVIII,2), იდო მარჯვენა მენჯის ძვალთან.

3. მინის სანელსაცხებლის ფრაგმენტები — მაღალი, პირფართო, კიდეგადაშლილი, ყელმომტვრეული. ძირი კონუსისებური შეღრმავებული. მარჯვენა ზედა კიდურის იდაყვთან.

4. დოქი თიხისა, ცალყურა, სფერული მუცლითა და ბრტყელძირა. ჩალეწილი იდო მარჯვენა მხართან.

**სამარხი № 345.** აღმოჩნდა მშენებლის მიერ გაყვანილ თხრილში, შემოვლითი გზის მარჯვენა მხარეს, ნაქალაქარიდან 340 მ დაშორებით, დასავლეთით. სიღრმე — 78 სმ (ტაბ. LX,1). ჩონჩხი დაზიანებულია, ვერ დადგინდა მარჯვენა ზედა კიდურის მდგომარეობა. ხოლო მარცხენა ზედა კიდური სავარაუდოა მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სამაჯური ვერცხლისა — აღმოჩნდა მარჯვენა ზედა კიდურის არეში. მრავალწახნაგოვანია (19 წახნაგი). წახნაგები თითქმის ერთი ზომისაა. შიდა ნაწილი სადაა. სამაჯური შედარებით მასიურია. ვერცხლი კარგადაა შემონახული. ოვალური ფორმისაა. მომრგვალებულ ცენტრალურ ნაწილში მირჩილული იყო მრგვალი ფორმის (ტაბ. XL,3) ვერცხლის მედალიონი ტიქე-ფორტუნას გამოსახულებით. გამოსახულება შესრულებულია წნევის ტექნიკით. მედალიონი წარმოადგენს თხელ ფირფიტას. მას ზედაპირზე შემოუყვება შემაღლებული რკალი — ჩარჩო. ფორტუნა გამოსახულია მთელი ტანით. დგას კონტრაპოსტში პატარა კვარცხლბეკზე, ორივე ხელში დამახასიათებელი ატრიბუტები უპირავს — მარჯვენაში საჭე, ხოლო მარცხენაში—სიუხვის ყანწი (33), თავი სქემატურადაა გამოსახული. ტალღოვანი თმა ეშვება მხრებამდე. სამკლაურის უდიდესი დმ — 9,3 სმ, მცირე დმ — 8,6 სმ. წახნაგების ზომები 1,4×1,4 სმ.

2. ფიბულა, მშვილდსაკინძი ვერცხლისა აღმოჩნდა თავისა და მხრის არეში. ფიბულის ბოლო შედგენილია განივკვეთში მრგვალი ღეროსაგან, რომელიც მიძერწილია მშვილდის თავთან (ტაბ. XL,2). ღერო შუა ნაწილში ჩაჭრილია, რომელზედაც დამაგრებულია ენა. ღერო ზემოდან დეკორირებულია შვერილით, რომლის ბოლო მომრგვალებულია და შემოუყვება რელიეფური რკალი. მშვილდის ნაწილი მკვეთრად მორკალულია. განივკვეთში ორწახნაგაა. რკალი ბუდის ნაწილში გადასვლის ზედა მხარეს დეკორირებულია სამი მომრგვალებულთავიანი შვერილით. ბუდე ცალ მხარეს გახსნილია, ზედა მხარეს ორფერდა. რკალის უშუალოდ ბუდეში გადასვლის ადგილას არის სამკუთხა ფორმის საფეხურებად განლაგებული ორი რელიეფური წანაზარდი. ენა მრგვალგანივკვეთიანია, ბოლოებდაწვრილებული. ღეროს სიგრძე — 2,5 სმ. დმ — 0,3 სმ. ენის h — 4,0 სმ, მშვილდის h — 2,8 სმ. ანალოგიებით III ს. თარიღდება (იხ. ტაბ. XL, 2,3).

3. საქამრე აბზინდა, ბალთა ვერცხლისა, აღმოჩნდა მარცხენა ქვედა კიდურთან. შედგება ორი ერთმანეთზე გადაბმული ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მოძრავი ენით (ტაბ. XL,4). გრავირებული. ერთ-ერთ ფირფიტას შერჩენილი აქვს მანჭვლისმაგვარი სამაგრი, რომლის საშუალებითაც მაგრდებოდა სარტყელი. ბალთა ორნამენტებულია. ბალთის

სიგრძე — 14 სმ. თითოეული ფირფიტის სიგრძე — 7 სმ. პირველი ფირფიტის სისქე — 1 მმ. მეორისა — 1,2 მმ.

4. ლურსმანი რკინისა — 2 ცალი. აღმოჩნდა მარჯვენა ქვედა კიდურის ფალანგებთან პატინირებული. განივკვეთში ოთხწახნაგა, თავი ოთხკუთხედი, ცენტრალურ ნაწილში ოდნავ ამოჭრილი. სიგრძე — 13,5 სმ.

5. სალესი ქვა, აღმოჩნდა მარცხენა გვერდთან, სიგრძე — 12,3 სმ. სამარხი III ს. შეიძლება დათარიღდეს.

## კ ი რ ხ ს ნ ა რ ი ა ნ ი  დ ა  ფ ი ლ ე ბ ი ა ნ ი  ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი

**სამარხი 246.** კვ. $D_2$, ჩ — 40 სმ, ე. წ. სამარხულ ლაქამდე მის კონტურამდე, სამარხის სიღრმე ზედანირიდან ჩონჩხამდე 1,10 სმ-ია (ამ სამარხის ქვემოთ დაფიქსირდა სამარხი № 249). სამარხს ზემოდან ესხა სუსტი კირხსნარი, შეჯვარებული რიყის ქვებითა და კრამიტის ნატეხებით. სიღრმეში ხსნარი შედარებით მკვრივი იყო და მასში სპორადულად ჩნდებოდა აგურის, ამფორისა და სხვა სახის კერამიკის ფრაგმენტები. 40 სმ სიღრმეზე დაფიქსირდა მარმარილოს სვეტის მცირე ზომის ფრაგმენტები. ამავე სიღრმეზე აღმოჩნდა რკინის ლურსმნები 4 ცალი. მარმარილოს მეორე ფრაგმენტი ნაპოვნია 60 სმ სიღრმეზე. 65 სმ-ზე კი მიცვალებულის ჩონჩხია. თავის ქალა არ აღმოჩნდა. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში. მარცხენა ზედა კიდური დაკრეფილი ჰქონდა გულმკერდის არეში. მარჯვენა იდაყვამდე იყო შემორჩენილი. მარჯვენა ზედა კიდურსა და ნეკნებს შორის იდო მარმარილოს სვეტის მესამე ფრაგმენტი. მიცვალებული დაუკრძალავთ თავით დასავლეთით.

სამარხის ჩრდილო ნაწილში დაფიქსირდა მოზრდილი ქვის ფილა. სიგრძე — 1,50 მ. სიგანე—70 სმ. სამარხი დაზიანებულია. მის სამხრეთ ნაწილში, სავარაუდოა ყოფილიყო მეორე ასეთივე ქვის ფილა, რომელიც სამარხის გაძარცვის დროს გადაუგდიათ. ამას მოწმობს, აქვე, განზე გაწეული ასეთივე ჯიშის ფილის ნაწილი 50 სმ სიგანისა და 27 სმ სიგრძისა. ლოდი არც სამარხის თავთან დაფიქსირდა. სამარხი არ უნდა ყოფილიყო გადახურული. ამას გვაფიქრებინებს სამარხის მთლიანი ამოვსება კირხსნარით, ლოდის სიმაღლეზე ხსნარის გასამაგრებლად მასში შეურევიათ მარმარილოს, აგურის, კრამიტისა და სხვა სახის კერამიკის ცალკეული ფრაგმენტები. ლურსმნების აღმოჩენა სამარხში მიგვანიშნებს ხის კონსტრუქციის არსებობაზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სამარხში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს სამი სვეტის ფრაგმენტები. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს კაპიტელს (სვეტის ფრაგმენტს მცირე ზომის კაპიტელი ასრულებს). კაპიტელი იკითხება ოთხივე მხრიდან. სვეტის ტანის განივი ჭრილის აბრისი წესიერი წრის ფორმისაა, მთავრდება სვეტის თავით, რომელიც ოთხივე მხარეს ოთხი იდენტური სიბრტყისაგან შედგება. დამუშავების ხარისხი სხვადასხვაა. ოთხივე კუთხეში შემოუყვება ოთხი ღრმად ჩაჭრილი ზოლი, რომლებიც საზღვრებზეა მოთავსებული და აცალკევებს მხარეებს. კომპოზიცია მკაცრი სიმეტრიის დაცვითაა შესრულებული. სვეტის თავი ტანისაგან გამოიყოფა ზიგზაგისებური ხაზით. ამ ზოლზე პირდაპირ ზის ორი რკალი (შეკრული წრეწირი), შუაში პატარა ზომის რგოლით, სვეტის თავი მთავრდება კვადრატული სიბრტყით, რომლის ცენტრში წრიული ჩაღრმავებაა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ღრმა კვეთასთან

გვაქვს საქმე, ოსტატი სათანადოდ არ ფლობს მოცემულ მასალას და ვერ აღწევს პლასტიკურობას. საჭრელი ჩასულია 3 მმ-ის სიღრმეზე. რელიეფი მარტივია და ოსტატი შემოიფარგლება მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტით. მარმარილოს დამუშავების ხარისხი, კვეთის ტექნიკა და სტილი გვაფიქრებინებს, რომ სვეტი უფრო ადგილობრივ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება. ზომები: შერჩენილი ჩ — 23 სმ. სვეტის დმ — 7 სმ. სვეტის კაპიტელის გვერდის ჩ — 8,5 სმ. მეორე მრგვალი სვეტის ფრაგმენტის ზომები: შერჩენილი — ჩ—14 სმ. დმ — 7,5 სმ. მესამე სვეტის ზომები: შერჩენილი ჩ — 17 სმ. დმ — 7,5 სმ. სამივე ფრაგმენტი ერთ ნიმუშს განეკუთვნება (სურ. 8,1). სამარხი გაძარცვულია.

როგორც ჩანს, პიტიუნტის სამაროვანზე არსებობს არქიტექტურულად გაფორმებული, ქვაყუთების ტიპის სამარხები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. გასაოცარია, რომ პიტიუნტის სამაროვანზე ჯერ ვერ მივაკვლიეთ რომაელი ლეგიონერებისთვის ესოდენ დამახასიათებელ სტელებს, საფლავის წარწერიან ქვებს (34). თუმცა გამოვლენილ ორმოსამარხების, კირხსნარიანი საფლავების კავშირი ამ სამყაროსთან ეჭვს არ იწვევს. მათთან არის დაკავშირებული სამაროვანზე გამოვლენილი მცირეწლოვანი ბავშვების სამარხები, ბერძნულ-რომაული ტრადიციის შესაბამისად ისინი მშობლებთან ან ნათესავებთან ახლოს, ამფორებში, ან დერგებში იმარხებოდნენ. აღნიშნული წესი არ არის დამახასიათებელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, კერძოდ, აფსილ-აბაზგ-სანიგებისათვის (35).

## ამფორასამარხები

ბიჭვინთის ნეკროპოლზე მიკვლეულ სამარხთა შორის ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს „ამფორასამარხები" წარმოადგენს. ჩვენ მიერ სამაროვანზე გამოვლენილია 65 „ამფორასამარხი", ამათგან მხოლოდ ერთია ინვენტარიანი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი (ტაბ. XXXVI).

**სამარხი № 7.** კვ. $C_6$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ყავისფერკეციანია, მოწითალოდ გამომწვარი, წელშეზნექილი, შემორჩენილია ყელისა და კედლის ფრაგმენტები. ამფორა თავით დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ. ამფორაში დადასტურდა ბავშვის დაშლილი ძვლები. უინვენტაროა. ამ ადგილობრივი ნაწარმის ამფორის მიხედვით სამარხი შეიძლება ახ. წ. III — IV საუკუნეებით დათარიღდეს, ისე როგორც ამ ტიპის სხვა სამარხები პიტიუნტიდან.

**სამარხი № 14.** კვ. $C_5$, სიღრმე — 45 სმ. ამფორა წელშეზნექილია, ყავისფერკეციანი. ამფორა შუაზეა გადატეხილი, ძირი და თავი არა აქვს. ჩადგმულია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხი ბავშვისაა, უინვენტარო. ამფორის მიხედვით სამარხი ახ. წ. III—IV საუკუნეებით თარიღდება.

**სამარხი № 34.** კვ. 17, სიღრმე — 60 სმ. ბავშვის სამარხი წელშეზნექილ ამფორაში. ამფორა ძალზე დაშლილია. შემორჩენილია მისი კედლის ფრაგმენტები. ჩადგმულია ჰორიზონტალურად, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. უინვენტაროა. სამარხი შეიძლება განეკუთვნოს ახ. წ. III—IV სს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ტიპის ამფორებს პიტიუნტშივე ამზადებდნენ როგორც დასაკრძალავი მიზნით, ასევე წყალსადენებისათვის.

**სამარხი № 38.** კვ. $I_7$, სიღრმე — 45 სმ. ამფორა საკმაოდ დაშლილია. მიცვალებული ჩაწვენილია ჰორიზონტალურ მდებარეობაში. ჩონჩხის ძვლები ძალზე პატარაა, რაც გვაძლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ მიცვალებული ჩვილია. ამფორის ზევით იდო სოლენის ფრაგმენტი. ამ კრამიტის სისქე 2,2 სმ-ია. აკეცილი გვერდის ს კი — 5 სმ. ამფორის პირი დასავლეთისაკენაა მიმართული. უინვენტაროა.

ამფორა მოწითალო თიხისაა, წელშეზნექილი, კედლის სისქე — 1 1/2 სმ. ადგილობრივი ნაწარმი.

**სამარხი № 43.** კვ. $I_8$, ამფორა ძალზე დაზიანებულია. მისი სიგრძე 35 სმ-ია. ამფორა ჰორიზონტალურად არის ჩადგმული, პირით დასავლეთისაკენ. იგი მოწითალო თიხის, თხელკედლიანია. კედლის სისქე 1 სმ-ია. ამფორის შიგნით აღმოჩნდა პატარა ზომის ძვლები, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული ჩვილი ბავშვია. სამარხი უინვენტაროა. ამფორა ადგილობრივი ნაწარმია.

**სამარხი № 85 ა.** კვ. $E_{11}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ადგილობრივი წარმოებისაა, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი. კედლის სისქე 1 სმ-ია. ამფორა დაზიანებულია. მისი სიგრძე 40 სმ-ია. ჩადებულია ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი № 86.** კვ. $E_{11}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ჩადგმულია ჰორიზონტალურად, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამფორა ძლიერ დაზიანებულია. მისი სიგრძე 30 სმ-ია. მასში უწესრიგოდ ყრია პატარა ზომის ძვლები.

ამფორა ჩვილი ბავშვის სამარხია, უინვენტარო.

**სამარხი № 87.** კვ. $E_{1\ 12}$. სიღრმე — 45 სმ. ამფორა შედარებით კარგად არის შემონახული. ამფორის სიგრძე — 70 სმ. წელშეზნექილია, ადგილობრივი წარმოებისაა. ჩადგმულია ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთისაკენ. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი № 88.** კვ. $E_{12}$, სიღრმე—45 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ მისი კედლის ფრაგმენტები და ძირის ნატეხები, უინვენტარო.

**სამარხი № 89.** კვ. $E_{11}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია. არა აქვს ცალი ყური, კედლის ნაწილი და ძირი. სიგრძე 65 სმ-ია. ამფორა წელშეზნექილია, ღილისებური ძირით, ჩადგმულია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. ამფორის შიგნით პატარა ზომის ძვლები ყრია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ამფორა ბავშვის სამარხია. უინვენტარო.

**სამარხი № 90.** კვ. $E_{11}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია. მისი სიგრძე 30 სმ-ია. ამფორა ბრტყელძირიანია. შიგნით ყრია პატარა ზომის ძვლები. უინვენტაროა.

**სამარხი № 91.** კვ. $E_{11}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია, პირყელი საერთოდ არა აქვს. ძირი კონუსისებურია. საკმაოდ დიდი ზომის ამფორაა. მისი სიგრძე 57 სმ-ია. კედლის სისქე 1 სმ-ია. ამფორა კოლხურია, წელშეზნექილი, ჰორიზონტალურადაა ჩადგმული, პირით სამხრეთისაკენ. უინვენტაროა.

**სამარხი № 97.** კვ. $D_{11}$, სიღრმე — 55 სმ. ამფორა ბავშვის სამარხია. დაზიანებული აქვს პირი, ყელი და ტანის ნაწილი. ამფორა ადგილობრივია, კოლხური, ე. წ. ყავისფერთიხიანი, წელშეზნექილი. ჩაწვენილია ჰორიზონტალურად, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხის სიღრმე 60 სმ-ია, უინვენტარო.

**სამარხი № 98.** კვ. $D_{11}$, სიღრმე — 55 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია. ამფო-

რის კედლების ნამტვრევებს შორის აღმოჩნდა პატარა ბავშვის ძვლები. ამფორის შერჩენილი სიმაღლე 50 სმ-ია. ამფორა იმპორტულია (სინოპური?). სქელკედლიანი (კედლის სისქე 1,5 სმ-ია), უინვენტარო.

**სამარხი № 99.** კვ. $D_{11}$, სიღრმე — 60 სმ. ამფორა ძალზე დაშლილია. ადგილობრივი ამფორის კედლის და იმპორტული ამფორის ფრაგმენტები ერთმანეთშია არეული. ამ ნამტვრევებს შორის ძვლები არ დადასტურებულა (შესაძლებელია 100 სამარხშია. ეს ფრაგმენტები მიცვალებულის მარჯვენა მხარეს მთელ გაყოლებაზე დასტურდებოდა). უინვენტაროა.

**სამარხი № 103.** კვ. $D_{12}$, სიღრმე — 50 სმ. ბავშვის სამარხი. ამფორას დაზიანებული აქვს პირი, ტანი და ყელი, ასეთ მდგომარეობაში მისი სიგრძეა 80 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი. ჩაწვენილია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, პირით დასავლეთისაკენ. მისი პრეპარაციის დროს აღმოჩნდა, რომ მასში ჩადგმული იყო კიდევ ერთი ამფორა, რომელსაც ძირი და გვერდების დიდი ნაწილი აკლია. ამფორა პირით აღმოსავლეთისაკენ იყო ჩადებული. ნამტვრევებს შორის აღმოჩნდა პატარა ბავშვის ძვლები. უინვენტაროა.

**სამარხი № 104.** კვ. $D_{11}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორას დაზიანებული აქვს პირი, ყელი და ტანის ნაწილი. ასეთ მდგომარეობაში მისი ჩ — 76 სმ. ამფორა კოლხურია, წელშეზნექილი. ჩადებულია ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთისაკენ. გაწმენდის დროს აღმოჩნდა პატარა ბავშვის ძვლები. უინვენტაროა.

**სამარხი № 105.** კვ. $D_{12}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორას დაზიანებული აქვს პირის, ყელის და ტანის ნაწილი. ასეთ მდგომარეობაში მისი ჩ — 65 სმ-ია, მუცლის დ — 40 სმ. ძირი კონუსური ფორმისაა, მისი შიდა ნაწილი ხსნარითაა ამოვსებული. უინვენტაროა.

**სამარხი № 109.** კვ. $B_{11}$, სიღრმე — 55 სმ. ამფორას დაზიანებული აქვს ტანის ნაწილი. მისი სიგრძე 90 სმ-ია. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი № 111.** კვ. $D_{12}$, სიღრმე — 55 სმ. ბავშვის სამახრი. ამფორას დაზიანებული აქვს პირი, ყელი და ტანის ზედა ნაწილი, მისი სიგრძე 85 სმ-ია ამფორა კოლხურია, წელშეზნექილი. ჩადგმულია ჰორიზონტალურად, პირით დასავლეთისაკენ, უინვენტაროა.

**სამარხი № 120.** კვ. $D_{12}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორას შემორჩა პირი, ყურისა და ტანის პატარა ნაწილი. შერჩენილი ჩ — 35 სმ. უინვენტაროა.

**სამარხი № 122.** კვ. $B_{12}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, შემორჩენილი იყო ტანის ნაწილი, ჩ — 40 სმ. უინვენტაროა.

**სამარხი № 127.** კვ. $D_{13}$, სიღრმე — 60 სმ. ამფორა შედარებით კარგადაა შენახული. აკლია ძირი. ამფორის ჩ — 90 სმ. უინვენტარო.

**სამარხი № 135.** კვ. $D_{13}$, სიღრმე — 70 სმ. შემორჩენილი იყო მხოლოდ ამფორის კედლის ფრაგმენტები. ამფორა კოლხურია, წელშეზნექილი. მისი სიგრძე 40 სმ-ია. უინვენტაროა.

**სამარხი № 143.** კვ. $A_{12}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია. დარჩენილია ძირ-კედლის ფრაგმენტები. ამფორა კოლხურია, წელშეზნექილი, უინვენტარო.

**სამარხი № 161.** კვ. $B_{11}$, სიღრმე — 55 სმ. ამფორა ძალზე დაზიანებულია. ისე, რომ აღდგენა შეუძლებელია. დამხრობილია პირით სამხრეთისაკენ. შემორჩენილია შუა ტანის ნაწილი. ნაწილის სიგრძე 50 სმ-ია. ამფორის თავთან ეწყო აგურის ფილები, რომლის სიგრძეა 30 სმ. სისქე — 2,8 სმ. ამფორაში აღმოჩნდა ბავშვისა და ცხოველის (?) ძვლები, უინვენტაროა.

**სამარხი № 170.** კვ. $B_{11}$, სიღრმე — 60 სმ. ამფორა იმპორტულია, ღარა-რულტანიანი, მოწ-ითალო თიხისა, ძირმეხნექილი; ჰორიზონტალურად ჩადგმული, პირით ჩრდილოეთისაკენ. დაზიანებულია. შემორჩენილია ნაწილი, რომლის სიგრძეა 45 სმ. ამფორის შიგნით იდო მსხვილფეხა საქონლის ძვალი, უინვენტაროა.

**სამარხი № 187.** კვ. $A_{11}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, სუსტად გამომწვარი, ტანზე ჰორიზონტალურად შემოუყვება ღარები. პირით ჩრდილოეთისაკენ. ამფორაში იყო პატარა ძვლები. ამფორის შემორჩენილი ნაწილის სიგრძეა — 60 სმ. უინვენტაროა.

**სამარხი № 190.** კვ. $C_{10}$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, კარგად გამომწვარი, შემორჩენილია პირ-ყელის ნაწილები, ხოლო კედლები ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ამფორა ჰორიზონტალურად იყო ჩადგმული, პირით ჩრდილოეთისაკენ, უინვენტარო.

**სამარხი № 192.** კვ. $C_{11}$, სიღრმე — 50 სმ. ამფორა ადგილობრივია, ყავისფერთიხიანი, წელშეზნექილი, სუსტად გამომწვარი. დაშლილია. ჩადგმულია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. უინვენტაროა.

**სამარხი № 183.** კვ. $C_{11}$, სიღრმე — 45 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, ამფორაში ჩასვენებული იყო ბავშვი, რომლის თავის ქალა კარგადაა შენახული.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა სპილენძისა, თავთან. ძვ. წ. 1 საუკუნე, ცუდად დაცული.
2. სანელსაცხებლე მინისა, დალეწილი. შესაძლებელი გახდა ფორმის აღდგენა. ის ეკუთვნის პიტიუნტის სამაროვანზე ყველაზე უფრო გავრცელებული ფლაკონების, საბალზამეების ტიპს (ტაბ. LXVII,8), რომლებიც აღმოჩენილია სამარხებში: 302, 343, 403, 406, 415 და სხვა. ესაა ვიწრო, მაღალყელიანი, წელში გამოყვანილი, ზარისებრტანიანი, ძირშეღრმავებული სანელსაცხებლეები, ფლაკონები, რომლებიც III—IV სს. თარიღდებიან. ამ ხანით უნდა დათარიღდეს აღწერილი ამფორასამარხიც, მიუხედავად „ქარონის ობოლად" გამოყენებული მითრიდატე VI ევპატორის დროს სპილენძის მონეტისა.

სამაროვნის ცალკეულ უბნებზე ამფორასამარხებთან ერთად გვხვდება დასაკრძალავად გამოყენებული ადგილობრივი წარმოების დერგები (დერგებსა და ცალკეულ შემთხვევაში ქვევრებს მიცვალებულის კრემირებული ნეშტების დასაკრძალავად იყენებდნენ წებელდის სამაროვნებში).

**სამარხი № 234.** შურფი № 1, ჩ — 45 სმ. ხრეშოვანი ფენა, სამარხად გამოყენებულია დერგი (ადგილობრივი ნაწარმი) წითლად გამომწვარია. შემორჩენილია ძირისა და ქვედა კედლის ნაწილები. დერგი ორმოში ჰორიზონტალურადაა ჩაწვენილი, სავარაუდოა, რომ შუაში გადახერხილია. მისი ზედა ნაწილი არ დაფიქსირდა. მას შემოწყობილი ჰქონდა 4 ცალი მოზრდილი რიყის ქვა. სამარხის გაწმენდის დროს დიდი რაოდენობით დაფიქსირდა უსისტემოდ ჩალაგებული მოზარდი ადამიანის ძვლები, კბილები. სავარაუდოა მეორად დაკრძალვასთანაც კი გვქონდეს საქმე.

დერგის კედლის სისქე 2 სმ-ია. დერგი დამხრობილია პირით სამხრეთისაკენ.

**სამარხი № 247.** კვ. 2, 40 სმ. სიღრმეზე 246-ე სამარხიდან დაშორებულია 15 სმ. ამფორა შედარებით კარგადაა შემონახული. ზედა ნაწილი ჩალეწილია და მისი ფრაგმენტები in situ მდგომარეობაში იქვე დაფიქსირდა. ამფორა ჰო-

რიზონტალურ მდგომარეობაში ჩაუწვენიათ, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გაწმენდის დროს მასში გვხვდებოდა პატარა ბავშვის ძვლები. ამფორა წელშეზნექილია. ყელი მკვეთრად შევიწროვებულია, შედარებით დაბალი, პირვიწრო. კეცი ვარდისფრად გამომწვარი, თიხა სუფთად განლექილი, კარგად გამომწვარი, წვრილმინარევებიანი. განივკვეთში ბრტყელი ყურები მიძერწილია ყელისა და მხრების არეში. ყელის დ — 1 მ. 6,5 სმ. ჩ—95 სმ. კეცის სისქე გადანატეხში 1 სმ-ია. ამფორა სამოსურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება (ახ. წ. IV ს.).

**სამარხი № 250.** კვ. $D_3$, 40 სმ სიღრმეზე მდებარეობს, 246 სამარხიდან დასავლეთით. ამფორა ძალზე დაზიანებულია. ე. წ. ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი, მოწითალოდ გამომწვარი, ადგილობრივი წარმოებისა. ჩაუწვენიათ ჰორიზონტალურად. შემორჩენილია ქვედა ნაწილი. ამფორა დამხრობილია პირით აღმოსავლეთისაკენ.

**სამარხი № 251.** კვ. $C_1$, სიღრმე — 50 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერკეციანია. ადგილობრივი წარმოებისა. სამარხად გამოყენებულია ამფორის ქვედა ნაწილი (კარგადაა შემონახული), შემორჩენილი ჩ — 80 სმ. შუა ნაწილში საგანგებოდ ამოტეხილია 15 სმ × 13 სმ. აქვს ნახვრეტი. თიხა მინარევებიანია, მოწითალო-მოყავისფროდაა გამომწვარი. კეცის კედლის სისქე 1 სმ-ია. ამფორის დიამეტრი გადანატეხში 29,5 სმ-ია. ამფორა ჩაწვენილია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, პირით სამხრეთისაკენ. სამარხში დაფიქსირდა 5-ოდე წლის ბავშვის ჩონჩხი. შემორჩენილი იყო თავის ქალა და ქვედა კიდურების ნაწილი. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ. თავთან დაფიქსირდა საქონლის ბეჭის ძვალი (ალაპი?).

**სამარხი № 255.** კვ. $E_1$, სიღრმე — 40 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერკეციანია, წელშეზნექილი, ადგილობრივი წარმოებისა. ამფორა ჰორიზონტალურად ჩაუწვენიათ სამარხეულ ორმოში. დასაკრძალად გამოყენებული ამფორა მხრების არეში იყო გადახერხილი. გადახერხვის კვალი კარგად შეიმჩნევა. ამფორაში დაფიქსირდა მცირეწლოვანი ბავშვის ძვლები, დამხრობილი იყო პირით აღმოსავლეთისაკენ. ამფორის პირ-ყელი არ შემონახულა, გვერდისა და მხრების ცალკეული ფრაგმენტები დაფიქსირდა სამარხი ორმოს ზედა ნაწილში. ამფორის სიგრძე დაწვენილ მდგომარეობაში უდრიდა 80 სმ. თიხამინარევებიანი, ცუდად განლექილი, სუსტად გამომწვარი, კედლის სისქე გადანატეხში 1 სმ-ია. ამფორის აღდგენა არ მოხერხდა.

**სამარხი № 256.** კვ. $E_1$, h — 65 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერკეციანია, წელშეზნექილი, ადგილობრივი წარმოებისა. ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი სამარხეულ ორმოში. დაზიანებულია, აკლია ძირის ნაწილი. ამოვსებული იყო მიწასთან შერეული ღორღით კეცი მოწითალო-მოყავისფეროდ გამომწვარი. ამფორის შერჩენილი სიგრძე უდრის 70 სმ. პირით დამხრობილი იყო ჩრდილოეთისაკენ.

**სამარხი № 257.** კვ. $E_1$, სიღრმე — 65 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერკეციანია, წელშეზნექილი, ადგილობრივი წარმოებისა. ძალზე დაზიანებულია. აკლია პირ-ყელის ნაწილები. ჰორზონტალურად იყო ჩაწვენილი სამარხეულ ორმოში. კეცი ფხვიერი სუსტად გამომწვარი. შერჩენილი ჩ — 55 სმ.

**სამარხი № 260.** კვ. $C_1$, სიღრმე — 60 სმ. ხრეშოვანი ფენა. სამარხად გამოყენებული ამფორა განეკუთვნება, ე. წ. ყავისფერთიხიან და წელშეზნექილ ამფორთა ჯგუფს. ის ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია ჩაწვენილი სამარხეულ ორმოში. ამოტეხილი ჰქონდა მხრების არე (მიცვალებულის ჩასაწვენად). გაწმენდის დროს დადგინდა, რომ ის მთლიანად ამოვსებული ყოფილა ქვაღორ-

ღიანი, მიწაშერეული ფენით. ამფორის ზედაპირი ძალზე დაზიანებულია (ამოღების დროს ადგილზევე დაიშალა). ამფორა დამხრობილი იყო პირით ჩრდილოეთით. სიგრძე — 1 მ. მხრების არეში დ — 30 სმ. პირის დ — 10 სმ.

**სამარხი № 263**, კვ. $A_1$, სიღრმე — 45 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერთიხიანი, წელშეზნექილი, ადგილობრივი წარმოებისა.

ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჩაუწვენიათ სამარხეულ ორმოში. ამფორა ძალზე დაზიანებული აღმოჩნდა აკლია ძირისა და პირ-ყელის ნაწილი. ამოვსებული იყო ქვაღორღიანი, მიწაშერეული ფენით. პირით დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მასში დაფიქსირდა პატარა ბავშვის დაშლილი ძვლები. თიხა უხეში, მინარევებიანი, სუსტად გამომწვარი, ამოღების დროს ადგილზევე დაიშალა.

**სამარხი № 265**. კვ. $A_1$, სიღრმე — 50 სმ. ხრეშოვანი ფენა. ამფორა, ე. წ. ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი, ადგილობრივი წარმოებისა. ის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჩაუწვენიათ სამარხეულ ორმოში. ამფორა ძალზე დაზიანებულია. მას აკლია ძირისა და ყელ-ყურის ნაწილები. მიცვალებულის ჩასასვენებლად ამფორა თავის დროზე ვერტიკალურად გადაუხერხავთ, დაფიქსირდა პატარა ბავშვის ძვლები (თავის ქალის ფრაგმენტები). დამხრობილი იყო თავით ჩრდილოეთისაკენ. ამფორის კედლის სისქე გადანატეხში, მუცლის არეში — 1 სმ-ია. შემორჩენილი ჩ — 67 სმ.

**სამარხი № 279**. კვ. $C_3$, სიღრმე — 80 სმ. 276-ე სამარხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 80 სმ დაშორებით. ხრეშოვანი ფენა. ამფორა ძალზე ფრაგმენტულია, შემორჩენილია 34 ნატეხი: ნატეხების მიხედვით თავიდანვე დაზიანებული ქურჭელი სამარხად გამოუყენებიათ. მისი მთლიანი ფორმა ძნელად აღსადგენია. შემორჩენილია ძირისა და გვერდების ფრაგმენტები. ამფორა ძირბრტყელია, ცენტრისკენ შეზნექილი, მისი მხრების არე და გვერდები დაფარულია მოწითალო, მოყავისფრო საღებავით (რამდენიმე ფრაგმენტს შემორჩენილი აქვს საღებავის ნაღვენთები). ჭურჭლის ზედაპირი ანგობირებულია, ანგობი ღია ჩალისფერია. გადანატეხში კეცი თანაბრადაა გამომწვარი, მკვრივი, შეიცავს მსხვილ მინარევებს, თიხა მოიასამნისფეროა. ამფორა დამზადებულია სინოპური წრის თიხისაგან. ამფორა სამარხეულ ოვალურ ორმოში ჩაწვენილია ჰორიზონტალურად, პირით დასავლეთისაკენ, გაწმენდის დროს შიგნით აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის ძვლების ფრაგმენტები. ძირის დ—10.7 სმ. კეცის სისქე ძირის არეში 0,7 სმ-ია. მხრების არეში — 0.5 სმ.

**სამარხი № 287**. კვ. 1, სიღრმე — 50 სმ. 286-ე სამარხიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 მ-ის მოშორებით, ხრეშოვანი ფენა, წრიული კედლის ქვეშ მოყოლებული. ამფორა წელშეზნექილია, მოწითალოდ გამომწვარი, განეკუთვნება ადგილობრივ ნაწარმთა წრეს, ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია კედლისა და ძირის ფრაგმენტები. სამარხეულ ორმოში ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, პირით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამფორის შერჩენილი ჩ — 45 სმ-ია, კედლის სისქე — 1,5 სმ. მასში დაფიქსირდა პატარა ბავშვის ძვლის ფრაგმენტები.

**სამარხი № 289**. კვ. $F_1$, სიღრმე — 40 სმ. 286-ე სამარხიდან დასავლეთით 2 მ დაშორებით, ხრეშოვანი ფენა. ამფორა წელშეზნექილია. კეცი სუსტად გამომწვარი, მოწითალო ფერისა, ამფორა ძალზე ფრაგმენტულია (აკლია ზედა ნაწილი). ის სამარხეულ ორმოში ჩაწვენილია ჰორიზონტალურად, თავით ჩრდილოეთისაკენ. მასში დაფიქსირდა პატარა ბავშვის ჩონჩხის ფრაგმენტები. ამფორის შერჩენილი ჩ — 80 სმ.

**სამარხი № 202**. კვ. $F_1$, სიღრმე — 80 სმ. ხრეშოვანი ფენა. სამარხი აღ-

მოჩნდა 285-ე ორმოსამარხის ქვეშ, მიცვალებულის ქვედა კიდურების არეში, მის ქვემოთ 20 სმ სიღრმეზე. სამარხად გამოყენებულია, ე. წ. ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორა. ამფორა ნაკლულია. აკლია ზედა ნაწილი და ძირი. ის ადგილზევე ჩალეწილი დაფიქსირდა სამარხეულ ორმოში. ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, პირით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ამფორაში დაფიქსირდა პატარა ბავშვის ჩონჩხის ცალკეული ფრაგმენტები. შემორჩენილი ამფორის ჩ — 60 სმ-ია. კეცის სისქე 0,8 სმ-ია. ამფორის დმ — წელის არეში 27 სმ.

**სამარხი № 296.** კვ. $E_1$, სიღრმე — 40 სმ. აღმოჩნდა წრიული ფორმის კედლის ქვეშ, ქვიშის ფენაში. ამფორა წელშეზნექილია წითლად გამომწვარი, წელზემოთ ნაკლული. შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი, მიწაში ჩადგმული ვერტიკალურად. მის თავზე გადადიოდა, ე. წ. წრიული კედელი. ამფორის შერჩენილი ჩ — 50 სმ. კეცის სისქე შეზნექილ არეში 1,5 სმ-ია, დმ — 20 სმ (ტაბ. XXXV,2).

**სამარხი № 309,** კვ. $R_1$ კვ. ჩ — 70 სმ. ფენა ხრეშოვანია. ამფორა წელშეზნექილია, სუსტად გამომწვარი, ყავისფერკეციანი, ძალზე დაზიანებული. სამარხეული ორმოში ჰორიზონტალურადაა ჩაწვენილი, პირით ჩრდილოეთისაკენ. ამფორის ჩ — 85 სმ. ყელის დმ — 6 სმ-ია. შეზნექილ ადგილას დმ — 20 სმ.

**სამარხი № 329.** კვ. $R_2$, სიღრმე — 50 სმ. ხრეშოვანი ფენა (გზატკეცილის გაყოლებაზე). ამფორა წელშეზნექილი ფორმისაა, ყავისფერკეციანი ნაკლული (მიცვალებულის ჩასასვენებლად ამფორა გადაუტეხიათ მხრების არეში). სამარხეულ ორმოში ის ჩაუწვენიათ ჰორიხონტალურად, პირით ჩრდილო-დასავლეთით. მასში დაფიქსირდა ბავშვის დაშლილი თავის ქალის ფრაგმენტები. ამფორის ჩ — 68 სმ.

**სამარხი № 331.** კვ. $E_1$, სიღრმე — 40 სმ. ამფორა წელშეზნექილია, კეცი სუსტად გამომწვარი, მოყავისფრო მოწითალო ფერისა. ამფორა ნაკლულია. მიცვალებულის ჩასასვენებლად მხრების არეში გადატეხილია. სამარხეულ ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. შერჩენილი სიგრძე 80 სმ, მუცლის დმ — 18 სმ. კედლის სისქე 0,9 სმ-ია. დაფიქსირდა ჩვილ ბავშვის ჩონჩხი.

სამაროვანზე არის შემთხვევები, როდესაც ამფორასამარხი დევს საგანგებოდ მოსხმულ კირხსნარიან საფუძველზე. ასეთი ამფორასამარხი დადასტურდა № 03/10 თხრილში. სამარხად კვლავ ადგილობრივი წარმოების, ცუდად გამომწვარი მოყავისფრო, მინარევებიანი კეცის, წელშეზნექილი ამფორა გამოუყენებიათ. ამფორა დამხრობილია პირით სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე.

მართალია, ამფორასამარხების დიდი უმეტესობა III—IV საუკუნეებით დათარიღდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაკრძალვის ეს წესი დამახასიათებელია სამაროვნისათვის მისი არსებობის მთელ მანძილზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პიტიუნტში ამფორასამარხებს ადრექრისტიანულ ხანაშიც იყენებდნენ (36). ამფორების დიდი უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა, მაგრამ გვხვდება შემოტანილი ცალებიც. მათ შორის გამოიყოფა ბრტყელძირა, ე. წ. „ხარაკ-

სის ტიპის“, „ნეაპოლ სკვითურის“, III—II საუკუნეები სამოსური და გაურკვეველი ცენტრის ამფორები (ტაბ. XXXVII).

როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, ამფორასამარხების გავრცელების საზღვრები, მათი არეალი ფართოა და მთელ რომაულ სამყაროს მოიცავს, იგი ბერძნულ-რომაული ეთნოსისათვის არის დამახასიათებელი (37).

ამფორასამარხებისა და დერგსამარხების გარდა მოზარდებს, შედარებით მდიდარი ოჯახების წარმომადგენლები, კრამიტსამარხებშიც კრძალავდნენ.

კრამიტსამარხები ქმნის პიტიუნტისათვის არცთუ ისე მრავალფეროვან, მაგრამ დასაკრძალავ ნაგებობათა მეტად საინტერესო კატეგორიას, რომელსაც ასევე ბერძნულ სამყაროში ეძებნება ფესვები. ისევე როგორც ამფორასამარხები, კრამიტსამარხები ადრექრისტიანულ ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ისინი პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობის შედარებით მაღალი ფენის წარმომადგენლებს შეიძლება დავუკავშიროთ.

## კრამიტსამარხი

პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილია ცამეტი კრამიტსამარხი: (№№ 22, 26, 40, 51, 92, 206, 224, 239, 240, 258, 271, 272. 308), რომლებიც (ტაბ. XLIII; XLIV) საქალაქო მოსახლეობის გარკვეული სოციალური პოზიციების მქონე ფენების წარმომადგენლებს უნდა ეკუთვნოდეს. დაკრძალვის აღნიშნული წესი, ისევე, როგორც ამფორასამარხები, ბერძნულ ეთნოსთან არის დაკავშირებული (38). ბერძნულ სამყაროში ისინი ძვ. წ. V საუკუნეში ჩნდება, ელინისტური ხანიდან დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებშიც გავრცელდა. გვიანანტიკურ ხანაში კრამიტსამარხები, ხშირად მდიდრული, წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, მცხეთაში, სადაც გვხვდება ბავშვების დაკრძალვის შემთხვევებიც.

ბიჭვინთის სამაროვანზე გათხრილი, ე. წ. ბრტყელი კრამიტებით ნაგები, სამარხების ერთი ნაწილი საგრძნობლად დაზიანებულია და გაძარცვული. მიცვალებულებს კრძალავდნენ თავით დასავლეთით, ზოგჯერ ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ერთ შემთხვევაში დაფიქსირებულია სამხრეთ-დასავლეთი ორიენტაციაც. კრამიტების დიდი უმეტესობა ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული. მათი ზომებია 46 სმ$\times$17 სმ$\times$2,5 სმ, გვხვდება შედარებით დიდი, 50 სმ სიგრძის კრამიტებიც. კრამიტსამარხები სახლის თავისებურ იმიტაციას წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ კრამიტსამარხებისათვის ადრე მშენებლობაში გამოყენებულ მასალას ხმარობდნენ, რადგან ზოგიერთ კრამიტზე გვხვდება კირხსნარის კვალი. ისევე როგორც პიტიუნტის გვიანანტიკური ხანის სამაროვნის სხვა ტიპის სამარხები, კრამიტსამარხებიც ინვენტარიანი და უინვენტაროა, თარიღდება III—IV საუკუნეებით.

ჩანს, პიტიუნტში საკმაო რაოდენობით ამზადებდნენ სამშენებლო მასალებს (ტაბ.. XLV), მათ შორის ბრტყელ და ღარიან კრამიტებს, რომლებიც გარდა მშენებლობისა სამარხებისთვისაც გამოიყენებოდა. განვიხილოთ პიტიუნტის სამაროვანზე გათხრილი ზოგიერთი კრამიტსამარხი.

**სამარხი № 240.** კვ. $P_2$, სიღრმე — 60 სმ. ხრეშოვანი ფენა. 239 კრამიტსამარხიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,70 მ დაშორებით. სამარხი ძალზე დაზიანებულია. დაფიქსირებული იყო კრამიტსამარხის კრამიტყრილი (კრამიტები არეულია). სამარხის გასაწყობად გამოუყენებიათ ადგილობრივი კრამიტები, ისეთივე, როგორც ეს დადასტურდა 239-ე სამარხში. კრამიტყრილის სიგრძე 75 სმ. სიგანე—60 სმ. მისი აღების შემდეგ აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი, რომლის შემორჩენილი სიგრძე 80 სმ-ია. ჩონჩხის ფრაგმენტები დაფიქსირდა აგრეთვე კრამიტყრილის გარეთა მხრიდან, კერძოდ, თავის ქალის ფრაგმენტები. ჩანს სამარხი ძველთაგანვეა გაძარცვული. ჩონჩხის ძვლების განლაგების მიხედვით შესაძლებელი გახდა მიცვალებულის პოზის დადგენა მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

**სამარხი № 258.** კვ. $E_1$, სიღრმე — მიწის ზედაპირიდან კრამიტის ზედაპირამდე 40 სმ, ხოლო მიწის ზედაპირიდან ჩონჩხამდე (კრამიტის ძირამდე) — 55 სმ. ხრეშოვანი ფენა.

სამარხი ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია მის მოსაწყობად გამოყენებული ოთხი კრამიტი, სამარხის სამხრეთ ნაწილში (ქვედა კიდურებთან). მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხის ზომებია: სიგრძე 80 სმ. სიგანე 55 სმ. ერთ-ერთი კრამიტის (ფეხებთან ჩადგმული) ზომებია: სიგრძე 50 სმ. სიგანე 20 სმ. კეცის სისქე: 2—2,5 სმ. სიმაღლე აკეცილ ნაწილში 6 სმ. სამარხში დაფიქსირდა საქონლის დამწვარი ძვლები (აღაპის კვალი?).

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. „ჭიკარტები" რკინისა, 60 ც. ქვედა კიდურების ორივე ტერფის არეში. სანდლების მოჭედილობა. იმავე სახისა, როგორიც გვხვდებოდა ორმოსამარხებში და კირხსნარიან საფლავებში.

**სამარხი № 271.** კვ. $B_1$ და $B_2$ საზღვარი, სიღრმე — 83 სმ. 270-ე სამარხიდან 48 სმ-ის მოშორებით. სამარხეული ორმოს ერთ გვერდზე ვერტიკალურად ჩადგმული იყო ორი გვერდებაკეცილი კრამიტი, მეორე გვერდზე დაფიქსირდა აგურის 3 ფრაგმენტი. კრამიტების ზომებია: 1. სიგრძე — 30 სმ, სიგანე — 14 სმ, აკეცილი კვერდის ჩ — 5 სმ, სისქე — 1,5 სმ. 2. სისქე — 5 სმ, სიგრძე —18 სმ, სიგანე—12 სმ. აგურის ზომებია: 1. სისქე—5 სმ, შერჩენილი ნაწილების ჩ — 10 სმ, 2. აგურის სისქე—5 სმ. შერჩენილი ნაწილის ჩ — 20 სმ. მას აზის ხელოსნის ნიშანი — ორი ვერტიკალურად განლაგებული ამოღარული ზოლი. სამარხში დაფიქსირდა პატარა ბავშვის ძვლები. მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

**სამარხი № 272.** კვ. $C_1$ და $D_1$ საზღვარზე. სამარხის დიდი ნაწილი $C_1$ კვ-ში გადადის 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი ძალზე დაზიანებულია. გაწმენდის დროს დაფიქსირდა გვერდებაკეცილი კრამიტების უსისტემო ნაყარი. ამ ნაყარის კონტურები მრგვალი ფორმისაა. მისი პერიმეტრი უდრის 2,60 მ. ნაყარის სისქეა — 50 სმ. სიგანე — 80 სმ. სამარხის ზუსტი კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა. ჩონჩხის ცალკეული ფრაგმენტები მიმოფანტული აღმოჩნდა კრამიტყრილში. სამარხი გაძარცვულია.

**სამარხი №** 06-1. სიღრმე — 21 სმ. კრამიტები (სოლენი) ჩადგმულია თავთან და ფეხებთან. კრამიტებზე შერჩენილია კირხსნარის ნაშთები. ჩონჩხი კარგად არის შემონახული. მისი სიგრძეა 1,80 მ. მიცვალებული დაუკრძალავთ გა-

შოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. ხელები მუცლის არეში აქვს დაწყობილი, უინვენტაროა.

**სამარხი № 03—4.** აღმოჩნდა 40 სმ-ის სიღრმეზე. ბავშვის ჩონჩხზე ზემოდან იდო ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტი (სოლენი). სიგრძე 50 სმ. სიგანე თავთან — 40 სმ-ია, ძირთან — 32,5. მ-სი აკეცილი გვერდის სიმაღლე 6 სმ-ია, სისქე — 3 სმ. ჩონჩხი დაზიანებულია. შემორჩენილია ქვედა კიდურების ფრაგმენტები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სანელსაცხებლე მინასა (ფლაკონი), 3 ცალი, ვიწრო და მაღალყელიანი, ტანი ბრტყელი, ძირი ოვალურად შეზნექილი, ორი პირმომტვრეულია.

## მ ხ ე დ რ ე ბ ი ს ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი

(№№ 53, 61, 63, 128, 142, 167, 168, 193, 347, 374).

პიტიუნტის სამაროვანზე დაფიქსირებულია ათი შემთხვევა ორმოსამარხების აღმოჩენისა, სადაც მიცვალებულებთან ერთად მათი ცხენებიცაა დაკრძალული, ერთ შემთხვევაში, ცხენთან ერთად, ძაღლის ჩონჩხიც აღმოჩნდა (სამარხი № 53).

**სამარხი № 167.** სამაროვნის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთი პერიფერია, ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე, ხირხიტოვან-ქვიშნარ ფენაში. მიცვალებული დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ხელები დაკრეფილი აქვს მუცლის ქვემოთ, ფეხები გაშლილია. მისგან 1 მეტრის დაშორებით დაუმარხავთ ცხენი, რომელიც თავით მიმართულია ცხედრისაკენ. სამარხეული ორმო ოვალურია. ცხენის კიდურები მოკეცილია. დაწვენილია მარჯვენა გვერდზე. ნაწილობრივ დაზიანებულია.

**სამარხი № 168.** კვ. 11, სამაროვნის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო პერიფერია, ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე ხირხიტოვან-ქვიშნარ ფენაში. მიცვალებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. ჩონჩხი კარგადაა შემონახული. მარცხენა ხელი დაკრეფილი აქვს მკერდზე, მარჯვენა — მუცლის ქვემოთ. ჩონჩხის სიგრძე 1.60 მ-ია. ცხენი დაკრძალულია გვერდით, დასვენებულია თავით ჩრდილოეთისაკენ, კიდურები მკვეთრად აქვს მოხრილი. მისი სიგრძე 193 სმ-ია.

**სამარხი № 347.** სამარხი კირხსნარიანია, მდებარეობს სამაროვნის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ახალი გზის კიუვეტიდან 2 მეტრზე ჩრდილოეთით, დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე, ე. წ. IV თხრილიდან 2 მ-ის დაშორებით დასავლეთის მხარეს (ტაბ. LII,2) 0,76 მ-ის სიღრმეზე, ხირხიტოვან-ქვიშნარევ ფენაში. მიცვალებული იწვა გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი. ჩონჩხის საერთო სიგრძე 1,66 მ-ია. თავის ქალასთან მარჯვენა მხრის არეში აღმოჩნდა, ე. წ. „ხახვისთავიანი" ტიპის შვილდსაკინძი (ტაბ. LV,4), რომელიც მრავალი ანალოგიით IV საუკუნით თარიღდება. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ამ ხანას მივაკუთვნოთ სხვა, პიტიუნტში აღმოჩენილი ცხენიანი, უინვენტარო სამარხებიც. საერთოდ ამ ტიპის სამარხები არ არის უცხო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისათვის, მათ შორის, ბოსფორის სამეფოსთვისაც. გორგიპიაში გათხრილია IV საუკუნის სამარხი, რომელშიც ცხენთან ერთად, დაკრძალულია ალანი მხედარი (38). ასე-

თივე სამარხები გათხრილია ნიმფეის, კეპისა და ფანაგორიის სამაროვნებზე და ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია ბარბაროსულ სამყაროსთან (39). ცხენიანი სამარხები არ არის დამახასიათებელი ამ რეგიონის გვიანანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული მოსახლეობისათვის (40). ზოგიერთი სპეციალისტი ამ ტიპის ცხენიან სამარხებს ჰუნებს უკავშირებს (41), მაგრამ უფრო სწორი ის მოსაზრება უნდა იყოს, რომლის თანახმადაც ჰუნების მიერ განადგურებული სარმატ-ალანთა ტომების ნაწილობრივი განსახლება მოხდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისაკენ. შესაძლოა, სწორედ ამ სამყაროს ეკუთვნის ბიჭვინთის ნეკროპოლზე აღმოჩენილი ცხენიანი სამარხებიც, ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებსაც ეკუთვნოდეს, რადგან წებელდის სამაროვანზე (42), ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, ცნობილია ცხენის დაკრძალვის შემთხვევები მხედართან ერთად.

სპეციალისტების აზრით, ჰუნები ტამანზე 80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდნენ, ხოლო 395 წელს ამიერკავკასიაზე გავლით შეიჭრნენ რომის მცირეაზიურ სამფლობელოებში (43)*.

## კრემაციული ორმოსამარხები

პიტიუნტის სამაროვანზე გათხრილია შვიდი კრემაციული სამარხი, რომელთაგან ერთია ინვენტარიანი. დადასტურებულია მიცვალებულის როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი კრემაციის ფაქტი, მათ შორის ადგილზე, სამარხეულ ორმოში. რომაულ სამაროვნებზე ახ. წ. I—II საუკუნეებში კრემაცია საკმაოდ გავრცელებულია (44), მაგრამ მომდევნო საუკუნეებში მათი პროცენტული შეფარდება სხვა ტიპის სამარხებთან მნიშვნელოვნად მცირდება. პიტიუნტის სამაროვანზეც III—IV საუკუნეებში კრემაციული სამარხების რიცხვი ინჰუმაციურებთან შედარებით ბევრად ნაკლებია. ეჭვს გარეშეა ისინი თანაარსებობენ სხვა სახის სამარხებთან ერთად, რაც მარტო ძველი ეთნოკულტურული ტრადიციების მაჩვენებელი არ უნდა იყოს, რადგან ეს წესიც გარკვეულ ხარჯებს მოითხოვდა.

კრემაცია, როგორც ცნობილია, ინჰუმაციასთან შედარებით ბევრად ძვირი უჯდებოდა ჭირისუფალს. ეს წესი არ იყო უცხო ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც, რაც წებელდის სამაროვნის მაგალითიდანაც ჩანს (45).

**სამარხი № 208.** ცენტრალური თხრილი. ხირხიტოვან-ქვიშანარევ ფენაში; ზედაპირიდან 55 სმ სიღრმეზე, ნახევარწრიული კედლის ქვეშ, ოვალურ სამარხეულ ორმოში აღმოჩნდა უსისტემოდ ჩაყრილი, ნახევრად დამწვარი, მოზრდილი ადამიანის შერუჭული ძვლები, ნახშირის კვალი (მუხა?).

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მონეტა სპილენძისა, III საუკუნე.
2. სადგისები, თუ თმის სამაგრები ძვლისა — 10 ცალი.
3. „ჰიკარტები" სანდლების მოჭედილობა, რკინისა.
4. ლურსმნები რკინისა — 6 ცალი.

---

* აზიური ბოსფორის ქალაქები და დასახლებანი ჰუნებს გაუნადგურებიათ IV ს. მეორე ნახევარში. დაწვრილებით იხ. Кругликова И. Т., Боспор в позднеантичное время, М., 1966, с. 21; Сокольский Н. И., Гунны на Боспоре, SCPA, Budapest, 1968, с. 251—261.

პიტიუნტი ცნობილია, როგორც ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი კერა (46), პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილი (47). საკმარისია ითქვას, რომ საეკლესიო-საისტორიო, მათ შორის ქართულ-აფხაზური ტრადიციით აქ სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ ანდრია მოციქული, კონსტანტინოპოლის პირველი პატრიარქი (48) და სიმონ კანანელი (ხანაანელი). როგორც ჩანს, III საუკუნეში აქ უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რომელშიც გარდა ლეგიონერებისა, კანაზეს მშვიდობიანი, სამოქალაქო მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მათ უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის სამაროვანზე დაფიქსირებული უინვენტარო ორმოსამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით დასავლეთით, ყოველგვარი ინვენტარის გარეშე. გარდა ამისა, სამაროვნის ძირითადი თხრილის ცენტრალურ ნაწილში, წრიული ნაგებობის კედლის ნაშალში, აღმოჩნდა ადგილობრივი ქვიშაქვის მონოლითისაგან (49) დამზადებული სტელა (ტაბ. LXXVI სურ.4). სტელას ძირი მოტეხილი აქვს. ჩანს, აკლია ერთი მცირე ნაწილი, რომელსაც ვერსად მივაკვლიეთ. მისი შერჩენილი მაქსიმალური სიგრძეა 73.7 სმ. სიგანე — 30 სმ. მონოლითის ზედა ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა 2.5 სმ სიღრმის ფოსო 13.4 სმ×7 სმ ზომისა, რომელშიც. თავის მხრივ, თავისებური ბუდეა გაკეთებული 11 სმ×4.5 სმ, რკინის ჯვრის ჩასადგმელი. მართალია, რკინის ჯვარი ნაწილობრივ შემორჩა მაგრამ კოროზიის გამო მკვეთრად აღბეჭდილია ბუდეში, რაც გვაძლევს მისი მთლიანი ზომის პროპორციის დადგენის საშუალებას (სურ. 2. ტაბ. LXXVI). ჯვრიანი ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ ღარიანი 0,7 სმ სისქის კრამიტის ნაჭრისაგან გამოჭრილი სპეციალური 13 სმ×7 სმ ზომის სარქველით (ტაბ. LXXII.4). რომელიც კირხსნარით გადაულესავთ. ცხადია, სტელის შემკვეთსაც და მის დამამზადებელ, არც თუ ისე მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხელოსანს არაპროფესიონალ ოსტატს, განსაზღვრული სავსებით გასაგები მისწრაფება ამოძრავებდათ. მათ უცხო თვალისაგან, უთუოდ წარმართებისაგან. უნდა დაეცვათ, დაემალათ ჯვარი, ქრისტიანული სიმბოლიკა, თავისი იდეით დაკავშირებული ქრისტეს მოწამებრივ სიკვდილთან. თავის დროზე სტელა იქნებ ფარული ქრისტიანის სამარხზეც ყოფილიყო აღმართული.

შემდეგ. როგორც სამშენებლო მასალა. მოხვდა უცნობი დანიშნულების მდარე ნაგებობის წრიულ კედელში, ისე რომ მშენებლობისათვის მისი საიდუმლო არც გამხდარა ცნობილი.

სტელის დათარიღების საშუალებას გვაძლევს თავად ჯვრის ფორმა, ჩვენში საკმაოდ იშვიათი, რომელიც მცირეაზიული და სხვა ანალოგიების საფუძველზე ახ. წ. IV საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ (50). ამასთან, მასთან საკმაოდ ახლოს დგას ბიჭვინთის სატაძრო კომპლექსის გათხრისას (51) მარმარილოზე გამოყვანილი ასევე IV ს. ჯვარი (ტაბ. LXXVI.3). ნიშანდობლივია, რომ სტელაში ჩასმული ჩვენი ჯვარი განსხვავდება აფხაზეთში აღმოჩენილი ადრებიზანტიური V—VI საუკუნეების ჯვრებისაგან (52), რაც მისი ადრეულობის კიდევ ერთ საბუთად მიგვაჩნია.

ჯვრიანი სტელების აღმართვა უცხო არ ჩანს საქართველოსთვის (53). სტელის დათარიღებას საჭიროა კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინებაც, ე. წ. „მილანის ედიქტის" მიღების შემდეგ. ახ. წ. 313 წელს

კონსტანტინე I დიდის განკარგულებით შეწყდა ქრისტიანების დევნა რომის იმპერიის საზღვრებში (54). ეს სავალდებულო იყო ბიჭვინთისათვის, სადაც 325 წლისთვის უკვე არსებობს საეპისკოპოსო კათედრა, რომლის მწყემსმთავარი „ეპისკოპოსი სტრატოფილე“ მონაწილეობს ნიკეს I მსოფლიო კრებაში. ეს ნიშნავს: 1. ამ დროისთვის მოხდა ქრისტიანული თემის ლეგალიზაცია პიტიუნტში, მისი ორგანიზაციული განმტკიცება. 2. შექმნილი საეკლესიო ეპარქია, პიტიუნტის საეპისკოპოსო, დაემორჩილა ნეოკესარიის მიტროპოლიტს, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს (55).

რადგან საეპისკოპოსო კათედრები მხოლოდ ქალაქებში არსებობდა (56), ამ დროისათვის, ე. ი. IV საუკუნის დასაწყისისათვის, ეჭვგარეშეა პიტიუნტის სტატუსი. საქალაქო ქრისტიანული თემი ფლობდა მიწის ნაკვეთებსაც (57), სადაც იგებოდა ტაძრები და, სადაც V—VI საუკუნეებიდან ცალკე იკრძალებოდნენ ქრისტიანები. სტელა დიოკლეტიანეს ეპოქას უნდა მივაკუთვნოთ.

## § 3. სამარხების ტიპები, დაკრძალვის წესები და ინვენტარი

პიტიუნტის სამაროვანზე, რომლის ფართობი 4 ჰექტარს აღწევს დაფიქსირებულია დაკრძალვის ორი ძირითადი წესი, ინჰუმაცია ორმოსამარხებში და შედარებით იშვიათი კრემაცია. გამოიყოფა სამარხის 8 ტიპი. (ცხრილი II. III).

ცნობილია, რომ ამა თუ იმ სამარხის ტიპი, ესა თუ ის დაკრძალვის წესი, დასაკრძალავი ინვენტარი, ჩვეულებრივ, მჭიდროდ არის ხოლმე დაკავშირებული არა მარტო გარკვეული ეთნოსის, არამედ მისი ცალკეული კლასებისა თუ სოციალური ჯგუფების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, რაც შეადგენს იდეოლოგიის ყველაზე უფრო კონსერვატიულ ფორმას. მისი ცალკეული ელემენტების შეცვლაც ხშირად დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პიტიუნტის ნეკროპოლიც, რადგან აქ დაკრძალული პროვინციული ციხე-ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლები ორი ეპოქის მიჯნაზე, წარმართობის დაკნინებისა და ქრისტიანობის აღზევების ურთულეს ეპოქაში ცხოვრობდნენ. ქრისტიანობისათვის შემდგომში კანონიკურ წესებს, ჯერ კიდევ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში ჰქონდა საფუძველი ჩაყრილი. ჩვენი სამაროვნის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ III—IV საუკუნეებში სამარხებში უკვე მნიშვნელოვნად არის შემცირებული დასაკრძალავი ინვენტარი და შესამჩნევია გაბატონებული ტენდენცია მიცვალებულების გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით დაკრძალვისა. ჯერ კიდევ III საუკუნეში, პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობაში, ვრცელდება ქრისტიანული რელიგია. არსებობს ფარული ადრექრისტიანული თემი. ეს გარემოება კარგად დასტურდება აღწერილი ქვის სტელითაც. ამ დროს ქრისტიანებს ჯერ კიდევ არა აქვთ გაწყვეტილი კავშირი წარმართულ სამყაროსთან, ისინი კვლავ იკრძალებიან წარმართულ სასაფლაოზე და მათი მკვეთრი გამიჯვნა, როგორც ჩანს, V—VI საუკუნეებიდან იწყება. პიტიუნტის, როგორც ციხე-ქალაქის ცხოვრება სიძნელეებით ყოფილა აღსავსე. მისი სამოქალაქო მოსახლეობა ორჯერ გამხდარა კატასტროფული თავდასხმის მსხვერპლი. ამ ეპოქას, III ს. შუა ხანები

და IV საუკუნის 80-იანი წლები, უკავშირდება „ძმათა სასაფლაოები" — ერთ დიდ ორმოში უწესრიგოდ ჩაყრილ მოკლულთა ძვლები, მათ შორის ბავშვებისა. 1986 წელს გაითხარა 318-ე ხსნარიანი, უინვენტარო ორმოსამარხი, რომელშიც აღმოჩნდა უსისტემოდ ჩაყრილი ძვლები და სამი თავის ქალა. სამარხებია დიდი უმეტესობა ინდივიდუალურია. პიტიუნტი, ისევე, როგორც ბერძნულ-რომაულ სინქრონულ ნეკროპოლებს, ახასიათებს სამარხეული ტიპების ერთგვარი მრავალფეროვნება, რაც ჩვენს შემთხვევაში, უპირატესად, სოციალური ასპექტით უნდა აიხსნას და არა მაინცდამაინც გარდაცვლილთა ეთნიკური სხვაობით. გაბატონებულია ინჰუმაციური, ჩვეულებრივი ან დუღაბიანი ორმოსამარხები. ჩვენ მიერ 1984—1988 წლებში გათხრილია ამ ტიპის 225 საფლავი, რომელთა შორის 126 ინვენტარიანია. ორმოსამარხთა ერთ-ერთ სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ, ე. წ. კირხსნარიანი საფლავებიც, რომელთა რიცხვი 117-ს აღწევს, აქედან 44 უინვენტაროა. სამარხეულ ორმოში ჯერ ეწყობოდა „ბეტონის", ქვანარევი კირხსნარის „სარეცელი", რომელზედაც იდგმებოდა ხის კუბო ან პირდაპირ დააწვენდნენ ცხედარს და ამის შემდეგ კვლავ ფარავდნენ დუღაბის, კირხსნარის სქელი ფენით, რადგან სხვაგან ანალოგიური წესი არ დასტურდება, შეიძლება ის პიტიუნტისათვის სპეციფიკურად ჩავთვალოთ. ჩანს, პიტიუნტელები ამ წესის გამოყენებით ცდილობდნენ მიცვალებულები (სამარხები) დაეცვათ ნესტისა და გრუნტული წყლების დამანგრეველი ზემოქმედებისაგან. ინვენტარიანი და უინვენტარო ორივე სახეობის ორმოსამარხები დაკრძალვის წესებით ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან, ამიტომ სიოციალურადაც და ეთნიკური თვალსაზრისითაც ისინი ერთ გარკვეულ, ერთმანეთთან ახლოს მდგომ ჯგუფებს. კერძოდ, პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობის საშუალო ფენებს უკავშირდებიან. საინტერესოა მიცვალებულთა დამხრობის ერთმანეთთან შეჯერებაც. ორმოსამარხების ორივე ტიპში ასეთი სურათია: ინვენტარიან ორმოსამარხებში, თავით დასავლეთისაკენ, ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალულია 43, უინვენტაროში — 35, აღმოსავლეთისაკენ — შესაბამისად 9 და 10 (იხ. ცხრილი III). მათ გვერდით ხშირია, ე. წ. ამფორასამარხები, რომლებშიც ბერძნული ტრადიციის თანახმად ჩვილ ბავშვებს კრძალავდნენ რომაულ ხანაშიც. პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილია ადგილობრივი და იმპორტული წარმოშობის II—IV საუკუნეებით დათარიღებული სამარხად გამოყენებული 66 ამფორასამარხი, რომელთა შორის, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ერთია ინვენტარიანი. პიტიუნტის სამაროვანზე აღმოჩენილი ამ ტიპის სამარხები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამხედრო პირებთან ერთად აქ სამოქალაქო მოსახლეობა, ოჯახებიც ყოფილა წარმოდგენილი (სამაროვნის ფართობი 4 ჰექტრამდე აღწევს, რაც სავსებით შეეფერება პატარა ქალაქს). მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებია II საუკუნის ბოლოდან IV საუკუნე.

სამაროვანი დაკავშირებულია პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებთან.

მათ შორის, როგორც ჩანს, ჯარისკაცებიც არიან. თვალშისაცემია მიცვალებულთათვის ჩატანებული სამარხეული ინვენტარის შეზღუდულობა და ერთგვარობა. სხვა გვიანანტიკური ბერძნულ-რომაული სამაროვნებისაგან განსხვავებით, შეიმჩნევა ერთი თავისებურებაც, აქ საერთოდ არ არის წარმოდგენილი ჰრაქები, სანათურები, რომლებსაც გარკვეული ადგილი ეკავათ ელინურ-რომაული დაკრძალვის წესებში.* ეს მაშინ, როდესაც ალექსანდრიული, სა-

* D. M. Baily. Greek and Roman pottery lamps, London, 1963, p. 12.

მოსური, ადგილობრივი წარმოების III—IV საუკუნეების ჭრაქები არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ბიჭვინთის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში. ეს მეტად საინტერესო გარემოება ჯერჯერობით აუხსნელია.

დასაკრძალავი ინვენტარის შემცირება და მერე მასზე საერთოდ უარის თქმა მხოლოდ ქრისტიანული რელიგიისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. პიტიუნტის სამაროვნის მასალებით ეს პროცესი III—IV საუკუნეებში დაწყებულა და ჩანს უკვე შემდეგ დაუკანონებიათ ქრისტიანებს.

პიტიუნტის სამაროვანზე III—IV საუკუნეებში გავრცელებული ჩანს მიცვალებულთა დაკრძალვა რკინის ლურსმნებით დაჭედილ ხის ყუთებში. რკინის ლურსმნები ნაპოვნია 96 სამარხში. მათ შორის კრემაციულებშიც და ინჰუმაციურებშიც, აქედან 73 მოდის ინვენტარიანებზე. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა სანდლების მოსაჭედი მოკლე, ბრტყელთავიანი ლურსმნების გავრცელება სამაროვანზე. ისინი ფიქსირებულია 43 სამარხში, აქედან 35—ინვენტარიანში. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებულ სამაროვნებზე ეს „ჭიკარტები" არ გვხვდება. ისინი, ისევე როგორც ხის კუბოები, ქალაქის მოსახლეობისათვის, კერძოდ, პიტიუნტისათვის ჩანს დამახასიათებელი. ბიჭვინთის სამაროვანზე ისევე, როგორც მთელ რომაულ სამყაროში, სადაც საჭურველს უფრთხილდებოდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ, იარაღი იშვიათად გვხვდება. II—IV საუკუნეებში მას საფლავში თითქმის არ ატანდნენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

სამაროვანზე გამოვლენილი დასაკრძალავი ინვენტარი, რომელიც თავისთავად მოითხოვს მონოგრაფიულ შესწავლას, შეიძლება პირობით ორ კატეგორიად დავყოთ. პირველში შედის ტანსაცმელთან, მიცვალებულის ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული ნივთები, მეორეში კი—სამარხში სპეციალურად ჩაყოლებული საგნები. ხშირად, სამარხებში გვხვდება მხოლოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, სასარტყლე ბალთები ან მოსასხამის შესაკრავი საკინძები — ფიბულები, ფეხსაცმლის ლანჩის რკინის დეტალები. ქალთა სამარხებში დაფიქსირებულია თმის, ნაწნავების სამაგრი, ძვლის საკინძების აღმოჩენის ფაქტი (ტაბ. LXXV,1—12). სამკაული, რომელსაც სიცოცხლეში ატარებდა დაკრძალული, წარმოდგენილია ბრინჯაოს სამაჯურებით, საყურეებით, გულსაკიდებით და მრავალფეროვანი მძივებით, რომელთა შორის გამოირჩევა ქარვისა და გიშრის ნაწარმი. სამკაულების დიდი ნაწილი ბრინჯაოსა და რკინისგან არის დამზადებული, რაც მოსახლეობის დაბალი ფენებისთვისაა დამახასიათებელი. აქ იშვიათია ოქრომჭედლობის ნიმუშები—ოქროსა და ვერცხლის სამკაულები (ოქროს მცირე ნივთები მხოლოდ ათიოდე სამარხშია ნაპოვნი). დაკრძალვის ბერძნულ-რომაულ რიტუალს უკავშირდება მიცვალებულისათვის პირში მონეტის ჩადების წესი (ტაბ. XXXVIII). ე. წ. „ქარონის ობოლი". მონეტები დაფიქსირებულია 52 სამარხში. მიცვალებულს როგორც წესი, აქ ატანდნენ მინის, ე. წ. საცრემლეებს, ფლაკონებს, რომლებშიაც ზოგჯერ ბლანტი სითხე, წყალნარევი ზეთია შემორჩენილი ჩვეულებრივ, მინის ჭურჭელი მიცვალებულის მხართან არის ხოლმე ჩადგმული. თუმცა, კანონიკურად მკაცრად განსაზღვრული ადგილი III—IV საუკუნეების სამარხებში მათ თითქოს არ აქვთ (არის შემთხვევები კუბოს გარეთ მათი ჩადებისა). ისევე როგორც თიხისა. კენჭით პირდაცობილ დოქებს, რომლებშიც ღვინო ან უფრო წყალი უსდა ყოფილიყო. თიხის ჭურჭელი გვხვდება სამარხის სხვადასხვა ადგილას როგორც თავთან, ასევე მიცვალებულის ქვედა კიდურებთან, გვერდზე და სხვ.

ზოგჯერ ისინი სპეციალურად გაუტეხიათ. ჩანს, შესრულებულია მაგიური წესი — კვდება პატრონი, კვდება მისი ნივთი. ეს გარემოება დასტურდება სამარხში ჩაყოლებული დამტვრეული ვერცხლის სარკეების მაგალითითაც. პიტიუნტის სამაროვნისათვის, ისევე როგორც მის თანადროულ სამარხებისათვის მთელ რომის იმპერიაში დამახასიათებელია პატარა ცალყურა ან უყურო კოჭობები შებოლვის კვალით. ჩანს, რომ მათი მეშვეობით სრულდებოდა მიცვალებულის განწმენდის წესი, სურნელოვანი ფისისმაგვარი ნივთიერების კმევა მიცვალებულის თავთან. საერთოდ, პიტიუნტის სამაროვნების დამახასიათებელი ნიშანია მინის ჭურჭლის შედარებით სიმრავლე და კერამიკური ნაწარმის ასორტიმენტის შეზღუდულობა. ესაა მინის ჭურჭელი, სხვადასხვა ტიპის, თავისუფალი ბერვითა თუ ყალიბებში დამზადებული ფლაკონები, ე. წ. საბალზამეები, რომელთა ერთი ნაწილი თავად ციხე-ქალაქის სახელოსნოებში უნდა იყოს დამზადებული. ცხადია, ეს არ გამორიცხავს მინის ნაწარმის იმპორტსაც. ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მინის სუფრის ჭურჭელი, სხვადასხვა ტიპის სასმისები კარგად ჩანს წებელდის (IV—VI საუკუნეები) მაგალითიდანაც (58), რომლის მთავარი მომწოდებელი, ამ შემთხვევაში, სებასტოპოლისია. მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ მინის უჩვეულო სიუხვეს წებელდის სამაროვანზე. რაც, როგორც აღვნიშნეთ, უფრო ადრე დამახასიათებელია II—IV საუკუნის ბიჭვინთისთვისაც.

წებელდაში ადგილობრივ მოსახლეობაში, ცხადია, რომაელთა ზეგავლენით, ფართოდ ვრცელდება მინის ნაწარმი, რაც, თავის მხრივ, სტიმულს აძლევდა მის წარმოებას არა მარტო ტრადიციულ ცენტრებში (სირია და სხვ.), არამედ სებასტოპოლისსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სახელოსნოებს. წებელდა-ბიჭვინთაში ქრონოლოგიური სხვაობის გარდა, თვალშისაცემია განსხვავება ჭურჭლის ასორტიმენტსა და ტექნოლოგიაში. ბიჭვინთის სამაროვანზე, მაგალითად, ნაქალაქარის კულტურული ფენებიდან განსხვავებით, არ გვხვდება, ე. წ. ლურჯხალიანი მინა. ამ ტიპის ჭურჭელი, რომაული მინის სპეციალისტების აზრით, ჩნდება დაახლოებით 350 წლისთვის და ფართოდ გავრცელდა, მაგალითად, პანონიაში IV საუკუნის მესამე მეოთხედში. ამ ტიპის ჭურჭელი არსებობს V საუკუნის დასაწყისამდე (58).

პიტიუნტის სამაროვანზე წარმოდგენილი ინვენტარი, რომელიც თავსდება II—IV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, პირდაპირ ანალოგიებს პოულობს ბერძნულ-რომაულ სამყაროში, მათ შორის მეზობელი ქვეყნების, ბოსფორისა და ქერსონესის, მცირე აზიის პროვინციების და სხვ. მატერიალურ კულტურაში, რაც ვფიქრობთ, ადასტურებს ჩვენი ეთნოკულტურული ატრიბუციის სისწორეს. პიტიუნტის სამაროვანი ეკუთვნის ქალაქის ბერძნული მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებს, ციხე-ქალაქის გარნიზონის ჯარისკაცებს, წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს, მათი ოჯახის წევრებს, ბავშვებსა და ქალებს.

ცხრილი II

**ბიჭვინთის სამაროვნის სამარხთა ტიპები**

(1984 - 1988) წლების განათხარი)

| №. | სამარხთა ტიპები | რაოდე-ნობა | რაოდე-ნობა % | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ორმოსამარხები, ინვენტარიანი | 124 | 28, 5 | სულ სამაროვანზე გათხრილია 439 სამარხი. |
| 2 | ორმოსამარხები. უინვენტარო | 100 | 23 | აღნიშნულ ჯგუფშია შეტანილი, ქვალოდიანი უინვენტარო ორმოსამარხი. |
| 3. | კირხსნარიანი ორმოსამარხები, ინვენტარიანი | 68 | 15. 5 | |
| 4 | კირხსნარიანი ორმოსამარხები, უინვენტარო | 46 | 10 | ამ ჯგუფშია შეტანილი კირხსნარიანი ორმოსამარხი (ინვენტარიანი), რომელიც საშუალო ზომის რიყის ქვებით არის შემოწყობილი. |
| 5. | ამფორასამარხები, ინვენტარიანი | 2 | 0, 4 | |
| 6. | ამფორასამარხები, უინვენტარო | 65 | 15 | ამფორები გამოყენებულია ჩვილი ბავშვების დასაკრძალავად. |
| 7. | კრამიტსამარხები, ინვენტარიანი. | 6 | 1, 5 | |
| 8. | კრამიტსამარხები, უინვენტარო | 9 | 2, 1 | ამ კატეგორიას მივაკუთვნეთ კერამიკული ფილებისაგან აგებული სამარხებიც. |
| 9. | ქვასამარხები, უინვენტარო | 5 | 1, 1 | შედგენილი ორმოსამარხი და ჩვილი ბავშვის კალორიფერიანი სამარხი აგებულია კონგლომერატის კვადრებისა და რიყის მოზრდილი ქვებით, კირხსნარით, გეგმაში წრიული. |
| 10. | კონგლომერატის კვადრებით ნაგები ორმოსამარხები, ინვენტარიანი | 3 | 0. 6 | გეგმაში ოთხკუთხა. |
| 11. | კონგლომერატის კვადრებით ნაგები ორმოსამარხები, უინვენტარო | 1 | 0, 2 | |
| 12. | კენოტაფი, უინვენტარო | 3 | 0, 6 | უმიცვალებულო ორმოსამარხები. |
| 13. | ქვაყუთი, ინვენტარიანი | 1 | 0, 2 | გაძარცვულია ძველთაგანვე. |
| 14. | კრემაციული ორმოსამარხები, ინვენტარიანი | 1 | 0, 2 | |
| 15. | კრემაციული ორმოსამარხები უინვენტარო | 5 | 1. 1 | |

## სამარხების ტიპები და დამხრობა

| № | სამარხის ტიპი | მიცვალებულის დამხრობა | | | | | | | | ჯამი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩრდილოეთი | სამხრეთი | დასავლეთი | აღმოსავლეთი | ჩ. ა. | ჩ. დ. | ს. ა. | ს. დ. | | |
| 1 | ორმოსამარხი ინვენტარიანი | 20 | 4 | 43 | 10 | 12 | 20 | 4 | 8 | 121 | სამ სამარხში მიცვალებულის დამხრობა არ დადგინდა |
| 2 | ორმოსამარხი უინვენტარო | 11 | 8 | 35 | 10 | 10 | 16 | 6 | 6 | 103 | |
| 3 | დუღაბიანი ორმოსამარხები ინვენტარიანი | 10 | 2 | 40 | 3 | 5 | 5 | 2 | 3 | 70 | სამ სამარხში მიცვალებულის დამხრობა არ დადგინდა. |
| 4 | დუღაბიანი ორმოსამარხები უინვენტარო | 9 | 5 | 11 | 4 | 5 | 4 | — | 4 | 42 | ორ სამარხში მიცვალებულის დამხრობა არ დადგინდა. |
| | | — | — | 5 | — | — | 4 | — | 1 | 10 | |
| 5 | კრამიტსამარხები | 15 | 9 | 11 | 10 | 5 | 3 | 2 | 1 | | ორიენტაცია დაუდგენელია 3 სამარხში. ინვენტარიანია 6. |
| 6 | ამფორასამარხები | 7 | 6 | 11 | 5 | 2 | 6 | 1 | 2 | 56 | ორიენტაცია 10 ამფორასამარხის არ დადგინდა. |

## შენიშვნები

1. აფაქიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 62—68.

2. რამიშვილი რ., თოლორდავა ვ., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში (1961 წლის სადაზვერვო გათხრები ბიჭვინტის შიდაციხის გარშემო). თბ., 1962 (ხელნაწერი, მითითებულია დიდი პიტიუნტი«, 1-ის მიხედვით, გვ. 663).

3. Лордкипанидзе Г. А., Агрба З. В., Раскопки на территории комплекса Пицундского храма. Сб. Археологические открытия 1980 года в Абхазии. Тб., 1982, 30, 31, рис. 34, 16.

4. აფაქიძე ა. დასახელებული ნაშრომი.

5. სამაროვნის ჩრდილოეთი საზღვრის დასადგენად, კურორტ ბიჭვინთის დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე, 6 კოშკიდან დასავლეთ ხაზზე 1983 წლის სექტემბერში გეოფიზიკოსების შ. ვასაძის, გ. ქუთელიას, ა. უსტიაშვილის მონაწილეობით ჩატარდა როგორც მაგნიტური, ასევე ელექტროსაძიებო სამუშაოები. ცნობილია, რომ არქეოლოგიური ობიექტების ძიებაში მაგნიტური მეთოდის გამოყენების ფიზიკური საფუძველი მისი გარემომცველი ქანების განსხვავებულ მაგნიტურ თვისებებშია. ასევე ელექტრული მეთოდის ფიზიკური საფუძვლებიც დაფუძნებულია იმავე არქეოლოგიური ძეგლების შემცველი ფენების განსხვავებულ ელექტრულ თვისებებზე. საძიებო მონაკვეთზე სამარხები არ ყოფილა მიკვლეული. როგორც ჩანს ამ მონაკვეთზე გადის პიტიუნტის სამაროვნის ჩრდილო საზღვარი (ტაბ. XXIX).

6. Димитрова-Милчева А., Антични геми и камей от националния археологический музей в София, София 1980, с. 87, 104, рис. 241а.912. Peter Petry, Rimski gro-

bovi iz Dobove Ribnice; Tone K n e z, Novi zimski grobovi no Dolen jsken, Slovenska Ak. Zn in Um., Vi, lub. 1969. pp. 5—53, t. 20. A. K r u g, Rōmische Fundgemmen Germania, 48, 1970, p. 116—135, Abb 1—4.

7. ამ ტიპის „რკინის ჭიკარტები“, მოკლე და ბრტყელთავიანი ლურსმნები— რომაული სანდლების მოჭედილობა ცნობილია მთელ რიგ „დუნაის ლიმესის“ კასტელებთან დაკავშირებული სამაროვნებიდან და ათენიდან. მათი განლაგების მეშვეობით მოხერხდა სანდლების ფორმების აღდგენაც. იხ. K. K u r m o v a, I. R a j t a r, Anfänge des Rōmerlgers in Iza. Archeologicke roz., Pr., 1986, № 4 (XXXVIII), p. 462, t. IV, 1—4. M. P i c h l e r o v a, Gerulata. Rusovce. Rimske pohrebisko, II. Bratislava, 1981, стр. 151, 167, 353, 373 табл. CXXУ, CX V, погребение 99, 124 и др. L. K r a s k o v s k a, Gerulata. Rimsko pohrebisko J. Rratislava, 1974, c. 34, (табл. XXI; 10) სანდლების (რკინით მოჭედილი) ანაბეჭდები კრამიტზე იხ. tab:, XXVII 7,8 და სხვ. რომაული სამაროვანი აქ თარიღდება II—IV სს. ამ ტიპის სანდლების შესახებ იხ. აგრეთვე The Athenian Agora, An Ancient shopping center, Princton, N—J., 1978 t, 24; P. C o n n o l l y, Greece and Rome at war, London, 1981, p. 233; Der Antiken Lexicon, Berl. p. 493, 494 s. v. „Sandale“ ამ ტიპის ფეხსაცმელები, როგორც წესი, უცნობია ბარბაროსული, გარემომცველი სამყაროსათვის. იხ, მაგალითად, იხ. Die Germanen. Geschichte und Kultur der germanischen Stämme in Mitteleuropa. B. 1986. pp. 269—277.

8. Д и м и т р о в а-М и л ч е в а А. დასახ. ნაშრომი, Щ е р б а к о в а В.С., Коллекция гемм из некрополя в окрестностях Херсонеса. Сб. Античные традиции и византийские реалии, Свердловск, 1980, стр. 94—103.

9. C. I s i n g s, Roman Glass, from Dated Finds. Groningen (Djakarta, 1957, p. 121, form 103). გვხვდება IV ს. დასაწყისის კომპლექსებში გერმანიაში). O t t o D o p p e l f e l d Rōmisches und fränkisches Glas in Kōln, Kōln, 1966, p. 62; Donald B. H a r d e n, Glass of the Caesars, Milan, 1987. იტალიაში თარიღდებიან გვიან III საუკუნისა და ადრეული IV საუკუნით.

10. ამ ტიპის ყურიანი და უყურო კოჭობები, მათ შორის იმპორტული, მცირეაზიული წარმომავლობისა დამახასიათებელია არა მარტო პიტიუნტის III—IV საუკუნეების სამარხებისათვის, არამედ ამ ხანის მრავალრიცხოვანი რომაული ნეკროპოლებისათვის. A. S i c i l i a n o, Reperti monetari degli scavi di S. Foca, Universita Di Lecee Studi Di Antichita, Galantina, 1980, № 2, pp. 89—101. ამ ტიპის კოჭობები დათარიღებულია III საუკუნით, მაგრამ, როგორც ჩანს, II საუკუნის მიწურულში ჩნდება. იხ. ამავე კრებულში Libiana Giardino-ს ნაშრომი, ტაბულა 86, 25 ა. იხ. Ф е д о р о в Г. Б., П о л е в о й Л. Л., Археология Румынии. М., 1973, с. 232—рис. Б о р и с о в а В.В., Склеп I—III вв. н. э. Херсонесского некрополя. СА, 1, 1985, Рис. 3, с. 189, 194-сл. I. S i v e c—R a j t e r i c, Pornoanticna keramika v Sloveniji, Bei cretariae Romanae Fautorum, Acta XVI Ēmonae, 1976, p. 18, t. 1. აქვე რომაული კერამიკის ტიპოლოგია, გვ. 72, ტაბ. II—III. Ш е л о в Д. Б., Танаис и Нижний Дон в первые века нашей эры, М., 1972, с. 137. З у б а р ь В. М., Некрополь Херсонеса Таврического I—IV вв. н. э. К., 1982, стр. 75 сл. рис. 48, 1, 2; 49, 50, 51, 52; К а д е е в В. И., Очерки истории экономики Херсонеса в I—IV вв. н. э. Харьков, 1970, с. 96, 97, рис. 12,3—6.

11. დიდი ბრიტანეთის რომაულ კასტელუმებში აღმოჩენილი ბეჭდების XI ტიპი, II—III სს. M a r t i n H e n i g, A Corpus of Roman Ēngraved Gemistones from British Sites, P. I—II. Oxford, 1974, p. 50, Fig. 2; Античные государства Северного Причерноморья М. 1984, с. 352, табл. CI XI.

12. მოოქროულ ბრინჯაოს ამ ტიპის მშვილდსაკინძებს ატარებდნენ შედარებით მაღალი სოციალური წრეების, სამხედრო ადმინიციის წარმომადგენლები. Римское искусство и культура, Выставка Римско-германского музея города Кёльна, с. 165. А м б р о з А. К., Фибулы юга Ёвропейской части СССР, Археология СССР, свод археологических источников, М., 1966, с. 74 табл. XIII, 3—9. „ხახვისთავიანი“ ფიბულები ხშირია კასტელუმებთან დაკავშირებულ სამაროვნებზეც. იხ. Emil

Cerskov, Minicipium DD ko d Socanice, Belgrad, 1970, p. 85, t XVIII, 1; L. Kraskovska, Gerulata, I, tab. XV, 7. XVI, 2; Ê. Yago, I. Bona, Die Graberflder von Intercisa die Spätrömische Sūdoslfredoch, Budapest, 1976, p. 243; Alois Riegl, Late Roman Art Industry, Rome, 1985, p. 157, 158, Fig. 52, 53; R. A. Higgins, Greek and Roman Jawellery, London, 1961, Fig 64 (ოქროს „ხახვისთავიანი ფიბულა“ IV ს.).

13. Martin Heing, I, დასახ. ნაშრომი, ტიპი XV, გვ. 51.

14. ამ საქამრე ბრინჯაოს ბალთის პროტოტიპი, იხ. A. Riegl, Lala Roman Art Industry, Pl XXI, 2.

15. C. Ising, Roman Glass, p. 122, Fig. 103.

16. Ê. Caudrado, Botones de Bronze Ibericos svastica, Homenaje a Garcia Bellido, III, Madrid, 1977, pp. 63—69, figl.

17. R. A. Higgins, Greek and Roman Jawellery p. 189. მცირე ზომის ოქროს, რომაული ხანის საყურეები იხ. Êxcavations al Gorlu Kule Tarsus, I, II The Hellinistic and Roman Periods Êd., Hetty Goldman. Princton, New-Jersey, 1950, p. 387, Fig. 262 მოყვანილია ანალოგიები, მათ შორის ბრიტანეთის მუზეუმის საიუველირო ნაკეთობათა კატალოგიდან № 2421, 2422, Pl. LII. ამ ტიპის საყურეები ბიზანტიის გათხრებიდან ადრეც იყო ცნობილი. არ არის გამორიცხული საიუველირო სახელოსნოს არსებობა პიტიუნტშიც. შდრ.: Пятищева Н. В., Ювелирные украшения Херсонеса. Труды ГИМ, вып. 18, М., 1956.

18. J. W. Hayes, Lale Roman Pottery, London, 1972, p. 325, Fig65 (ანტიოქიური ნაწარმი IV ს. გვ. 327. გამოყოფილია ამ სახის ჭურჭლის ოთხი АВСД ტიპი).

19. J. W. Hayes, დასახ. ნაშრომი. მსგავსი ფორმის კოჭობები, ტაბ. VI, ფორმა 153,1.

20. პიტიუნტის სამაროვანზე და ნაქალაქარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილია ძვლის მრავალფეროვანი ნაკეთობები, მათ შორის ბადის საქსოვი ჩხირებისადგისები, მახათები, საკინძები (ტაბ. LXXV), რომლებიც სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებენ. ანალოგიური ნივთები დამახასიათებელი ჩანს I—IV საუკუნეების რომაული ციხესიმაგრეებისათვის. იხ. The Catalogue of small finds from South Shields Roman Fort Landsay Allason, London, 1984 pp. 66, 67;, Das Auxiliarkastell von Carnintum. Wien, 1986, t. IX, 1, 7, Петерс Б. Г. Косторезное дело в античных государствах Северного Причерноморья. М., 1986, с. 55.

21. ამ ფორმის კერამიკა. იხ. J. W. Hayes, Late Roman Pottery, გვ. 182, ფორმა 138, 2 (ჩნდება II საუკუნეში), II—IV.

22. გვიანანტიკური ხანის მინის მძივების შესახებ იხ. Античные государства Северного Причерноморья, с. 239; Зубарь В. М., Сорочан С. Б., Новый погребальный комплекс II—IV вв. н. э. Сб. Античная культура Северного Причерноморья в первые века н. э. Киев, 1986, с. 125. Рис. 11.; Алексеева Ё. М., Классификация бус некрополя у дер. Новоотрадное, Сб. Поселения и могильники Керчинского полуострова начала н. э. М., 1970.

23. კოლბისებური, მინის სანელსაცხებლის ანალოგიები იხ. C. Isings Roman Glass from Daled Finds, p. 119, 120, M. Pichlerova. Gerulata. tab. CLXXXVIII, 12.

24. არსებობს მოსაზრება, რომ ეგვიპტეში რომაულ ეპოქაში გავრცელებულ კირხსნარს მიცვალებულების მუმიფიცირებაში იყენებდნენ, რაც დოკუმენტურად არ არის დამტკიცებული, Лукас А. Материалы и ремесленные производства древнего Ëгипта. М., 1958, с. 143, 421.

25. M. Вucovala, Vase antice de sticla la Tomis, Muzeul de Archeologie, Constranla, 1968, p. 78, 79, № 123, 124. Зубарь В. М. Некрополь Херсонеса, стр. 92, 93, C. Isings, Roman Class, p. 27, Form 11. ჩნდება ამ ტიპის ფრინველის მსგავსი ჭურჭლები ახ. წ. I საუკუნიდან. ზოგადი ინფორმაცია რომაულ სამყაროში მინის დამზადების შესახებ, რომლის მასობრივი წარმოება I—IV საუკუნეებზე მოდის იხ. Щепова Ю. Л., Очерки истории древнего стеклоделия. М., 1983, с. 119—165. მინის ჭურჭლის, კერძოდ, ბალზამირების შესახებ იხ. დაწვრილებით Кунина Н. З., Сорокина Н. П

Н. П., Стеклянные бальзамарии Боспора, Труды Государственного Эрмитажа, XIII, Л., 1972, Античные государства Северного Причерноморья. М., 1984, т. LXX, LXXI.

26 G. Ising, Roman Glass, p. 67, 68. Form 51;

27. G. Isings, Roman Glass, pp. 110, Form 92.

28. ასეთი მედალიონები და საყურეები დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის რომისათვის. იხ. Anticky Rim, Bratislava, 1975, pp. 88, 89 (თარგმანი 1969 წ. იტალიური გამოც.,) H. Borger, Das römisch-germanische Museum Köln. München, 1977, Fig., 308.

29. Римское искусство и культура, Каталог выставки римско-германского музея в Кельне, № 69, рис. 80, стр. 122.

30. ფორმისა და შემკულობის მიხედვით მასთან ახლოს დგას კელნის მინის სახელოსნოს ნაწარმი. Otto Doppelfeld, Römisches und fränkisches Glas, pp. 50—52; სირიის მინის საწარმოო ცენტრთან სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ მისი პროდუქცია მასობრივად შემოდიოდა პიტიუნტში. ბიჭვინთაში აღმოჩენილ მინის ჭურჭელს სწავლობს ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი ქალბატონი ნინო უგრელიძე.

31. Anticky Rim, გვ. 84—88.

32. ამ მინის ჭურჭლის პროტოტიპები იხ. ფორმა 51 "Cylindrical bottle, The squet bottle" და სხვ. C. Isings, დასახ. ნაშრომი, გვ. 67, 68.

33. ფორტუნა—ტიქეს გამოსახულებებისა და ატრიბუტების შესახებ იხ. Tobias Dohrn, Die Tyche von Antiochia, Berlin, 1960, pp. 13—19, Taf, 31, 3.

34. A. S. Anderson, Roman Military Tombstones, London, 1985, pp. 7—36.

35. წებელდის სამაროვნებზე გვხვდება წელშიგამოყვანილი. პირფართე ადგილობრივი IV საუკუნის ამფორების ჩატანების შემთხვევები. Трапш М. М. Культура Цебельдинских некрополей. Труды, III, Сухуми, 1971, с. 135. ამფორასამარხების შესახებ დაწვრილებით იხ. Зубарь А. М., Некрополь Херсонеса, გვ. 50, აქვე ბიბლიოგრაფია. Шелов Д. Б. Некрополь Танаиса. МИА, 1961 № 98, 94, XI IX.

36. იდრე ქრისტიანული ხანის ამფორასამარხების შესახებ იხ. Archeologia Cristiana, Roma. Parigi—Tournai, NY, 1985, p. 86, fig. 10

37. Зубарь В. М., Некрополь Херсонеса, с. 50—51. Martin Almagro, Las Necropolis De Ampurias, Vol, II (Necropolis Romanas), Barselona, 1955, pp. 100—115; ამფორასამარხები, პირ-ყელ გადახერხილი ამფორები, იხ. pp. 321—332, Fig., 267—306. აქაც, ისე როგორც პიტიუნტის სამაროვანზე, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მინის ჭურჭელი.

38. Масленникова А. А. Некрополи городов Азиатского Боспора в первые века н. э. СА, № 1, 1985. с. 63; Шелов Д. Б., Некрополь Танаиса., М., 1961, с. 235, 236.

39. Масленникова А. А., დასახელებული ნაშრომი, გვ. 43 Корпусова В. Н., Некрополь золотой, Киев, 1983, с. 30.

40. Зубарь В. М. Некрополь Херсонеса Таврического I—IV вв., с. 35—62.

41. Засецкая И. П., Особенности погребального обряда гунской эпохи на территории степей Нижнего Поволжья Северного Причерноморья, Археологический сборник ГЭ, 13, Д., 1971, с. 72.

42. Трапш М. М., Культура цебельдинских некрополей, Тб., 1971. Труды, III, Тб., 1971, с. 122; Техов Б. В., Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I—VIII вв. Тб. 1987, с. 67.

43. Гадло А. В., Этническая история Северного Кавказа IV—X вв., Л., 1979, с. 18.

44. ეს გარემოება კარგად ჩანს ამონას და სხვა სამარხების მაგალითზე. იხ. Plesnicar—GecLjudmiala, Severno Emonsko grobisce the Northern Necropolis of Emona, Ljubejana, 1972 pp. 11, 12; Martin Almagro, Las Necropolis De Ampurias, pp. 45—256.

45. თრაფში მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

46. აფაქიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, გვ. 19.

Анчабадзе З. В., История и

культура древней Абхазии, М., 1964, с. 227. А д ж а н д ж а л Е. К., Об одном аспекте ранневизантийской дипломатики на Кавказе, ВДИ, 1967, № 3.

47. გ ე ო რ გ ი კ ა, 2, თბ., 1968, გვ. 27, 29; Ч у ч е р о в И., Византийские исторические сочинения „Хронография“ Феофана и „Бевариий“ Никифора, тексты, переводы, комментарии, М., 1980, с. 48. 72. Л е к в и н а д з е В., О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, ВДИ, 1970, № 2, стр. 190.

48. Fr. Dvornik, The Idea of Apostolicity in Byzantium and the Legend of the apostole Andrew, Gluchstadt, 1958, pp. 181, 229, 262, 263; С а б и н и н Г., История грузинской церкви до конца VI в., СПб. 1977, с. 13. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь, Составитель И. Н. М., 1899, с. 79. 99.

49. სტელის ქვის ნიმუში (მდ. ბზიფის ხეობის ქვედა ნაწილიდან) განსაზღვრულია თსუ პროფ. ნ. სხირტლაძის მიერ. მისი დასკვნით: წარმოდგენილ ნიმუშში შეუიარაღებელი თვალითაც კარგად გამოირჩევა ორი, ერთმანეთისაგან სტრუქტურულად განსხვავებული ნაწილი. ერთი მათგანი მარცვლოვანი გრაუვაკური ტიპის ქვიშაქვას, რომლის შემადგენელი ვულკანური და თიხოვანი ქანების კარგად დამრგვალებული მარცვლები მსხვილმარცვლოვანი კრისტალური კალციტით არის შეცემენტებული. ქანის შემადგენელი კასტური მინერალები წარმოდგენილია მინდვრის შპატებით, კვარცით და პიროქსენით. არის მიკროფაუნის, ნიჟარების ნაშთები. ქანის ამ ნაწილში შეცემენტება ბაზალურია და ამავე დროს სუსტი.

მეორე ნაწილი წვრილმარცვლოვანია და უფრო მეტად მკვრივი. ამ ნაწილში გაბატონებული ჩანს ცემენტი, რომელიც კარბონატულია ($CaCO_3$), ხოლო რაც შეეხება კლასტურ ნაწილაკებს, ისინი აქ უმთავრესად კვარც-მინდვრისშპატიანი ნატეხებითაა წარმოდგენილი, რომელთან ერთად პიდროქარსები, შეცვლილი ვულკანიტები და, იშვიათად, საღად შენახული პიროქსენების ერთეული მარცვლებიც ალინიშნება, ეს ქანი შედგენილობით კირქვიან ქვიშაქვას შეესატყვისება.

ამგვარად, თუ შევადარებთ ერთმანეთს მსხვილ და წვრილმარცვლოვან ნაწილებს განსხვავებას იმაში დავინახავთ, რომ პირველი მდიდარია გადამუშავებული (დამრგვალებული) ვულკანური და დანალექი ქანების მარცვლებით, რომელთა ცემენტი რაოდენობრივად ნაკლებია, ვიდრე ეს მეორე ნაწილში გვაქვს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ის კვარციან-ფელდშპატიანი კომპონენტებით გამდიდრებული· ქვიშაქვაა ჭარბი კარბონატული ცემენტით, რომელიც სიმტკიცესაც ანიჭებს მას. ალსანიშნავია, რომ ამ ნაწილში ალინიშნება დაგვიანებით შემოჭრილი კალციტის ძარღვაკებიც.

ბზიფის ხეობის ქვედა ნაწილში ისეთი ქანები იშვიათი არ არის. ისინი გვხვდებიან როგორც პალეოგენში (Pg), ასევე, ნეოგენში (Ng), ამრიგად, ალნიშნული ქვიშაქვების არიერის ადგილსამყოფელი უნდა ვეძებოთ იმ რაიონში, სადაც ალწერილი ქვიშაქვის ნიმუშია ნაპოვნი.

50. Ê. T e s t a, I. L. simbolismo dei giudeo—Cristiani, Ierusalem, 1981, p. 249. tab. 113; 7; V. Ê. N a c h—W i l l i a m s, The early christian Monuments of Wales, Cardif, 1950 pp. 1—16, Fig 23, 25.

51. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი. სატაძრო ნაგებობების კომპლექსი ბიჭვინტიდან, დიდი პიტიუნტი, 11, გვ. 104—105, სურ. 19.

52. Х р у ш к о в а Л. Г., Материалы по мелкой пластике средневековой Абхазии, Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, с. 62. 63. табл. 42, 43.

53. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ნ., ჯვარი—სტელები ქვემო ქართლიდან, ძეგლის მეგობარი, № 30, თბ., 1972, გვ. 39, 88—90, სურ. 4—6; ყ ი ფ ი ა ნ ი გ., ქვის სვეტები ვანის რაიონის ნასოფლარებიდან, ძეგლის მეგობარი, № 51, თბ., 1979, გვ. 32—35, 32—35, 76.

54. История древнего Рима, М., 1956. с. 523, 524, 527. У с п е н с к и й Н. Ф., История Византийской империи, 1, 1, СПб., 1913, с. 77, 78.

55. С к а б л а н о в и ч Н., Византийское государство и церковь в XI в., СПб., 1884. с. 367

56. Л а д и н с к и й А. Церковная археология, СПб. .1873, с. 7, 24, 29, Р о б е р т с о н А. Происхождение христианства; М., 1956, с. 197, 262, Р а н о в и ч А. Б., О раннем христианстве, М, 1959, стр. 270, 364,

Виппер Р. Ю., Рим и раннехристианство. М., 1954, с. 199, ახალი გამოკვლევებიდან ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაზე იხ. Свеницкая И. С.' От общины к церкви (О формировании христианской церкви). М., 1985.

57. ინაძე მ., ანტიკური ეპოქის კოლხეთის ქალაქები, „მაცნე“, 1963, № 3, გვ. 150.

58. დაწვრილებით იხ. Сорокина Н. П., О стеклянных сосудах с каплями синего стекла из Причерноморья, СА, 1971, № 4, с. 93, прим. 58; Воронов Ю. Н., К истории экономических связей Апсилии в IV—VII вв. н. э., (Привозная стеклянная посуда из Цебельды), КСИА, 138, М., 1973, с. 74сл.

Сорокина Н. П., Стеклянные сосуды IV—V вв. и хронология, цебельдинских могильников, КСИА, 158, 1979, с. 57—67.

# დასკვნა

ბიჭვინთის ნაქალაქარზე (აფხაზეთი, გაგრის ზონა) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრის — პიტიუნტის ისტორიისათვის ახ. წ. II—VI საუკუნეებში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა დღეისათვის არსებული საისტორიოგრაფიო ბაზა; გვიანანტიკური ხანის ამ ტიპური რომაული ხანის ციხე-ქალაქის ცხოვრება განხილულია ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებთან, ეგრისის (ლაზიკა) სამეფოსთან და აბაზგ-აფსილ-სანიგებთან ურთიერთობათა ფონზე. პიტიუნტ—ბიჭვინტამ, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ადგილობრივი რელიქტური ფიჭვის სახელთან, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. დევნილი ქრისტიანების გადასახლების ადგილიდან, III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში, იგი იქცა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად, პიტიუნტის საეპისკოპოსოდ, რომელიც იერარქიულად ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედიოდა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. აქ ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას კონსტანტინოპოლის პირველი პატრიარქი ანდრია მოციქული პირველწოდებული და სხვ. ამ ფაქტორებმა განაპირობა შემდგომში მისი მნიშვნელობა არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს სულიერ, კულტურულ ცხოვრებაში. XIV საუკუნეშიც აქ დასავლეთ საქართველოს მწყემსმთავრის რეზიდენციაა; ჩანს, არც XVI საუკუნეში, თურქთა მძლავრობისას, ჩამკვდარა აქ შემოქმედებითი საეკლესიო ცხოვრება. ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინთაში რუსის ჯარის შემოსვლისას 1880 წელს X—XI სს. კათედრალის საკურთხეველზე გადაშლილი იყო XV საუკუნის ხელნაწერი ქართული სახარება (1). ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ წირვა-ლოცვა აქ მე-18 საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიც ქართულად მიმდინარეობდა და საეკლესიო კულტურულ ცხოვრებაში ქართველები და აფხაზები ერთობლივად მონაწილეობდნენ. ამ სულიერ კულტურულ ერთობას უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი. VII საუკუნეში, როდესაც აფხაზეთი ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ მხარედ იქცა, სწორედ ამ ერთობამ მოუმზადა ნიადაგი, VIII საუკუნის ორმოციანი წლებისათვის, აფხაზთა ეგიდით დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, აფხაზეთის სამეფოს შექმნას (2).

სამწუხაროდ „დიდი პიტიუნტის" კვალს მიუხედავად მრავალწლიანი ცდისა, ჯერ ვერ მივაგენით. შესაძლებელია ამ ეპოქის ძვ. წ. V—I საუკუნეების ფენები ინკიტის ტბასთან, მის სანახებშია, სადაც ელინისტური ხანის შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტებია დაფიქსირებული. ერთი რამ კი უდავოა, ჰენიოხების მიერ მისი განადგურების შემდეგ, რომაელები, რომლებიც ბერძნების მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს, აგებენ აქ ჯერ ხის და შემდეგ ქვითკირის ციხესიმაგრეს I—II საუკუნეებში და შემდეგ უკვე მუდმივ გარნიზონსაც აყენებენ. აქედან მოყოლებული IV საუკუნის ბოლომდე, ჰუნების გამანადგუ-

რებელ თავდასხმამდე, ციხე-ქალაქის სტატუსის მქონე პიტიუნტი ადმინისტრაციულად შედის რომის პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში. ის წარმოადგენდა იმპერიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე განლაგებულ ფორპოსტს, რომელსაც ევალებოდა ამ მხარეში საკაბოტაჟო ნაოსნობის უზრუნველყოფა და პროვინციის შორეული მისადგომების უსაფრთხოების დაცვა. აქ განლაგებული ერთი რომაული კოჰორტა — 400—600 ლეგიონერი, სატყორცნი მექანიზმების მომსახურე რაზმები მხოლოდ თავიანთი ძალებით ამ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანას ვერ გადაჭრიდნენ. ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ანალოგიურ პუნქტებსა (გონიო — აფსარუნტი, ფოთი — ფასისი, სოხუმი — დიოსკურია — სებასტოპოლისი) და ეგრისს შორის გარკვეული მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა. სანაპიროზე განლაგებულ ამ სამხედრო ბანაკებს შორის რეგულარული მიმოსვლა ჰქონდათ რომაული ფლოტის საპატრულო ხომალდებს, რომელთა ესკადრის ძირითადი ბაზა ტრაპეზუნტში იყო. პიტიუნტის გარნიზონი, როგორც ეს დოკუმენტურად მტკიცდება, წარმოდგენილია XV ლეგიონის ვექსილაციით, რომლის ძირითადი ბირთვი ქალაქ სატალაში, კაპადოკიისა და მცირე სომხეთის საზღვარზე სალეგიონო ბანაკში, შტაბბინაშია ჩაყენებული თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე. ამგვარად, ცხადია, რომ პიტიუნტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ რგოლს წარმოადგენს არა მარტო პონტოს, არამედ კავკასიის ლიმესის რომაული ციხესიმაგრეების ჯაჭვში. ამ სიმაგრეებზე საერთო ზედამხედველობას, კონტროლს კაპადოკიის ლეგატი ახორციელებდა, რომლის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა. მათ შორის ალანთა გააქტიურებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა არიანეს საინსპექციო მოგზაურობა საქართველოში აქ დაბანაკებულ რომაული გარნიზონების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმების მიზნით, არიანეს მიხედვით პიტიუნტი უბრალო ნავსადგომია, რომელიც რომაელთა სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედიოდა, ბოსფორის სამეფოსთან დამაკავშირებელ კომუნიკაციებთან ერთად. აქედან იწყებოდა დაუმორჩილებელი მთიელი ტომების, მათ შორის მეკობრე ჰენიოხების, ჯიქების მიწა-წყალი, რომლის ნეიტრალიზაცია რომაელთა ძირითად ამოცანად რჩებოდა საუკუნეების განმავლობაში.

ჰონოლულუს უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის მ. შპაიდელის მიერ ბიჭვინთაში აღმოჩენილი ერთ-ერთი ლათინური წარწერის ფრაგმენტის გაშიფვრის შედეგად დადგენილია, რომ ახ. წ. 152 წლისთვის, კონსულების — გლაბრიონეს (Glabrione) და ჰომულის (Homullo) დროს პიტიუნტში ნამდვილად იდგა რომაული გარნიზონი. ამგვარად, ცხადია, რომ არიანეს საინსპექციო მოგზაურობას შედეგად ის მოჰყოლია, რომ ოცი წლის შემდეგ პიტიუნტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაულ მფლობელობათა ფორპოსტად ქცეულა და ასეთად რჩებოდა IV საუკუნის ბოლო მეოთხედამდე. პიტიუნტში ჯარის რეგულარული შენაერთები იდგა და შესაბამისად, მისი ციხესიმაგრის მშენებლობაში მონაწილეობდა საინჟინრო ნაწილები, რაც მტკიცდება II საუკუნის ბოლოს დათარიღებული XV ლეგიონის დამღიანი კერამიკული ფილების აღმოჩენით. არიანეს ცნობის მიხედვით ფასისის კასტელუმში დაბანაკებული ყოფილა ოთხასი რჩეული ჯარისკაცი, რაც ასევე დოკუმენტურად ამტკიცებს, რომ მისი ვექსილაცია, ლეგიონის (XV და XII) რჩეულ შენაერთს და არა ნუმერს, პროვინციაში სახელდახელოდ შეკრებილ ნაწილს წარმოადგენდა. რომაელები

ამგვარად აკომპლექტებდნენ შენაერთებს იქ, სადაც ჩვეულებრივი გარნიზონები არ ჰყავდათ და შექმნილი სტრატეგიული ვითარების გამო საჭირო ხდებოდა ახალი სამხედრო ბანაკის აგება, იქ გარნიზონის, მეციხოვნეთა ჩაყენება: ასეთ ვექსილაციას, კონკრეტულ შემთხვევაში ლეგიონის რჩეულ, ნაკრებ კოჰორტას პრეფექტი ხელმძღვანელობდა. პიტიუნტის კასტელას ზომებიდან გამომდინარე, შესაძლოა აქ სრული კოჰორტა მობილური, კარგად აღჭურვილი, რეგულარული ჯარის ნაწილი უნდა მდგარიყო. ამ შენაერთსაც ასევე პრეფექტი ხელმძღვანელობდა, რომელსაც, თუ სუკესიანეს მაგალითით ვიმსჯელებთ, დიდი სამხედრო კარიერის გაკეთებაც შეეძლო. ამ დროისათვის ლეგიონი 4000 ჯარისკაცს ითვლიდა. შესაბამისად, მისი ძირითადი ტაქტიკური ერთეულის — კოჰორტას პირადი შემადგენლობაც 400 კაცით განისაზღვრებოდა (თეორიულად ლეგიონი 6000—5000 ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო კოჰორტა 600—500). ის იყოფოდა 5 ცენტურიად, ანუ ასეულად (80—100 ლეგიონერი), რომლებსაც ცენტურიონები edგნენ სათავეში. ბარაკის ტიპის ყაზარმებში, რომლებიც გამოვლენილია პიტიუნტში ლეგიონერები ათეულების მიხედვით იყვნენ (8—10 ჯარისკაცი) დანაწილებულნი. ამ რაოდენობაზე იყო გაანგარიშებული ლაზარეთ-სათავსომყოფოები და, რაც მთავარია, საპირფარეშო-აბანოები, რომლებთან დაკავშირებულია ბიჭვინთის საკანალიზაციო ქსელის რთული სისტემა, აგებული, ბანაკთან ერთად. პიტიუნტის გარნიზონი, ისევე როგორც ფასისისა (არიანეს თანახმად), აღჭურვილი ყოფილა სატყორცნი მანქანებით. მე-18 ხუთწახნაგა კოშკში, რომლის ფორმა მეტად სპეციფიკურია და დაკავშირებულია „არტილერიის" გამოყენებასთან, აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქვასატყორცნი მანქანის ღერძი. ცნობილია, რომ XV აპოლონისეული ლეგიონის არსენალში დიდი ზომის სატყორცნი მანქანები ჰქონიათ.

პრეფექტს, არა მარტო პიტიუნტის გარნიზონისთვის უნდა ეხელმძღვანელა, არამედ ბანაკთან წარმოშობილ საქალაქო დასახლებისთვისაც. რომაელების მიერ ბიჭვინთის კონცხზე II—III საუკუნეებში აგებულმა ხანგრძლივი დანიშნულების ციხესიმაგრეებმა განაპირობა (მათ შესაძლებელი გახადეს) პიტიუნტში საქალაქო ცხოვრების აღორძინება, მისი მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების დ ცვა, რაც მეზობელი მთიელი ტომების აგრესიულობის გამო მანამდე შეუძლებელი იყო.

პიტიუნტის რომაულ სამხედრო ბანაკთან, რომლის ადგილსამყოფელი, ცხადია, შემთხვევით როდი შეირჩა, სტიქიურად წარმოშობილ სამოქალაქო დასახლებაში, ვეტერანებთან, გადამდგარ ჯარისკაცებთან, კოლონისტებთან ერთად, როგორც ის იყო არიანესეულ ფასისში, ალბათ, ვაჭარ-ხელოსნებიც, მათი ოჯახებიც ცხოვრობდნენ. ამ სამოქალაქო დასახლების ეკონომიკური და, შესაბამისად პოლიტიკური მნიშვნელობა იმდენად გაზრდილა, რომ „ბორანთა" დამანგრეველი შემოსევის შემდეგ, ალბათ, იმპერატორ ავრელიანეს ეპოქისთვის (ახ. წ. 270—275 წწ.) აუცილებელი გახდარა დიდი მასშტაბის თავდაცვითი ნაგებობების, გალავან-კოშკების მშენებლობა, ციხე-ქალაქის უსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ეს ის ხანაა, როდესაც რომის იმპერიამ კვლავ აღადგინა ტრადიციული „მეგობრობა" ბოსფორის სამეფოსთან. მართალია, ჩვენ ზუსტად არ ვიცით ჰქონდა თუ არა პიტიუნტს მუნიციპალური თვითმმართველობა II—III საუკუნეებში, მაგრამ მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის მისი სტატუსი ეჭვს არ იწვევს, რადგან საეპისკოპოსო კათედრები ამ დროს მხოლოდ

საქალაქო ცენტრებში არსებობდა, სოფელი დიდხანს რჩებოდა წარმართულ სარწმუნოების მიმდევრად.

III—IV საუკუნეებში, ბორანთა შემოსევიდან ჰუნთა თავდასხმამდე, პიტიუნტის საქალაქო ცხოვრების აყვავების დროა, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური ძეგლებით. ჰუნთა გამანადგურებელი თავდასხმის შემდეგ საქალაქო ცხოვრება კვლავ დიდი ხნის განმავლობაში ჩაკვდა. V საუკუნე თითო-ოროლა მონეტით არის წარმოდგენილი.

იმპერატორ სერვიუს ალექსანდრეს (225—235 წწ.) სახელს უკავშირდება ბიჭვინთაში ნაპოვნი ლათინურწარწერიანი ფილის ფრაგმენტი (ასევე მ. შპაიდელის მიერ გაშიფრული), რომელიც პრინციპიის ცენტრში გამოსაჩენ ადგილას მდგარა „ბორანების“ თავდასხმამდე, ე. ი. ახ. წ. III საუკუნის შუა წლებამდე (3). ამ აღმოჩენებით მტკიცდება, რომ ისევე როგორც ყველგან, რომის იმპერიაში, პიტიუნტშიც, მიუხედავად ბერძნულის ფართო გავრცელებისა, არმიის ოფიციალურ ენას ლათინური წარმოადგენდა. ბერძნული ლაპიდარული წარწერების ფრაგმენტები, მრავალრიცხოვანი ბერძნული გრაფიტო სამაროვანზე დაფიქსირებული დაკრძალვის ბერძნული წესი (მათ შორის 65 ამფორასამარხი!) გვაფიქრებინებს, რომ ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბერძნებია ან კაპადოკიის ელინიზირებული მკვიდრი. ეს როდი გამორიცხავს მათ შორის განსხვავებული ეთნიკური, ადგილობრივი ელემენტის არსებობას. ჩვენ მიერ გათხრილი 409 სამარხიდან მხოლოდ 11-ში (2,6%) დაფიქსირდა მიცვალებულის მოხრილ, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე დაკრძალვის შემთხვევა.

კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, პიტიუნტის ციხე-ქალაქის, ისევე როგორც მასთან სტრატეგიულად და შესაძლოა ტაქტიკურადაც დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რომაული ქალაქების გარნიზონები დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ ღრმა ზურგის უსაფრთხოებით. რომაული ვერცხლის მონეტების გავრცელება ქვეყნის შიდა რაიონებში გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ ლეგიონერები ადგილობრივი მოსახლეობის მეშვეობით ავსებდნენ სურსათ-სანოვაგის წლიურ მარაგს და იკმაყოფილებდნენ ყოველდღიურ მოთხოვნილებას სხვადასხვა პროდუქტზე. თუ როგორია პიტიუნტისა და მისი „ხორის“, ანუ ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის როლი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრებაში, როგორია მისი „რომანიზაციის“ დონე მომავალი კვლევა-ძიების საგანია. IV საუკუნის ადრექრისტიანული თემი, პიტიუნტის ეპარქია, ფლობს მიწას, „ხორის“ გარკვეულ მონაკვეთს. აქ მიმდინარეობს საეკლესიო მშენებლობა. III—IV საუკუნეების პიტიუნტის საქალაქო ცხოვრების აღმავლობასთან ერთად, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველზე ვითარდება ხელოსნობა, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, ყალიბდება საქალაქო ფულადი მეურნეობა.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მონეტა (მათი დიდი ნაწილი რომის მცირეაზიულ პროვინციებშია მოჭრილი), საწონები ბერძნული აღნიშვნებით, უფრო განვითარებული საქალაქო შიდა ბაზრის არსებობაზე მიუთითებს, ვიდრე საგარეო ვაჭრობის მასშტაბებზე. მართალია, ამ მონეტების ნაწილი პიტიუნტის გარნიზონის ჯარისკაცების კუთვნილებაა, მაგრამ ე. წ. „საარმიო“ ტიპების საფასეები სამაროვანზეც, ქალებისა და ბავშვების სამარხებშიც

გვხვდება, „ქარონის ობლის“ სახით, რაც ქალაქისა და მისი გარნიზონის ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობის მაჩვენებელია.

ლიმესების სისტემაში ჩართული პროვინციული ტიპის პატარა ციხე-ქალაქების ანალოგიებიდან გამომდინარე, პიტიუნტს იმპერიის უკიდურეს შორეულ სასაზღვრებზე განლაგებულ ციხე-ქალაქს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ინტერესებით განპირობებული სპეციფიკური ეკონომიკური ცხოვრებით უნდა ეცხოვრა. ამ სასაზღვრო რომაულ სამხედრო ბანაკს, მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო დასახლებას, მისი შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო და, ხელოსნური წარმოებით აუცილებელი ყოველდღიური აღებ-მიცემობით, რომელშიც სპილენძის ფული გამოიყენებოდა, მტრული გარემოცვა ჰქონდა „ჰენიოხთა“ ტომების სახით. ამიტომ მის ცხოვრების რიტმს ლეგიონერთა გარნიზონი და მათი ინტერესები განსაზღვრავდა. ეს გარემოება კარგად ჩანს პრეტორიის, პრინციპიისა და სხვა სამხედრო-ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობების აღმოჩენის ფაქტიდან. პიტიუნტის კასტელა ლეგიონის ტიპურ დაგეგმარებას იმეორებდა. რომაულ სამხედრო ბანაკებს და მათ კედლებთან წარმოშობილ ქალაქებს, მიუხედავად იმისა, ლეგიონერებს ეკუთვნიან ისინი თუ პროვინციული დამხმარე ირეგულარული, მათ შორის ცხენოსანი ჯარის ნაწილებს, აერთიანებს ბანკების ურთიერთმსგავსი, სტანდარტულ-არქიტექტურულ ფორმა (4). ესაა სახელმწიფო რომაული სამხედრო არქიტექტურის ფენომენად მიჩნეულ ნაგებობათა კომპლექსი, გამაგრებული სალეგიონო ბანაკი, რომლის ძირითად ნაწილს კასტელუმის ცენტრში განლაგებული „პრეტორია“ და „პრინციპია“ შეადგენდა. პიტიუნტში, ისევე როგორც ყველგან, ის წარმოადგენს დახურულ არქიტექტურულ ნაგებობათა ერთიან ხუროთმოძღვრულ ანსამბლს, გარნიზონის უფროსის რეზიდენციას, მასზე დაქვემდებარებულ სამხედრო შენაერთის შტაბს. ეს კომპლექსი, ჩვეულებრივ, შედგებოდა მონუმენტური სამი მხრიდან პორტიკებით გარემოცული ღია ნაგებობებისაგან, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით იყო განლაგებული, მოზაიკურიატაკიანი საზოგადოებრივი დანიშნულების ოთახები: კანცელარია, არქივი, იარაღის საწყობი, ოფიცერთა საკრებულოები, სალოცავები, სხვადასხვა ფუნქციის მქონე შიდა ნაგებობები და სათავსები; თავის მხრივ. ისინი თავმოყრილია ცენტრალური დიდი დარბაზის გარშემო, რომელიც ფორუმის დანიშნულებას ასრულებდა. აქ გამოფენდნენ ხოლმე საბრძოლო დროშებს, ვექსილაციებს, სამხედრო შენაერთების ნიშნებს, იმპერატორის გამოსახულებებს, ბიუსტებს. ცალკე, საგანგებოდ დაცულ ოთახში ან ძნელად მისადგომ სარდაფში, იატაკქვეშ ინახავდნენ ამა თუ იმ შენაერთის ხაზინას; „პრინციპიის“ ნაგებობები, ისევე როგორც სალოცავი საზოგადოებრივი ნაგებობები წმინდად, ხელშეუხებლად ითვლებოდა. „პრინციპიის“ დამაგვირგვინებელ ელემენტს წარმოადგენდა აფსიდებიანი მონუმენტური შენობა, ბაზილიკა, რომლის საფასადო მხარე სვეტებით იყო შემკული.

პიტიუნტს, ისევე როორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საგარნიზონო ტიპის ციხე-ქალაქებს იმპერიის სასაზღვრო ზოლის გაყოლებაზე, სამხედრო კანონების, წესდების შესაბამისად უნდა ეცხოვრა. სამხედრო ინტერესებს ემორჩილებოდა ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაც. მოქალაქეთა მოღვაწეობის ყველა სფერო, ყოველდღიური ყოფა. ყაზარმული ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად და ლეგიონერების საბრძოლო სულისკვეთების განსამტკი-

ცებლად ხშირად ეწყობოდა საზეიმო შეხვედრები, აღინიშნებოდა დღესასწაულები, როგორც წმინდა რელიგიური, ასევე სამხედრო ხასიათისა. ასეთი იყო, მაგალითად, 7 იანვარი, ხელფასის აღების დღე; 13 მარტს, იმპერატორ სევერუს ალექსანდრეს დაბადების დღეს, საზეიმო ვითარებაში საჯაროდ ცხადდებოდა დაჯილდოებები, ცნობები სამხედრო სამსახურში ამა თუ იმ ჯარისკაცის, ოფიცრის დაწინაურების შესახებ. ეწყობოდა აღლუმები, სამხედრო თამაშები. 18 აპრილს ყველა რომაულ კასტელში ტარდებოდა საზეიმო ცერემონიალები. აღლუმებსა და საგაზაფხულო სალაშქრო სეზონის გახსნას, ახალი საბრძოლო კამპანიის დაწყებას უკავშირებდნენ მილიტარისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ რომაელთა სხვა საგაზაფხულო დღესასწაულებისა და სიცოცხლეშივე გაღმერთებულ იმპერატორებისა და დედოფლების დაბადებისა თუ ხსოვნის დღეებს. მათ გარეშე წარმოუდგენელია რომაული სამხედრო დასახლებების, ციხე-ქალაქების ცხოვრება, ამ დღესასწაულებისათვის მზადებას დიდი დრო და სახსრები სჭირდებოდა. ამ ღონისძიებათა მეშვეობით, ლეგიონერთა წვრთნისა და დასვენების მოფიქრებული სისტემის მეშვეობით ხდებოდა პიტიუნტის სამხედრო ბანაკის მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა. სავალდებულო 20 და მეტი წლის ერთგული სამსახურის შემდეგ გადამდგარი ჯარისკაცები, ვეტერანები აქვე სახლდებოდნენ. ისინი ჯილდოდ მიწის ნაკვეთს ღებულობდნენ. მათ, ისევე როგორც პიტიუნტის სამოქალაქო მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებს, იმპერიაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ერთიანი, პროვინციისათვის მისადაგებული შესაფერი რომაული ცხოვრების წესით, მისი კანონების შესაბამისად უნდა ეცხოვრათ. ეს იყო რომის იმპერიის ყოველი მოქალაქისათვის ერთადერთი დასაშვები და მისაღები, ტრადიციით განმტკიცებული საქალაქო თანაცხოვრების ნორმა. რომაელები არასდროს არ ეგუებოდნენ იმ ხალხებს, რომლებსაც მათგან განსხვავებული „ბარბაროსული“ ცხოვრების წესი ჰქონდათ. არ ცნობდნენ მათ რელიგიას, არ სცემდნენ პატივს მათ რწმენა-წარმოდგენებს. შესაბამისად, მტრული იყო ურთიერთობა ლიმსების ხაზზე მცხოვრებ სხვა ხალხებთან. რომაელთა საგარეო პოლიტიკა უმეტეს შემთხვევაში ძალადობაზე და გენოციდზეა დაფუძნებული. ამ გზით, იარაღის მეშვეობით ხორციელდებოდა „რომაული მშვიდობის“ პრინციპები აზიურ პროვინციებში და ასეთი პოლიტიკის გასატარებლად რომაელებს აშკარად მცირე ძალები ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში. პიტიუნტის ფორპოსტი მიმართული ჩანს მთიელი ტომების, პირველ რიგში, ჰენიოხების წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ისინი შემოუძღვნენ ჰუნებს, ვიწრო, ტყიანი, მთაგორიანი ხეობებით, პიტიუნტის ასაოხრებლად IV საუკუნის ბოლო მეოთხედში. ამის შემდეგ კარგა ხნის გახმაულობაში პიტიუნტს დაკარგული აქვს თავისი არა მარტო სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობა. ეს გარემოება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. ამიტომ ჩვენც გამოვრიცხავთ V საუკუნეში აქ ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას და რაიმე მონუმენტური, მოზაიკით შემკული, ძვირადღირებული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების, მათ შორის ტაძრების მშენებლობის შესაძლებლობას. ნაქალაქარზე V საუკუნის ფენა ძალზე თხელია, ხოლო კოშკების სტრატიგრაფიულ ჭრილში ეს ეპოქა საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც მართლაც გამორიცხავს «ნოტაცია დიგნიტატუმის“ პითიეს გაიგივებას პიტიუნტთან.

VI საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყება საქალაქო ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება პიტიუნტში, რაც დაკავშირებულია ბიზანტიელთა აქტიურობასთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათი გარნიზონის ჩაყენებასთან. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ბიზანტიელებმა აღადგინეს პიტიუნტის ციხესიმაგრე, რამაც ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების აღმავლობას. ამ დროს იგება ახალი ტაძრები როგორც ციხე-ქალაქში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. როგორც ა. აფაქიძე აღნიშნავდა ამით იწყება მეოთხე ეტაპი ძველი ქალაქის ცხოვრებაში.

## შენიშვნები

1. И. Н., Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канапийский монастырь, М., 1899, с. 95; Гулиа Д. И., История Абхазии. Собрание сочинений, IV, Сухуми, 1986, с. 144—146.

2. შემდ. გუნბა მ. მ., დასავლეთ საქართველო და ბიზანტია, VI—VIII სს., სოხუმი, 1962, გვ. 226, 227; Constance Hand, Justinian, II, of Byzantium, London, 1972, pp. 129—130.

3. მ. შპაიდელმა გაშიფრა 1987 წ. პიტიუნტში აღმოჩენილი ლათინური და ბერძნული წარწერების ფრაგმენტები ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების პუბლიკაციების (იხ. დიდი პიტიუნტი, 11, ა. აფაქიძის საერთო რედაქციით, თბ., 1977, სურ. 568, 569, 574, 975) მიხედვით. ივარაუდება გამოქართულება „დიდი პიტიუნტის“ მე-4 ტომისათვის, იხ. M. Speiael, T. Todua, Three Inscriptions from Pityus on the Caucasus Frontier, Sonderdruck aus dem Saalburg, Jahrbuch, 44, 1988, pp. 56—58, fig. 3—4

4. Цветаева Г. А., Боспор и Рим. М., 1979, с. 21.

R. Rebuffat, Les Fortifications urbaines du Monde Romaines, La-fortification dans L'historie du Monde Grec, Paris, 1986, pp. 345—360, აქვე იხილე, M. Lenoir, Le camp romain et la ville hellenistique et romaine pp. 329—336, fig 325, 326—328;

6. აფაქიძე ა., დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, I აბ., 1975, გვ. 29; აქვე, ბიბლიოგრაფია.

# ПИЦУНДСКОЕ ГОРОДИЩЕ

## (ПИТИУНТ В СИСТЕМЕ „КАВКАЗСКОГО ЛИМЕСА")

После аннексии римлянами в 63 г. н. э. бывшего вассального царства полемоновского Понта приморская часть исторической Колхиды (современная Западная Грузия, включая Абхазскую АССР, где на Пицундском мысе до сих пор сохранились развалины греко-римского города—крепости Питиунта, абхазо-грузинского—Бичвинты) непосредственно была включена в состав Римской империи как часть провинции Каппадокия; в ее стратегических пунктах, каковыми являлись Апсарунт (современное Гонио, близ города Батуми), Фасис (Поти), Себастополис (Сухуми) и др., были поставлены римские гарнизоны. Они были призваны охранять не только дальние подступы империи, но и обеспечить безопасность судоходства в Причерноморье, парализованное набегами пиратов, горцев Западного Кавказа. Проводя свою традиционную политику „разделяй и властвуй", римляне остальную часть Колхиды превратили в своеобразные буферные политические объединения, полузависимые княжества и царства, среди которых постепенно выделяется Лазика—„Эгриси" грузинских письменных источников, которая заслоняла Каппадокию и Армению от нашествия воинственных номадов Северного Кавказа. Из-за активизации алан и других кочевых племен Северного Причерноморья римляне были вынуждены заигрывать с грузинскими царствами, с Лазикой и Иберией, которые контролировали горные перевалы. Вместе с тем их власть не распространялась на приморские города, римские укрепленные лагеря Восточного Причерноморья, которые в военно-административном отношении подчинялись легату Каппадокии. После того, как император Веспасиан подавил восстание Аникета в 74 г. н. э. и из Паннонии в Каппадокию перевел два легиона (XII и XV), было уделено должное внимание безопасности Колхидского побережья. Была создана оборонительно-наступательная Кавказская линия, в состав которой входили города-крепости Восточного Причерноморья. В этой сложной цепи пограничных укреплений, римских военных лагерей важную роль играла Сатала, штаб-квартира XV Легиона в I—IV вв. н. э., чьи отборные вексиляции были рассредоточены от Трапезунта до Питиунта.

Иосиф Флавий, передавая словами Агриппы ситуацию конца семидесятых годов, отмечал: „Зачем говорить о гениохах и колхах, о племени тавров, боспорцах и живущих вокруг Понта и Меотиды народах, которые раньше не признавали даже и собственного владыки, а теперь держатся в подчинении тремя тысячами гоплитов и сорока военных кораблей, поддерживая мир на несудоходном прежде и суровом море (BC. II,

16, 41). Еще свежи были воспоминания о нашествиях гениохов, о взятии ими богатого города Питиунта... Располагая таким, довольно ограниченным контингентом регулярных войск, ясно, что римляне в Колхиде преследовали совершенно иные военно-стратегические цели, чем в Малой Азии, в Центральной Европе или в Северной Африке. Они здесь не вели широкомасштабные карательные операции даже против гениохов, препятствующих связям с Северным Причерноморьем. Именно ими, как предполагают в середине 1 в. н. э. был ограблен—„богатейший город Питиунт" (Plin., NH, VI. 16), названный еще Страбоном с ссылкой на Артемидора „Великим" или точнее „Большим" (Strabo, XI, II, 14). Страбон помещает Питиунт непосредственно у границ владений гениохов. По его описанию сельскохозяйственная территория „Большого Питиунта" (Ριτυοῦς ὁ μέγας), длиной 360 стадий, тянулась „вплоть до Диоскуриады". И эти сведения Страбоном, который завершил работу к 7 в. н. э., позаимствованы из Эристофена, возглавлявшего Александринскую библиотеку с 235 г. до н. э., где хранились источники о Питиунте. Страбон дает и новое название города Диоскурии-Себастополис; при нем продолжал существовать Питиунт, который, естественно, входил в сферу интересов римлян. Ввиду того, что Эрастофен пользовался т. н. кратким стадием, равным 157, 7 метрам, мы примерно можем определить длину его и хоры, которая равняется 56,772 км (360 стад. X 157,7 м.). К моменту инспекционной поездки легата, правителя Каппадокии в 131 г., Питиунт упомянут в качестве лишь стоянки (ὅρμος) судов, наличие такой пристани им указывается и в связи с Себастополисом. но в отличие от него Питиус не контролировался римлянами, иначе он закончил бы свою поездку именно здесь. Себастополис представлял собой „конечный нукт римского владычества по правой стороне от входа в Понт" (Fl. Arr., PPE, 26). По Арриану Питиун тнаходился от него на расстоянии трехсот пятидесяти стадиев, что равняется 55, 195 км и примерно совпадает с расстоянием между Сухуми и Пицундой. Прокопий Кесарийский определял расстояние между этими пунктами „двумя днями пути" (P. C. BC., VIII IV), 4), что не оставляет никаких сомнений в правильной локализации Питиунта еще Дюбуа де Монпере.

По исторической традиции, сохранившейся у Прокопия Кесарийского, Питиунтская крепость была построена на земле санигов прежде всего для устрашения местного населения (BG., VIII (IV), 24), что можно распространить на все кастеллы побережья Колхиды. Эти отборные войсковые части, которые имели продовольственные запасы, склады оружия и боевые метательные механизмы, лазареты, казармы, мастерские, были рассчитаны на длительное пребывание в приморской Колхиде, в частности в Питиунте. Они противостояли местному населению и охраняли морские коммуникации. О возникновении военной опасности, конфликтной ситуации оперативно сообщалось всем гранизонам и управляющему провинцией. Особым статусом пользовался не только Питиунт, но вероятно и Апсарунтская крепость, расположенная на стыке границ Иберии, Колхиды и Каппадокии. Ее гарнизон состоял из пяти спеир или трех

когорт, общей численностью тысяча двести легионеров. По Евлию Челеби в данной крепости турки в XVI веке держали столько же янычар, преследуя те же стратегические цели. В Фасисе располагалась отборная когорта—четыреста легионеров, которым были приданы метательные машины. Так как при поездке Арриана форпостом „Понтос лимеса" являлся Себастополис, вероятно, и гарнизон соответствовал его положению, который кроме обычных тяжеловооруженных легионеров включал и отряды всадников. Благодаря расшифровке Спейдалом латинской надписи из раскопок Пицундского городища документально установлено, что к 152 г. н. э. в эпоху Антония Пия в Питиунте бесспорно стоял римский гарнизон. К этому времени восходят клейменные керамические плитки XV легиона. Раскопками выявлены остатки римских деревянных дубовых сооружений, строительный мусор, слабый культурный слой второй половины I в. н. э.—первой пол. II в. н. э., указывающий о первоначальном этапе появления римлян на Пицундском мысе. В результате посещения правителем Каппадокии окраины провинции форпост римского лимеса вскоре переместился в Питиунт, имевший скорее всего хорошую гавань. Римские легионеры на Пицундском мысе возводят целую систему сторожевых крепостей, блокируя не только приморскую полосу, но и подходы с гор. Симптоматично, что здесь еще не выявлены какие-либо следы местного аборигенного населения античной эпохи. Археологические исследования под рукаводством акад. А. М. Апакидзе, которые ведутся здесь с 1952 года, выявили хорошо сохранившиеся римские укрепления, в том числе классический тип укрепленного лагеря — кастеллы, размером в плане 136 м x 162 м. В центре цитадели располагался преторий, монументальная, украшенная мозаиками принципия, казармы лазарет, термы, мастерские. Укрепление имело хорошо продуманную канализационную систему. Обнаружены многочисленные бронзовые и серебряные монеты II—IV вв. н. э.,, бронзовая муфта метательной машины.

Как показывает стратиграфия городища в II—VI вв. н. э., Питиунт неоднократно подвергался нападению врагов и был взят штурмом неприятелем. Четко прослеживается слой пожарища, следы губительного нашествия „скифского племени" боранов (257 г. н. э.) (Zos HN, 1, 31) имевшего место при Валериане и Галене. Интересы империи требовали скорейшего восстановления Питиунта, что хорошо было известно Сукесиану, бывшему коменданту крепости, получившему повышение при императорском дворе, служившему в Антиохии. Питиунт отстраивается заново, расширяется, воздвигаются новые крепостные стены и башни, его площадь достигает 6 га. Расцвет города-крепости вероятно надо связать с раннехристианской общиной. С первой четверти IV века Питиунт—резиденция епископа, что указывает на его городской статус. Таким образом становится ясным, что Питиунт в интересующее нас время является не только римской крепостью, с отборным гарнизоном (свыше когорты), но и торгово-ремесленным, культурным центром, одним из провинциальных городов Римской империи. Монеты, общее количество которых, включая клады, достигает тысячи шестисот, показывает не только оживленный характер внутреннего денежного обращения, но и позволяет проследить тесные военно-экономические связи с малоазийскими городами, особенно с Трапе-

